პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, ქალოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.

ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ., ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— გერმანიის კომპარტია მხარს უჭერს ტროცკის და ზინოვიევის გარიცხვას საკ. კომპარტიის ცეკადან.
— ტოკიოდან მოსკოვში გამოემგზავრა ამხ. დოვგალევსკი.
— სამხრეთ-სლავიის საწინააღმდეგო მანიფესტაციები იტალიაში.
— გადადგა საფრანგეთის ელჩი იტალიაში ბენიარი.
— ამხ. იოფეს დაკრძალვა.
— პოლონეთში ძლიერდება ტერორი ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ.
— გრიგალმა ვაშინგტონში დაანგრია მრავალი სახლი

კვირა, 20 ნოემბერი 1927წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 263 (2008)

ამ.-კავკ. კომუნისტურ ორგანიზაციების

მე-V ყრილობა

გაიხსნება თბილისში 21 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე სახელმწიფო ოპერის დარბაზში

დღის წესრიგი:

1. საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში.
2. საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო ანგარიში.
3. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სარევიზიო კომიტეტის ანგარიში.
4. ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის ანგარიში.
5. მოხსენება ა. კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის შესახებ.
6. ცენტრალურ ორგანოების არჩევნები.

ს. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი
ორახელაშვილი.

მანდატებს ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მეხუთე ყრილობაზე იძლევა ს. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე. სასტუმრო ბილეთებს თბილისის აქტივისათვის იძლევა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი.

ბინის და ტრანსპორტის საკითხების შესახებ ყრილობაზე ჩამოსულ დელეგატებმა უნდა მიმართონ სადარბაზო ოთახში (რკ. გზის სადგურზე) ამხ. ოსიპოვს.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მეხუთე ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომისია.

ყრილობის შედეგები

საქართველოს კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობამ დაასრულა თავისი მუშაობა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიაში ახლად დასრულებული მეხუთე ყრილობა, ისე როგორც საკავშირო კომუნისტურ პარტიაში მომავალი მე-15-ე ყრილობა. განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს.

პარტია უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არაჩვეულებრივ პირობებში ვითარდებოდა. ერთი მხრივ სახალხო მეურნეობის აღორძინებითი პერიოდის დასრულებასთან დაკავშირებით პარტიის წინაშე აღიმართა სოციალისტური აღმშენებლობის მორიგი დართული ამოცანები, ხოლო მეორე მხრით არაჩვეულებრივად გამწვავდა შინაპარტიული ბრძოლა, ოპოზიციის გამოსვლების გამო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების დღეს უკვე ყოფილი წევრები. პარტიას ამნაირად ორი მიმართულებით უხდებოდა ბრძოლა. მას უნდა ეზრუნა პირველ ყოვლისა თავისი რიგების სიმტკიცის დაცვისათვის, რაც პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვების მთავარ საწინდარს წარმოადგენს და ამავე დროს მეტი ენერგიით და წინდახედულობით უნდა განეგრძო სოციალისტური აღმშენებლობის ხელმძღვანელობა.

თუ რამდენად გამარჯვებული გამოვიდა პარტია ამ რთულ მდგომარეობიდან, ამას ყველაზე უკეთესად მოწმობა ეკონომიურ დარგში ჩვენი სახალხო მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა. მიუხედავათ მთელ რიგ მნიშვნელოვან დაბრკოლებებისა და მორიგ სიძნელეებისა, პარტიამ სამეურნეო ფრონტზე უკანასკნელი წელი შედარებით უკრიზისოთ გაატარა. ჩვენი შეუჩერებელი ეკონომიური ზრდის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ გადადგა უდიდესი მნიშვნელობის ნაბიჯი მუშათა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების დარგში,—მან დააკანონა 7 საათის სამუშაო დღე.

თავისთავად ცხადია, რომ პარტიისა და პროლეტარიატისათვის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ ზრდას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რომ ამასთან ერთად კერძო, კაპიტალისტურ სექტორის ხარჯზე არ იზრდებოდეს სოციალისტური სექტორი. რამდენიც არ უნდა იჩხავლოს ოპოზიციამ ან საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე პარტიებმა ჩვენი ეკონომიკის კაპიტალისტურ გადაგვარების შესახებ, სოციალისტურ ელემენტების შეუჩერებელი ზრდა კაპიტალისტური ელემენტების ხარჯზე, შემოწმებული და არაერთხელ დადასტურებული ფაქტია.

ამრიგად, მიუხედავად მთელ რიგ სამეურნეო ხასიათის ობიექტიურ სიძნელეებისა და ოპოზიციის შეუჩერებელ დეზორგანიზატორულ მუშაობისა, პარტიამ პირნათლად შესძლო იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომელსაც მას უყენებდა სოციალისტური აღმშენებლობის სწორი გზით წარმართვის აუცილებლობა.

მაგრამ ბრძოლის არც მეორე ფრონტზე ხვდა წილათ პარტიას ნაკლები გამარჯვება. წარსული ორი წელი იყო ტროცკიზმისა და ლენინიზმის შორის გაფთრებული ბრძოლის ხანა. არასოდეს, ტროცკის პარტიაში შემოსვლის შემდეგ, ამ ორ მიმდინარეობათა შორის ბრძოლა იმდენ გამწვავებამდე არ მისულა, როგორც ეს იყო ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, ეს მოხდა იმიტომ, რომ ტროცკიზმი გადაიქცა პარტიის ყველა უკმაყოფილო ელემენტების იდეურ ორგანიზატორათ. მან თავის დროშის ქვეშ გააერთიანა ყველა მერყევი ძალები ბოლშევიკური პარტიის შიგნით. ბრძოლამ მით უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ტროცკიმ იდეურათ დაიმორჩილა ყველა ოპოზიციონურ დაჯგუფებათა ხელმძღვანელები და მათ შორის ოქტომბრის დღეების ცნობილი შტრეიკბრეხერები ზინოვიევი და კამენევი.

მთელ თავის უარყოფით შედეგებთან ერთად. ოპოზიციის გამოსვლებმა პარტიას უდიდესი სარგებელიც მოუტანა. პარტიამ იგრძნო მთელი საშიშროება, რომელიც მას და მასთან ერთად პროლეტარიატის დიქტატურას მოელოდა ოპოზიციის გამოსვლებით. პარტიამ მასიური მობილიზაცია უყო თავის ძალებს ფოლადისებური მთლიანობის დაცვის მტკიცე შეგნებით გაიმსჭვალა ყველა ორგანიზაციები. ოპოზიციის გამთიშველი მუშაობა შეეჩხა პარტიის ურყევ ნებისყოფას და სიმაგრეს. ფრაქციონერები და დეზორგანიზატორები თავიდანვე გათიშული აღმოჩნდენ. ვერ გასჭრა ვერც ბოლშევიკური დისციპლინის უხეშ დარღვევამ, ვერც არალეგალური მუშაობის აშკარა ანტისაბჭოთა გამოსვლებამდე გაფართოებამ, ვერც პოლიტიკურ შანტაჟმა, რომელსაც არაერთხელ მიმართავდა ოპოზიცია, და ვერც ზინოვიევ-კამენევ-ტროცკის და მათ ადგილობრივ მაჩანჩალების ისტერიულმა მოთქმამ, პარტიამ დიდხანს ითმინა ოპოზიციის გამხრწნელი მუშაობა მაგრამ როცა ოპოზიციის გამოსვლებმა ყოველგვარი მოთმინება ამოსწურა, ის იძულებული გახდა ენერგიული ხელით მოეგლიჯა თავის რიგებიდან გაუსწორებელი დეზორგანიზატორები, მათ შორის გამთიშავი მუშაობის იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელები ტროცკი და ზინოვიევი მათი ადგილობრივი მიმდევრებით.

დღეს ჩვენ უკვე სრული საბუთი გვაქვს განვაცხადოთ, რომ პარტია ამ დისკუსიიდან უფრო განმტკიცებული. ლენინურად უფრო გაკაჟებული და უფრო ერთსულოვანი გამოვა. ამის მაჩვენებელი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ახლად დასრულებული მეხუთე ყრილობა, რომელიც იშვიათი სოლიდარობის დემონსტრაციას წარმოადგენდა.

ყრილობამ ჯამი გაუკეთა ყველა იმ მიღწევებს, რომელნიც ჩვენ გვაქვს განვლილ ორი წლის ნამძლზე სამეურნეო თუ კულტურულ აღმშენებლობის ყველა დარგში, მან შეაფასა ჩვენი შინაპარტიული მდგომარეობა და ერთხელ კიდევ თავისი ავტორიტეტული სიტყვით სასტიკი განაჩენი გამოუტანა ნეომენშევიკურ სამოსში გახვეულ ადგილობრივ ტროცკისტულ ოპოზიციას. ამასთან ერთად ყრილობამ დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ჩვენი შემდგომი მუშაობისათვის პროლეტარიატის გამაგრების და სოციალიზმის აღმშენებლობის დარგში. პარტია ისეთივე ერთსულოვნობით შეეცდება ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას, როგორი ერთსულოვნობითაც მიღებულია ყველა ეს დადგენილებანი.

დიდი გამარჯვება

ამ დღეებში ტელეგრაფმა შემდეგი ცნობა გადმოგვცა მოსკოვიდან: მოსკოვში, ლენინგრადში და ხარკოვში 14 ნოემბრამდე და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში პირველ ნოემბრამდე ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელმომწერის საერთო თანხა შეადგენს 192.000.000 მანეთს. ჯერ კიდევ აღურიცხავი, მაგრამ გასაღებული სესხის ჯამი უეჭველად გადააჭარბებს დანარჩენ ნაწილს და ამრიგად სესხი ზედმეტად იქნება დაფარული.

ესაა საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი გამარჯვება. სესხის რეალიზაციის კამპანია ორ თვენახევარიც არ არის რაც წარმოებს, და ასეთი შედეგი! რით აიხსნება ინდუსტრიალიზაციის სესხის ასეთი წარმატება?

სესხი გამოშვებულ იქნა განსაკუთრებულ პირობებში. საბჭოთა კავშირის ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა რთულია. იმპერიალისტები ნიადაგს ამზადებენ შრომის რესპუბლიკაზე შეიარაღებული თავდასხმისათვის. ამასთან, ისინი ცდილობენ გაატარონ ჩვენი ეკონომიურ-ფინანსიური ბლოკადა. სესხის სახით რაიმე მნიშვნელოვან დახმარების მიღებაზე გარედან იმედის დამყარება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. კაპიტალისტების ასეთ შემოტევაზე, მათ განზრახვაზე, რომ ჩაშალონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა, საბჭოთა კავშირის მშრომელთ უნდა ეპასუხნათ თავის საშუალებათა მობილიზაციით, რომ ამ გზით დაემსხვრიათ მტრების ოცნება, თითქო ჩვენ მათი დაუხმარებლად ვერ მოვახერხებთ სახალხო მეურნეობის განვითარებას. მოსახლეობაში გაბნეულ თანხების შეგროვებით და მათი მიწოდებით სახელმწიფოსათვის ჩვენ დამატებითი წყარო უნდა შეგვექმნათ იმისათვის, რომ გავანთავისუფლოთ კაპიტალისტურ მსოფლიოს მიმართ საბჭოების ქვეყანა ეკონომიურ დამოკიდებულებისაგან. საბჭოთა კავშირის მშრომელი მასსები ასე მოიქცენ და ასე იქცევიან. ინგლისის მიერ ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტაზე და საერთოდ იმპერიალისტების იერიშებზე მათ უპასუხეს არა მარტო სამხედრო თავდაცვის უნარის გაძლიერებით, არამედ ინდუსტრიალიზაციის სესხის მთელი ასი პროცენტით განაღდებითაც.

ამნაირად პირველი, რაც ცხადყო სესხის კამპანიის წარმატებამ, ეს ისაა, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელები ფხიზლად და მტკიცედ დგანან თავის სოციალისტურ სამშობლოს სადარაჯოზე და მზად არიან თავისი მკერდით დაიცვან ის მტრების თავდასხმისაგან. ამის დამამტკიცებელ სხვა მრავალ ფაქტებს ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციაც მიემატა.

არა ნაკლებ საყურადღებოა სხვა მომენტებიც. ინდუსტრიალიზაციის სესხი, გარდა ზევით ხსენებული მიზეზისა, განსაკუთრებით პოპულიარული გახდა სწორედ, როგორც ინდუსტრიალიზაციის სესხი. ჩვენ უკან მოვიტოვეთ სახალხო მეურნეობის განვითარების ომის წინანდელი დონე და ფეხი შევსდგით მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში. ფართედ იშლება სოციალისტური მშენებლობა, რომლის წარმატება გულისხმობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, მსხვილი მრეწველობის განვითარების უმაღლეს საფეხურზე აყვანას. და აი, ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაციით მშრომელებმა დაამტკიცეს თავისი ურყევი ნებისყოფა განახორციელონ სოციალიზმი.

შემდეგ: მოსახლეობა ბოლო წლებში. სახალხო მეურნეობის აღორძინების ნიადაგზე, ნივთიერად საკმაოდ მოღონიერდა. ამან შექმნა ისეთი მდგომარეობა, როცა მასში გაბნეულია წვრილ-წვრილი, მაგრამ საერთო ჯამით მნიშვნელოვანი თანხები. ინდუსტრიალიზაციის სესხის რეალიზაცია გვიჩვენებს, რომ დიდი შესაძლებლობები იშლება ჩვენი სახელმწიფო კრედიტის სისტემის წინაშე, თუ ამ დარგში მუშაობა სათანადოდ იქნება დაყენებული.

სესხი უდიდესი რაოდენობით დაფარულ იქნა მშრომელ ფენების მიერ. კოლექტიური ხელმოწერის ჯამი 50 პროც. მეტია. სესხის რეალიზაციის ჩაბმაში დიდ აქტივობა გამოიჩინეს პირველ ყოვლისა მუშებმა. ბევრგან არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მუშა-მოსამსახურე, რომელთაც სესხზე ხელი არ მოეწეროთ. სესხის შეძენა საბჭოთა მოქალაქის ღირსების საკითხად იქცა. ესაა მუშათა მასსების მიერ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ნდობის საუკეთესო გამოცხადება.

ამგვარად, მიღწევები ყოველ მხრივ მეტად დიდია. მაგრამ ამით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით. სესხის რეალიზაცია შეუსუსტებელი ენერგიით უნდა გაგრძელდეს, რათა კიდევ ახალი მილიონები შევაგროვოთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტურ მშენებლობის გამარჯვებისათვის. ამასთან. მშრომელთა ის აქტივობა, რომელიც გაიშალა სესხის რეალიზაციის კამპანიის დროს, უნდა გავაღრმავოთ მათი უფრო მეტი ჩაბმისათვის მშენებლობის საქმეში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში შეიარაღება იზრდება

ამხ. მარტის გამოსვლა დეპუტატთა პალატაში.—კულიჯის განცხადება

პილსუდსკის მთავრობა სდევნის ეროვნულ უმცირესობათ

მუშების მასიური დაპატიმრება შანხაიში.--გადატრიალება კანტონში

გადატრიალება კანტონში

სუნ-ჩუან-ფანი უიმედო მდგომარეობაშია

პეკინი, 18 ნოემბერი. „ნიპონ დემპო"-ს სააგენტოს ცნობით, **სამხრეთის ჯარები წინ მიიწევენ ჩინგუან-პენუს ფრონტზე.**

სააგენტო აღნიშნავს, რომ **სუნ-ჩუან-ფანი უიმედო მდგომარეობაში იმყოფება. სუნ-ჩუან-ფანის ჯავშნიან მატარებლებმა დაიხიეს პენისაკენ. სუჩოუს და პენუს შორის სარკინიგზო მიმოსვლა შეწყვეტილია** (ადს).

კომუნისტური პროკლამაციები

შანხაი, 18 ნოემბერი. ამოიეში (ნავთსადგურია ფუძიანის პროვინციაში) გამოაკრეს მრავალი კომუნისტური პროკლამაციები, რომლებიც მოუწოდებენ მუშებს გომინდანის მთავრობის დამხობისაკენ.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოახდინა ჩხრეკა ყველა პროფკავშირებში, სტამბებში, სასტუმროებში და ბიბლიოთეკებში. (ადს).

მასიური დაპატიმრებანი

შანხაი, 18 ნოემბერი. პუტუნში და შანხაის სხვა ნაწილებში ჩინეთის სამხედრო რაზმებმა და პოლიციამ მოახდინეს მასიური დაპატიმრება ბამბის ქსოვილების ფაბრიკების მუშებს შორის. ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჩხრეკის დროს აღმოჩენილია საგიტაციო ხასიათის ლიტერატურა.

უცხოეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ კომუნისტები ადგენენ ტერორისტულ რაზმებს კარგათ შეიარაღებულ მუშებისაგან გომინდანის პროფესიონალურ კავშირებთან ბრძოლის მიზნით და შეიარაღებულ ძალებს ამზადებენ შანხაიში აჯანყების მოსაწყობათ.

კანტონი ჩან-ფა-გუის ხელში

შანხაი, 19 ნოემბერი. კანტონში ხელისუფლება მთლიანად **ჩან-ფა-გუის** ხელშია, ჰონკონგში ყოველ დღე ჩამოდიან კანტონიდან ლტოლვილები, **ლი-ტი-სინის** მომხრენი.

შანხაიში ჩამოსულმა **ვან-ტინ-ვეიმ** განაცხადა, რომ გადატრიალების გეგმების შესახებ არაფერი არ იცოდა. (ადს).

ამხ. მარტის სიტყვა დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 18 ნოემბერი. დეპუტატთა პალატაში საზღვაო უწყების ბიუჯეტის განხილვის დროს კომუნისტების დეპუტატმა ამხ. მარტიმ აღნიშნა, რომ **ახალ გემების აგებაზე განზრახულია ერთი მილიარდი ფრანკის დახარჯვა, მაშინ, როცა მუშათა კლასი იტანჯება გადასახადების არაჩვეულებრივ სიმძიმისაგან.** აღნიშნა რა შემდეგ, რომ საზღვაო შეიარაღება იწვევს ახალს ომებს, ამხ. მარტიმ განაცხადა:

„ხმელთაშუა ზღვაში მდგომარეობა რთულდება. ინგლისმა აიყოლია იტალია და ესპანეთი; საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ იქმნება სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოების ბლოკი".

ეხება რა საფრანგეთის მეზღვაურთა მდგომარეობას, ამხ. მარტი აღნიშნავს სასტიკ მოპყრობას იმ მეზღვაურების მიმართ, რომელნიც დააპატიმრეს ტულონში და მოთავსებული არიან ნავთსადგურ მალბუსკეს ციხეში; ამხ. მარტი მიესალმა „ციხეებში ჩამწყვდეულ მეზღვაურებს, რომელნიც თავისი კლასის ერთგულნი დარჩენ" (ადს).

პოლონეთ-საბჭოთა შეთანხმება

პოლონეთისათვის კულტურულ ღირებულებათა დაბრუნების შესახებ

ვარშავა, 18 ნოემბერი. მოწინავე წერილში, რომელიც ეხება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებას პოლონეთისათვის კულტურულ ღირებულებათა დაბრუნების შესახებ, ოფიციოზს „ეპოქა"-ს მოჰყავს დაწვრილებითი ისტორია იმ მოლაპარაკებისა, რომელიც გაიმართა ამ საკითხის გარშემო, რიგის ხელშეკრულების საფუძველზე. წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირის ყოფილი სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში, განსვენებული ვოიკოვი, რომელიც სრულუფლებიან წარმომადგენლის თანამდებობაზე დანიშვნამდე, მეთაურობდა ამ მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის მხრით, გულწრფელად სცდილობდა, რომ შეთანხმება მიღწეული ყოფილიყო. საბჭოთა კავშირის ეხლანდელმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბოგომოლოვმა, რომელიც წერილის ავტორის სიტყვით, ვოიკოვის მსგავსად მისწრაფვის პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებისაკენ, შეიგნო, რომ პოლონეთისათვის კულტურულ ღირებულებათა დაბრუნება იქნება დიდი ნაბიჯი წინ, პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმების მისაღწევად. შემდეგ ავტორს მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები, თუ სახელდობრ რა დაუბრუნდება პოლონეთს, და ამასთანავე აღნიშნავს, რომ ზოგიერთ საგნების შესახებ შეთანხმება მიღწეული არ არის და მათ შესახებ საჭირო იქნება უშუალო დიპლომატიური მოლაპარაკება. (ადს)

ოქრო და ზარბაზნები

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. კულიჯმა სიტყვა წარმოსთქვა საქმიან წრეების წარმომადგენელთა კრებაზე ფილადელფიაში. მან განაცხადა, რომ ჩრდ.-ამერიკ. შეერთ. შტატებმა „მიაღწია აყვავების უმაღლეს წერტილს" და მის განკარგულებაშია იმდენი შემოსავალი და წარმოება, რომლისთვისაც ჯერ არავის მიუღწევია კაცობრიობის ისტორიაში.

„ჩვენ ხელში გვაქვს,—განაგრძო კულიჯმა, განძი, რომელიც უნდა დავიცვათ. ამიტომ ჩვენ, ჩვენი ძალღონის მიხედვით, უნდა შევავსოთ ფლოტი დამატებითი წყალქვეშა ნავებით და კრეისერებით. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი საჰაერო ფლოტი და უმთავრესად უნდა წავაქეზოთ სავაჭრო ავიაცია". (ადს)

საზღვაო განიარაღება

ვაშინგტონი, 18 ნოემბერი. ვაშინგტონის ოფიციალურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ლორდ სესილის განცხადება საზღვაო განიარაღების კონფერენციის მარცხის შესახებ, სავსებით ამართლებს შეერთებულ შტატების პოზიციას. ამ წრეებში ფიქრობენ, რომ შეერთებული შტატები არ წამოაყენებენ წინადადებას ახალი საზღვაო კონფერენციის მოწვევის შესახებ, სანამ ინგლისში მთავრობის სათავეში კონსერვატორები დგანან. მიუხედავად ამისა, თუ წინადადება წამოყენებულ იქნება ინგლისის მხრივ, შეერთებული შტატები განიხილავენ მას

პილსუდსკის სამფლობელოში

ეროვნულ უმცირესობათა დევნა

ვარშავა, 18 ნოემბერი. ოფიციოზი „ეპოქა" სწერს, რომ **ნაციონალურ უმცირესობათა საარჩევნო ბლოკის შექმნა პრაქტიკულად უდრის ყველა ეროვნულ უმცირესობათა გალაშქრებას პოლონეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. გაზეთი ებრაელებს ემუქრება ანტისემიტიზმის გაძლიერებით, თუ ისინი მონაწილეობას მიიღებენ ამ ბლოკში.**

ერთ-ერთი მემარჯვენე გაზეთი იუწყება, რომ თუ ებრაელები შეუერთდენ ეროვნულ უმცირესობათა ბლოკს პილსუდსკის მომხრე გაზეთები დაიწყებენ ანტისაბჭოთა კამპანიას. (ადს).

მთავრობის პრესის კამპანია

ვარშავა, 18 ნოემბერი. მთავრობის პრესა განაგრძობს კამპანიას ეროვნულ უმცირესობათა ბლოკის პროექტის წინააღმდეგ. საერთო მოლაპარაკება ეროვნულ უმცირესობათა ბლოკის შესახებ დამთავრებულია. ეხლა ბლოკის პროექტი ირჩევა ცალკე ეროვნული პარტიების მიერ. ამბობენ, რომ უკრაინელები მოითხოვენ სიონისტებისაგან ერთგვარ პოლიტიკურ დაკმაყოფილებას, შვარცის პროცესთან დაკავშირებით. (ადს)

გერმანიის კომპარტიის პოლიტბიურო იწონებს

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და კომინტერნის დადგენილებებს

ბერლინი, 18 ნოემბერი. გერმანიის კომპარტიის პოლიტბიუროს მიერ მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ **„პოლიტბიურო მთლიანად ეთანხმება იმ ზომებს, რომლებიც მიიღო საკავშირო კომპარტიის (ბ) ლენინურმა ხელმძღვანელობამ და კომინტერნმა ტროცკისა და ზინოვიევის უმნიშვნელო ჯგუფის წინააღმდეგ მსოფლიო კომპარტიის მთლიანობისა და ძლიერების უზრუნველყოფისათვის".**

„გერმანიის კომპარტია— ნათქვამია დადგენილებაში—წინანდელ სხვადასხვა უთანხმოების დროს ტროცკიზმთან, თავისი დიდი უმრავლესობით ყოველთვის მხარს უჭერდა ლენინურ ცეკას. ტროცკის იმედები, რომ რენეგატ მასლოვის და რუტ ფიშერის დახმარებით გამოეთიშა გერმანიის კომპარტიის ნაწილი და გამოეყენებია ეს ნაწილი საკავშირო კომპარტიისა (ბ) და კომინტერნის წინააღმდეგ საბრძოლველად, დაბოლოვდა სამარცხვინო დამარცხებით. პარტიას და კომუნისტურად მოაზროვნე მუშებს მიაჩნიათ, რომ ტროცკი, ზინოვიევი და მათი მომხრეები გადაიქცენ დამხმარე იარაღად საერთაშორისო მენშევიზმისა და ბურჟუაზიისათვის, რომელიც ძლიერდება ოპოზიციის ბრძოლით კომუნიზმისა და კომინტერნის წინააღმდეგ და მათი ლენინური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს შემჭიდროებულ რევოლიუციონურ ბრძოლას საბჭოთა კავშირის დასაცავად, მენშევიზმისა და ბურჟუაზიის მოსასპობად!". (ადს)

კომინტერნის ხაზის დასაცავად

ბერლინი, 18 ნოემბერი. პრუსიის ლანდტაგის კომუნისტმა დეპუტატმა, ურბანსის ულტრა-მემარცხენე ჯგუფის მომხრემ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იცავდა ურბანსის ჯგუფის პლატფორმას და წარმოადგენდა ულტრა-მემარცხენეთა ერთ-ერთ ბურჯს გალ-მერზებურგის ოლქში, ტროცკისტულ ოპოზიციის ანტიპარტიულ გამოსვლების შემდეგ განაცხადა, რომ სწორად აღიარებს კომინტერნის ხაზს. (ადს)

უმრავლესობის სურვილის წინააღმდეგ

ბერლინი, 19 ნოემბერი. მელითონეთა ბერლინის კავშირის თანამდებობის პირთა თათბირზე გაკეთებულ იქნა განცხადება, რომ კავშირის წევრთა შორის გამართულ რეფერენდუმის დროს გაფიცვის გამოცხადების საკითხის შესახებ, ვერ შეგროვდა საკმაო ხმები გაფიცვის გამოსაცხადებლად, ვინაიდან უმრავლესობას დააკლდა 69 ხმა.

ამრიგად, **მიუხედავად იმისა, რომ კავშირის წევრთა დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გაფიცვას, მიღებულად ითვლება კომპრომისული წინადადება ხელფასის მომატების შესახებ 5 პროცენტით.** (ადს)

პალესტინის მუშების დელეგაცია

ოდესა, 19 ნოემბერი. გემი „ჩიჩერინით" ჩამოვიდა პალესტინის მუშებისა და საზოგადო ორგანიზაციების დელეგაცია ხუთი კაცის შემადგენლობით. დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვში. დელეგატები არჩეული იყვნენ პალესტინის მუშების მიერ ოქტომბრის ათი წლის თავის წინ და გემი „ჩიჩერინით" უნდა წამოსულიყვნენ საბჭოთა კავშირში ოქტომბრის ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ „ჩიჩერინის" დაკავების გამო, ისინი ჩარჩენ ალექსანდრიაში

ინგლისის მემაღაროენი ბურჟუაზიის ახალი შეტევის წინ

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც მისტერ ჩერჩილი გამოვიდა ოპტიმისტური განცხადებით ინგლისის მომავალი ეკონომიური მდგომარეობის შესახებ და ირწმუნებოდა, რომ „მდგომარეობა თანდათან და შეუჩერებლივ უმჯობესდებაო"; ჯერ კიდევ ამ რამოდენიმე ხნის წინად ის ამტკიცებდა, რომ „ნახშირის ექსპორტმა ინგლისიდან მიაღწია წინანდელ დონესო", მაგრამ უკვე მთელ რიგ ახალ ფაქტებიდან აღმოჩნდა, რომ ინგლისის ნახშირის მრეწველობა განიცდის მძიმე კრიზისს. მაღაროს მეპატრონეთა ცდას —სამუშაო ხელფასის შეუბრალებლად შემცირებისა და მუშების რიცხვის შემოკლების გზით განემტკიცებიათ თავისი პოზიციები ნახშირის მსოფლიო ბაზარზე, — შედეგად მოჰყვა ნახშირის რაიონების მუშა - მოსახლეობის ნივთიერი მდგომარეობის კატასტროფიული დაქვეითება. 250.000 მემაღაროე მუშას სრულიად არა აქვს სამუშაო (ამასთან ამ რიცხვში არ შედიან ის მუშები, რომელთაც შეუწყვიტეს დახმარების მიცემა, ხოლო ასეთები კი საკმაოდ ბევრია). ზოგიერთ რაიონებში, მაგალითად, დურგლებში, უმუშევართა რიცხვი აღწევს საერთო რიცხვის ერთ მესამედს. ოფიციალურ მასალებში მოყვანილია ფაქტები, რომ მარტო უელსში, სამთამადნო მუშებით დასახელებულ ქალაქში, დაზღვ. მოსახლეობის 71,2 პროც. უმუშევრადაა დარჩენილი. მაღაროების უმეტეს ნაწილში მუშაობა დროგამოშვებით სწარმოებს, სამუშაო დღეების საშუალო რიცხვი კვირაში შეადგენს სულ 4,8 პროცენტს. სამთამადნო მუშების საშინელ მდგომარეობას არ უარყოფს თვით კონსერვატიული მთავრობაც კი. შრომის სამინისტროს მრჩეველმა ბეტერტონმა ერთ-ერთ ინტერვიუში ამას წინად განაცხადა: „მე ვიცი, რომ მართლაც საშინელი პირობებია დურგემსა და სამხრეთ უელსში, ეს პირობები მართლაც ისევე საშინელია, როგორც ამას ასწერენ სამთამადნო მუშების წარმომადგენლები. მე ვიყავი ამ ოლქებში და ჩემივე თვალით დავრწმუნდი ამ ფაქტებში".

ამასთან ერთად, მიუხედავად მუშების შეუბრალებელი ექსპლოატაციისა, სამუშაო ხელფასის შემცირებისა, ქუჩაში სამთამადნო მუშების გაყრისა და კაპიტალისტური რაციონალიზაციის სხვა ღონისძიებებისა, რომლებიც დასახულია 1927 წლის მეორე მეოთხედისათვის, — ნახშირის ფასის დაცემა ძილს უფრთხობს მაღაროს მეპატრონეებს და აიძულებს დაიწყონ ახალი შეტევა მუშების წინააღმდეგ.

სამხრეთ - სამრეწველო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშებიდან სჩანს, რომ ინგლისის ნახშირის მრეწველობამ 1927 წლის მეორე მეოთხედში მოახერხა სამუშაო ხელფასის დაყვანა ერთ ტონა ნახშირზე 10 შილინგსა და 10 პენსამდე, 1924 წლის 13 შილინგისა და 8 პენსის მაგიერ. მაგრამ ტონა ქვა-ნახშირი, რომლის საერთო ღირებულება უდრის 16 შილინგს, იყიდება 15 შილინგად, ე. ი. ზარალი უდრის ერთ შილინგს. მოჰყავს რა ეს ანგარიშები, ინგლისური ჟურნალი „ეკონომისტი" 1927 წლის 5 ნოემბრის ნომერში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შემდეგ თვეებს არ მოჰყოლია კონიუნქტურის რამოდენიმედ მაინც გაუმჯობესება და რომ საერთოდ ახლო ხანში მოსალოდნელი არ არის ნახშირის ფასის აწევა.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ სერიოზულ კრიზისს, რომლიდან ერთად-ერთ გამოსავალსაც მწარმოებლები ხედავენ სამუშაო ხელფასის შემდგომ შემცირებაში. დურგემის მაღაროს მეპატრონეებმა გაკვრით უკვე აღნიშნეს, რომ მათ განზრახული აქვთ მინიმალური სამუშაო ხელფასის შემდგომი შემცირება. ამ ახალ იერიშებს არ შეეძლო არ გამოეწვია უკმაყოფილება ინგლისის სამთამადნო მუშებში, რომლებიც ისედაც სილატაკის კარს არიან მიმდგარნი. გამწვავებულმა მდგომარეობამ პროფკავშირთა ბელადები და მუშათა პარტია აიძულა ამოძრავებულიყვნენ. სამთამადნო მუშათა ფედერაციამ მოსთხოვა მთავრობას კომისიის დანიშვნა ნახშირის მრეწველობის მდგომარეობისა და შრომის პირობების გამოსარკვევად. ამასთან ერთად ფედერაციამ წამოაყენა მთელი რიგი პუნქტები, მათ შორის: გაუქმება კანონისა მაღაროებში სამუშაო დღის 8 საათამდე გადიდების შესახებ, მრეწველობის რეორგანიზაცია ნახშირის წარმოებათა იძულებითი გაერთიანების გზით, ბრძოლა უმუშევრობასთან დამხმარე დარგების განვითარების, დამხმარე პროდუქტების გამოყენებას და მრეწველობასთან დაკავშირებულ ელექტროფიკაციის განვითარების გზით. ცალკე დასმული საკითხი იმ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ, რომლებსაც მთავრობა იყენებს უმუშევართათვის სადაზღვევო დახმარების გაცემის დროს. თავის მხრივ მუშათა პარტიამ შეიტანა შეკითხვა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა ნახშირის მრეწველობაში და მოითხოვა, რომ ახსნა-განმარტებებით გამოსულიყო თვით პრემიერი. როდესაც ბოლდუინმა უარი განაცხადა გამოსვლაზე, მაშინ მუშათა პარტიამ აღარ ალაპარაკა ვაჭრობის მინისტრი და ობსტრუქცია გაუმართა მას.

ამ საპარლამენტო „ბრძოლას" არ ექნებოდა ადგილი, მუშათა პარტიის ბელადები რომ არ განიცდიდენ ზეგავლენას მუშათა მასების მხრივ, რომლებიც უნუგეშო მდგომარეობაში არიან ჩავარდნილი. ინგლისის კაპიტალს მთელი ფრონტით მიაქვს იერიში. მთელ რიგ დარგებში მუშებს ემუქრება სამუშაო ხელფასის შემცირების საფრთხე. ასეთი მდგომარეობაა შალეულობის ინდუსტრიაში. სამუშაო ხელფასის შემცირებაზე ლაპარაკობენ აგრეთვე სარკინიგზო კომპანიები და ამაში მათ მთლიანად მხარს უჭერენ მაღაროს მეპატრონეები, რომლებიც დაინტერესებული არიან იაფი სარკინიგზო ტარიფებით.

ინგლისის მუშათა კლასი დგას ახალი შეტევის წინაშე. ღალატი, რომლის მსხვერპლიც გახდა სამთამადნო მუშათა საყოველთაო გაფიცვა, იღებს თავის ნაყოფს. საპარლამენტო ობსტრუქციები ვერ შეაჩერებენ ინგლისის კაპიტალისტებს მათ გალაშქრებაში მუშათა მასსების მდგომარეობის გასაუარესებლად. სტვენა და „მრისხანე რეპლიკები" შუბლმაგარ მინისტრების მისამართით არ შეაცვლევინებს მათ თავის პოლიტიკას. ბოლდუინმა და მისმა თანამშრომლებმა კარგად იციან „მისი უდიდებულესობის" ოპოზიციის ფასი. მაკდონალდისა და მის თანამებრძოლთა აღშფოთება ვერ შეარყევს იმათ გულგრილობას, ვინც სიმშილის კლანჭებში აგდებს ასობით ათას პროლეტარს, მათ ცოლებს და შვილებს.

არის ერთი საშუალება კაპიტალის იერიშის მოსაგერიებლად. ესაა—თვით მუშათა მასების გადასვლა შეტევაზე. მათმა უნუგეშო მდგომარეობამ მიაღწია უკიდურეს საზღვარს. ამას მოწმობს ისეთი ფაქტი, როგორც დურგემისა და სამხრეთ - უელსის უმუშევარ სამთამადნო მუშათა დემონსტრაცია, რომელიც დაიძრა ლონდონისაკენ მოთხოვნით: პური ან სამუშაო.

საჭიროა წარსულ ბრძოლების გაკვეთილების გამოყენება, განსაკუთრებით იმ გაკვეთილის, რომელიც ამბობს, რომ გამარჯვება შეუძლებელია მანამდე, სანამ მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობა მოქცეულია მერყევ პირებისა ან და ბურჟუაზიის აშკარა ლაქიების ხელში. საკუთარ რიგების შემჭიდროება და მერყევ და მოღალატე ელემენტების განდევნა—აი ერთად ერთი ხსნა.

ინგლისის მუშათა კლასის წინაშე წამოჭრილია უმძიმესი ამოცანები, მაგრამ ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ის გადასჭრის მათ, და შორს არაა ის დრო, როდესაც ინგლისის პროლეტარიატი დაიწყებს გადამჭრელ ძლევამოსილ შეტევას კაპიტალზე.

„პრავდა", 19 ნოებერი.

უკანასკნელი ცნობები

ტროცკი განთავისუფლებულია თანამდებობიდან

მოსკოვი, 19 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაანთავისუფლოს ტროცკი მთავარ საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. მთავარ საკონცესიო კომიტეტის თავმჯდომარეთ დანიშნულია ამხ. **ქსანდროვი.** (ადს).

კაპიტალის შეტევა

პარიზი, 19 ნოემბერი. გარგანში „ვანდეილია"-ს კომპანიის მაღაროებში ადმინისტრაციამ სცადა სამუშაო დღის გაგრძელების გატარება. მაღაროს მუშებმა გადაჭრით განაცხადეს უარი დამორჩილებოდნენ ადმინისტრაციას, რის გამოც ადმინისტრაციამ გამოაცხადა ლოკაუტი გარგანის ყველა მაღაროებში. ამავე დროს იმავე კომპანიის მაღაროებში ლოტარინგიაში, მოზერის რაიონში ადმინისტრაციამ მოინდომა ასეთივე ზომების გატარება, მარტო მაღაროს მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა; გაფიცვაში შესაძლებელია მონაწილეობა მიიღოს მთელმა რაიონმა, რომელშიაც ითვლება 30.000 მემაღაროე. კომუნისტმა დეპუტატმა კორნავენმა შეკითხვა მისცა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს იმის გამო, რომ უკანასკნელმა არ მიიღო მაღაროს მუშების დელეგაცია. (ადს).

ბრძოლა ჩოჩჟოუსთან

პეკინი, 19 ნოემბერი. დღეს დილით პეკინში მოისმოდა ზარბაზნების სროლა ჩოჩჟოუს მიმართულებით. ტელეფონით მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ბრძოლა ჩოჩჟოუსთან განახლდა 18 ნოემბერს, სწარმოებდა მთელი ღამე და გრძელდება ახლაც. იტყობინებიან, რომ სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა 15 ნოემბერს დასტოვეს პენპუ სტრატეგიული მოსაზრებებით. (ადს).

ბენიარის გადადგომა

პარიზი, 19 ნოემბერი. საფრანგეთის ელჩმა იტალიაში ბენიარმა შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი გაზეთები აღნიშნავენ, რომ რომში გაიმართა მტრული ფაშისტური გამოსვლები ბენიარის წინააღმდეგ. (ადს).

სამხრეთ-სლავიის საწინააღმდეგო მანიფესტაციები

რომი, 18 ნოემბერი. სამხრეთ-სლავიის საწინააღმდეგო დემონსტრაციები რომის გარდა გაიმართა აგრეთვე ვენეციაში, ნეაპოლში და სხ. ქალაქებში. სცემეს სამ სამხრეთ-სლავიელ სტუდენტს, რომლებიც შემდეგ დააკავა პოლიციამ. მათ ბრალად ედება ის, რომ ქუჩებში მღეროდენ სამხრეთ-სლავიის ნაციონალურ ჰიმნს. (ადს).

ამხ. ოპარინი საბჭოთა სანავთო ტრესტების წარმომადგენელი შეერთებულ შტატებში

მოსკოვი, 19 ნოემბერი. „გროზნეფტ"-ის ტრესტის მმართველი ამხ. **ოპარინი,** განთავისუფლებულია თანამდებობიდან, შეერთებულ შტატებში საბჭოთა სანავთო ტრესტის წარმომადგენლათ დანიშვნის გამო. დროებით ტრესტის მმართველის მოვალეობას შეასრულებს ამხ. [illegible]. (ადს).

მომგებიან სესხის ტირაჟი

ტვერი, 18 ნოემბ. დამთავრდა ათპროცენტიან მომგებიანი სესხის ტირაჟი. 25.000 მანეთის მოგება ხვდა შემდეგ ობლიგაციებს: № 115199 — სერია მე-2, № 120935—სერია მე-2. 50.000 მან მოგება ხვდა ობლიგაციას № 178.729—სერია მე-11 (ადს).

ამხ. იოფეს დაკრძალვა

მოსკოვი, 19 ნოემბერი. **19 ნოემბერს დაკრძალულ იქნა ამხ. იოფე. კუბო გამოიტანეს საგ. საქმეთა სახ. კომ. შენობიდან და დადგეს ბალდახინზე. ორკესტრი უკრავდა სამგლოვიარო მარშს. კუბოს მისდევდენ გარდაცვალებულის ნათესავები, მეგობრები, საგ. საქმეთა სახ. კომისარიატის, მთავარ საკონცესიო კომიტეტის და სხვა დაწესებულებების დელეგაციები. პროცესის ბოლოს მივიდა საპატიო ყარაული—ცეკის სახელ. სკოლის ერთი ასეული. ნოვოდევიჩიის სასაფლაოზე განსვენებულის საფლავთან სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ჩიჩერინმა, რომელმაც დაახასიათა განსვენებული, როგორც გამოჩენილი წითელი დიპლომატი. შემდეგ გამოვიდა ამხ. ლეჟავა, რომელმაც დაახასიათა განსვენებული, როგორც ადამიანი და სახელმწიფო მოღვაწე. საკ. კომ. პარტ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რიუტინმა. „იოფე—სთქვა მან,—იყო საკ. კომ. პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი ჯარისკაცი. მაშ განვამტკიცოთ იმ რაზმის სიძლიერე, რომლის წევრი იყო იოფე; განვამტკიცოთ ჩვენი პარტიის, ჩვენი რიგების მთლიანობა".**

ინტერნაციონალის და სამგლოვიარო მარშის ხმების ქვეშ ამხ. იოფეს კუბო ჩაუშვეს საფლავში.

ამხ. იოფეს სიკვდილის გამო საგ. საქმეთა სახალხო კომისარს სამძიმარი გამოუცხადეს გერმანიის ელჩმა გრაფ. ბროკდორფ-რანტცაუმ პოლონეთის ელჩმა პატეკმა, ლიტვის ელჩმა ბალტრუშაიტისმა და მონღოლეთის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბაიან-კუბანმა. (ადს).

იოფეს გარდაცვალების გამო

რეველი, 19 ნოემბერი. **რეველის გაზეთები ათავსებენ იოფეს სურათს და ეხებიან განსვენებულის მუშაობას იურიევის საზავო ხელშეკრულების დადების საქმეში. გარეშე საქმეთა მინისტრმა გელატმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს გამოუცხადა სამძიმარი.** (ადს).

რეველი, 19 ნოემბერი. **ლატვიის გაზეთებში გამოქვეყნებულია ლატვია-საბჭოთა კავშირის საზავო მოლაპარაკების ყოფილ თავმჯდომარის, ვესმანის მგრძნობიერი წერილი იოფეს შესახებ. გარეშე საქმეთა მინისტრმა ცელენსმა და ვესმანმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელ ლორენცს განუცხადეს თავისი სამძიმარი.** (ადს).

პენსია ამხ. იოფეს ოჯახს

მოსკოვი, 19 ნოემბერი. **რუსეთის სახკომსაბჭომ დაადგინა ამხ. იოფეს ოჯახობას დაუნიშნოს პენსია პასუხისმგებელ მუშაკთა ჯამაგირის რაოდენობით** (ადს).

ტროცკ—კრასნოარმეისკი

ლენინგრადი, 19 ნოემბერი. **ქალ. ტროცკის ქალაქის საბჭოს ადმინისტრატიულმა სექციამ გამოიტანა დადგენილება ქალაქ ტროცკის კრასნოარმეისკად გადარქმევის შესახებ.** (ადს).

ამხ. ბელობოროდოვის განთავისუფლება თანამდებობიდან

მოსკოვი, 19 ნოემბერი. **საკავშირო ცაკმა დაადგინა ამხ. ბელობოროდოვი განთავისუფლოს რუსეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობის აღსრულებლობისაგან.**

რუსეთის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოვალეობა საკავშირო ცაკმა დააკისრა ამხ. ვ. ნ. ეგოროვს (ადს).

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის წესი

მოსკოვი, 19 ნოემბ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. **რუხიმოვიჩის** ხელმოწერით გამოცემულია ბრძანება შვიდი საათის სამუშაო დღეზე გატარების წესის შესახებ.

„შვიდი საათის სამუშაო დღე,—ნათქვამია ბრძანებაში, — მრეწველობის წინაშე აყენებს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანას და მრეწვ. მუშაკებს აკისრებს დიდ პასუხისმგებლობას საკავშირო ცაკის დადგენილების რაციონალურათ შესრულებისათვის. მრეწველობის მიერ მიღებულ უნდა იქნეს ყველა შესაძლებელი ზომები, რომ შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლას თან არ სდევდეს ნაწარმოების თვითღირებულების გაძვირება და, რომ თვითღირებულების დაკლების და შრომის ნაყოფიერების აწევის ის ნორმები, რომელიც შემოღებულია მრეწველობაში საწარმოო - ფინანსიური გეგმით, შესრულებულ იქნეს სავსებით.

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა უნდა მოხდეს ერთი მთლიანი გეგმის და წესის მიხედვით. ცალკე წარმოებების და სამეურნეო გაერთიანებების მიერ დამოუკიდებლად გადასვლა შვიდი საათის სამუშაო დღეზე მიღებული გეგმის გარეშე და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსაგან სპეციალური ნებართვის მიუღებლად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქნას.

მთელი პასუხისმგებლობა ამ საქმეში დაკისრებული აქვთ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კომიტეტებს და მთავარ სამმართველოებს.

პროფტექნიკურ განათლების და შრომის ეკონომიკის განყოფილებებს ევალებათ ერთი თვის განმავლობაში დაამუშაონ ადგილებისათვის დირექტივები და ინსტრუქციები შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის გეგმის დამუშავების და მუშების დამატებითი წყების შემოღების შესახებ. ამ დირექტივების საფუძველზე სამეურნეო მუშაკებს ევალებათ კონკრეტიულათ დაამუშაონ საკითხი ცალკე. წარმოებების და სამეურნეო გაერთიანებების გადასაყვანათ შვიდი საათის სამუშაო დღეზე. (ადს).

ამხ. დოვგალევსკის გამგზავრება

ტოკიო, 19 ნოემბერი. **დღეს დილით საბჭოთა კავშირის ელჩი დოვგალევსკი გაემგზავრა მოსკოვში. მის გაცილებაში მონაწილეობა მიიღეს ბევრმა თვალსაჩინო მოღვაწეებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა, გერმანიისა და საფრანგეთის ელჩებმა და დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლებმა, საქმიან წრეების წარმომადგენლები და სხ. გამოსათხოვარ სიტყვაში დოვგალევსკიმ გამოსთქვა მადლობა კარგი მიღებისა და იმ ხელშეწყობისათვის, რომელიც აღმოუჩინეს მის დიპლომატიურ მუშაობას თანამდებობის პირებმა, საქმიანმა წრეებმა, ლიტერატორებმა, ჟურნალისტებმა და სხვ.**

„დიდი პოლონეთი"

ვარშავა, 18 ნოემბერი. მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები უკიდურეს მემარჯვენე ოპოზიციონური ჯგუფების მიმართ. ვარშავაში გაჩხრიკეს მემარჯვენე სამხედრო ორგანიზაციების ბინები. დაპატიმრებულია ვინმე ევსტახიევიჩი, რომელსაც კავშირი ჰქონდა „დიდი პოლონეთის" ბანაკთან. „დიდი პოლონეთის" ბანაკში მუშაობისათვის გალიციის ერთ-ერთ ქალაქში დააპატიმრეს ქსენძი ტეიმანი. (ადს).

მანოილესკუ რომში

რომი, 18 ნოემბერი. „მესაჯერო"-ს ცნობით, რომში ჩავიდა რუმინეთის ფინანსთა მინისტრის ყოფილი ამხანაგი მანოილესკუ, რომელსაც ბრალდებოდა შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ. მანოილესკუ ამ ცოტა ხნის წინად გაამართლა სამხედრო ტრიბუნალმა ბუქარესტში (ადს).

გრიგალი ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 18 ნოემბერი. ვაშინგტონის და მის ახლო მდებარე ქალაქებს გადაუარა გრიგალმა, რომელმაც დაანგრია რამოდენიმე ასი სახლი. ბევრია დაჭრილი. მოკლული არ არის (ადს).

ალიოხინ—კაპაბლანკა

ბუენოს-აირეს, 18 ნოემბერი. ალიოხინ-კაპაბლანკას მატჩის მე-31 პარტია გადადებულია 40 სვლის შემდეგ (ადს).

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის (ბ) მეხუთე ყრილობა

კამათი ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენების გარშემო

19 ნოემბრის დილის სხდომა

ამხ. ი. ქვანია
(ზუგდიდის მაზრა)

აქ ბევრი ლაპარაკი იყო სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შესახებ. მაგრამ ამ დიდი მნიშვნელობის ამოცანისათვის საჭიროა პირველ ყოვლისა, რომ ჩატარებულ იქნას სოციალისტური მიწადმოწყობა და ამავე დროს გვყავდეს ტეხნიკურად მომზადებული გლეხ-კაცობა. ჩვენი დღევანდელი სკოლები ასეთ ცოდნას გლეხობას არ აძლევს. ჩვენ არა გვაქვს დაბალი საფეხურის აგრონომიული სკოლები, რომლებსაც შეეძლებათ სასოფლო-სამეურნეო დარგში ტეხნიკის მიცემა.

რაც შეეხება მიწადმოწყობას, ვერც ამ მხრით მიდის საქმე წარმატებით. დასავლეთ საქართველოში არის ისეთი მაზრები, სადაც არც ერთი მიწისმზომელი არ მოიპოვება. თუ ჩვენ უცადეთ იმას, თუ როდის გვეყოლება გამოცდილი და ძველი მიწისმზომლები, მიწადმოწყობა შეიძლება 25 წლის განმავლობაში ვერ ჩავატაროთ.

ჩვენ, მადლობა „ღმერთს", მდიდარი ვართ საშუალო განათლების მქონე ხალხით. რატომ არ შეიძლება შეიქნას მოკლევადიანი სამიწადმზომლო კურსები, რომლებიც დახლოვებით ექვსი თვის განმავლობაში, მისცემენ მსმენელებს მიწადმოწყობის ჩატარების აუცილებელ ცოდნას. ამრიგად, ჩვენ შევქმნიდით მიწადმოწყობის დარგში მომუშავეთა კადრის გაძლიერებას.

აქ ამხ. კახიანი შეეხო თავად-აზნაურობის საკითხს. დასავლეთ საქართველოში, ჩვენ აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად ვერ შევძელით ამ ეკონომიურად და პოლიტიკურად რეაქციონურ ელემენტის ალაგმვა. თავად-აზნაურობა უნდა გამოირეკოს მათი მამულებიდან, ვინაიდან გლეხობის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ იმყოფება მათ ეკონომიურ და პოლიტიკურ გავლენის ქვეშ. ამის საშუალებას თავად-აზნაურობას აძლევს ჩვენი მიწის კოდექსის 82 მუხლი, სადაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ იმასაც კი, ვისაც არა აქვს უფლება მიწის ნორმაზე, შეუძლია იქონიოს სამოსახლოსათვის 1.200 კვ. საჟ. მიწა. ფაქტიურად, თავად-აზნაურობა ამ უფლებას გადაჭარბებით იყენებს და მათ მაგრად უჭირავს ხელში 1.200 კვ. საჟ. მეტი მიწები. საჭიროა ასეთ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

გარდა ამისა, არსებობს დებულება, რომ ადგილობრივ ანარიცხების 75 პროც. სამაზრო აღმასკომებმა უნდა გადასცეს გზა - ტკეცილების სამმართველოს. ეს არ არის სწორი. დაე, გზატკეცილების სამმართველომ აკეთოს გზები მის ბიუჯეტში გათვალისწინებულ თანხებით.

სამაზრო აღმასკომებმა კი მოახმარონ ადგილობრივ საჭიროებისათვის ეს ფული. ამასთან ერთად, საჭიროა შეტანილ იქნას შესწორებები თვითდაბეგვრის საკითხში. დღეს, გზების ასაშენებლად გამოდის გლეხკაცობა, მაგრამ არ გამოყავთ ექიმები, აგრონომები, მასწავლებლები, ფარშლები და სხვ. თუ მასწავლებელს ან ექიმს სოფლად ყავს ერთი ულელი ხარი, სხვა ოთხფეხი და გამართული აქვს კარგი მეურნეობა, რატომ არ უნდა იღებდეს ის მონაწილეობას საგზაო მშენებლობაში? (ხმები: მართალია!") გლეხები ამბობენ, წინად თავად-აზნაურობა არ მონაწილეობდა საგზაო აღმშენებლობაში, ეხლა გაგვიჩნდა ახალი სახის თავად-აზნაურობაო. ამგვარ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ოპოზიცია ამბობს, რომ მიწადმოწყობის ხარჯები მთლიანად სახელმწიფომ უნდა აილოს ხელში. როგორც იცით, მიწადმოწყობა კულაკების მეურნეობასაც შეეხება. მაშასადამე გამოდის, რომ სახელმწიფომ უნდა ჩაატაროს მიწადმოწყობა კულაკებისათვისაც თავის საკუთარ ხარჯზე. მე ვფიქრობ, ასეთ მოთხოვნილობაში არაფერი კომუნისტური არ არის. მიწადმოწყობის საქმე სახელმწიფოს მოვალეობაა, მაგრამ მან მხოლოდ ნაწილობრივ უნდა გაიღოს ხარჯები ამ საქმეში.

ამხ. მაჭარაშვილი
(შორაპნის მაზრა)

ჩვენ ვამბობთ, რომ სოფლად არის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, მაგრამ სამწუხაროდ ზოგჯერ იმის გამო, რომ სათანადოდ არ არის გახორციელებული ჩვენი სხვადასხვა ორგანიზაციების მნიშვნელობა, გლეხკაცობას გონია, რომ ერთი გადასახადთან ერთად არის ოთხი სხვა გადასახადი. ისინი მაგალითად თვითდაბეგვრას და სახელმწიფო დაზღვევას გადასახადად თვლიან. ზოგჯერ ისეცაა ხდება, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ვერ ტარდება შესაფერისად. იბეგრება შეძლებული და საშუალო გლეხი და იბეგრება მათთან ერთად ღარიბი გლეხიც. რომ ეს ასე არ მოხდეს, საჭიროა ობიექტების უფრო სწორი აღრიცხვა.

გარდა ამისა, უნდა შეტანილ იქნას ზოგიერთი შესწორებები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონში. ასე მაგალითად, ეხლანდელი კანონის ძალით ახლად ჩაყრილი ვენახი, სანერგეები არ იბეგრება ხუთ წლამდე. ჩვენს მაზრაში კი შევხვდებით ზოგიერთ ისეთ გლეხს, რომელიც ერთიდან ორ ათას მანეთამდე ფულს იღებს ნერგების გაყიდვით. არსებული კანონის ძალით ჩვენ შეგვაქვს საგადასახადო სიაში მსხალი, ვაშლი, ატამის ხე და სხვა ასეთი ობიექტებიც კი. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ამხ. ნინო მახარაძე

ამხ. ფილიპემ თავის მოხსენებაში ალბად დროის უქონლობის გამო სათანადო ადგილი ვერ დაუთმო კულტურულ-განმანათლებელ საქმეს სოფლად.

განათლების სახალხო კომისარიატი დიდ ყურადღებას აქცევს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას სოფლად. მიუხედავად იმისა, რომ განათლების კომისარიატს წინანდელთან შედარებით არ მიუღია არც ერთი კაპეიკი მეტი, ის მაინც აფართოვებს სასკოლო ქსელს, და ავითარებს კულტურულ - განმანათლებელ საქმეს სოფლად.

—გარდა ამისა, თვით ადგილობრივი ორგანიზაციები უკანასკნელ ხანებში უფრო მეტ ყურადღებას იჩენენ სასკოლო აღმშენებლობის საქმისადმი. სვამენ საკითხს სკოლის აგების, მასწავლებელთა მოწვევის და სხვა საკითხების შესახებ.

ასე მაგალითად, განსაკუთრებით ძნელი პირობებია სასკოლო მუშაობის გასაშლელად თურქულ რაიონებში, როგორიცაა ახალ-ქალაქის და ბორჩალოს მაზრები. აქ ჩვენ იმის გამო, რომ არ გვყავდა საჭირო პედაგოგიური ძალები, პირველ ხანებში ავიყვანეთ ბევრი უვარგისი მასწავლებლები, შემდეგ ისინი მოვხსენით. მაგრამ ახლების პოვნა არც ისე ადვილი იყო. თურქულ სკოლებში მასწავლებლებს ჩვენ ვიწვევთ აზერბეიჯანიდან, მაგრამ იქიდან არავინ მოდის არსებულ მცირე ჯამაგირებზე. თურქულ რაიონების ხელისუფლება თავის საშუალებით დაგვეხმარა ამ საკითხის მოგვარებაში. ისინი ყოველ თვიურად არსებულ ხელფასზე ზევით აძლევენ მასწავლებლებს 30—40 მანეთს. ამის მეოხებით ჩვენ შევძელით შეგვენელებია პედაგოგიურ ძალების კრიზისი თურქულ სკოლებში.

მოსახლეობის ამ საერთო აქტივობის ზრდასთან ჯერ კიდევ ადგილი აქვს ისეთ შეხედულებას სკოლაზე, თითქოს იქ საკმაო იყოს ბავშვის გაგზავნა და დანარჩენი კი ყოველივე მთლიანად სახელმწიფოს ევალებოდეს: სახელმწიფომ უნდა ასწავლოს ბავშვს, ააშენოს სკოლა, გაანათოს და გაათბოს ის, აქ საჭიროა მეტი თვითმოქმედების გამოჩენა, სკოლებს ბევრგან არ აქვთ შეშა, არა ყავთ დარაჯი. არის შემთხვევა, როდესაც სკოლის გამგეს თვით უხდება სასწავლო ოთახების დაგვა.

გარდა ამისა, თურქების სკოლების ერთ დიდ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ იქ არ დადიან ქალიშვილები. ამის გამო არაერთხელ დავსვით საკითხი იმის შესახებ, რომ თურქულ რაიონებში გაეხსნათ მოსწავლე ქალებისათვის პროფსკოლები და ხარჯები ამ სკოლებისა ადგილობრივ ორგანოებს შეეტანად თავიანთ ბიუჯეტში, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს კიდევ არ მოხერხდება.

აი მოკლედ რაც უნდა მეთქვა მე ჩემს სიტყვაში. (ტაში).

ამხ. ბახტაძე
(საქ. წყალთა მეურნ. სამმართველო)

მე მინდა პასუხი გავსცე ამხ. გოგიბერიძეს და ჩხენკელს; ამხ. გოგიბერიძემ აქ სთქვა, თითქოს ქობულეთში ჭაობები არ არის ჯერ კიდევ ამოშრობილი. მე უნდა კატეგორიულად განვაცხადო, რომ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ქობულეთის ჭაობები ამოშრობილია მთელი ასი პროცენტით და გადაცემულია აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოზე. ამის ხელწერილები ჩვენ მოგვეპოვება, მაგრამ აქ ადგილი აქვს სხვა რამეს, და ამხ გოგიბერიძე მართალი იქნებოდა მაშინ, რომ ის ამაზე შეჩერებულიყო. ეს არის ის, რომ ადგილობრივი ხელისუფლება გამშრობილ ადგილებს კვლავ აჭაობიანებს. ჩვენ არა ერთხელ მივიღეთ ზომები ამის წინააღმდეგ. მივმართეთ აჭარისტანის სახკომსაბჭოს, საოლქო პარტკომს, გადმოვიტანეთ საკითხი ცენტრშიაც, მაგრამ არაფერმა გასჭრა. წელს კი იქ, სადაც წინად ჭობებში იხრჩობოდა კაცი და კამეჩები ბრინჯის საუცხოვო ყანები ბიბინებდა და კამეჩები მშვენიერ ბალახს სძოვდა. ეს არაერთხელ დადასტურებული ფაქტია, და თუ დღეს ამხ. გოგიბერიძე გამოდის აქ და ლაპარაკობს მხოლოდ იმისათვის, რომ დაადასტუროს თავისი არსებობა ქვეყანაზე, ქობულეთის ჭაობები აქ არაფერ შუაშია.

ეხლა, წყლის მეურნეობის გმირ — კოსტა ჩხენკელის შესახებ. მან ბევრი ილაპარაკა ამ საკითხზე. მაგრამ არ უთქვამს, რომ არის დავა წყლის მეურნეობისა, სამმართველოსა და სასოფლო - სამეურნეო ბანკის შორის. ჩვენ ვცდილობთ მელიორატიულ ამხანაგობების შედგენას. უკვე არსებობს ასეთი 22 ამხანაგობა. მაგრამ მათი მუშაობა შეფერხებულია უფულობის გამო. სასოფლო - სამეურნეო ბანკი კი სათანადო რაოდენობით არ აძლევს კრედიტს ამ ამხანაგობებს. ამხ. კოსტა ჩხენკელს დღესაც აქვს ბანკში 250.000 მანეთი. რომლებზედაც ის აზის კრუხივით და არ იძლევა, რადგან სამელიორაციო ამხანაგობები არის არა მის განკარგულებაში, არამედ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში. ამხ. ჩხენკელმა ჩვენ ხელი უნდა შეგვიწყოს კრედიტების მოცემის სახით, მისი საქმე სრულიადაც არ არის ტეხნიკურ პროექტების განხილვა, როგორც ის ამას სჩადის. ამიტომ, მე ვფიქრობ, არც ამხ. გოგიბერიძე და არც ამხ. ჩხენკელი არ უნდა გამოსულიყვენ აქ სიტყვით, რომ ეთქვათ მხოლოდ სიტყვა. ეს არ არის საკითხისადმი სერიოზული მიდგომა.

ამხ. მარიამ ორახელაშვილი

უკანასკნელ წლებში ცეკამ სოფლად მუშაობის საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. ამ დარგში ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მიღწევები. მაგრამ მე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება ერთ მტკივნეულ საკითხზე ეს არის სოფლის ლატაკების შორის მუშაობა. დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთობის მოწესრიგება. აი მაგალითად აფხაზეთის მეთამბაქოეები. იქ დაქირავებულ მუშებს აქვთ საკუთარი კავშირი, რომელიც ხელშეკრულებას სდებს პლანტატორებთან მუშაობის პირობების შესახებ. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ კავშირი და მისი წევრები მთლიანი ფრონტით უტევენ დამქირავებლებს და თვალყურს ადევნებდენ ხელშეკრულების სისწორით დაცვას, ხდება წინააღმდეგი. მე ვიყავი თითონ ისეთი შემთხვევის მოწმე, როცა პლანტატორი და დაქირავებულები ერთად გამოდიოდენ და მოითხოვდენ აღმასკომისა და კავშირისაგან ფულის მიცემას. პლანტატორები ეუბნებოდენ მუშებს, აღმასკომი არ გვაძლევს ფულსო.

ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. კავშირი უნდა დადგეს თავის სიმაღლეზე, მან უნდა იცოდეს საკუთარი მოვალეობები და მოჯამაგირეებთან ერთად უნდა მოითხოვდეს პლანტატორისაგან შრომის პირობების შესახებ დადებულ ხელშეკრულების მთლიანად განხორციელებას.

მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება, რომლის საქმიანობასაც მე ეხლა ვიცნობ, ხშირად აძლევდა პერიფერიებს დირექტივას, რომ მათ გაეჩაღებიათ მუშაობა მოჯამაგირე ქალებს შორის. დამახასიათებელია ოპოზიციისათვის, თუ რას აკეთებდა ამ მხრივ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, როგორც ვიცით, ოპოზიცია ბევრს გაიძახის სოფლის ლატაკების დახმარების შესახებ, მაგრამ მათ სიტყვასა და საქმეს შორის დიდი განსხვავებაა. იმის ნაცვლად, რომ სოხუმის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგეს გაეჩაღებია მუშაობა დაქირავებულ ქალებს შორის. რისი დიდი საჭიროება უთუოდ არის აფხაზეთში, ის ოპოზიციის სასარგებლოდ მუშაობას ანდომებდა მთელ თავის დროს. და დეპეშებს უგზავნიდა პარტიის ცენტრალურ ორგანოებს იმის შესახებ. რომ ის იზიარებს ამა თუ იმ შეხედულებას. აი როგორ ანხორციელებენ ისინი თავიანთ სიტყვებს ღარიბებს შორის მუშაობის შესახებ. (ტაში).

ამხ. შოგირაძე

ერთ საჭირბოროტო საკითხს სოფლად მუშაობაში წარმოადგენს იმის გარკვევა, თუ გლეხობის რომელი ნაწილი რა სოციალურ კატეგორიას ეკუთვნის. ამ მხრივ ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი. ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებმა უნდა მისცენ ადგილებს უფრო კონკრეტიული და სრული სახელმძღვანელო მასალა იმისათვის, თუ როგორ უნდა მიუდგენ ისინი სოფლის სოციალურად დაყოფის საქმეს.

აქ ამხ. ჩხენკელი ამბობდა, რომ, თუ ღარიბ გლეხს მისცემ სესხს ას მანეთს, ჩვენი მრეწველობის ინტერესები მოითხოვს, რომ კულაკს 30 მანეთი მაინც მისცეო. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ პარტიის ძირითადი პოლიტიკა ღარიბ გლეხკაცობის შორის მუშაობის დარგში. სესხის მიცემა ღარიბ გლეხებისათვის და ამავე დროს შეძლებულისათვისაც, ეწინააღმდეგება ამ ხაზს.

გარდა ამისა, აქ ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ღარიბ გლეხთა კრებებზე უნდა მიეცეს ხმა საშუალო შეძლების აქტივის გლეხებსო. ეს არ ეთანხმება საკავშირო კომპარტიის ცეკას ხაზს ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ. ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ საშუალო გლეხი ერკვეოდეს ღარიბ გლეხთა ორგანიზაციის მნიშვნელობაში. ის უნდა დარწმუნდეს, რომ ღარიბ გლეხკაცობის ორგანიზაცია არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს. თუ ჩვენ მივეცით ხმა ღარიბ გლეხთა კრებებზე საშუალო გლეხკაცობის ერთ ნაწილს, მაშინ ამასვე მოითხოვენ სხვები და ჩვენ სრულიად დაუკარგავთ მნიშვნელობას ღარიბ გლეხთა ორგანიზაციის საქმეს.

ორიოდე სიტყვა ლატაკ გლეხკაცობის მიღების შესახებ პარტიაში. მე ვფიქრობ რომ ღარიბ გლეხკაცობის პარტიაში მიღებით ჩვენ არავითარ სოციალურ ზიანს არ მივაყენებთ პარტიას. პირიქით, რომ ჩვენ გავაძლიეროთ პარტიის გავლენა სოფლად, საჭიროა საშუალება მივსცეთ ღარიბ - ლატაკ გლეხკაცობის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენ შემოწმებული და შესწავლილი გვყავს საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობაში, გახდეს ჩვენი პარტიის წევრი.

ამხ. გეგეჭკორი

ზოგიერთი აქ გამოსული ამხანაგები ამბობენ, რომ ისინი თურმე ყველაფრის შესახებ ლაპარაკობდენ, ყოველივეს წერილობით უდგენდენ ცეკას, ცაკს და მიწათმოქმედების კომისარიატს, მაგრამ თურმე ამ ორგანოებში ისეთი ხალხი ზის, რომლებიც სავსებით არ უსმენენ მათ ხმას. ასეთი იყო ყოველ შემთხვევაში ამხ. ქვანიას გამოსვლა. მე ძალიან მსურდა, რათა თან მქონდეს ამხ. ქვანიას წიგნი, რომელიც გამოცემულია როგორც მიწის კოდექსის კომენტარიები. ეს წიგნი საყვარელი წიგნია დღეს კულაკებისათვის, რომლებიც ამხ. ქვანიას „ახსნა-განმარტებების" მიხედვით სპეკულაციას ეწევიან საქართველოს შეძლებული მოსახლეობის შესახებ.

(ქვანია: კოდექსი ხომ თალმუდი არ არის, რომ შეუძლებელი იყოს მასში ცვლილებების შეტანა) ჩვენ ვლაპარაკობთ, კოდექსის მუხლების შეცვლის შესახებ, ჯერ უნდა უსმინო და მერე ილაპარაკო.

მე ვფიქრობდი, რომ ის შემცდარი შეხედულება, რომელიც ოპოზ. კონტრ-თეზისებშია გატარებული, უარყოფილი და გაკრიტიკებული იქნებოდა ჩვენი სინამდვილის თვალსაზრისით. რა მოუვიდა ამხ. ქვანიას? მან, პირიქით, დაადასტურა, რომ ჩვენში გლეხობის ასეთი დანაწილება სწარმოებს, რომ ჩვენში არა მარტო კულაკობა იზრდება, არამედ თავად-აზნაურობა ძველებურად არის მოკალათებული, რომ მათთვის ხელი არავის უხლია და საჭიროა ახალი აგრარული რევოლიუციის მოხდენაო. (ხმა ადგილიდან—ასე სთქვა ამხ. კახიანმა.)

მე სრულებითაც არ ვფიქრობ აქ გავილაშქრო მხოლოდ ერთი ამხანაგის წინააღმდეგ. მე მზადავარ ვეკამათო ამხ. კახიანსაც, თუ კი მან განაცხადა, რომ საქართველოში საჭიროა პერმანენტული აგრარული რევოლიუციის წარმოება. მაგრამ ამხანაგებო, ეჭვიც არ შემდის ამაში. რომ ამხ. კახიანმა განაცხადა—თავად-აზნაურობა უნდა გავაძევოთ იმ ადგილებიდან, სადაც მათ ჩვენი ხელები კიდევ არ შეხებიათ, სადაც მათ კიდევ აქვთ ეკონომიური გავლენა. თუ ასე სდგას საკითხი, მაშინ მე სრულებით ვეთანხმები ამხ. კახიანსა და ქვანიას; მაგრამ მე ვფიქრობ, ჩვენ უნდა ჩაუფიქრდეთ და ავწონდავწონოთ, თუ რომელ თავად-აზნაურობაზე გვაქვს ლაპარაკი. როდესაც ჩვენ აღმოსავლეთ საქართველოში და დასავლეთ საქართველოს ნაწილში თავად-აზნაურობას ადგილ-მამულს ვართმევდით, ამას ვსჩადიოდით არა მათი გვარების, არამედ ქონების მიხედვით. თუ, მაგალითად, ზუგდიდის მაზრაში, სადაც ამხ. ქვანია თითქმის ოთხი წელიწადია მუშაობს, კიდევ მოიპოვებიან აზნაურ-მემამულეები, ჩვენ ხომ გვაქვს საერთო საკავშირო კანონი, სადაც ნათქვამია: „დაუყოვნებლივ გამოძევებულ იქნენ მემამულენი მათი საცხოვრებელი ადგილებიდან".

თუ საკითხი ეხება თუ გინდ ზუგდიდის მაზრის იმ აზნაურებს, რომელნიც ქცევა ნახევარ მიწის „მემამულეები" არიან, კავშირი მიწასთან არ გაუწყვეტიათ და გლეხობასთან ერთად მუშაობენ,—მათი გამოძევება ყოვლად შეუძლებელია და დაუშვებელი.

ახლა მეორე საკითხი. მოდი დავაკვირდეთ, თუ რანაირი აგრარული რევოლიუცია გავატარეთ.

გამოსადეგი და უვარგისი, სარწყავი და ურწყავი მიწების ფონდი საქართველოში 6.389.000 ჰექტარს შეადგენს; აქედან რევოლიუციამდე გლეხობას ეკუთვნოდა სულ 6 პროც., დანარჩენი კი ხაზინას, თავადაზნაურობას, ეკლესიას და საუფლისწულო უწყებას.

ჩვენი პარტიის პოლიტიკამ სოფელს შემდეგი მისცა: მხოლოდ ტყე და საძოვრები გადავიდა სახელმწიფოს ხელში, დანარჩენი კი გლეხობის განკარგულებაში. იმ ყოფილ თავადებსა და აზნაურებს, რომელთაც მიწასთან კავშირი არ გაუწყვეტიათ და ახლაც მიწის მუშაკნი არიან, შერჩათ 54, ხოლო გლეხობას გაუხდა 2.015.000 გამოსადეგი მიწა. რომ არ ვიანგარიშოთ თალალები, საძოვრები, ბუჩქნარები და სხ.

ჩვენი მისია, აგრარული რევოლიუციის მხრით შესრულებულია და მე ვფიქრობ, სახელოდაც არის შესრულებული.

სამიწადმოწყობო მუშაობა ყველაზე უკეთ გორის მაზრაში სწარმოებს, გორის მაზრაში ოთხი აგრონომი და ოთხი სპეციალისტი ინსტრუქტორია (ხმა: ვის ხარჯზე?) მაზრის ბიუჯეტის ხარჯზე, როდესაც მიწათმოწყობის ზოგიერთი ხარჯი მაზრებზე გადაიტანეს—ამათ მუშაობაში იჩინა თავი მინუსებმა. წაგიკითხავთ სათანადო ციფრებს. 1926 წელს გორის მაზრაში 9 მიწისმზომელი მუშაობდა, ამათ 8 სოფელში მთლიანად ჩაატარეს მუშაობა და 6 სოფელში ნაწილობრივად. მთლიანად მოწყობილი იყო—2.720 კომლი. 1927 წელს, ამავე მაზრის განკარგულებაში იყო 14 მიწის მზომელი. მუშაობა ჩატარდა მთლიანად 9 სოფელში და-5-ში ნაწილობრივ. მოეწყო 1687 კომლი. რა გამოვიდა აქედან? გამოვიდა მინუსი 1.100 კომლით. რატომ? იმიტომ, რომ იქ მუშაობდა 4 მიწისმზომელი, გარდა იმისა, რომელიც მუშაობდა გორის რაიონში, თუმცა დანარჩენი ათიც მუშაობდა, მაგრამ დასაქირავებელი და ხელსაწყოების გადასახდელი ხარჯები დაეკისრა თემის აღმასკომს. მუშების, ცხენების და გადასახედ საშუალებათა დაგვიანებამ გამოიწვია მუშაობის სისუსტე 1926—27 წ. შედარებით; როდესაც მუშაობდა მიწისმზომელთა იგივე რიცხვი (10), ამხ. ქვანია კი ამბობს, რომ ამ მუშაობის ნაწილი შეიძლება დავაკისროთ ადგილობრივ კულაკობას (ქვანია: მე ვამბობ—ნაწილი). ამხ. ქვანია პრინციპიალურად შეიძლება მართალიც იყოს, მაგრამ პრაქტიკულად ეს არ ხდება და აი რატომ? ვინ არის დაინტერესებული მიწის მოწყობაში? ვინ არის დაინტერესებული იმით, რომ აღმოაჩინოს მიწის ზედმეტი ნორმები? ცხადია, რომ ამით დაინტერესებული არიან სახელმწიფო და გლეხთა ულარიბესი ფენები. კულაკობას და შეძლებულ გლეხობას ეს სრულიად არ აინტერესებს და, როდესაც ჩვენ მათ ვაკისრებთ ამ ხარჯებს, ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ მუშაობის შესაფერხებლად. მე საჭიროდ მიმაჩნია, რომ მიწადმოწყობა სწარმოებდეს მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე, კულაკებს კი გადავახდევინოთ სხვა გზით და ეს თანხა გადავცეთ სახელმწიფო აპარატს სოფელში სამუშაოდ. ეს უმჯობესი იქნება.

ეხლა რამდენიმე სიტყვა ტეხნიკურ კულტურაზე. ამხანაგებო, თქვენ კარგად იცით, რომ ის ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც ჩვენ ავაგეთ 1921—22—23—24 წ.წ.; დღეს არ მუშაობენ და მხოლოდ იმიტომ არ მუშაობან, რომ მას არ გააჩნია შინასახელმწიფოებრივი მასშტაბით ნედლეული მასალის ბაზა. თუ მხოლოდ ფაბრიკებს ავაშენებთ და იმავე დროს მათ არ შეუგუებთ ჩვენი სოფლის მეურნეობას, ჩვენ ამით შორს ვერ წავალთ.

ამიტომ ჩვენ პირველ რიგში ვაყენებთ ტეხნიკურ კულტურებს, რომლებიც მოგვცემს ნედლ მასალას ჩვენი ფაბრიკა-ქარხნებისათვის და იმავე დროს გააძლიერებს გლეხის ბიუჯეტს.

აქ, ამხანაგები იტყვიან, რომ ჩვენ ყველგან არ ვიქცევით ამრიგათ. ჩვენ ვაწარმოებთ საქართველოს დარაიონებას, შეიძლება ცუდათ ვატარებთ ამ დარაიონებას, რადგან არა გვაქვს დრო, საშუალებანი. მაგრამ ყოველშემთხვევაში ვცდილობთ დარაიონების ჩატარებას და რანაირადაც შესაძლებელია სიმძიმის ცენტრი იმ რაიონებში გადავგაქვს, სადაც პირველ რიგში შესაძლებელია ტეხნიკური კულტურის მიღება. ასეთია ჩაი, ბამბა, კანაფი, ყურძენი, მებაღეობა და სხვ. კურიაში ჩაი შემოგვაქვს შავი ზღვის სანაპიროებიდან. შავი ზღვის სანაპიროებზე, აჭარისტანში, სამეგრელოსა და სამურზაყანოში შესაძლებელია მივიღოთ ჩაი, ბამბა, რომელიც ჩვენ მოგვცემს სათანადო ფაბრიკატებს, თუთუნი და სხვა ჩვენი სასოფლო-სამეურნეო და ძვირფასი კულტურები—ყოველივე ეს მოითხოვს ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას.

გორის მაზრაში ტეხნიკურ კულტურებს დიდი ყურადღება ექცევა. იმისათვის, რომ გლეხობაში წავაქეზოთ ჭარხალის დათესვა, ჩვენ კომში ვაშენებთ სარექტიფიკაციო ქარხანას, რომ ამ ჭარხლიდან გამოხადონ სპირტი, სანამ შაქრის დასამზადებელ ქარხნებს ავაგებთ.

ეხლა მეხილეობის შესახებ. ჩვენს განკარგულებაში ციფრებია, რომლებიც გვიმტკიცებენ, რომ ხილით ყველაზე უფრო მდიდარია ჩვენში გორის მაზრა. 1913 წ. ამ მაზრაში ბაღებს ეკავა 4.800 დეს. მიწა; მენშევიკების დროს ეს ციფრი შემცირდა, მაგრამ ეხლა 1927 წ.—გორის მაზრაში, ბაღებს უკავია 10.600 დეს. მიწა. ეს გვიჩვენებს იმას, თუ როგორ ვითარდება ჩვენში მეხილეობა არა მარტო გორის, არამედ სხვა მაზრებშიც. ჩვენ ვაშენებთ სათანადო ფაბრიკებს და ქარხნებს, სადაც ჩვენი ნედლეული მასალა უნდა გადამუშავდეს.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ჩვენს სინამდვილეში მესაქონლეობას. ის სადაო საკითხი, რომელიც აქ წამოაყენა ამხ. ქურდაძემ და სხვა ამხანაგებმაც,—საძოვრების საკითხი მეტად მჭიდროთ არის დაკავშირებული მესაქონლეობასთან. ჩვენ ვიცით, რომ ამ დარგში გადავაჭარბეთ ომის წინა დროის დონეს 19, 3პროცენტით. ჩვენ ისე დავაყენეთ საკითხი, რომ ყველა საძოვრები უნდა დარჩენილიყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში, მაგრამ მაშინ სამრეწველო მესაქონლეობის ერთი ნაჭერი მიწაც არსად დარჩებოდა. ასეთ შემთხვევაში გლეხების შორის უნდა განვავითაროთ სამრეწველო მესაქონლეობა. რაკი შეუძლებელია ოთხფეხი საქონლის რიცხობრივი ზრდა, უნდა შევეცადოთ მისი ღირსების გაუმჯობესებას. ამ მიზნისათვის სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს და უკვე ჩავატარეთ მესაქონლეობის გამოკვლევა. გამოირკვა ჩვენი მესაქონლეობის ჯიში. მისი ნათესაობა ევროპის მესაქონლეობასთან. ეხლა ჩვენ ვაწარმოებთ საუკეთესო ჯიშის ოთხფეხ საქონლის შესყიდვას. უმთავრეს ყურადღებას ვაქცევთ მეცხვარეობის განვითარებას და გაუმჯობესებას, რათა უკეთესი ღირსების მატყლი და ხორცი მოგვცეს ცხვარის ფარამ.

სწორედ გუშინწინ გორის მაზრაში კომისიამ მოათავა მუშაობა და გადასწყვიტა გორის მაზრას გადასცეს 19.000 დესეტინა, ხოლო დანარჩენი 9.000 დასტოვოს სახელმწიფოს განკარგულებაში მომთაბარე მესაქონლეობის საჭიროებისათვის. ცხადია, ამხ. ქურდაძემ ეს ჯერ არ იცის.

ახლა, მე შევჩერდები ამხ. ქურდაძის პრეტენზიებზე. ის ამბობს: მაზრის ფარგლებში ხალხის სახალ - გადმოსახლების საქმე სამაზრო აღმასკომს უნდა ჩაბარდესო. ერთი ბრძანეთ, ქურდაძევ, რომ გორის მაზრაში ზედმეტი მიწა აღმოაჩინდეს, განა შეუშვებს ვისმე? რასაკვირველია, არა. ამიტომ ცენტრალურ კომიტეტს და ჩვენს პარტიას გადასახლების, თუნდაც მაზრის ფარგლებში გადასახლების საქმის გადაცემა სამაზრო აღმასკომებისადმი,—არ შეუძლია. ეს დიდი შეცდომა იქნებოდა. სიღნაღის მაზრაში ზედმეტი მიწა მოიპოვება, მაგრამ აბა, ერთი ჰკითხეთ ამხ. ვარამაშვილს (ის საუკეთესო, გამოცდილი ამხანაგია) ამ მიწის შესახებ, იგი გიპასუხებთ: „ეს მიწები თვით სიღნაღის მაზრას ესაჭიროებაო". იგივე ითქმის ახალციხის, ბორჩალოს და სხვა მაზრებზე. ჩვენ, რომ საკითხი ისე დავაყენოთ, როგორც მას ქურდაძე აყენებს, ამით საერთო სახელმწიფოებრივ საქმეს ვაზარალებთ (ხმები: „მართალია!").

გადავდივართ მიწათ - მოწყობის საკითხზე. მე უნდა მოგახსენოთ, რომ მიწად - მოწყობის საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც ამას აქ ამხ. ქვანია გვიხატავდათ. ის ამბობდა, რომ ამ მხრით ჩვენ ჩამორჩენილები ვართო. საიდან მოიგონა ეს ამხ. ქვანიამ? თუ ჩვენ ავიღებთ ჩვენი მიწის საერთო სივრცეს და გამოვიკვლევთ საძოვრებსა და სატყეო მეურნეობას, მაშინ თქვენთვის ნათელი გახდება, რომ ჩვენ ჩვენი მუშაობა უკვე შევასრულეთ 19 პროც. ცხადია, სასურველია უფრო სწრაფი ტემპი. კარგი იქნებოდა, რომ ერთ წელში დაგვესრულებინა ეს მუშაობა, ეს მოგვცემდა ჩვენ სოფლის გარდაქმნის საშუალებას, მაშინ ჩვენ სოფელს დავაყენებდით ახალ დონეზე, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ ამის შესაძლებლობა ეხლა არ არსებობს. ამხ. ქვანიას მოსაზრება მიწის მზომელთა და ტეხნიკოსთა მოკლე ვადიანი კურსების შესახებ სწორი არ არის.

ამ ხაზით განათლების კომისარიატი ყოველ ზომებს ხმარობს, რომ რაც შეიძლება მალე მოამზადოს საჭირო მუშაკები. მაგრამ ჩვენ დავრწმუნდით, რომ ასეთი აჩქარებული ტემპით მუშაკების მომზადების საქმე არ ვარგა. ამას გაცილებით სჯობს მუშაობის ნორმალური ტემპი.

ამგვარათ, ამხანაგებო, მე ვათავებ სიტყვას და ვამბობ, რომ აქ გამოსულ ზოგიერთ ამხანაგის შეხედულებანი აშკარად შემცდარია. მაგალითად, გუშინ ქურდაძე ამბობდა, რომ საძოვრები იჯარით კულაკებსა და შეძლებულ გლეხებს ეძლევაო, მე ვამბობ, რომ საძოვრები იჯარით ეძლევა არა კულაკებს, არა შეძლებულ გლეხებს, არამედ პირდაპირ მდიდრებს, ვინაიდან ჯოგისა და ფარის პატრონნი მესაქონლეები ჩვენს სინამდვილეში მდიდრებს წარმოადგენენ.

როგორ გვიბრძანებს ამხ. ქურდაძე ან და როგორ უბრძანებს ყრილობა მიწადმოქმედების კომისარიატს — ჩვენ მზად ვართ კვლავინდებურად შევასრულოთ თქვენი განკარგულება და არ მივსცეთ საიჯაროთ საძოვრები ამ მდიდრებს, მაგრამ ერთი მითხარით, რა უნდა უყოთ მაშინ ამ მესაქონლეებს, რომელთაც 5.000 სული ცხვარი ყავთ? იქნებ თქვენ, ამხ. ქურდაძე გვიბრძანებთ ეს ცხვრის ფარა სახაკლაოში მოვრეკოთ და დავკლათ, მაგრამ სახელმწიფო ამ გზით ვერ ივლის (ქურდაძე—მაგას არავინ ამბობს) და თუ არავინ ამბობს, მაშ საძოვრები ამ მდიდრებს უნდა მიეცესთ იჯარით და ეს გარემოება მინუსად არ უნდა ჩაეთვალოს ც. კ.-ს და მიწადმოქმედების კომისარიატს.

ჩვენში უდიდეს ბოროტებას აქვს ადგილი. მიწის ყიდვა - გაყიდვას ამხ. ჭელიძე იმით ხსნის, რომ მიწები ჯერ მთლად არაა მოწყობილიო. ამხ. ქვანიას ამის მიზეზათ ის მიაჩნია, რომ მუშებს, აგრონომებსა და მასწავლებლებს აქვთ ნახევარი ნორმა, რომლითაც არ სარგებლობენ და ამიტომ ყიდიანო. ასე ლაპარაკი არ შეიძლება. მიწების ყიდვა - გაყიდვა ხდება არა იმიტომ, რომ არ არის დამთავრებული მიწად - მოწყობის საქმე. მიწად მოუწყობლობა სხვამხრივ არის ხელის შემშლელი, მაგალითად რაჭის მაზრაში 2 დესეტინა მიწაზე 60 სხვადასხვა ნაკვეთი იმყოფება. ცხადია აქ აგრონომიულ ღონისძიებათა მიღება შეუძლებელია. სიღნაღის მაზრაში, მაგალითად, გლეხმა 50 დესეტინი უნდა გაიაროს, რომ თავის ნაკვეთთან მივიდეს. ყიდვა - გაყიდვა სწარმოებს იმიტომ, რომ ადგილები არ ასრულებენ იმ ინსტრუქციებსა და ცირკულიარებს, რომლებიც თავის დროს გაეგზავნათ მათ ცაკისა და მისი სამუშაო ორგანოს, მიწადმოქმედების კომისარიატის მიერ. ჩვენ რომ სასტიკად ვადევნებდეთ თვალყურს ყიდვა - გაყიდვას, რომ ვსჯიდეთ დამნაშავეებს, როგორც ამას გვავალებს ცაკის მოწერილობა, რომ ვაიძულებდეთ სასამართლო ორგანოებს მკაცრად მოეპყრონ ასეთ შემთხვევებს, მაშინ შევსძლებდით ამ ბოროტების აღმოფხვრას, თუ მთელი 100 პროც-ით არა, 90 პროც-ით მაინც.

ჩვენ კი ვიცით, რომ ამ ინსტრუქციების და ცირკულიარების შეუსრულებლობას ადგილი აქვს. მე ხელთ მაქვს შორაპნის სამაზრო კომიტეტის დადგენილება იმ მოხსენების მიხედვით, რომელიც წაკითხულ იქნა სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. იქ ნათქვამია, რომ მიწერილობა დაეგზავნოს თემღასკომებს, რათა ფხიზლად ადევნონ თვალყური მიწის ყიდვა - გაყიდვას ყოველგვარ შემთხვევას და ყოველ შემთხვეულ შემთხვევის შესახებ მოხსენება გამოგზავნონ, აგრეთვე თავის დროზე გასცენ პასუხი შეკითხვებზე მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთ ფაქტებს ცენტრს სრულებით არ ატყობინებენ. ჩვენ კი ევანგელივის ქუჩიდან (მიწადმოქმ. სახ. კომისარიატია მოთავსებული) არ შეგვიძლიან თვალყური ვადევნოთ, იყიდება თუ არა მიწა სვირში, წყეში ან ცაგერის მახლობლად. ეს თქვენი საქმეა. არ შეიძლება ვილაპარაკოთ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ ხაზის გამრუდების შესახებ იქ, სადაც თქვენ უნდა გვშველოდეთ, რომ სწორი ხაზი გავატაროთ.

ამიტომ მე ვამბობ. მიღწევები არის, ამ მიმართულებით აღებული შემდგომი ხაზი სწორია, მაგრამ საჭიროა არა კრიტიკა კრიტიკისათვის, არამედ ის, რომ ყრილობამ გაიგოს ის ნამდვილი ხიძილენი, რომლებიც სოფლად არსებობს (ტაში).

ყრილობა ადგენს შესწყვიტოს კამათი. საპასუხო სიტყვა ეძლევა ამხ. ფილიპე მახარაძეს, რომელსაც ყრილობა ხანგრძლივი ოვაციებით ეგებება. ფ. მახარაძის საპასუხო სიტყვა იხილეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში.

ცეკას ახალი შემადგენლობა

წევრები

ასრიბეკოვი ე., ავაქოვი, ბოლქვაძე ვ., ბერია ლ., ვაშაკიძე, ვასილიევი, გეგეჭკორი ა., ღოღობერიძე ლ., გოგია, გობეჩია, ბაგიროვი, ჟულელი, ჯაფარიძე ვ., ულენტი ვ., ყუჟიკაშვილი, ივანოვ-კავკასიელი, ქართველიშვილი, კახიანი, ყურულოვი, კვანტალიანი, კაკაბაძე კირილე, ლევანდოვსკი, მახარაძე, მგალობლიშვილი გ., მაშკევიჩი, მაჩაიძე, ნაზარეტიანი, ორახელაშვილი მამია, ორახელაშვილი მარიამ, ფირალოვი, პეცოვი, რუბენი, საბაშვილი, სვანიძე, სუხიშვილი ლ., თოდრია ს., ცხაკაია მ., ელიავა, ქურდაძე, გიორგაძე ს., კალმახელიძე, გურგენიძე, მამულია ს., წულუკიძე, ჯატიევი ა., შაბანოვი, ლაკობა, ვარამაშვილი, ლომთათიძე, ურუშაძე, უგრეხელიძე, აღნიაშვილი, ნემერზელი, დევდარიანი გ., ვეფხვაძე, საყვარელიძე პ., ფანცხავა ა., ჟინჭარაძე, კუნჭულია, ფანცულაია, ლელაშვილი გ., მონტინი, ვარლამოვი დ., ქავთარაძე გ., რთველაძე გ., ჩხეიძე გ., მზარეულიშვილი, ენუქიძე ა., როსტიაშვილი, ბურჯანაძე დ., ტერ-ვართანოვი ა., კოხოიანი ა., ხოდკოვი ა., პაპახიანი, მორჩილაძე ლ., მალანია, მკრტიჩიანი ნ., მაღაძე პ.

კანდიდატები

ანთიძე, ბოჭორიშვილი ს., ჯავახიძე, ბახტაძე, ქვანია, კანდელაკი დ., ქავთარაძე ა., კვირიკაძე ა., კალატოზოვი ნ., მართალიშვილი, ი., ნაფეტვარიძე, საკიანი, სულავა, ხვედელიძე ს., ჩხენკელი კ., ოლინი ა., ნაზაროვი ა., ვაინეროს, ოკუჯავა, გალუსტოვი, აბაევი, გაბუნია, მითაიშვილი, არუთინოვი, სიამაშვილი, ბაქრაძე, გაპალოვი, ცენაძე, ზარამიძე, ხაცკევიჩი, ფირალოვი გ., ფურცხვანიძე, ჯღუჯელავა ი., დევდარიანი, თხილავა, გრიგორიანი ა., კუდრიავცევი, ბაიანდუროვი, დათუნოვი, ლვამიჩავა.

ცენტრ. საკონტროლო კომისია

წევრები

ავეტისოვი, აფციაური, არუთინოვი. ვარძიელი, გოგიბერიძე ვ., ჯაფარიძე ა. დოლიძე ა., იტრიევი, კვარაცხელია, კირვალიძე, კეკელია, კიკნაძე ნ. („კომ". რედ.), კუხალეიშვილი, კუჭაიძე, ლიციანი, ლეჟავა შ., ლომიძე ს., მარიამიძე, მარკაროვი, მასხულია, მეგრელიშვილი, მირზაბეკიანი, ნიკიტინი, სტანსკი, სტეფანოვი, სტურუა ვ., სტურუა გ., ხუმარიანი, ლაგოზიძე, ბეკუზაროვი, ბორისენკო, ზანტარია, ახობაძე, შავლაძე. გობეჯიშვილი, ნოდია, მგალობლიშვილი ფ., ცაბაძე ა., ბუხრიკიძე ტ., კაკაბაძე, ნამჩევაძე, გაფრინდაშვილი, შარიკაძე, შუშანია, სანიკიძე, ჩირგულაშვილი, რასულრაძე, ავთანდილოვი, ბახტაძე, კილაძე დ., ტიგიშვილი, ზიმინი, სკომაროვსკი, ალავიძე ა., მაკაროვი ნ., მგელაშვილი ი., კოჩატკოვი, ი. ბაქრაძე ს., ქართველიშვილი მ., თაქთაქიშვილი მ., გარიშვილი ს., სუხიშვილი თ., რუხაძე ვ., ბაიანდურაშვილი, გეურქოვი არტ., სირაძე, მუზაფაროვი, რომზან ალოისი, ნასარიძე დ., ოსიპოვი, შახნაზაროვი, ალი-ტაგი-ზადე, ენუქიძე ლ., ფერიაშვილი ნ., გრიგოლიანი არშაკ, შაუმოვი რუბენ, ჩოდრიშვილი გიორგი, ლუჩანსკაია როზა, ეგოიანი, პამენოვი, ბრეგვაძე პავლე, ესაიანი ანაიდა, ბერბერაშვილი ვ., კარპი მ., ნიჟრაძე და პისკუნოვი.

კანდიდატები

ლორთქიფანიძე ტიტე, მირიმანოვი, მგალობლიშვილი გრიგოლი, ჯიბუტი ნატალია, ცაავა კოწია, ზასეევი, ფარცვანია ა., რუხაძე ა., კოხრეიძე, ელიაშვილი ნ., პაპოვი ალექსანდრე, ფოფხაძე ს., არუთინოვა, ეგოროვი, უნვიაძე, მირზაჯანაშვილი, არეშიძე ვ., კონჩაკი, მისკაროვი ე., გეგეშიძე ფეოდოსია, მღებრიშვილი, ლიტკოვი, ხუბულური, თაქთაქიშვილი.

სარევიზიო კომისია

წევრები

ფესიუკი, ატოევი, ჭელიძე ილიკო, რამიშვილი გიორგი, ერისთავი.

კანდიდატები

ჩოჩიევი, კუკულდავა.

19 ნოემბრის საღამოს სხდომა

ყრილობის დახურვა

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია. დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: სამანდატო კომისიის მოხსენება და არჩევნები.

უპარტიო მუშა-ქალთა დელეგაცია

მაგრამ სანამ ყრილობა დღის წესრიგის განხილვაზე გადავიდოდა, თავმჯდომარის ამხ. მიხა ცხაკაიას წინადადებით, სიტყვა ეძლევა თბილისის უპარტიო მუშა - ქალთა დელეგაციას, რომელიც მოვიდა ყრილობის მისასალმებლად და დროშის გადასაცემად. სცენაზე გამოდის ლურჯხალათიანი და წითელ თავსაფრიანი მუშა - ქალები. ყრილობა ფეხზე ადგა მათ ხანგრძლივ ოვაციებს უმართავს ქალთა დელეგაციას. დელეგაციის სახელით მისალმებას ამბობენ ამხანაგები **დულუზოვა** და **მჭედლიშვილი**.

სამანდატო კომისიის მოხსენება

ამხანაგებო, სამანდატო კომისია თავის მუშაობის დროს ხელმძღვანელობდა არა მარტო იმ დოკუმენტებით, რომლებიც აქ წარმოადგინეს დელეგატებმა, არამედ იმ ცნობებითაც, რომელნიც ცენტრალურ კომიტეტს მოეპოვება პარტიის შემადგენლობის შესახებ.

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობით საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში ირიცხება: 20.943 წევრი და 11.769 კანდიდატი. ყრილობაზე არის სულ 443 დელეგატი. აქედან გადამწყვეტი ხმის უფლებით — 280 კაცი და სათათბირო ხმით 163 კაცი. დელეგატ ქალების რიცხვი უდრის 15. სოციალური მდგომარეობით მუშა არის 126 კაცი, ესე იგი — 45 პროცენტი; გლეხი 10 კაცი ანუ 3,63პროცენტი; მოსამსახურე 144 კაცი ანუ 51,4 პროცენტი.

ეროვნული შემადგენლობის მხრივ გვაქვს შემდეგი სურათი: ქართველები 185 კაცი, ესე იგი 65.6 პროცენტი; სომხები 36 კაცი 12,9 პროცენტი; რუსები 31 კაცი 11,1 პროცენტი; თათრები 5 კაცი 1,8 პროცენტი; ოსები 7 კაცი—2,5 პროცენტი, აფხაზები 4 კაცი და დანარჩენები 12 კაცი.

პარტიული სტაჟის მიხედვით შემდეგი სურათი გვაქვს: 1917 წლამდე პარტიაში შემოსულთა რიცხვი უდრის 72 კაცს, ესე იგი 25,7 პროცენტს; 1917 წლიდან 1918 წლამდე 91 კაცი; 1919 წლიდან 1920 წლამდე 51 კაცი; 1921 წლიდან 1923 წლამდე 31 კაცი; 1924 წლიდან 1926 წლამდე 29 კაცი. კომკავშირელ დელეგატთა რიცხვი უდრის 20 კაცს.

გარდა ამისა მიმდინარე მეხუთე ყრილობაზე ესწრება მეოთხე ყრილობის მონაწილე 144 დელეგატი. სხვა პარტიიდან გამოსულ დელეგატების რიცხვი უდრის 20 კაცს, მეოთხე ყრილობაზე კი იყო 38 კაცი.

დასასრულ უნდა განვაცხადო, რომ სამანდატო კომისიაში არავითარი საჩივარი არ შემოსულა არჩევნების დროს მომხდარ რამე გაუგებრობის შესახებ. აი ყოველივე ის, რაც მინდოდა მომეხსენებინა სამანდატო კომისიის სახელით ყრილობისათვის (ტაში). ყრილობა ერთხმად ადგენს, დამტკიცებულ იქნას სამანდატო კომისიის მოხსენება.

ამის შემდეგ ყრილობა გადადის ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური საკონტროლო ორგანიზაციების ყრილობის დელეგატების და საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის დელეგატების არჩევნებზე. სიებს აქვეყნებს ამხ. **ლადო სუხიშვილი**. როგორც ორატორი აღნიშნავს, სიები შედგენილი არის ყრილობის ყველა დელეგატების წარმომადგენელთა თათბირზე. ყრილობა ერთხმად ამტკიცებს ამხ. ლადო სუხიშვილის მიერ წარმოდგენილ ყველა სიებს.

საერთაშორისო მიმოხილვა

(კვირიდან—კვირამდე)

საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესი.—ესტონეთის მთავრობის ანტისაბჭოთა პოლიტიკა.—საფრანგეთ-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულება.—გერმანია-ავსტრიის ურთიერთობა.—ინგლისის ულტიმატუმი სპარსეთისადმი

10—14 ნოემბერს მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესი. ეს იყო მსოფლიოს მშრომელთა ნამდვილი ყრილობა. მასში მონაწილეობდა 947 დელეგატი 43 ქვეყნიდან

ჩვენი მტრები ალბად არ დააყოვნებენ ცდას, რომ სახელი გაუტეხონ ამ კონგრესს და ის „მოსკოვის მორიგ ინსცენიროვკად" გამოაცხადონ. მაგრამ ეს ცდა ამაო იქნება. როგორც სოციალ-შეთანხმებლები ვერ შესძლებენ იმის დამტკიცებას, რომ „მოსკოვის მოწყობილი იყო" საერთაშორისო პროლეტარიატის იშვიათი სოლიდარობა საბჭოთა კავშირისადმი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე, ისე ისინი ვერ მოახერხებენ მოსკოვის კონგრესის მნიშვნელობის გაბათილებას, კონგრესის, რომელიც ამ სოლიდარობის გამოხატულებას და დაგვირგვინებას წარმოადგენდა.

ოქტომბრის ზეიმობაზე ჩამოსულ უცხოელ პროლეტარებმა მოიწადინეს უფრო გარკვევით და ორგანიზაციულად ჩამოეყალიბებიათ თავისი დამოკიდებულება შრომის რესპუბლიკისადმი. აქედან წარმოიშვა კონგრესის იდეა, რომლის ინიციატორებად ისევ საზღვარგარეთელი მუშები გამოვიდენ (პირველ ყოვლისა, ინგლისის დელეგაცია). აღსანიშნავია ინგლისელ ამხანაგების ეს თაოსნობა. სწორედ ინგლისის იმპერიალიზმი, რომელსაც მაკდონალდები და ტომასები უმაგრებენ ზურგს, მეთაურობს ანტისაბჭოთა კამპანიას, ხოლო ამავე დროს იმავე ინგლისის მუშები მზადარიან დაიცვან საბჭოთა კავშირი თავისი ქვეყნის ყაჩაღებისა და მათი დამხმარე სოციალ-გამცემლების თავდასხმისაგან. საგულისხმოა აგრეთვე კონგრესის შემადგენლობა. კომუნისტები მხოლოდ მის ნაწილს შეადგენდენ. უმრავლესობა კი იყვნენ უპარტიო და სოციალ-დემოკრატი მუშები, აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა, გლეხების, კულტურის და სხვადასხვა სამეურნეო - საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს მოწმობს, თუ როგორ იზრდება სიმპატია საბჭოთა კავშირისადმი ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელთა ფართო ფენებში, ეს გვიჩვენებს სოციალ-დემოკრატიის გავლენის შესუსტებას მასებზე და პროლეტარიატის დიქტატურის იდეოლოგიურ გამარჯვებას.

კონგრესზე მოხსენებით საბჭოთა კავშირის მიღწევებისა და მისი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გამოვიდა საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, ამხ. რიკოვი. ამით ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავის მუშაობისათვის პასუხისმგებელია არა მარტო ჩვენი კავშირის მშრომელთა წინაშე, არამედ საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშეც, რომ ის ვალდებულად სთვლის ანგარიში ჩააბაროს არა მარტო თავის უშუალო ამომრჩევ მასებს, არამედ მსოფლიო მუშათა კლასსაც. ეს გასაგებია: ჩვენ ხომ საერთაშორისო პროლეტარიატის საქმეს ვაკეთებთ, საქმეს, რომელში ის სასიცოცხლოდაა დაინტერესებული.

კონგრესზე არსებული სულიერი განწყობილება და მის მიერ გამოშვებული მოწოდება აშკარად ხდის, რომ მსოფლიოს მშრომელთ შეგნებული აქვთ საბჭოთა კავშირის ბუნება და თავისი მოვალეობა პროლეტარიატის დიქტატურისადმი. „იბრძოლეთ, დაიცავით საბჭოთა კავშირი,— მშრომელთა სამშობლო, მშვიდობიანობის ბურჯი, განთავისუფლების კერა და სოციალიზმის ციხე-სიმაგრე— ყველა საშუალებებით და „ზომებით",—ასე ათავებს კონგრესი თავის მოწოდებას „ყველა მშრომელებისა, მშვიდობიანობის მომხრეებისა და კულტურის დამცველებისადმი".

დიახ, საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ყველა მშრომელთა სამშობლოა. ამ სამშობლოს წინააღმდეგ იმპერიალისტები ომისათვის ემზადებიან. კონგრესმა სწორი პროლეტარულ - კლასობრივი თვალსაზრისით შეაფასა ეხლანდელი რთული საერთაშორისო მდგომარეობა და აქედან შესაფერი დასკვნაც გამოიტანა: „სასტიკი ბრძოლა საბჭოთა კავშირთან ომის მომზადების წინააღმდეგ, როგორც ყოველგვარი იერიშის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირზე, საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ეს იერიში, ვინც არ უნდა უჭერდეს მას მხარს, და რა იდეოლოგიური ლოზუნგებით არ იქნეს ის გამართლებული" (კონგრესის მოწოდებიდან).

ასეთია მსოფლიოს მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლების სიტყვა, საბჭოთა კავშირზე, ომის საფრთხეზე, იმპერიალისტების ანტისაბჭოთა კამპანიებზე. ცხადია, რომ დღეს უკვე აღარ შეიძლება მასების მოტყუება „სამშობლოს დაცვის" და სხვა ასეთი თვალთმაქცური ლოზუნგებით. როგორც ეს მოხდა 1914 წელს. „დიდი იმპერიალისტურ სახელმწიფოების პოლიტიკამ ომის შემდეგ გამოაშკარავა ნამდვილი ხასიათი ყველა ფრაზებისა „სამშობლოს დაცვაზე", „სამართლიან ომზე", „უკანასკნელ ომზე", „ომზე თავისუფლებისათვის და პროგრესისათვის"—აცხადებს კონგრესი და მიუთითებს მტაცებლურ ხელშეკრულებებზე და იმპერიალისტების ყაჩაღურ პოლიტიკაზე".

ამას ამბობენ არა მარტო კომუნისტები, არამედ უპარტიო თუ ჯერ კიდევ სოციალ-დემოკრატიის მიმდევარი მუშები. მსოფლიო მუშათა რევოლიუციონურმა მოძრაობამ დიდი ნაბიჯები გადადგა წინ. პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება გაიზარდა, მიუხედავად იმისა, რომ სოც.-გამცემლები ცდილობენ მის დაბნელებას. მუშათა კლასი ირაზმება იმპერიალიზმის წინააღმდეგ და კერძოდ საბჭოთა კავშირის დასაცავად. სხვათა შორის, მოსკოვის კონგრესი ამას ნათლად გვიჩვენებს.

უეჭველია, რომ კონგრესს დიდი მნიშვნელობა ექნება მასსების შემდგომი მობილიზაციისათვის ახალი ხოცვაჟლეტის წინააღმდეგ. ჩვენ არ ვმალავთ, რომ დიდია საფრთხე, რომელსაც იმპერიალისტები გვიმზადებენ, მაგრამ ამავე დროს ისიც უდავოა, რომ ჩვენი მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკით, თავდაცვის უნარის გაძლიერებით და მსოფლიოს მშრომელთა აქტიური დახმარებით საბჭოთა კავშირის და, მაშასადამე, საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვების საქმე უზრუნველყოფილი იქნება.

* *

ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრი, გელატი გამოვიდა განცხადებით თავის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ; მან სთქვა, რომ „მტკიცება, რომ ესტონეთი აწარმოებდეს პოლონეთისა და ინგლისის მიმართ მეგობრულ პოლიტიკას, არა სავსებითაა სწორი, ვინაიდან არსებობენ სხვა სახელმწიფოები, რომლებთან ესტონეთი მეგობრულ ურთიერთობაშია, მაგ., საბჭოთა კავშირი, რომელთან ესტონიამ დაიწყო საგარანტიო მოლაპარაკება, ამასთან გამოიჩინა სერიოზული სურვილი მის წარმატებით დამთავრების მისაღწევად".

რომ ესტონეთის მთავრობას „მეგობრული" დამოკიდებულება აქვს ინგლისთან, ესე იგი რომ ის უკანასკნელის ბრმა ანტისაბჭოთა იარაღის როლს თამაშობს, ეს ცნობილი ფაქტია, ხოლო, რომ ესტონეთის მესვეურნი საბჭოთა კავშირთან არამც თუ მეგობრულ, არამედ მცირეოდენად მაინც რიგიან ურთიერთობაში იყვნენ, ეს სავსებით გელატის „აღმოჩენაა". შეიძლება ახალმა მინისტრმა შესცვალა ესტონეთის მთავრობის წინანდელი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ, ან რამე საბუთი მოყავს მას თავისი აზრის ნათელსაყოფად?—არაფერი ამის მსგავსი.

გელატმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ის გააგრძელებს აკელის საგარეო პოლიტიკას, რომელიც მოწონების ღირსია, „როგორც მთავრობის პარტიების, ისე ოპოზიციის მხრით". აკელმა კი „სახელი გაითქვა" თავისი მტრობით საბჭოთა კავშირისადმი. ბალტიის სახელმწიფოებისაგან ანტისაბჭოთა ბლოკის შექმნის ცდა, ჩვენი ეკონომიური იზოლიაციის ცდა, ბრძოლა ლატვია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების წინააღმდეგ; ესტონეთში მოკალათებულ თეთრ გვარდიელთა მფარველობა — ასეთი იყო ესტონეთის მთავრობის და კერძოდ აკელის „მოღვაწეობა". ამ მხრივ ის გულმოდგინეთ ასრულებდა თავის ლონდონელ „ხაზეინების" დავალებებს. და აი, გელატი გვპირდება თავის წინამადგილის საგარეო პოლიტიკის გაგრძელებას. ის ამას, სხვათა შორის, ადასტურებს ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების წინააღმდეგ გალაშქრებით: „რამდენადაც ეს ხელშეკრულება დაბრკოლებებს ქმნის (?) ლატვია ესტონეთის საბაჟო უნის განხორციელებისათვის, ესტონეთის მთავრობამ თავის მოვალეობად მიიჩნია ამ გარემოებაზე მიექცია ლატვიის მთავრობის ყურადღება". და ყველა ამის შემდეგ გელატს ყოფნის უტიფრობა განაცხადოს, რომ ლატვია თითქო მეგობრულ დამოკიდებულებაში იყოს საბჭოთა კავშირთან.

თუ რა ღირებულებისაა გელატის „მეგობრული" დამოკიდებულება, ეს გვიჩვენა ესტონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის. გიუნერსონის პროვოკაციულმა გამოსვლამაც. რუს თეთრგვარდიელმა ლუკოვსკიმ განუცხადა ესტონეთის პოლიციას, რომ ესტონეთში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის ერთ-ერთ თანამშრომელს მისთვის თითქო მიეცეს წინადადება ჩვენი ესტონელ წარმომადგენლის, ამხ. პეტროვსკის მოკვლის ორგანიზაციის შესახებ. ლუკოვსკის განზრახვა აშკარაა: თეთრგვარდიელთა ბოროტმოქმედების დაფარვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გართულება და მის გამომწვევად, წარმოიდგინეთ, თვით საბჭოთა მთავრობის გამოყვანა.

რომელი ჭკუათამყოფელი დაიჯერებს, რომ საბჭოთა მთავრობა თითონ აწყობდეს თავდასხმას თავის წარმომადგენლებზე და ხელოვნურად ამწვავებდეს სხვა ქვეყნებთან დამოკიდებულებას. ეს ხომ სისულელეა. მაგრამ გამოჩნდა ერთი კაცი, რომელსაც ასეთი რამ „სჯერა". ჩვენ ვლაპარაკობთ გიუნერსონზე. ლუკოვსკის „მხილების" გამო მან განაცხადა. რომ „ერთი მეზობელი სახელმწიფო (იგულისხმეთ — საბჭოთა კავშირი) ცდილობდა გამოეწვია საერთაშორისო გართულება, რათა ესტონეთი თავის გავლენის ქვეშ მოექცია". რა არის ეს: წარმოუდგენელი უგუნურება, თუ გაუგონარი პროვოკაცია?—ორივე ერთად. მით უფრო განსაცვიფრებელია გიუნერსონის ასეთი „რწმენა" ლუკოვსკისადმი, რომ უკანასკნელი ესტონეთის „ოხრანკის" აგენტია, რაც, რა თქმა უნდა, კარგად იცის ამ „ოხრანკის" შეფმა, შ. ც. მინისტრმა გიუნერსონმა. მაგრამ, როგორც ეტყობა, საბჭოთა კავშირისადმი სიძულვილი ყველაფერს ჩაადებინებს კაცს.

აღსანიშნავია ერთი ფაქტიც, მაშინ, როცა გაუსწორებელი თეთრგვარდიელნი არხეინად გრძნობენ თავს ესტონეთში და მისი მთავრობის წაქეზებით ანტისაბჭოთა გამოსვლებს ახდენენ, ესტონეთის მთავრობამ ამ დღეებში დააპატიმრა და შემდეგ გაძევა ემიგრანტ ლიტერატორი ტარასოვი, რომელსაც ჯაშუშობა დასწამეს; ნამდვილად კი მისი დანაშაული ის იყო, რომ დაგმო თავისი კონტრ-რევოლიუციონური წარსული და ხელი მოჰკიდა მუშაობას უცხოეთთან საბჭოთა კავშირის კულტურული დაახლოებისათვის.

ყველაფერი ეს, ვიმეორებთ, ნაკლებად მეტყველობს იმ „მეგობრულ ურთიერთობაზე" საბჭოთა კავშირთან, რაზედაც გელატი თვალთმაქცურად ლაპარაკობს. მისი „ტკბილი სიტყვები" საბჭოთა კავშირის მშრომელთა სიფხიზლეს ვერ მიაძინებს და ვერ დაფარავს იმ უდავო ფაქტს, რომ ესტონეთი თავისი მისი ეხლანდელი ხელმძღვანელებით ანტისაბჭოთა კამპანიის ერთი უმთავრესი დასაყრდენია ბალტიის მხარეში.

* *

საფრანგეთ - სამხრეთ - სლავიას შორის ხელმოწერილ იქნა „მეგობრობის" ხელშეკრულება და კონვენცია არბიტრაჟის შესახებ. პირველ შეხედვით, თითქო მისასალმებელია ასეთი აქტი, რომელიც. თუ ბრიანს დაუჯერებთ, მშვიდობიანობის განმტკიცებას ისახავს მიზნად. ჩვენც ხომ ვსდებთ მეგობრობის ხელშეკრულებებს. ნამდვილად კი საქმის ვითარება სულ სხვაგვარია, რა თქმა უნდა. მაშინ, როცა ჩვენი საგარანტიო აქტების დანიშნულებაა—ნამდვილი მშვიდობიანობის დაცვა და ომის საფრთხის აცილება, კავშირები, რომლებსაც ბურჟუაზიული ქვეყნები კრავენ ერთმანეთ შორის, აუცილებლად მიმართულია სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ და ხდებიან ახალ საერთაშორისო გართულებათა წყაროდ.

ბრიანი აცხადებს, რომ საფრანგეთის და სამხრეთ-სლავიის მთავრობამ „მტკიცედ გადასწყვიტეს, ერთა ლიგის მოღვაწეობასთან სრული თანხმობით და არსებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, განაგრძონ თავისი ღონისძიებანი მშვიდობიანობის კონსოლიდაციისათვის". პირველ ყოვლისა, ეჭვებს იწვევს ეს „სრული თანხმობა ერთა ლიგის მოღვაწეობასთან", ლიგის, რომელიც დიდ იმპერიალისტურ ქვეყნებს ქიშპობის ასპარეზს და მათ მიერ დაჩაგრულ ხალხთა დამონების იარაღს წარმოადგენს. უფრო საგულისხმოა ის გარემოება, რომ ბრიანს და მარინკოვიჩს (სამხრეთ-სლავიის გარეშე საქმეთა მინისტრი) „მშვიდობიანობის კონსოლიდაცია" განუზრახავთ „არსებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე": მსოფლიო ომის შემდეგ დადებული ხელშეკრულებები ხომ დამყარებულია. ძლიერ სახელმწიფოთა მიერ უფრო სუსტების დაჩაგვრაზე და ისინი, ცხადია, ვერ გახდებიან გამოსავალ წერტილად მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის.

მაშ, რა აზრი აქვს საფრანგეთ-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულებას? აშკარაა, ის გამოსახულებაა იმ ბრძოლის, რომელიც წარმოებს იტალიასა (ინგლისთან ერთად) და საფრანგეთ შორის. იტალია იმპერიალისტური გაფართოვების გზას ადგას. ის შეიჭრა ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე და იქიდან დევნის საფრანგეთს. ამან პოვა კერძოდ გამოხატულება იტალია-ალბანეთის ხელშეკრულებაში, რომლითაც ალბანეთი იტალიის კოლონიად აქცია. იტალია ავიწროვებს სამხრეთ-სლავიას და, მაშასადამე, საფრანგეთსაც, რომელიც მისი მოკავშირეა. გარდა ამისა, მუსოლინი პრეტენზიებს აცხადებს ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკის ფრანგულ კოლონიებზე. ამ მიზნით იგი აღიზიანებს ისპანიას ტანჟერის საკითხში და ცდილობს ამ სტრატეგიულ პუნქტში საფრანგეთის პოზიციის შერყევას. ეს აგრეთვე შეადგენს ინგლისის ინტერესს. ჩემბერლენ-პრიმა - დე-რივერის მოლაპარაკება და იტალიის ესკადრის დემონსტრაციული გამოჩენა ტანჟერთან მოწმობენ, რომ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმი აძლიერებს შეტევას საფრანგეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. თუ ტანჟერის სამართველობაში საფრანგეთის უფლებები შეკვეცილ იქნა, ეს იმის მომასწავებელია. რომ ხმელთაშუა ზღვაზე სავსებით გაბატონდება ინგლისი (და რამდენიმედ მისი დამქაში იტალიაც) და ამასთან საფრანგეთის კოლონიებს სერიოზული საფრთხე დაემუქრება იტალიის მხრით.

და აი, ამის საპასუხოთ საფრანგეთი სდებს „მეგობრობის" ხელშეკრულებას სამხრეთ-სლავიასთან, რაც უეჭველად არის სამხედრო კავშირი საერთოდ განსაკუთრებით იტალია-ინგლისის წინააღმდეგ. „ფოსიშე ცეიტუნგ" ამას კიდეც აღნიშნავს: „სარწმუნო წყაროების მიხედვით, სამხრეთ-სლავიამ იკისრა ვალდებულება—რაც შეიძლება მოკლე დროში დაამთავროს თავისი მზადება ფაშიზმთან მომავალ სამხედრო კონფლიქტისათვის. საფრანგეთმა სამხრეთ-სლავიას თითქმის განუსაზღვრელი კრედიტი მისცა შესაიარაღებლადო".

ასეთია ხსენებულ ხელშეკრულების შინაარსი და მიზანი. ის ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებ შორის „მეგობრულ" ხელშეკრულების დადების სახით ხდება მოპირდაპირე ძალთა დაჯგუფება და საომარი მზადება. რამაც ადრე თუ გვიან არ შეიძლება ომი არ გამოიწვიოს.

* *

გერმანიის პრემიერი მარქსი და გარეშე საქმეთა მინისტრი შტრეზემანი ჩავიდნენ ვენაში ავსტრიის მთავრობასთან აქტუალ პრობლემებზე მოსალაპარაკებლად, რომლებიც ორივე სახელმწიფოს აინტერესებენ". მათ ამ საკმაოდ უჩვეულო დიპლომატიურმა დარბაზობამ ერთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ევროპის პრესაში. ზოგნი მარქს-შტრეზემანის „გასტროლს" ვენაში უკავშირებენ საფრანგეთ-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულების დადებას, მაგრამ რამდენადაც ეს ხელშეკრულება უშუალოდ მიმართულია არა გერმანიის, არამედ, როგორც ვსთქვით, იტალიის წინააღმდეგ, იმდენად საფრანგეთ - სამხრეთ-სლავიის შორის კავშირის შეკვრას არ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში რამე სერიოზული როლი ეთამაშნა.

აქ ჩვენ საქმე გვაქვს სხვა გარემოებასთან. ავსტრია-უნგრეთი და გერმანია დიდი ხნიდან პოლიტიკურად ერთმანეთთან დაკავშირებული იყვნენ. მსოფლიო ომში ისინი ერთად გამოვიდენ ანტანტის წინააღმდეგ. ამ ომის შემდეგ ძველი ავსტრია-უნგრეთი დაიშალა. ეხლანდელი ავსტრიის მოსახლეობის 95 პროცენტი გერმანელებისაგან შესდგება. ეს გარემოება ბუნებრივად აძლიერებს გერმანიასთან ავსტრიის გაერთიანების ლტოლვას. ეკონომიურადაც ავსტრია საგრძნობლად დაინტერესებულია გერმანიასთან დაახლოებით; მაგ., ავსტრიის საკუთარი ქვა-ნახშირი მხოლოდ სამი თვე ყოფნის და ამ მხრივ გერმანიას სავსებით შეუძლია მისი მრეწველობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

თავისთავად გერმანიის შეერთება ავსტრიასთან პროგრესული მოვლენა იქნება, რა თქმა უნდა. თუ ამის სურვილს ავსტრიის ხალხი აშკარად გამოხატავს. მაგრამ იმპერიალისტური გერმანია. ცხადია, მაშინ მეტად გაძლიერდება და საფრთხეს განუმზადებს თავის მოქიშპე იმპერიალისტურ ძალებს. ავსტრიის გაერთიანება გერმანიასთან სულ სხვა ძალთა განწყობილებას შექმნის ევროპაში. განწყობილებას, რომელსაც მოყვება საფრანგეთის და ინგლისის პოზიციების შესუსტება.

ამიტომაა, რომ ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეები ყოველთვის გაფაციცებით ადევნებენ თვალყურს გერმანია-ავსტრიის გაერთიანების ცდებს — მათი ჩაფუშვის მიზნით. გარდა პოლიტიკურ და საჭიროების დროს სამხედრო

ამხ. ფილიპე მახარაძის საბოლოო სიტყვა

პასუხი შეკითხვებზე

ამხანაგებო, პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ ვერ შევძელი რიგიანად გავცნობოდი სიტყვების სტენოგრამებს. ეს მხედველობაში უნდა მიიღოთ,

ამ თავითვე მინდა ორ კითხვაზე ვუპასუხო.

ერთი ამხანაგი მეკითხება: „ჩვენ ჩავატარეთ სამრეწველო საქონელზე ფასების დაწევის კამპანია. როგორღაა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების საქმე?

როგორც სჩანს კითხვის მომცემი ამხანაგი ქალაქის მცხოვრებია. საქმე ისაა, რომ ჩვენი ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, სამრეწველო საქონლის ფასების დაწევა იყო. ეს დავალება რამდენიმედ შესრულებულია. რაც შეეხება სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, რომელთაც აგრეთვე უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მუშის ბიუჯეტში, ეს საგრძნობლად დამოკიდებულია იმ ორგანიზაციებზე, რომელნიც ქალაქის ბაზარს ამ პროდუქტებს აწვდიან: საჭიროა, რომ კოოპერატიულმა და სხვა ორგანიზაციებმა შეამცირონ ამ პროდუქტების ზედნართი, ჩვენ ამ მიმართულებით ვაწარმოებთ მუშაობას, მაგრამ უნდა ითქვას, ამ სარბიელზე კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციები ჯერ კიდევ ძალიან სუსტად მუშაობენ.

მეორე ამხანაგი მეკითხება: „გაერთიანებული იქნება თუ არა ჯანსახკომის ხელმძღვანელობის ქვეშ სხვადასხვა სანატორიუმები, რომელნიც სხვადასხვა ორგანიზაციების გამგებლობაში იმყოფებიან? სანატორიუმების კონცენტრაცია დიდ ეკონომიას მოგვცემდა“-ო.

სავსებით სწორია. ერთსა და იმავე ქალაქში გვაქვს სხვადასხვა უწყების გამგებლობაში მყოფი სანატორიუმები და თვითეული მათგანი ინახავს ცალკე პერსონალს, სამმართველოს და სხვა. არავითარი ეჭვი არაა, სანატორიუმების ხელმძღვანელობის გაერთიანებით შემცირდებოდა ხარჯი და დაცული იქნებოდა მომჭირნეობა.

ამ მიმართულებით, რამდენადაც ვიცი, ჯერ არავითარი ნაბიჯი არ გადადგმულა. ეს საქმე დავიწყებას არ უნდა მიეცეს, არამედ ამ საკითხს უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება ყველა ჩვენი ორგანიზაციების მხრივ.

გუშინ ამხ. ნადირაძემ, შეეხო რა სარწმუნოების საკითხს, აღნიშნა, რომ ჩვენ ამჟამად ცუდათ ვაწარმოებთ ხუცებთან ბრძოლას, მათი პროპაგანდა უკეთ სწარმოებს, ვიდრე ჩვენი. მართლაც, ჩვენ ძალიან მოვისუსტებთ ამ მხრივ და ამას უეჭველად უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

შემდეგ ამხ. ნადირაძემ სთქვა, რომ რომელიღაც ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ მას თითქოს მანდატიც კი მოეპოვება ფილიპე მახარაძისაგანო. ეს უბრალო გაუგებრობაა. ამხანაგს არ უნდა დაეჯერებია ამ ეპისკოპოსისთვის, არამედ უნდა მოეთხოვა ასეთი მანდატი.

აქ გამოსული ორატორები შეეხნენ მრავალ საკითხებს, მე ვეცდები, შეძლებისდაგვარად, გავცე პასუხი ამ საკითხებზე.

პირველად ყოვლისა, მე მინდოდა მეთქვა რამდენიმე სიტყვა ორი საყვედურის შესახებ, რომელიც აქ იყო წამოჭრილი. ამხ. ფირალოვმა სრულიად სამართლიანად მისაყვედურა იმის შესახებ, რომ ჩემს მოხსენებაში მე არ შევჩერდი კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაზე. მაგრამ მე განვაცხადე ჩემი მოხსენების დროს, რომ დროის უქონლობის გამო არ შემეძლო ამ საკითხზე შეჩერება. ამ მხრივ თვით ამხ. ფირალოვმა რამდენიმედ შეავსო ჩემი მოხსენება, ნაწილობრივ კი მე თვითონ ვეცდები, რომ ამ საბოლოო სიტყვაში შევჩერდე ამ საკითხზე.

ამხ. როთველაძემ მისაყვედურა იმის შესახებ, რომ მე არ წავიკითხე ლექცია სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ მე ხომ სოფლად მუშაობის შესახებ გავაკეთე მოხსენება; ჩვენ გვაქვს ბევრი სიმპატიური და კარგი საქმე, მაგრამ თითოეულ მათგანზე შეჩერება შეუძლებელია.

როდესაც მე ვლაპარაკობდი სახელმწიფო დაზღვევის შესახებ, აღვნიშნე, რომ ამ საქმეში ჩვენ ვეხებით გლეხობის მხრივ ავადმყოფურ გამოხმაურებას. ეს გამოირკვა წარსულ და დღევანდელ ყრილობაზეც. მე ვთქვი, რომ შესწავლილი უნდა იქნეს მთელი ის გამოცდილება, რომელიც ჩვენ დაგვიგროვდა ამ საკითხის გარშემო და რომ საჭიროა ამ საქმეში უფრო მეტი გარკვეულობის შეტანა. მე ვფიქრობ, რომ თითეულ ჩვენგანს საკმაოდ ესმის სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობა და ასეთი ლექცია სახელმწიფო დაზღვევის შესახებ არავისათვის საჭიროებას არ წარმოადგენს (ხმა: მართალია).

მიწის ყიდვა-გაყიდვა

ეხლა გადავდივარ მოცემულ კითხვებზე. პირველად ყოვლისა, მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. მართალია, მიუხედავად იმისა, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა კანონით აკრძალულია, იდევნება და ისჯება, მიუხედავათ იმისა, რომ ცენტრალური ხელისუფლება ყველა საჭირო ზომებს ღებულობს ამ მიმართულებით, მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევებს მაინც აქვს ადგილი. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვეცით კანონი, იმ მიზეზების, უკეთ რომ ვთქვათ იმ გარემოების თავიდან ასაცილებლად, რომელიც იწვევს მიწის ყიდვა-გაყიდვას.

ჩვენ დავაწესეთ ამ დანაშაულისათვის სასჯელი. ამის შემდეგ, თუ კიდევ ჰქონდა ადგილი მიწის ყიდვა-გაყიდვას, ეს იშვიათი შემთხვევა იყო. ჯერ ერთი, რომ ეს ხდება ბევრად უფრო ნაკლებად და მეორე ის, რომ საერთოდ არის ისეთი ბოროტმოქმედება, როგორიც, მაგალითად: ქურდობა, მკვლელობა და სხვ., რომლის საბოლოოდ აღმოფხვრა ჩვენ ვერ შევძელით, თუმცა არსებობენ მასთან საბრძოლველად სპეციალური ორგანოები, გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსი და სხ., რასაკვირველია, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამ ბოროტებას, როგორც შეშფერის მას. აქ ბევრმა ამხანაგმა სთქვა, რომ სოფლად არიან კიდევ ისეთი მოხერხებული პირები, რომლებიც აწარმოებენ მიწის ყიდვა-გაყიდვას, ასეთი მოხერხებული პირები ჩვენ უნდა დავიჭიროთ და შესაფერისად დავსაჯოთ.

ასეთი მოქნილი ხალხი, ყოველ შემთხვევაში, სოფელში მოიძებნება. საქმე იმაშია, რომ ჩვენ ენერგიულად უნდა ვებრძოლოთ მათ წინააღმდეგ.

უნდა ვსთქვა, რომ მიწის საკითხი ძალიან რთულია, მისი გადაწყვეტა ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ, რასაკვირველია, გვაქვს ნაკლი, ჩვენს კოდექსში ასეთი ნაკლი მოიძებნება, ჯერ კიდევ გუშინ ვლაპარაკობდი ამის შესახებ. ეხლა აუცილებელია დაევალოს ცენტრალურ კომიტეტს შეიტანოს მიწის კოდექსში სათანადო შესწორება. კოდექსში ისეთი პუნქტებია, რომელთაც უკვე დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა. ამ მიმართულებით უკვე სწარმოებს მუშაობა, ცაკის მიერ ამორჩეულია კომისია, რომელიც აწარმოებს მუშაობას და შეიძლება ცაკის შემდეგ სესიაზე, რომელიც უახლოეს დროში უნდა იქნეს მოწვეული, ეს საკითხი იქნეს შეტანილი. მაშინ ამხანაგებს საშუალება ექნებათ გამოსთქვან თავისი აზრი, როგორც საჭიროა და დეტალურად გაარჩიონ საკითხი.

სრულიად სამართლიანია საყვედურები მიწის ყიდვა-გაყიდვისა, იჯარით გაცემისა და სხვ. შესახებ. ჯერ კიდევ გუშინ ვითვალისწინებდი, რომ ამხანაგები გამოვიდოდნენ და უმეტეს შემთხვევაში ბრალს დასდებდნენ ცენტრალურ დაწესებულებებს. ეს ნაწილობრივ კიდეც გამართლდა. ადგილობრივ მომუშავე ამხანაგებს სურთ თავიანთი თავი სრულ პასუხისმგებლობისაგან გაანთავისუფლონ. რასაკვირველია, ეს არ უნდა ხდებოდეს; ჩვენი შეცდომები უნდა ვაღიაროთ.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

თითქმის ყველა აქ გამოსული ამხანაგი ლაპარაკობდა, რომ კრედიტები სისწორით არ ნაწილდება, რომ კრედიტს ზოგჯერ ღებულობენ შეძლებული კლიენტები, რომ ღარიბი იძულებულია თავდებობისათვის მიმართოს შეძლებულ გლეხს.

სწორია, ამხანაგებო, ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი, თუმცა ასეთი კანონი არ არსებობდა. რასაკვირველია, ეს დაუშვებელია. ღარიბი ასეთ შემთხვევაში, კულაკის გავლენის ქვეშ ხვდება. ეს ნაკლი თავის დროზედ აღნიშნული იქნა და ეხლა არსებობს დადგენილება (სახკომსაბჭომ მიიღო ამას წინეთ), რომლის ძალითაც თავდებობა ასეთ შემთხვევაში გადადის ადმასკომსა და გლეხკომზე. ამით ჩვენ ძლიერ ვამსუბუქებთ ღარიბი გლეხის მდგომარეობას და შეძლებას ვაძლევთ მას კრედიტის მიღებისას.

მუშაობა ბოგანოთა შორის

ამხანაგები მისაყვედურებენ, რომ ბოგანო გლეხების შესახებ ცოტა რამ ვსთქვი. შესაძლებელია მათ შესახებ უფრო მეტის თქმა იყოს საჭირო. თუ გსურთ მე შემიძლია აქ გადაგიშალოთ ის მუშაობა, რომელიც სწარმოებს მათ შორის. გუშინ ამის შესახებ ვილაპარაკე მაგრამ თუ გინდათ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ბოგანო გლეხების შორის მუშაობა წარმატებით ვითარდება.

ბოგანოები წინანდელზე მეტად არიან ჩაბმულნი ჩვენს ორგანიზაციებში. მაგ., საბჭოებში 1926 წელს ამორჩეულ იყო 70 კაცი, ახლა კი—563 კაცი; გლეხთა კომიტეტებში 1926 წ.—30 კაცი, ახლა კი 150; კოოპერატივების გამგეობებში წინათ 30 კაცი, ახლა კი 150 კაცი. ამნაირად სურათი ნათელია. ამ ციფრებიდან სჩანს, რომ ბოგანოთა შორის მუშაობა რიგიანად სწარმოებს. ამასვე ვხედავთ იმ ცნობებიდან, რომლებიც შეეხება კოლექტიურ ხელშეკრულებებს. 1926 წელს ეს კოლექტიური ხელშეკრულებანი ვრცელდებოდა 7.668 კაცზე, წელს კი ეს ხელშეკრულებანი ვრცელდება 13.900 კაცზე, (თუმცა ეს წელიწადი ჯერ არ გათავებულა, ჩემი ცნობები შედგენილია დაახლოებით ნახევარ წლის წინეთ).

აქ ჩვენ ვხედავთ მუშაობის გაძლიერებას.

შემდეგ შევეხოთ იმ კონფლიქტების გარჩევას, რომლებსაც ადგილი აქვთ პატრონებსა და ბოგანოებს შორის. ჩვენ ვხედავთ, რომ კონფლიქტების რიცხვი უფრო და უფრო იზრდება, მაგრამ გარჩეული კონფლიქტების დიდი უმრავლესობა ბოგანოების სასარგებლოდ თავდება.

კულტურულ მუშაობაში ბოგანოებს ჩაბმის მხრით დიდი მიღწევები გვაქვს. მაგ., წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში დიდი წარმატება მოვიპოვეთ. ჩვენ გვაქვს 33-დე სალიკვიდაციო სკოლა ბოგანოებისათვის, სადაც სწავლობდა 650 კაცი.

მაგრამ თქვენ იცით ბოგანოების მუშაობის პირობები. ისინი გაფანტულნი არიან ფართო ტერიტორიაზე და მათი მოგროვება ერთ ადგილას ძალიან ძნელია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მუშაობა მაინც წარმატებით მიმდინარეობს, მე არ ვლაპარაკობ იმ არანორმალობის შესახებ, რასაც აქ ამხ. ორახელაშვილი აღნიშნავდა, სახელდობრ, იმ შემთხვევების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვთ თამბაქოს პლანტაციებზე. რა თქმა უნდა, ეს არ ვარგა, და მე ვფიქრობ, აფხაზი ამხანაგები ღონისძიებებს მიიღებენ, რომ ეს ნაკლი აცილებული იყოს.

სასოფლო-სამეურნეო ბანკი

სასოფლო-სამეურნეო ბანკის შესახებ. ამხანაგები ემდურიან სასოფლო-სამეურნეო ბანკს იმის გამო, რომ ის მცირე კრედიტი იძლევა და არ აკმაყოფილებს ჩვენი ცხოვრების ყველა საჭიროებასა და მოთხოვნილებასა. ამბობენ, რომ გრძელვადიანი კრედიტები უმნიშვნელოაო. რასაკვირველია, უსამართლობა იქნება ეს რომ სახ.-სამეურნეო ბანკს დავაბრალოთ. საქმე ისაა, რომ სასოფლო-სამეურნეო ბანკის ძირითადი კაპიტალი ძალიან მცირეა. პირველ ხანებში განზრახული იყო სახ.-სამეურნეო ბანკისათვის მიეცათ ძირითად კაპიტალად 1.600.000 მანეთი, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა. ამჟამად სახ.-სამ. ბანკს აქვს ძირითადი თანხა 778 ათას მანეთამდე. მე მგონია ყრილობამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს და ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას დაავალოს დაამუშაოს სახ.-სამ. ბანკის ძირითადი კაპიტალის გადიდების საკითხი იმ დონემდე, რომ შესაძლებელი შეიქმნეს მისი სათანადო მუშაობა.

ამ ბანკის გაჯანსაღებისათვის, რასაკვირველია, მოგვიხდება ყურადღება მივაქციოთ მრავალ რამეს: გრძელვადიანი კრედიტის მომატებას, უზრუნველყოფას კრედიტით გლეხების იმ ნაწილისა, რომელსაც ყველაზე უფრო ესაჭიროება იგი, ამ საკითხში პარტიული გეზის დაცვას და სხვა.

„ველური კოოპერატივები“

ახლა ორიოდე სიტყვა ეგრედწოდებული „ველურ კოოპერატივებზე“, რომლებზედაც გუშინ ლაპარაკობდნენ, მართლაც არსებობენ ისეთი კოოპერატივები, ისეთი ამხანაგობანი, რომელნიც არ შედიან კოოპერაციის საერთო სისტემაში და რომელზედაც არავითარი ხელმძღვანელობა არ ვრცელდება. რატომ ხდება ეს? იმიტომ რომ ჩვენი ცენტრალური კოოპერატიული ორგანოები ძალიან სუსტნი არიან და ყველა კოოპერატივს ვერ სწვდებიან. ჩვენ უეჭველად უნდა მივსცეთ მათ დირექტივა, რომ თავისი ხელმძღვანელობა გაავრცელონ იმ „ველურ კოოპერატივებზედაც“, რომელნიც ჯანსაღ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ხოლო ისეთი მათგანნი, რომელნიც ვერ აკმაყოფილებენ საბჭოთა კოოპერაციის მოთხოვნილებებს, უნდა მოისპონ (ლ. ქართველიშვილი: ეს სამაზრო კომიტეტების ბრალიცაა). დიახ, უეჭველია, სამაზრო კომიტეტებს უნდა ეზრუნათ ამისათვის და ეს საქმე მათთვის უფრო ახლოა.

სამომხმარებლო კოოპერატივების წევრთა სოციალურ შემადგენლობის შესახებ აქ აღნიშნა, რომ კოოპერატივებში, განსაკუთრებით, სამომხმარებლოში, სრულიად უცხო ელემენტები—ვაჭრები, კულაკები და სხვანი მოიპოვებიანო.

გუშინაცა ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ სამწუხაროდ, სამომხმარებლო კოოპ. სოციალური შემადგენლობის შესახებ ცნობები არა მაქვს და მგონი საერთოდ ეს ცნობები სულაც არ მოიპოვება. ამ გარემოებას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, უნდა გადაისინჯოს კოოპერატივების წევრთა შემადგენლობა და პარტიას გადაეცეს ზედმიწევნითი ცნობები. სხვათა შორის ოპოზიციაც აყენებს ამ საკითხს, მაგრამ ჩემის ფიქრით, იგი აჭარბებს: თუნდაც უცხო ელემენტები მოიპოვებოდენ კოოპერატივებში, მაინც და მაინც ასეთები არც ისე ბევრი იქნებიან.

მიწათ-მოწყობის საქმე

არ შევეხები დაწვრილებით იმ საკითხებს, რომელზედაც ამხ. გეგეჭკორმა ილაპარაკა. ჩემის ფიქრით, ამხ. გეგეჭკორმა სწორი შეხედულება გამოსთქვა, სხვათა შორის ყოფილ აზნაურების გამოძევების საკითხში. მისი გამოძევება მარტო იმისათვის, რომ იგი ყოფილი აზნაურია საჭირო არ არის.

მაგრამ ესა თუ ის ყოფილი აზნაური თუ ანტისაბჭოთა პოლიტიკას აწარმოებს, თუ იგი არღვევს კანონებს, ეს, რასაკვირველია, სულ სხვა საკითხია. თუ მართალია ის, რომ ზოგიერთ „ყოფილებს“ უფრო მეტი მიწა აქვს, ვიდრე ნორმითაა გათვალისწინებული, ამაში პასუხს აგებთ თვითონ თქვენ ამხ. ყვანია. და მართლაც ასეთი ფაქტები არის ჩვენში. მაგრამ ამისათვის ჩვენ ცხადით დამნაშავეს, საქმის გამოსარკვევად სპეციალურ კომისიებს ვადგენთ; დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ასეთი მოვლენა აღმოაჩინეს ქუთაისის მაზრაში (ხმა ადგილიდან—ოკრიბის რაიონში). ჩვენ გავგზავნეთ იქ სპეციალური კომისია, კვლევა-ძიება სწარმოებს და დამნაშავენი იქნებიან არა მარტო ისინი, ვინც უკანონოდ ფლობდა მიწას, არამედ ისინიც, ვინც ეს ვერ აღკვეთა.

მე პასუხს აღარ გავცემ იმ კითხვებზე, რომელზედაც უკვე უპასუხა ამხ. გეგეჭკორმა. (ყვანია ადგილიდან—მიწათ-მოწყობა ხომ უნდა დაჩქარდეს). ჩვენ გუშინ ვამბობდით, რომ მიწათ-მოწყობა სწორედ ღარიბი გლეხობისათვის არის სასარგებლო და ამის დასამტკიცებლად ბორჩალოს მაზრის მაგალითი მოვიყვანე. თუ ჩვენ ვაჩქარებთ მიწათმოწყობის ჩატარებას ამით ჩვენ ვქმნით თავისუფალ მიწების ფონდს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის. და აგრეთვე, იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ უმიწაწყლო და მცირემიწიან მქონე გლეხობა, მაგრამ მე, ამხანაგო, ყვანია, ვერ დაგეთანხმებით, როცა ამტკიცებთ, რომ ჯერ მიწათ-მოწყობა უნდა ჩავატაროთ და შემდეგ მეურნეობის ინტენსიფიკაციაო, ჩვენ რომ ამ გზას დავადგეთ, მიუხედავათ მთელი ჩვენი ძალღონისა, უახლოეს წლებში მიწათ-მოწყობის ჩატარებას შემდეგ, ვერ შევძლებდით დაგვეთრგუნა მრავალი ტექნიკური სიძნელე და დაბრკოლება. (ყვანია—აზერბეიჯანის მაგალითი?). აზერბეიჯანის შესახებ გეგეჭკორმა უკვე სთქვა, რომ იქ საჭირო იქნება ხელახლად ჩატარება მიწათ-მოწყობისა, რადგანაც მიწათ-მოწყობა აზერბეიჯანში ნაჩქარევათ იყო გატარებული.

მიწათ-მოწყობა წარმოადგენს ძნელ ამოცანას, რომლის გადასაწყვეტად საჭიროა რამოდენიმე წელიწადი.

მაგრამ რომ დავიჯერო: ჯერ მიწათ-მოწყობა და შემდეგ—ინტენსიფიკაციას, მაშინ გულხელდაკრეფილი უნდა ვიდგეთ და არაფერი ვაკეთოთ. ჩვენ-კი ვამბობთ: საჭიროა ეხლავე შევუდგეთ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლას. მექანიზაცია და მანქანებზე გადასვლა აუცილებელია. ჩვენ ეს უნდა განვახორციელოთ. მიწათმოწყობა ,რა თქმა უნდა, აუცილებელია, და საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები ჩქარი ტემპით მის გასატარებლად. (ხმა ადგილიდან: ეს ხომ მისი უმთავრესი სტიმულია!) დიახ, ამხანაგებო, ჩვენ ეს ვიცით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრას, მე უნდა აღვნიშნო, ამხანაგებო, რომ ამ დარგში არის წარმატება, მაგრამ დეფექტებიც მოიპოვება. ამის შესახებ მე გუშინაც მოგახსენებდით. ადგილი აქვს ხოლმე არასწორ დაბეგვრას, როგორც გვითხრა ფინსახკომმა, რომელიც სამწუხაროდ, ამჟამად აქ არ არის. არის ზოგიერთი გარემოებანი, რომელიც ხელს უწყობენ არასწორ დაბეგვრას. მაგალითად თუ მიწის ერთი დესეტინა კარგია, მეორე კი არა—ჩვენ მაინც ერთნაირად ვბეგრავთ მას. რა თქმა უნდა, ეს დაუშვებელია, რადგანაც არასწორ დაბეგვრას იწვევს. ამაში დამნაშავე არიან მაზრაში მომუშავე ამხანაგები, ეს ნაკლი თქვენვე უნდა გამოასწოროთ. გამოთანაბრება ხომ თქვენ აწარმოებთ—აქედან კი ჩვენ ვერას გავხდებით.

ღარიბები და საშუალო გლეხები

ეხლა მე შევჩერდები ამხ. შოგირაძის გამოსვლაზე, უმთავრესად ერთ საკითხის გამო, რომელიც შეეხება ღარიბებს გლეხთა კრებებზე საშუალო გლეხისათვის გადამწყვეტი ხმის უფლების მინიჭებას. ამხ. შოგირაძემ, ჩემის აზრით, ჯოხის გადახრა დაუშვა, როდესაც ამბობდა, რომ ეს საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებაა.

შოგირაძე. დიახ, ეს ს. კ. პ. (ბ) ც. კ. დადგენილებაა.

მახარაძე. არა, პირიქით, არის მითითებანი, რომ ადგილებს მართებთ ამ საკითხში ყოველ ცალკე შემთხვევაში თვით გაერკვენ. (ხმები ადგილიდან: სწორია, სწორია) ამაზე გუშინ მოგახსენეთ. ასეთ შემთხვევას შეიძლება ექნეს ადგილი თუ გვინდა, რომ საშუალო გლეხმა ჩვენკენ პირი არ იბრუნოს. ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი მთავარი ხაზი ხომ ამ გადამწყვეტ ხმაში მდგომარეობს. პარტიის სწორი ხაზი. იმაში მდგომარეობს, რომ ღარიბ და საშუალო გლეხს შორის ომი არ შევქმნათ. აი, რაშია საქმე. არავითარი დოგმა ამხ. შოგირაძე, აქ საჭირო არ არის. თქვენ კი ეს დოგმათ გინდათ გახადოთ. ჩვენ მუშაობას ვაწარმოებთ ღარიბი გლეხობის შორის, ეს ყველასათვის აშკარაა. ჩვენ გვინდა ეს ღარიბი გლეხობა დაუმორჩილოთ პარტიისა და არა საშუალო გლეხობის გავლენას. ესეც აშკარაა და ამიტომ არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს ის გარემოება, თუ საშუალო გლეხობა ამა თუ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას... (შოგირაძე ძირითადი ხაზი უნდა არსებობდეს). ძირითადი ხაზი იმისათვის ,რომ ანგარიში გაუწიოთ მდგომარეობას და პირობებს. თქვენ ამბობთ საშუალო გლეხობის აქტივის შესახებ. რას წარმოადგენს ეს აქტივი, თუ თქვენ მას ხმის უფლებას ართმევთ ყველა კრებებზე? ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ კონკრეტულ პირობებს. რასაკვირველია, ჩვენ ვატარებთ ღარიბი გლეხობის კრებებს და ეს კრება ღარიბი გლეხობის კრება იქნება, თუ აქ მოწვეულია საშუალო გლეხობის აქტივიც. მაგრამ მე ვფიქრობ, ზოგიერთ შემთხვევაში უნდა მივცეთ მათ გადამწყვეტი ხმის უფლება. მე ვამბობ ზოგიერთ შემთხვევაში და არა ყველა შემთხვევაში. (შოგირაძე: ამის წესათ მიღება შეუძლებელია). მე არ ვამბობ, რომ წესად მივიჩნიოთ ეს. (შოგირაძე—ურუშაძე ამას საერთო წესად მიიჩნევს) ეს თქვენ ურუშაძეს უთხარით, ხოლო მე იკამათეთ იმის შესახებ, რაც მე ვთქვი.

ქალთა შორის მუშაობა

ერთგვარი საყვედური უნდა გითხრათ, ამხანაგებო, არც ერთი ამხანაგი აქ არ შეეხებია ქალთა შორის მუშაობის საკითხს. მხოლოდ ამხ. გვახარიამ დააყენა ეს საკითხი მეტად მწვავედ. ის, რაც ამხ. გვახარიამ განაცხადა, მართალია. ზოგჯერ ჩაუფიქრებლად ირჩევენ ქალს სწორედ იმიტომ, რომ ფორმალობა შეასრულონ. ამხ. გვახარიამ აღნიშნა, რომ ეს არ ვარგა და მართალიც, ამხანაგებო, რასა ჰგავს ეს?

კომუნისტებს ხშირად ნებას არ აძლევენ ცოლებს, დედებსა და დებს მონაწილეობა მიიღონ საბჭოებში. ამას მე ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ ამ საკითხს არც ერთი ამხანაგი არ შეეხებია. ამხანაგები, აქ უნდა გამოსულიყვნენ და აღენიშნათ ის ნაკლი, რომელიც ჩვენა გვაქვს, რათა შეძლება გვქონდეს მათი გამოსწორების.

სოფლად ფონდების დაყოფის საკითხი

ეხლა მე გადავდივარ ამხ. ქურდაძის სიტყვაზე.

აქ მრავალ გაუგებრობას აქვს ადგილი და ეს გაუგებრობა უნდა გარკვეულ იქნეს. პირველად ყოვლისა, ამხ. ქურდაძე ლაპარაკობდა დიფერენციაციის შესახებ. „მე მინდა ვთქვა რამოდენიმე სიტყვა წარმოდგენილ თეზისების ერთ-ერთი პუნქტის შესახებ. ეს პუნქტი მეტად ბუნდოვანია. მასში ნათქვამია: „სოფლის დიფერენციაცია სწარმოებს საშუალო შეძლების გლეხთა შემცირების ხარჯზე და იმავე დროს აუცილებლობით ზრდის ორ უკიდურეს ჯგუფს ღარიბ გლეხობას და კულაკებს“.

ჩვენს თეზისებში ამას ადგილი არ აქვს. არის [illegible], პირიქით, შემდეგი პუნქტი:

„თუ კაპიტალისტური სინამდვილის პირობებში სოფლის დიფერენციაცია საშუალო გლეხობის დასუსტების „დაშლის“ ხარჯზე სწარმოებს, თვით უკიდურესი ჯგუფების—ღარიბთა და ბობოლების—აუცილებელ ზრდით, მაშინ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ეს დიფერენციაცია ხასიათდება, უმთავრესად, საშუალო გლეხობის საერთო ზრდით და გაძლიერებით, კულაკურ ჯგუფის საშუალოთა ხარჯზე რამდენიმეთ ზრდასთან და ღარიბთა ჯგუფის შემცირებასთან ერთად“. ალბად ამხ. ქურდაძემ სწორად ვერ გაიგო, თეზისებში არავითარ ბუნდოვანობას არა აქვს ადგილი.

იმაზე, რასაც შემდეგში ამბობს ამხ. ქურდაძე, უეჭველად შეუძლებელია დავეთანხმო, მე უნდა განვაცხადო, რომ ამჟამად სრულიადაც არ ხდება ბობოლას გაძლიერება. იმისათვის, რათა გლეხობის დიფერენციაცია სათანადო კალაპოტში იქნეს ჩაყენებული და გაძლიერდეს ღარიბი გლეხობა, გამონახულ უნდა იქნეს სათანადო საშუალებები“.

ეს სრული სიმართლეა, მაგრამ ის, რომ თითქოს ბობოლა სრულიად არ ძლიერდება—არ არის მართალი, ამას აქვს ადგილი, თუმცა ეს ისე საშიში არ არის, როგორც ამას გაიძახის ოპოზიცია. რომ ჩვენ არ მიგვეღო შემოქმედების სათანადო ზომები, ღარიბთა კოოპერაციაში ჩაბმის გზით, სათანადო ხელშეკრულებათა დადების გზით, ბობოლა უფრო მეტად გაიზრდებოდა და სოფლის დიფერენციაციაც გაძლიერდებოდა. სანამ არსებობს ახალი ეკონომიური პოლიტიკა, სანამ არსებობს თანხების ბრუნვის თავისუფლება, საფრთხე ბობოლას ზრდის შესახებ მუდამ იქნება. მაგრამ ჩვენ ამ პროცესს ვაჩერებთ. ვაჩერებთ, როგორც გუშინ ვლაპარაკობდი, ეკონომიურ ღონისძიებებით. ეკონომიური ღონისძიებანი, ეკონომიური ფაქტორები, რომელნიც ჩვენ ხელთ არის, გვაძლევენ საშუალებას მნიშვნელოვნათ შევაჩეროთ კულაკის ზრდა.

ადგილობრივ საბჭოთა უფლებების შესახებ

შემდეგ ამხ. ქურდაძე ლაპარაკობდა, რომ ამხ. სერგო ორჯონიკიძემ შეიტანა პროექტი, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი საბჭოების უფლებები ფართოვდებოდა. „ეს პროექტი, ნაწილობრივ სხ. ადგილებში განხორციელებული, საქართველოს ცაკის მიერ ჯერ არ განხილულა. რა იყო ამ პროექტის მთავარი იდეა? რა ბევრიც უნდა ვილაპარაკოთ სოფლად მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მაინც ვერაფერს გავხდებით, ვიდრე ადგილებს საჭირო უფლებები არ მიეცემა“.

ამხ. ქურდაძე ამბობს, რომ თემებს აბსოლუტურად არავითარი უფლება არა აქვთ. გარდა იმისა ,რომ გადასახადებისა და დაბეგვრის რეგისტრაციას აწარმოებენო.

ჯერ უფლებებზე ვილაპარაკოთ. აქვთ თუ არა თემის ორგანიზაციებს რამე უფლებანი? ჩვენ მოგვეპოვება დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თემისა და მაზრის საბჭოთა ორგანიზაციები მნიშვნელოვანი უფლებებით სარგებლობენ. ისეთი უფლებები აქვთ მინიჭებული, რომლითაც არც ერთ სახელმწიფოში თემალმასკომებისთანა და სამაზრო აღმასკომებისთანა ორგანიზაციებს არ უსარგებლიათ. ისეთი დემოკრატიული თვითმმართველობა ძირიდან თავამდე როგორც ჩვენშია, სხვაგან არც ერთ სახელმწიფოში არაა, მაგრამ, ცხადია, თვითეული თემი და თვითეული მაზრა ვერ იქნება მთლად ავტონომიური. აი რა არის ნათქვამი თემსაბჭოებისა და სამაზრო საბჭოების დებულებაში, რომელიც უკვე ცხოვრებაშია გატარებული: თემის საბჭო იხილავს და იმუშავებს ყველა იმ საკითხს, რაც კი თემის ცხოვრებას, მის გამგებლობას და მეურნეობას შეეხება. თემსაბჭო ანხორციელებს თავის უფლებებს და აგრეთვე ასრულებს ცენტრალურ ხელისუფლების მიერ მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს. შემდეგ ჩამოთვლილია 20 პუნქტი, რაშიაც საბჭოს უფლება აქვს დამოუკიდებლად აწარმოოს მუშაობა, მოახდინოს დაბეგვრა და სხვ., ერთ სიტყვით გაკეთოს ის, რაც საჭიროა ადგილებზე ძალაუფლების განხორციელებისათვის. (ხმა ადგილიდან: აქვს თუ არა თემსაბჭოს სავალდებულო დადგენილების გამოცემის უფლება?)

რასაკვირველია აქვს და ეს თქვენ უნდა იცოდეთ.

(ამხ. ქურდაძე. მაგრამ სამაზრო აღმასკომი ამტკიცებს სავალდებულო დადგენილებას).

მაგრამ, ამხ. ქურდაძე, თქვენ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ სახელმწიფო გვაქვს და არა ისეთი წყობილება, სადაც თვითეულ თემს შეეძლოს ყველა საკითხის სრულიად დამოუკიდებლად გადაწყვეტა. ხომ შესაძლებელია თემალმასკომმა ისეთი რამ გამოსცეს, რომ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენოს არა მარტო ამხ. ქურდაძე, არამედ ცენტრალური ხელისუფლებაც.

განა კონტროლს შეუძლია ხელი შეუშალოს ამ მუშაობას? ის არა მარტო ხელს არ უშლის, პირიქით ამსუბუქებს და აუმჯობესებს თემალმასკომების მუშაობას.

მე ახლა საშუალება არა მაქვს ჩამოვთვალო ყველა ის უფლებები, რომელიც თემალმასკომებს აქვთ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს უფლებები საკმარისად ფართოა და ამას წინად ის კიდევ უფრო გავაფართოვეთ. თემალმასკომებს სასამართლოს საქმეების გარჩევის უფლება მივანიჭეთ.

გარდა ამისა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ თემალმასკომებს აქვთ განსაზღვრული საბიუჯეტო უფლებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში. მაშასადამე, არ შეიძლება იმის ლაპარაკი, რომ თემალმასკომებს უფლებებს არ ვუფართოვებთ. გუშინ აქ ამხ. ქურდაძემ სთქვა: თემალმასკომებს უფლებებს არ აძლევთო. საქმე ისაა, რომ თემალმასკომებს ჯერ კიდევ სანახევროდაც არ განუხორციელებიათ თავისი უფლებანი. ჩვენ წინ გვიდევს მუშაობა ყველა იმ დადგენილების და დეკრეტების ჩასატარებლად და განსახორციელებლად, რომელნიც თემალმასკომების უფლებებს აფართოვებენ. განა განხორციელებულია თემალმასკომების საბიუჯეტო უფლებანი, განა განხორციელებულია ის, რაც თემის სარევიზიო კომისიებმა უნდა გააკეთონ? რასაკვირველია, არა. ყველაფერი ეს თავის განხორციელებას უცდის და ამ მხრით ჯერ ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.

ახლა იმის შესახებ, თითქოს საქართველოს ცაკს არ შეუსრულებინოს საკავშირო ცაკის დადგენილება თემალმასკომების უფლებათა გაფართოების შესახებ. მაგრამ, როგორ არის ნამდვილად საქმე? ამხ. ქურდაძე გარწმუნებთ, ჩვენებურ თემალმასკომებს რომ ესარგებლათ იმით, რა უფლებებიც აქვთ, თანახმად არსებული კანონებისა, რომ გამოეყენებინათ 60—70 პროც. ზემოხსენებული უფლებებისა, ასეთ ჩივილს აქ ადგილი აღარ ექნებოდა.

რაც შეეხება ს. ს. რ. კ.-ის ც. ა. კ.-ის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას სარაიონო აღმასკომების უფლებათა გაფართოების შესახებ (ეს დაახლოვებით ამა წლის პირველ ნახევარში იყო), უნდა ითქვას, რომ საქართველოს ც. ა. კ.-მა ეს საკითხი გადაიტანა ცეკაში და იქ სექტემბრის 23 გადაწყვეტილი იყო, რომ ჩვენ ეს საკითხი უნდა დაგვემუშავა. ჩვენ არ შეგვეძლო მექანიკურად მიგვეღო ის, რაც დაწერილია უკრაინისა და რ. ს. ფ. ს. რ.-სათვის, სექტემბრის 27 ჩვენ შევადგინეთ სპეციალური კომისია ამ საკითხის გარშემო. მის წევრთა შორის იმყოფება ამხ. ქურდაძე, (სიცილი). რა მოხდა შემდეგ? ოქტომბრის დამდეგს კომისია შეიკრიბა. ამხ. ქურდაძეს მონაწილეობა არ მიუღია, ალბათ არ შეეძლო. კომისიამ დაადგინა საკითხის წინასწარი დამუშავებისათვის შეიქმნას ქვეკომისია, საკითხის სირთულის გამო. საჭირო იყო ამის შეფარდება ჩვენ პირობებთან. ამიტომ კომისიამ ამოირჩია ქვეკომისიები: საადმინისტრაციო, სახალხო განათლების, სახალხო ჯანმრთელობის, ადგილობრივ ბიუჯეტის და ადგილობრივი მრეწველობის. ეს იყო ოქტომბრის 10. ახლა კი ნოემბრის 19-ია. თქვენ ყველამ კარგად იცით, რომ პასუხისმგებელი ამხანაგები, ამ კომისიის წევრები, სხვა მუშაობითაც იყვნენ დატვირთულნი და ამიტომ მოკლე ხანში ვერ მოასწრეს ყველაფრის გაკეთება. ამხ. ქურდაძემ იცის ეს, არ შეიძლება არ იცოდეს, მაგრამ მაინც გამოდის და ლაპარაკობს.

ასე არ შეიძლება. რომ კიდეც მოგვესწრო ამ საკითხის დამუშავება, მაინც სესიაზე უნდა გაგვეტარებინა; სესია კი მხოლოდ მომავალი წლის იანვარშია ნავარაუდევი. ყველაფრიდან სჩანს, რომ ეს საკითხი ამ სესიაზე დასმული იქნება. მუშაობა მიმდინარეობს და იმ დროისათვის დამთავრებული იქნება.

ყოველივე ის, რაც ჩვენ კანონებშია აღნიშნული თემის აღმასკომების უფლებების შესახებ, საკმარისია ადგილებზე მუშაობის წასამძღვრად და სათანადო ინიციატივის გამოსაჩენად. განა ცენტრი ხელს უშლის ამ ინიციატივის გამოჩენას? პირიქით; აი როგორ არის საქმე იმ საყვედურების გარშემო, რომელიც აქ ამხ. ქურდაძემ გამოსთქვა.

კულტ - განმანათლებელი მუშაობა

მე მინდა ჩემი მოხსენება შევავსო კულტურულ - განმანათლებელი მუშაობის დახასიათებით. არ ვილაპარაკებ განათლების სახკომატის სკოლებზე და რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ მარტოოდენ ჩვენი კლუბებისა, სამკითხველოებისა, სახალხო სახლებისა და სხვათა შესახებ. როგორია მდგომარეობა გვაქვს ამ მხრით.

უკანასკნელი ცნობებით საქართველოში (ავტონომიური რესპუბლიკების გამოკლებით) მოგვეპოვება — 893 სამკითხველო, 54 ბიბლიოთეკა, 66 კლუბი, 25 თეატრი, 72 სახალხო სახლი, 58 ქალთა კუთხე, 64 სამხედრო კუთხე, 172 წითელი კუთხე, 69 რადიო ნაკეთობა, 22 სტაციონალური კინო და 6 მოძრავი კინო.

ამხანაგებო, როგორც ხედავთ, მეტად კარგი ციფრებია, მაგრამ საკითხავია, როგორ მუშაობენ ეს კლუბები, სამკითხველოები და სხვ. მართლაც მარტო ქაღალდზე არიან ისინი აღნიშნულნი, თუ ნამდვილ მუშაობას ეწევიან. უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლად კულტურული მუშაობის ცენტრი სამკითხველოა. ყველა სხვა ორგანიზაციები, როგორც, მაგალითად, აგრონომიული და საექიმო პუნქტები და სხვ. მუშაობენ სამკითხველოს გარშემო იშლება და ვითარდება. როგორ მდგომარეობაში არიან ჩვენი სამკითხველოები? მათი მდგომარეობა ვერ არის მაინცა და მაინც სასურველი მატერიალური შესაძლებლობების მხრით. სამკითხველოს გამგე დღეისდღეობით 20, 30 და 40 მანეთს, იღებს თვეში, ე. ი. ყოველ შემთხვევაში, მეტად მცირე ჯამაგირს; — არის დადგენილება, რომ სამკითხველოების გამგის ჯამაგირი გაუთანასწორდეს მასწავლებლების ჯამაგირს, მაგრამ ატარებენ თუ არა მას ცხოვრებაში ყოველგან მე არ ვიცი, სამკითხველოების ბიუჯეტი მეტად შეზღუდულია, რაც რასაკვირველია, გავლენას ახდენს მათ მუშაობაზე. კინოფიკაცია მეტად სუსტად მიმდინარეობს; როგორც მოგახსენეთ ჩვენ მხოლოდ 6 მოძრავი კინო მოგვეპოვება.

რადიო - ნაკეთობა 69-ია, ზოგან ისინი უხეიროთაა მოწყობილნი. ბევრი ამხანაგი გულ-გატეხილია, ამბობს: რადიო - მიმღებისაგან მხოლოდ შიშინი ისმისო, რასაკვირველია, ასეთ რამ'ებს ადგილი აქვს, მაგრამ ზოგან წარმატებაც გვაქვს.

მართალია, ხომ არ შეიძლება ყველაფერი უცებ დავაყენოთ. როგორც იქნა მოვაწყვეთ რადიო - ნაკეთობანი; ესეც დიდი მიღწევაა. მომავალში უფრო გავაუმჯობესებთ ამ საქმეს.

ეხლა ორიოდე სიტყვა წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. 1923 წელს ც. სტ. სამმართველომ გამოარკვია, რომ საქართველოში (ავტონომიურ რესპუბლიკათა გამოკლებით) წერა - კითხვის უცოდინარია 18-39 წლამდე 369.248 კაცი. 1923 — 24 წელში წერა კითხვა შეისწავლა 12.571 კაცმა, 1924—25 წ. წერა - კითხვა შეისწავლა 40.222-მა, 1925—26 წ. 37.990-მა, 1926—27 წელს 45.203 სულ—135.986 კაცმა. წერა - კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია ვერ მოვახერხეთ, ვინაიდან საშუალებანი არ გვაქვს, სახწავლო წიგნები საკმაოდ არ მოგვეპოვება და სხვ. მიუხედავად ამისა მაინც ვახერხებთ წინსვლას, რასაკვირველია, ნაკლიც ბლომათ გვაქვს, მაგრამ ჩვენ მათზე არ შევჩერდებით. უნდა ითქვას, მხოლოდ, რომ არის შემთხვევები წ.-კ. უცოდინარობის რეციდივისა. ჩვენ ამიტომ, საჭიროდ ვსცანით წერა - კითხვის შემსწავლელთათვის დავაარსოთ განსაკუთრებული სკოლები, მცირე მცოდნეობის სკოლები, რათა მათ წერა - კითხვა არ დაავიწყდეთ. ასეთი სკოლა ჩვენ 88 გვაქვს და იქ 2.396 მსმენელია. რასაკვირველია ეს არ კმარა, მაგრამ საქმის გასაფართოებლად მეტი სახსარი ჯერ არა გვაქვს.

ზოგიერთ მაზრებში საგრძნობია მაღალი ტიპის სკოლათა მოთხოვნილება მაგრამ ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ ვახერხებთ ასეთი სკოლების საკმაო რაოდენობით გახსნას, მაღალი ტიპის სკოლები ჯერ - ჯერობით გვაქვს მხოლოდ თბილისსა, ქუთაისსა და ჭიათურაში. ამ სკოლების კურსი სამწლიანია.

ამ სკოლებში სწავლობს 469 კაცი, რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ პარტიულ განათლების შესახებ. ცენტრალური პარტიული სკოლები არის თბილისში და ქუთაისში, ფოთის გაუქმებულია. პარტიულ სკოლების განყოფილებები არის განჯაში და ლენინაკანში, ამ სკოლებში სწავლობს დაახლოვებით 874 კაცი, მათ შორის მამაკაცი 812 და ქალი 62.

შემდეგ, ჩვენ გვაქვს მოძრავი და სტაციონალური პოლიტსკოლები. ასეთი სკოლა 83-ია, მსმენელთა საერთო რიცხვი 2.467 უდრის, ამათში მამაკაცები 85 პროც., ხოლო ქალები 15 პროც.

ეხლა ავტონომიური რესპუბლიკების შესახებ. ვიტყვი მოკლედ. აფხაზეთში ამ ხნის განმავლობაში სალიკვიდაციო სკოლები გაიარა—10.572-მა კაცმა; სამკითხველოების რიცხვი შედარებით ნაკლებია, იყო 1923 წელს 23 სამკითხველო, შემდეგ 33, მერე 49, მერე კიდევ 67 და სულ ბოლო დროს 76, უნდა ითქვას, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებანი ამ მხრით სავსებით კმაყოფილდება. არის პარტიული სკოლა, თუმცა მსმენელების რიცხვი ძალიან ცოტაა —სულ 30 კაცია. აჭარისტანში ამ წლებში სალიკვიდაციო სკოლები 9.900 კაცმა გაიარა. იგივე სამხრეთ - ოსეთში, სულ ცოტა, იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ჩვენ გამოგვიგზავნეს, იქ სალიკვიდაციო სკოლები გაიარა 10.254 კაცმა.

ასეთია ჩვენს ხელთ მყოფი ცნობები. არის კიდევ ერთი მოძრავი სკოლა, 6 ქოხ - სამკითხველო, 7 რადიო და 1-ც მოძრავი კინო.

აი რა გვაქვს ჩვენ საქართველოსა, აფხაზეთსა, აჭარისტანსა და სამხრეთ - ოსეთში, მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენში არის ისეთი სრულიად მივიწყებული კუთხეები, სადაც არავითარ განათლებას არ შეუშუქებია. ამას წინად ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. კაშარაული გაგზავნა ფშავისა და ხევსურების მდგომარეობის გამოსარკვევად. ეს ერთ-ერთი მთლად ჩამორჩენილი კუთხეა. რა შთაბეჭდილება მიიღო მან? ხევსურ მშობლებს დიდი სურვილი აქვთ ბავშვებს ასწავლონ, ეს ფაქტია, ისინი მივიწყებულნი არიან და იქ არავითარი კულტურული მუშაობა არა სწარმოებს. ამას განათლების კომისარიატის გასაგონად ვამბობ.

იქ ქალები არ დადიან ჩადრებში, როგორც მუსლიმანი ქალები. მაგრამ მათი მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე მუსლიმან ქალების არის, დაუშვებელია, რომ საბჭოთა კავშირში ქალი ისეთ მდგომარეობაში იყოს, როგორც იქ არის. აი, ამონაწერი წერილიდან: „მრავალი ქალი დაავადებულია ქალის ავადმყოფობით“. „გარკვეულ პერიოდში ქალი უწმინდურათ ითვლება, მე თვითონ ვნახე ასეთი რამ“. „მშობიარობა მეტად ცუდ პირობებში მიმდინარეობს“. არის შემთხვევები, როდესაც მშობიარე ქალი და ბავშვი იღუპება.

კოოპერაცია ხევსურეთში არ არსებობს. მიწად-მოწყობა ჯერ კიდევ არ შეხებია ხევსურეთს. იქ კი ამ მხრით მრავალი ნაკლულოვანებანი არსებობს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ჩვენი მიღწევების შესახებ, მაშინ ჩვენი ნაკლიც უნდა აღვნიშნოთ. ამხ. იმედაძემ მე შემატყობინა, რაც აკლდა ჩემს მოხსენებას. მან სთქვა, რომ არსებობს მასიური თეატრი, ან უკეთ რომ ვსთქვათ დრამატიული წრეები სხვადასხვა ადგილას. დრამატიული წრეები აწყობენ წარმოდგენებს, რომლებსაც, როგორც მან სთქვა, უსწრა 700.000 კაცმა. მე არ ვიცი, თუ როგორ აღრიცხა მან მაყურებლები, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ეს რიცხვი ჩემში ეჭვს იწვევს, სამჯერ ნაკლებიც რომ იყოს ეს რიცხვი, ესეც დიდი კულტურული საქმე იქნებოდა.

უსათუოდ არსებობს ნაკლი მხატვრულ ხელმძღვანელობის სფეროში. ამას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება. ჩვენ აქეთკენ მივისწრაფვით, ამისათვის ვხარჯავთ უამრავ ენერგიას, თანხებს, მაგრამ ხელმძღვანელობა არ არსებობს. აქვე მახსენდება ამხ. ფირალოვის სიტყვები იმის შესახებ, რომ სურათს უნდა მიეცეს გარკვეული შინაარსი. ამას უნდა მიექცეს ყურადღება.

მე ვეთანხმები ამხ. ფირალოვს ყველა წინადადებებს, განსაკუთრებით კი გლეხთა ექსკურსიების საკითხში, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მუშათა ექსკურსიების შესახებ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენში გლეხობამ არ იცის თუ რა კეთდება მეზობელ რესპუბლიკებში. საიუბილეო კომისიამ ამ წელს საქართველოდან ასი გლეხი გაგზავნა სხვადასხვა რესპუბლიკებში და მოსკოვში. ეს საქმე კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ.

* *

დასასრულ, მე უნდა ვსთქვა, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სოფლის საკითხში ჩვენ უსათუოდ წავიწიეთ წინ. ის ნაკლულოვანებანი, რომლებიც არსებობდენ, უკვე დაძლეულია. მიუხედავათ ამისა შეუძლებელია იმის თქმა, რომ ყველაფერი თავის რიგზეა. კიდევ მრავალი ნაკლი არსებობს.

ისეთი სოფელი, როგორიც ჩვენ გვინდა, ჯერ კიდევ არა გვაქვს. მე აქ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველაფერი არ არის დამოკიდებული კანონებზე. ხანდახან ბევრს გააკეთებ სოფლის ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესების მხრივ მარტო ხელმძღვანელობით, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მოსახლეობის ენერგია და მივმართოთ იგი დანიშნულებისამებრ. ჩვენ უნდა გავაღვიძოთ მოსახლეობა სამოქმედოთ და მაშინ დიდს შედეგებს მივაღწევთ. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი სოფლის გზები. ზოგან ნამდვილი სახელმწიფო მნიშვნელობის გზები ადგილობრივ მოსახლეობის ძალითაა გაყვანილი. ავიღოთ შემდეგ საბინაო პირობები. განა შესაძლებელია ცხოვრება ისეთ პირობებში, როგორშიაც ცხოვრობენ მაგალითად ახალქალაქის და ახალციხის მაზრებში, ხევეთში, ხევსურეთში და სხვ. და განა ძნელია ამ პირობათა გაუმჯობესება? ან და, ავიღოთ თუნდაც ჩვენი მტვრიანი და ტალახიანი ქუჩები. განა შეუძლებელია მოვახერხოთ ამ ქუჩების გასუფთავება?

რა თქმა უნდა, შესაძლოა. დასასრულ მე ვუსურვებდი ჩვენს ამხანაგებს გამოიჩინონ ამ მხრივ მეტი ინიციატივა, მეტი თვითმოქმედება და მაშინ შევასრულებთ ჩვენს დანიშნულებას (მქუხარე ტაში).

დელეგატები საკავშირო კომპარტიის ყრილობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადამწყვეტი ხმით

ორჯონიკიძე, რუძუტაკი, ნაზარეტიანი, მახარაძე, ელიავა, კახიანი, ქართველიშვილი, ლოლობერიძე, სტურუა ვანო, კვანტალიანი, გეგეჭკორი, ვასილიევი, ლაკობა ნესტორი, სუხიშვილი, ბოლქვაძე, სვანიძე, ივანოვ-კავკასიელი, ტერ-ვართანოვი, [illegible], მზარეულიშვილი, როთველაძე.

სათათბირო ხმით

მაჩაიძე ბაგრატი, ფანცხავა, აბაევი, ქურდაძე, გელაშვილი, გობეჩია, ვაინროს, რუბენი, ჯაფარიძე ვარო, საყვარელიძე პავლე, დევდარიანი გაიოზი.

დელეგატები ა.-კ. კომორგანიზაციათა ყრილობაზე

ამიერ-კავკასიის კომორგანიზაციების ყრილობაზე დელეგატებათ არჩეული არიან

გადამწყვეტი ხმით

ცვაქოვი, ძარიბეკოვი, ელაჯელოვი, ბერია, ბოლქვაძე, ვარდანიანი, ვარძიელი, ვასილიევი, გეგეჭკორი, ლოლობერიძე, გოგია, გობეჩია, დოლიძე, ჯაფარიძე ვარო, ნესტეროვი (ს.ა.ლ.კ.კ.), ჯულელი, ეღენტი ტ., ივანოვ-კავკასიელი, ქართველიშვილი, კასიანი, კვანტალიანი, ყურულოვი, ქავთარაძე, კუპაიძე, კანდელაკი, კაკაბაძე, კალატოზოვი, ლისოვსკი, ლეჟავა შამშე, მახარაძე ფ., მგალობლიშვილი, მეგრელიშვილი, მირზაბეკიანი, მამკევიჩი, ნაზარეტიანი, ნემერზელი, ორჯონიკიძე სერგო, მაჩაიძე, ორახელაშვილი მარია, ორახელაშვილი მამია, პეცლოვი, ფირალოვი, რუბენი, სვანიძე, საბაშვილი, სუტინინი, სუხიშვილი, თათარიშვილი, თოდრია, ფესოუკი, ხვედელიძე, ცხაკაია მ.; ელიავა, ჯაფარიძე ალ.; ჩხენკელი, გულოიანი, ელისაბედაშვილი, შოგირაძე, მირიმანოვი, ფანცულაია დავ.; გუდაძე გიორგი, ყორღოლაძე ილია, გეგეშიძე ფიოდოსია, გელაშვილი ივანე, ვაშაკიძე ვალერიან, მონტინი, ვართანოვი ვ., როთველაძე გ., ზაქრაძე სტ., იტრიევი ივ., ლევანდოვსკი, გარუჩავლი სერგო, ფირცხალავა ერმოლ., ფირცხალავა ან., ქართველიშვილი მაქს., ლოლაშვილი გიგო, ელიაშვილი ნიკ., ვოსკანოვი რ., განნემანი, ზავალოვსკი, კოჩეტკოვი ი., ჩხეიძე გ.; აკიმოვი, მზარეულიშვილი, ბელელაძე გ., კოვალიძე პრ., იტრიევი ვას., ხაცკევიჩი, გავნიძე, ჭელიძე ილია, კვლორქიანი ელიზ., როხზანი, ნებარიოვი, ტიხონოვა (მუშა ქალი), გოგინაიშვილი, გაბაშვილი, ვოლკოვი მიხაილოვი (მუშა ქალი), კუჭაიძე, ლუსკინა (მუშა ქალი), პრეობრაჟენსკი, ფირალოვი, პაპახიანი, ენუქიძე ელ., შალომიანი, ნუცუბიძე ვლ.; ტერ-ვართახოვი, კარაკეზოვი, ხურდა, ოგანეზოვი სანდრო, აღამიანი გაიკი, ლომთათიძე, კახოიანი, იუსუფოვი, ალეკპერი, ზურიჩილაძე, ლუჩიშკაია, ციხელაშვილი, ნიკიტინი, ხმალაძე, ჯმუხაძე, მკრტიჩიანი, ზრეგვაძე პავლე, ლეჟავა ნოე, სამუილოვი, სალუქვაძე, კუდრიავცევი, გორდელაძე, მარკოვინა, ალამაძე, კუხალეიშვილი, იაგნეტინსკი, გაპალოვი, მახარაძე, სუჯაიშვილი, იორდანიშვილი, ფანცხავა, ლოლობერიძე მ.; გამყრელიძე, ლენსკი, ჯიქავაძე, სარიშვილი, მოსოიანი, ავთანდილოვი, ზარამიძე, გურგენიძე, რაჭიშვილი გ.; ორაგველიძე ი.; ეღენტი გ.; მგალობლიშვილი გრ.; ჰაინიშვილი, გაბუნია, შუშაია, ყვანია, ნოღია, ვარამაშვილი, ბაბალაშვილი, მართიაშვილი, ლალოზიძე, დორმიდონტოვი, ჯატიევი, აბაევი, ბეკუზაროვი, მარგიევი, ლაკობა ნ.; სტურუა ვ.; პრილიპკო, თოფურიძე მარია, ლადარია ვ.; ლომთათიძე, ჩიქუა, კუცია ილია, თავდგირიძე, ცხაძე, შაბანოვი, შავლაძე, გობეჯიშვილი, წულუკიძე, მამულია, ქეჩულორია, ჩარგაზია, გულორდავა, ჩანკვეტაძე, ქურდაძე, გიორგაძე, კორისაული, კალმახელიძე, გალუსტოვი, ხაჩიძე, ურუშაძე, კილაძე დ.; გეგია, ნადარეიშვილი, ძანძგალაძე, უგრეხელიძე, გვასალია, ნაზაროვი, შარიქაძე, ეფუქიძე, თალაკვაძე, ცუცქირიძე, საყვარელიძე პ.; სიხარულიძე ვ.; პეტროვი, ბაუერმანი, ვაინეროსი, მილტი, ტარუტინსკი, დევდარიანი გ.; კვირაია, ალნიაშვილი, ოკუჯავა შ.; თაქთაქიშვილი, მოსმანი, ნოვოსელსკი, ბაგდანოვი, ცელუდევი, ოლინი, კოშკინი, ბახტაძე ნ.; ათაბეგოვი ა.; გენკინი, კიკნაძე ნ., („კომ.“ რედ.); ყიფიანიშვილი ა.; რასულ ზადე, არუთინოვი, ქუთციკაშვილი, ტერტერაშვილი, სიამაშვილი.

სათათბირო ხმით

ლიცინოვი, ლაზარევი, მამულოვი, მელიქაძე, ჯაფარიძე ს., სტეფანოვი სტ., აკოპოვი სტ., მარტინოვი ფ., ანდრიანი პ., ინაური, მანდრიცკი, ნონიკაშვილი ი., ხარაბაძე დ., მაისურაძე, გეორგაძე ნ., კალანდია ზ., მაკაროვი ნ., რუხაძე ვარლამი, ვარლამოვი ელ., უიგალცოვი დ., მორჩილაძე იოს., ჩიხრაძე ვანო, ოტიაშვილი იას., იშხანოვი ს., თუთბერიძე ამბ., ბაგდანოვი პ., ბუჯიაშვილი მ., წერეთლიშვილი, არეშიძე ვ., რუხაძე ლ., ნასარიძე დავ., ბურეში ვ., ხაჩატუროვი ვ., ალი-ტაგი-ზადე, ხაჩიკიანი კ., კანჩაკი იას., ესოიანი ანაიდა, გარინი ნ., გაზალოვი, სამოხვალოვი, მაისურაძე, ბადალოვი, მესხი, აბოროვიჩი, ტინტიკოვი, ოლინი, გვანცელაძე, ოქროშვილი, ერშოვი, ანდრიაძე, სიხაშვილი, ბოლიაევსკაია, ბოჭორიშვილი სერგო, მაროზოვი, იუსუფოვი, გოკაძე, ბიგაევი, ხოფერია, ხოზრევანიძე, ჯიბუტი ნ., ლომთათიძე ა., გოგუაძე კ., როლუვა ა., შოგირაძე ვ., ჯიქია ა., გვახარია, ბოკერია, მანავ-ზადე, შაველოხოვი, გასეევი, სუკოიანი, მიგინეიშვილი, მასხულია, ჯაბულია, პისკუნოვი, გვენცაძე, ცაავა კ., ჩიჩუა ოლღა, ცაბაძე ა., ზვიადაძე, არობელიშვილი, შათაქიშვილი, სკირელი, მინდაძე, თოფაძე, ინანრევაძე, ნაზაროვი, მეჭარაშვილი, თუთბერიძე, ლაბაძე, ბურჯანაძე, კუკულდავა, იმნაიშვილი, შევჩენკო, ბირაპეტოვი, სოკინი, გასიევი, ლაბადა, პაგადაევი, სტროგანენკო, ელიაშვილი, ბერიძე, მახნოვსკი, რამიშვილი, ბუჩიძე, დემეტრაშვილი, აკიშოვი, (ახალციხე), ირემაშვილი (სიღნაღი), ნავერიანი, ბოჭორიშვილი სერგო.

გლეხკომების მორიგი გადარჩევის გამო

გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებათა მუშაობა სოფლად მიმართულია გლეხკომის თვითმოქმედების გაძლიერებისაკენ და სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისაკენ. თავის მუშაობით გლეხთა კომიტეტები ურთიერთ დახმარების ნიადაგზე აკავშირებენ ღარიბ და საშუალო გლეხობას და ამით ჰქმნიან მთლიან ფრონტს სოფლის კულაკურ ელემენტების წინააღმდეგ. თავისი მუშაობით გლეხთა ფართო მასებს შორის გლეხკომები ნიადაგს ამზადებენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის.

ჩვენი გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებათა მუშაობა ამ ოთხი წლის განმავლობაში სწორედ აქეთკენ იყო მიმართული. ძირითად ხაზი მათი მუშაობისა იყო სწორი, მიუხედავათ იმისა, რომ მათ მუშაობაში ბევრ ნაკლს და შეცდომას ჰქონდა ადგილი. მაგ.; სარევიზიო კომისიები იჩენდენ სრულ უმოქმედობას, კომიტეტებში არ იყო დაცული კოლეგიალური მუშაობა, ფონდები არ ნაწილდებოდა წესიერად, მუშაობა ბევრ გლეხკომში სწარმოებდა უგეგმოთ, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან არ იყო დამყარებული მჭიდრო საქმიანი კავშირი, გლეხი ქალები, მოჯამაგირეები და სოფლის ახალგაზრდობა სუსტად იყო ჩაბმული გლეხთა კომიტეტების მუშაობაში. ყველა ეს მოვლენა თავის უარყოფით დაღს ასვამდა მათ მუშაობას.

შემდეგში მუშაობა გლეხკომებისა უნდა იქნეს მიმართული დეფექტების აღმოფხვრისაკენ. ამისათვის გამოყენებული უნდა იქნეს გლეხკომების მიმდინარე გადარჩევა. ადგილობრივი ორგანიზაციები დიდი ყურადღებით უნდა მოეპყრან ამ გადარჩევას. გადარჩევის დროს დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი გლეხკომების მუშაობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები, რომ მომავალში უფრო სწორათ აწარმოონ თავიანთი მუშაობა. ამისათვის საჭიროა გლეხთა კომიტეტების და სარევიზიო კომისიების გაჯანსაღება, მათში საიმედო და საქმიანი პირების არჩევა. გლეხთა კომიტეტების და სარევიზიო კომისიების კანდიდატების სიის შედგენის დროს საჭიროა რაც შეიძლება მეტი სიფხიზლის გამოჩენა. მათში ფართოთ ჩაბმული უნდა იქნენ ღარიბი და საშუალო გლეხობა, ქალები, მოჯამაგირეები და კომკავშირლები. ამჟამად გლეხთა კომიტეტებში ქალები შეადგენენ უმნიშვნელო პროცენტს, ამ გადარჩევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს გლეხთა კომიტეტებში და სარევიზიო კომისიებში მათი რიცხვის გადიდებას.

გლეხთა კომიტეტების მუშაობის გამოცოცხლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კომკავშირის ჩაბმას მათ ყოველდღიურ საქმიანობაში. იქ, სადაც კომკავშირი მჭიდროთ არის დაკავშირებული გლეხკომებთან, მუშაობა უფრო ხასიათიანად მიმდინარეობს. მიმდინარე გადარჩევის დროს კომკავშირმა ჯამი უნდა გაუკეთოს თავის წარსულ მუშაობას გლეხთა კომიტეტებში და მიიღოს ზომები თავის მონაწილეობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად და გასაფართოებლად. სამწუხაროდ, კომკავშირს ბევრგან არა აქვს სწორი წარმოდგენა გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებების მუშაობაზე და მნიშვნელობაზე. მას არა აქვს სათანადოთ გათვალისწინებული ის სარგებლობა, რომელიც გლეხკომებს მოაქვთ სოფლის მშრომელი მასისათვის. ამიტომ კომკავშირის უმეტესი ნაწილი განზე სდგას და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს გლეხთა კომიტეტების მუშაობაში. არც ის მცირე ნაწილი, რომელიც ითვლება გლეხკომის წევრად, იჩენს შესაფერ აქტივობას თუ გლეხკომებს შეგვიძლიან უსაყვედუროთ, რომ მათ არა აქვთ დამყარებული მჭიდრო კავშირი სოფლის მოსახლეობასთან, მით უმეტეს შეგვიძლია უსაყვედუროთ აგრეთვე კომკავშირსაც, რომ ნაკლებ ყურადღებას აქცევს სოფლად გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებების მუშაობას. ახალგაზრდობის ფართო მასა ჯერ კიდევ არ იცნობს გლეხკომების პრაქტიკულ მუშაობას, იმ არ იცნობს მიტომ, რომ კომკავშირი კიდევ ვერ არის გარკვეული იმაში, თუ რის გაკეთება შეუძლია მას გლეხკომების საშუალებით. გლეხთა კომიტეტების სისტემატიური მოხსენება კომკავშირის უჯრედების სხდომებზე საუკეთესო საშუალებაა ამ ორ ორგანიზაციას შორის მჭიდრო და საქმიანი კავშირის დასამყარებლად.

აპარატის გაჯანსაღება, რომელიც დღეს მწვავეთ არის დასმული ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე, ეხება აგრეთვე ჩვენ გლეხკომებსაც, ვინაიდან ამ დარგში ისინი მეტად მოისუსტებენ. ნაკლი შეიძლება აცილებულ იქნეს თავიდან პირველ ყოვლისა კომკავშირის აქტიური დახმარებით. ბევრ ადგილებზე გლეხკომები ფართო მონაწილეობას ღებულობენ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობაში, მაგრამ ამ მუშაობას არა აქვს სისტემატიური გეგმიანი ხასიათი. კომკავშირს აქაც შეუძლია თვალსაჩინო როლი ითამაშოს გლეხკომის მუშაობაში. გარდა ზემოჩამოთვლილისა, კომკავშირს შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს გლეხკომებს სხვა მხრითაც.

ადგილებზე გლეხკომები არ უნდა კმაყოფილდებოდენ მარტო ფულადი და ნატურალური დახმარების გაწევით, მათი მუშაობის გაძლიერებისათვის და გლეხობის კოლექტიურად შეკავშირებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხკომების განკარგულებაში მყოფ მიწების დამუშავებას და ღარიბ გლეხკაცობისათვის შრომითი დახმარების გაწევას. ამ დარგში ჩვენი გლეხკომები მეტად მოისუსტებენ. კომკავშირის მხურვალე მონაწილეობით შესაძლებელია ამ საქმის მოგვარება. გლეხკომების მიწების დამუშავება, ღარიბ გლეხკაცობისათვის შრომითი დახმარების გაწევა, წითელ კვირეულების ჩატარება და სხვა.

ვიმეორებთ, ამ გადარჩევის დროს ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ გლეხკომების და მათი სარევიზიო კომისიების კადრის შერჩევას. ერთხელ და სამუდამოთ აღმოფხვრილი უნდა იქნეს ის აზრი ვითომც გლეხთა საურთიერთო საზოგადოებები სოფლად ზედმეტი ორგანიზაციებია ყოველგვარათ ხელი უნდა შევუწყოთ მათ მუშაობის განმტკიცებას და გაძლიერებას. მხოლოდ ამ გზით, ასეთი დახმარების გაწევით შევძლებთ გლეხკომები გავხადოთ ნამდვილ საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანიზაციებად, რომელთა დანიშნულებაა სოფლის მოსახლეობის [illegible], განვითარება და კოლექტიურად შეკავშირება.

ქ. ხომერიკი.

რომებისა, ამისათვის კერძოდ ინგლისს მოეპოვება ავსტრიაზე ზეგავლენის ისეთი საშუალება, როგორიცაა ფინანსები. ავსტრია ქრონიკულ ფინანსიურ კრიზისს განიცდის და მუდამ სესხის ძებნაშია. მისი ბედი ამ მხრივ ლონდონის სიტის ხელშია. ეხლაც ინგლისი აძლევს მას მეტად მნიშვნელოვან სესხს და ამ გზით თავის გავლენაში აქცევს.

მიუხედავად ამისა, გერმანიის და ავსტრიის მესვეურები ნიადაგს ამზადებენ ამ ორი ქვეყნის გაერთიანებისათვის, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ავსტრიის შეერთებისათვის გერმანიასთან. აქეთკენაა მიმართული, სხვათა შორის, საპასპორტო ვიზების გაუქმება მათ შორის და ერთიანი სისხლის სამართლის კოდექსის შემოღება, რაზედაც ორივე მხარემ შეთანხმებას მიაღწია. ეს ისეთი საკითხებია, რომლებიც გერმანია-ავსტრიის შინაურ ცხოვრებას ეხება და ამიტომ ოფიციალურად ამის წინააღმდეგ გარეშე ძალები ვერ გაილაშქრებენ. მაგრამ ისინი შეეცდებიან, რომ არ მოხდეს ამ ქვეყნების უფრო მეტი დაახლოება, რასაც საბოლოო ანგარიშით მათი პოლიტიკური გაერთიანება შეიძლება მოჰყვეს.

* *

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა ვერ შეურიგდება იმ სასტიკ დამარცხებას, რომელიც გამოიხატა სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დადებაში. როცა მთელი რიგი საზღვრისპირო კონფლიქტების მოწყობით, ოქროთი და პროპაგანდით ჩემბერლენმა ვერ შესძლო სპარსეთის მთავრობის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის მოსპობა და საბჭოთა კავშირთან მისი დაახლოვების ჩაფუშვა, მაშინ მან საბოლოოდ ჩამოიფხრიწა ყოველი ნიღაბი და სპარსეთის მთავრობას წარუდგინა ისეთი ულტიმატუმი, რომლის მსგავსი იშვიათად მოიპოვება დიპლომატიის ისტორიაში.

ინგლისის მთავრობა თავის ულტიმატუმში მოითხოვს ვალების შესახებ სპარსეთზე 1925 წ. მოხდეულ იმ შეთანხმების დადასტურებას, რომელიც მეჯლისმა თავის დროზე უარყო (ამ შეთანხმების ძალით, სპარსეთს უნდა გადაეხადა ინგლისისათვის 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი 25 წლის განმავლობაში). შემდეგ ულტიმატუმი მოითხოვს, რათა სპარსეთის მთავრობამ ინგლისს ნება დართოს გამოიყენოს სპარსეთის ტერიტორია საიმპერიო - საჰაერო გზისათვის; სპარსეთისათვის ამ მუხლის მიღება ნიშნავს ინგლისის საჰაერო ფლოტის მუქარის ქვეშ მოქცევას. გარდა ამისა, ინგლისის იმპერიალიზმი მოითხოვს შეიხ ხეიზელის დაბრუნებას სუზისტანში და მისთვის ქონების დაბრუნებას; ეს ის ცნობილი ხეიზელია, რომელიც სამი წლის წინედ ინგლისის შთაგონებით აუჯანყდა სპარსეთის ცენტრალურ მთავრობას. ბოლოს, ინგლისის მთავრობა მოითხოვს სპარსეთისაგან ირაქის დამოუკიდებლობის ცნობას და ირაქში მგზავრობის აკრძალვის გაუქმებას; უნდა ვიცოდეთ, რომ ირაქ-სპარსეთ შორის არსებობს მთელი რიგი სადავო საკითხები (ტერიტორიული ხასიათის, ირაქში მოსახლე სპარსელების მდგომარეობის შესახებ და სხვ.), რომელთა მოუგვარებლობის გამო მათი ურთიერთობა გართულებულია.

როგორც ვხედავთ, ინგლისი უხეშად ერევა სპარსეთის შინაურ საქმეებში, ლახავს მის სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და ეპყრობა მას, როგორც თავის კოლონიას. ინგლისის ამ აქტმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია სპარსეთის მოსახლეობაში. სპარსეთი დაადგა იმპერიალიზმისაგან განთავისუფლების და დამოუკიდებელი არსებობის გზას. მან გააუქმა კაპიტულიაციის რეჟიმი, თავს აღწევს უცხოეთის ეკონომიურ-ფინანსიურ მონობას, და სხვ. ინგლისი, რა თქმა უნდა, ცდილობს სპარსეთის განთავისუფლების პროცესის შეჩერებას და ყოველ ზომას მიმართავს ამ მიმართულებით, მაგრამ არა გვგონია, რომ მან მიზანს მიაღწიოს. ინგლისის მსოფლიო ბატონობის ხანა სრულდება. მისი შინაგანი კრიზისი, ინგლისის და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებ შორის ინტერესთა წინააღმდეგობის გაღრმავება და აღმოსავლეთის ხალხების განმანთავისუფლებელი მოძრაობა საზღვარს უდებენ ჩემბერლენების მტაცებლობას.

ინგლისის ეხლანდელი ულტიმატუმზე სპარსეთის და სხვა დაჩაგრულ ქვეყნების ხალხები ერთხელ კიდევ დარწმუნდებიან, რომ საჭიროა გადაჭრილი ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ამავე დროს ამ ულტიმატუმის შედარება საბჭოთა კავშირის პოლიტიკასთან, კერძოდ სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულებებთან, კიდევ უფრო გააძლიერებს ამ ხალხების დაახლოვებას ჩვენთან, ვინაიდან მხოლოდ საბჭოთა მთავრობა იცავს ყველა ხალხთა თანასწორ უფლებიანობას.

გ. კ—ლი.

რეზოლუცია

ც. ს. კომისიისა და მუშგლეხინის მუშაობის შესახებ

1. მოისმინა რა ამხ. ანდრო დოლიძის მოხსენება და თანამოხსენება ამხ. შამშე ლეჟავასი ცენტრ. საკ. კომისიისა და მ.-გ. ინსპექციის მუშაობის შესახებ, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მე-5 ყრილობა ც. ს. კ. და მუშგლეხინის პოლიტიკურ და საორგანიზაციო გეზს სწორად და მათ მუშაობას დამაკმაყოფილებლად სცნობს.

2. მუშგლეხინის და საკ. კომისიის მიერ ხანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებული მუშაობა სრულიად უდაოდ ცხადყოფს, რომ ც. ს. კ. და მ.-გ. ინსპ. პარტიისაგან მიცემული სახ. აპარატის ბიუროკრატიული დამახინჯების წინააღმდეგ, მისი გაუმჯობესებისა, გაიაფებისა და მასებისადმი მიახლოვებისათვის ბრძოლის ამოცანები, „სავსებით გამართლებულ იქნა და დასრულდა იმ რეალური და უეჭველი მიღწევებით ,რომელნიც ამ დარგში გვაქვს.

საკ. კომისიისა და მუშგლეხინის მიერ სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის, გაიაფებისა და გამარტივებისათვის წარმოებული მუშაობით მიღწეულია ხარჯების შემცირება (ფინსახკომი, განსახკომი, ჯანსახკომი და სხვ.), ეს შემცირება მოხდა დიდი და გაუმართლებელი შტატების შემცირებით, ზედმეტი ფუნქციების ჩამოშორებითა და მოსპობით, პარალელიზმის, ზედმეტი მიწერ-მოწერისა და ანგარიშწარმოების მოსპობით და სხვა. ჩვენ ახლა გვაქვს ასეთივე მიღწევა მრეწველობასა, სახვაჭრობასა, საკრედიტო დაწესებულებებსა, ნაწილობრივ კოოპერაციასა და სხვა სამეურნეო ორგანოებში უნაყოფო ხარჯების შემცირების დარგში, რომელიც 25 პროც. და მეტს შეადგენს.

3. ამასთან ერთად საკ. კომისიისა და მ.-გ. ინსპექციის მიერ ჩატარებული მუშაობა გვარწმუნებს, რომ სახელმწიფო, სამეურნეო, სავაჭრო, კოოპერატიულ და სხვ. აპარატთა გამარტივების საქმეში მიღებული შედეგები არ თუ არ ამოსწურავს ამ დარგში დასახულ ამოცანებს, არამედ გადაჭრით აყენებს მთელი პარტიის წინაშე შემცირებისა და გაიაფებისათვის გაღრმავებული მუშაობის აუცილებლობის საკითხს, რომელიც უნდა გადაწყდეს ზედმეტი ფუქციებისაგან ამ აპარატთა განთავისუფლების, პარალელიზმის მოსპობის, რაციონალიზაციის, გამარტივებისა და საადმინისტრაციო-სამეურნეო უნაყოფო ხარჯების უმტკივნეულო შემცირების საშუალებით.

4. მთელი პარტიის მუშაობის გამოცდილება სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული დამახინჯების მოვლენებთან ბრძოლის სფეროში (საბჭოების გამოცოცხლება, საბჭოებისადმი და პროფკავშირებისადმი კომუნისტური ხელმძღვანელობის გაუმჯობესება და გაძლიერება და სხვ.) და კერძოდ ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მ.-გ. ინსპექციის მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რამდენათ უსაფუძვლოა ოპოზიციის განცხადება სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული გადაგვარების ზრდის შესახებ. იგივე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პარტიას შეუძლია დაძლიოს სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიული გადაგვარების ის საფრთხე, რომელიც იქმნება სახელმწიფო აპარატზე ახალი ბურჟუაზიის, კულაკებისა და ბიუროკრატიის გავლენით. იწონებს რა ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მ.გ. ინსპექციის მუშაობას ბიუროკრატიულ გადაგვარებასთან ბრძოლის სფეროში, ყრილობა განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ეს გამოცდილება აშკარავებს პარტიის უდიდეს შესაძლებლობას აპარატის გაიაფებისა, მათი გამარტივებისა, მთელი მუშაობის გაუმჯობესებისა და მასებთან დაახლოვების საქმეში, რაც აძლიერებს მის ავტორიტეტს მშრომელი მასების თვალში.

5. საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიულ გადაგვარებასთან ბრძოლის უფრო გაფართოებულად და [illegible], ყრილობა ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას, ცენტრალურ საკონტროლო კომისიასა და მ.-გ. ინსპექციას, საბჭოებსა და პროფკავშირების ფრაქციებს და პრესის ორგანოებს გააძლიერონ მუშაობა ბიუროკრატიული გადაგვარების წინააღმდეგ ბრძოლაში მუშათა და გლეხთა ფართო მასების ჩასაბმელად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ მუშაობაში კომკავშირის ორგანიზაციების ჩაბმას. საჭიროა ღრმად ჩავუნერგოთ მუშებსა და გლეხებს ზიზღი და შეურიგებლობა ბიუროკრატიული სიმახინჯის მოვლენებთან და უნარი თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში ბრძოლის გაჩაღებისა საზიზღარ გაჭიანურებისა ან ბიუროკრატიული აბუჩად აგდების წინააღმდეგ. ამასთან ერთად, ცენტრ. საკონტროლო კომისიისა და მ.-გ. ინსპექციის მუშაობამ უნდა უზრუნველყოს დაუყოვნებლივი და ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა იმ მუშებისა და გლეხებისათვის, რომელიც იბრძვის ამა თუ იმ კონკრეტული ბიუროკრატიული ბოროტების წინააღმდეგ. ამავე დროს ყრილობა ავალებს ცენტრალურ საკონტროლო კომისიასა და მ.-გ. ინსპექციას გადაჭრითი ზომები მიიღოს იმ ორგანოებისა და პირების (როგორც პარტიულის, ისე საბჭოთა) დასასჯელად, ვინც რეპრესიებს მიმართავს მუშკორებისა და გლეხკორების წინააღმდეგ, რომელნიც აკრიტიკებენ ბიუროკრატიული გადაგვარების მახინჯ ფორმებს, რამდენათაც მკაცრი არ უნდა იყოს ეს კრიტიკა.

6. ყრილობა განსაკუთრებით აღნიშნავს პრესის საშუალებით ბიუროკრატიულ უმსგავსოებასთან ბრძოლის გაძლიერების საჭიროებას. ეს ბრძოლა პრესამ ისე უნდა აწარმოოს, როგორც ამას ლენინი გვასწავლიდა—„არ უნდა მოეხათრონ ამა თუ იმ პირს“, არა შემთხვევაში არ უნდა დაიჯერდეს მარტო წვრილმანების გამომჟღავნებას, როგორც ეს ჩვენში ხშირად ხდება, უნდა დარაზმოს პროლეტარულ დიქტატურის ირგვლივ მუშები და გლეხები იმ ბრძოლისათვის, რომელიც ჩვენი სახელმწიფო აპარატის სოციალისტური გარდაქმნისათვის სწარმოებს.

.7 ყრილობა იწონებს რა ცენ. საკ. კომისიისა და მ.-გ. ინსპექციის მიერ მიღებულ ღონისძიებებს საბჭოთა და სამეურნეო აპარატის ნაკლთა გამომჟღავნებაში, ავალებს მას გააძლიეროს და განავითაროს ეს მუშაობა კონტროლისა და შემოწმების გზით, თუ რამდენად სრულდება პარტიულ ორგანოებისა და მთავრობის დადგენილებანი კაპიტალურ მშენებლობის დარგში, სავაჭრო და სანარმოთ ზედნადებ ხარჯების შემცირების საქმეში და პროლეტარულ საბჭოთა დემოკრატიის არსებობის უზრუნველყოფის დარგში.

8. ყრილობა იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ბრძოლას საბჭოთა აპარატის გადასაკეთებლად ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საჭიროებათა მიხედვით დრო და დრო წინააღმდეგობა ეღობება ხოლმე—ავალებს ცენ. საკ კომისიას, მ.-გ. ინსპექციას და ყველა პარტიულ ორგანიზაციას, გადაჭრით შეებრძოლონ ყველა იმ მუშაკებს (კომუნისტებსა თუ უპარტიოებს), რომელნიც საბჭოთა აპარატის გარდაქმნის ბრძოლას უპირისპირებენ რუტინიორობას, დახავსებას, ჩინოვნიკურ კმაყოფილებას, რაშიაც ხშირად იმალება პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილ კლასთა ზეგავლენა. ამასთანავე ერთად საჭიროა გაფართოვდეს სასამართლოების მუშაობა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში, ყოველგვარი ლმობიერების გარეშე—პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული სახელმწიფო აპარატის ის მუშაკები, რომელნიც გამოიჩენენ გაუმართლებელ ფუჭფუჭობას, საქმისადმი ჩინოვნიკურ მოპყრობას. ამასთანავე არავითარ გზით არ უნდა იქნეს დაშვებული განაჩენის შემსუბუქება ან და გამოძიების წარმოების შეჩერება ამა თუ იმ პირის მიმართ მისი „ძველი დამსახურების“, ან „ნაცნობობის“ და სხვათა მიზეზით.

9. ყრილობა აღნიშნავს რა, რომ რწმუნებულთა ინსტიტუტის შემოღებით გაძლიერდა კავშირი ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ავალებს ცენ. საკ. კომისიას ყურადღება მიაქციოს ამ კავშირის გაღრმავებას და უზრუნველყოს ადგილობრივ ორგანიზაციათა შეუჩერებელი მუშაობა.

10. ყრილობა აღნიშნავს რა სამხედრო ორგანიზაციათა პარტკომისიებთან კავშირის არსებობას, ავალებს ც. ს. კომისიას შემდგომაც ყურადღება მიაქციოს ამ კავშირის გაგრძელებასა და გაძლიერებას.

11. ყრილობა იღებს რა მხედველობაში ამ უდიდეს ამოცანებს, რომლებსაც პარტია უსახავს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას, ავალებს ცენტრალურ კომიტეტს გააძლიეროს ცენტრ. საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის აპარატი საუკეთესო პარტიულ და საბჭოთა სამეურნეო მუშაკებით, გამოდის რა ლენინის მიერ დასახული ამოცანის გადაჭრის აუცილებლობიდან: „ჩვენ მუშათა და გლეხთა ინსპექცია უნდა გადავაქციოთ იმ იარაღად, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს ჩვენი აპარატი და თვით იყოს ჭეშმარიტად სანიმუშო დაწესებულებაო“.

12. ყრილობა სავსებით იწონებს რა ცენტრ. საკონტროლო კომისიის მუშაობას პარტიული მთლიანობის დამრღვევლებთან ბრძოლის დარგში, ავალებს ცენტრ. საკონტროლო კომისიას შემდეგში უფრო მტკიცე კურსი აიღოს გაუსწორებელი ოპოზიციონერების მიმართ და დაუნდობლად გამოდევნოს ისინი პარტიის რიგებიდან.

13. ყრილობა იწონებს რა ცენტრ. საკ. კომისიის მუშაობას, რომელიც ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად მიმართულია აგრეთვე ჩვენი ორგანიზაციების და პარტიის ზოგიერთი წევრების ცალკე ნაკლთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ავალებს ცენტრ. საკ. კომისიას კვლავაც ჩაატაროს გადამჭრელი გეზი ქიშპობის, ინტრიგების, ლოთობის, შეურიგებლობის, კარიერიზმის და პარტდისციპლინის და კომუნისტური ეთიკის დარღვევის და სხვ. აღმოსაფხვრელად.

პარტიის წევრთა პირად ცხოვრებაში ფუფუნებასთან ბრძოლას და სამსახურის მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

14. ყრილობა გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ ადგილობრივ უკლონისტურ - ტროცკისტული ოპოზიციის გამხრწნელ ფრაქციულ მუშაობას კომუნისტური პარტია დაუპირდაპირებს თავისი რიგების უფრო მეტ სიმჭიდროვეს და ორგანიზაციულობას, მეტ დისციპლინიანობას და აქტივობის გაძლიერებას შინაპარტიულ დემოკრატიის ფართოდ განვითარების საფუძველზე.

პარტიის სადარაჯოზე—გამთიშველების წინააღმდეგ

ცეკას თეზისები სამეურნეო აღმშენებლობის დარგში დღემდე განიხილა თბილ. ორგანიზაციის 132 უჯრედმა.—კრებას დაესწრო 6.079 კაცი.—კამათში მონაწილეობა მიიღო 581 კაცმა.—ამათ რიცხვში 69 ოპოზიციონერმა.—ცეკას თეზისების სასარგებლოთ ხმა მისცა 5.928 კაცმა, წინააღმდეგ—125 კ., თავი შეიკავა 21 კაცმა

ცეკას თეზისები სოფლად მუშაობის შესახებ განიხილა 47 უჯრედმა.—კრებას დაესწრო 2.209 კაცი. —კამათში გამოვიდა 126 კაცი, მათ შორის 24 ოპოზიციონერი.—ცეკას თეზისებს ხმა მისცა 2.160 კაცმა, წინააღმდეგ—25 კ. თავი შეიკავა 24 კ., არ მიუღია მონაწილეობა კამათში 2 კაცს

სადისკუსიო კამპანია

მოსკოვი, 19 ნოემბერი. 18 ნოემბრამდე მიღებული ცნობებით, დისკუსიის დაწყებიდან უჯრედების 4.883 კრებაზე თეზისების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 447,457 კაცმა. ცეკას ხაზს ხმა მისცა 443,010, წინააღმდეგ—2.814, ე. ი. კრებების მონაწილეთა 0,6 პროცენტმა. თავი შეიკავა 1.633 კაცმა—0.3 პროც..

17 ნოემბრამდე მიღებული ცნობებით, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკის, ბაქოს, თბილისის, შახტის, პერმის, ტამბოვის, კურსკის, ორიოლის, პენზის, კალუგის, რიაზანის, სმოლენსკის, სამარის, ულიანოვსკის, პოკროვსკის, ასტრახანის, ვიატკის, ნოვგოროდის, ჩერეპოვეცის, პეტროზავოდსკის, ხაბაროვსკის, აშხაბადის, კრასნოკოკშაისკის ორგანიზაციების უჯრედების 529 კრებაზე და წითელი არმიის 43 პარტკრებაზე სოფლად მუშაობის ხუთწლიური გეგმის თეზისების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 38.201 კაცმა. თეზისებს ხმა მისცა 37.816 კაცმა, წინააღმდეგ 240—0,6 პროც., თავი შეიკავა 145—0,4 პროც..

დისკუსიის დაწყებიდან 17 ნოემბრამდე მოსკოვში შესდგა 950 პარტკრება. კრებებს დაესწრო 70.028 კაცი. ცეკას თეზისებს ხმა მისცა 68.295 კაცმა, წინააღმდეგ 1.281 კაცმა, თავი შეიკავა 452.

კიევი, 19 ნოემბერი. ცეკას თეზისების განხილვის დროს იანვარის რაიონის 45 უჯრედში 1.922 მონაწილედან თეზისებს ხმა მისცა 1.891 კაცმა, წინააღმდეგ 24, თავი შეიკავა 7 კაცმა. (ადს).

ხარკოვი, 19 ნოემბერი. 17 ნოემბრამდე უკრაინის ყველა ოლქებში ჩატარებულ 436 კრებაზე თეზისების განხილვის დროს 58.144 მონაწილე პარტიის წევრიდან ცეკას ხაზის წინააღმდეგ ხმა მისცა 337 კაცმა, თავი შეიკავა 172 კაცმა (ადს).

აზერბეიჯანის კომპარტიის მერვე ყრილობა

რეზოლუცია ტროცკისტულ ოპოზიციასთან დამოკიდებულების შესახებ

ბაქო, 19 ნოემბერი. აზერბეიჯანის კომპარტიის მერვე ყრილობის რეზოლუციაში ტროცკისტულ ოპოზიციასთან დამოკიდებულების შესახებ სხვათა შორის ნათქვამია: „აზერბეიჯანის კომპარტიის მერვე ყრილობა სავსებით და მთლიანად იწონებს საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებას ტროცკის და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის და კამენევის, სმილგას, რაკოვსკის და სხვ. ცეკადან და ცენტრალურ საკონტროლო კომისიიდან გამორიცხვის შესახებ. ყრილობა სთვლის, რომ ყველა, ვინც ცდილობს გახრწნას და დაანგრიოს ბოლშევიკების ლენინური პარტია, გარიცხული უნდა იქნეს პარტიის რიგებიდან. მხოლოდ გადამწყვეტი ენერგიული ბრძოლით რენეგატების და მოღალატეების წინააღმდეგ შეიძლება ვაიძულოთ ტროცკისტული ოპოზიცია შესწყვიტოს ანტიპარტიული და ანტისაბჭოთა მუშაობა.

ყრილობა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ბაქოს ორგანიზაციამ ერთხმად და სასტიკად დაჰგმო ტროცკისტების თავხედური გამოსვლა. ბაქოს ორგანიზაცია ყოველთვის იყო და დარჩება ლენინიზმის დასაყრდენი.

ყრილობა მოუწოდებს აზერბეიჯანის კომპარტიის წევრებს, განსაკუთრებით მის პროლეტარულ ავანგარდს—ბაქოს ორგანიზაციას—კიდევ უფრო მჭიდროდ გააერთიანონ თავიანთი რიგები ლენინის დროშის გარშემო ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად. ყრილობა ავალებს ცეკას დაიცვას აზერბეიჯანის კომპარტიის მთლიანობა და ებრძოლოს ბოლშევიზმის მოღალატეებს ყველა ზომებით თვით პარტიის რიგებიდან გარიცხვამდე.

ლენინიზმისათვის, ტროცკიზმის წინააღმდეგ! საკავშირო კომპარტიის მთლიანობისათვის, გამთიშველთა და დეზორგანიზატორების წინააღმდეგ!

ბაქო, 19 ნოემბერი. აზერბეიჯანის კომპარტიის მერვე ყრილობის 18 ნოემბრის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება. მოხსენების მიხედვით ყრილობას დაესწრო 496 დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. მირზოიანის მოხსენება ოპოზიციის შესახებ. ყრილობამ მიიღო ოპოზიციის საწინააღმდეგო რეზოლუცია, რამაც მქუხარე ტაში გამოიწვია.

ცეკა არჩეულ იქნა 71 წევრის და 21 კანდიდატის შემადგენლობით. ცეკას წევრებათ არჩეული არიან: ამხ. აგამალი-ოღლი, რუხულა ახუნდოვი, ალი მამედოვი, ბარინოვი, ბაგიროვი, ბუნიატ-ზადე, ივანოვი, კარაევი, კონუშკინი, მუსაბეკოვი, მირზოიანი, ეფენდიევი და სხვ.

სარევიზიო კომისია არჩეულ იქნა 10 წევრის შემადგენლობით, საკონტროლო კომისია—106 წევრის შემადგენლობით, მათ შორის ამხ. პლეშაკოვი, ნარიმანოვი, მაშადი ჰუსეინოვი, გორობჩენკო, გაზერკონი და სხვ.

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ყრილობაზე არჩეულია 244 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 60 სათათბირო ხმით. (ადს).

აზერბეიჯანის კომპარტიის ახალ შემადგენლობის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმი

ბაქო, 19 ნოემბერი. შესდგა აზერბეიჯანის კომპარტიის ახალი შემადგენლობის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა აირჩია პრეზიდიუმი 11 წევრის და ორი კანდიდატის შემადგენლობით. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში შედიან: აღამალი-ოღლი, აღავერდიევი, ახუნდოვი რუხულა, ბუნიატ-ზადე, ივანოვი ტიმოთე, კარაევი ალი-გაიდარი, კასპაროვი იუსუფი, კონუშკინი, მირზოიანი ლევანი, მუსაბეკოვი და ეფენდიევი ახკერი. კანდიდატებათ: რზაევი ნავრუზ, ახუნდ-ზადე, ბარინოვი, ეფენდიევი, სულტან-მეჯიდი. ცენტრალურ კომიტეტის მდივნებათ არჩეულია: კარაევი ალი ჰეიდარი, კასიმოვ იუსუფ, მირზოიან ლევონ. გაზეთების რედაქტორებათ დამტკიცებულ არიან: „ბაკინსკი რაბოჩი“-სათვის—ლივშიც მიხეილ, „კომუნისტი“-სათვის თურქულ ენაზე—კასიმოვ იუსუფ. (ადს).

სომხეთის კომპარტიის (ბ) ყრილობა

ამხ. ამირხანიანის მოხსენება

ერევანი, 19 ნოემბერი. სომხეთის კომპარტიის (ბ) ყრილობის მე-10 სხდომაზე სომხეთის ცენტრალურ საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ამირხანიანი.

თავის მოხსენების პირველ ნაწილში ამხ. ამირხანიანმა გაშუქა საერთო პოლიტიკური ხასიათის საკითხები და შემდეგ შეეხო ადგილობრივ ოპოზიციონერების მუშაობას.

„სომხეთში ოპოზიციონერებმა,—ამბობს მომხსენებელი,—თავისი ფრაქციული მუშაობა გააძლიერეს სომხეთის კომპარტიის ცეკასა და ც. საკ. კომ. მარტის გაერთიან. პლენუმის შემდეგ ხოლო ყველაზე უფრო მეტი აქტივობა გამოიჩინეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასა და ც. ს. კ. აგვისტოს პლენუმების შემდეგ, როცა მოსკოვიდან ჩამოვიდნენ ოპოზიციონერი სტუდენტები. სომხეთის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ ოპოზიციონერების მუშაობა თავიდანვე განსაზღვრა, როგორც განახლებულ ტროცკიზმის ისტერიული ბრძოლა ლენინიზმთან, ბრძოლა, რომელსაც ახასიათებს ფრაქციულობა და მიმართულია პარტ.მთლიანობის წინააღმდეგ. ცენტრალური საკონტროლო კომისია თავისი აბსოლუტური უმრავლესობით (43—48 წევრიდან) იდგა პარტიის მე-14 ყრილობისა და მე-15 პარტკონფერენციის პრინციპიალურ პოზიციებზე.

ოპოზიციის დამახასიათებელია მეთოდი, რომელსაც ის ხმარობს პარტიის წევრებს შორის თავისი მომხრეების შეგროვების დროს. ოპოზიციონერები პარტიის წევრებში იწვევდნენ ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს იმით, რომ თითქოს მათ განკარგულებაშია ისეთი ძვირფასი დოკუმენტები, რომლებიც დაფარულია პარტიის მიერ. სინამდვილეში კი პარტიის წევრებს ისინი აწვდიდნენ ოპოზიციონურ-ფრაქციულ ლიტერატურას, მაგრამ იმ პირობით, თუ ხელს მოაწერდენ 83-ის განცხადებაზე. ფრაქციული მუშაობა განსაკუთრებით ძლიერი იყო ლენინაკანში და კარაკლისში, სადაც მოსკოვიდან ჩამოსულ „გასტროლიორებს“ კავშირი ჰქონდათ ზოგიერთ ადგილობრივ ოპოზიციონერებთან და ამ გზით მათ შესაძლებლობა მიეცათ ეწარმოებიათ ფრაქციული მუშაობა.

ამჟამად უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციონერები საბოლოოდ გაკოტრებული არიან პარტიულ მასებში. ფრაქციული მუშაობისათვის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ პარტიიდან გამორიცხა 8 ოპოზიციონერი, პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ც.ს.კ. სუსტ რეპრესიებს მიმართა ოპოზიციონერების მიმართ. მაგრამ ეს „სისუსტე“ აიხსნება იმით, რომ სომხეთში ტროცკისტულმა ფრაქციულმა მუშაობამ პირველად იჩინა თავი და ამიტომ ცენტრალური საკონტროლო კომისიამ პირველი და უკანასკნელი გაფრთხილების მიზნით ლმობიერად მოეპყრა ოპოზიციონერებს.

ოპოზიციამ დაამტკიცა, რომ ის გაუსწორებელია და ამიტომ ამჟამად ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ პარტიის რიგებიდან გამორიცხა სადრაზბეკიანი და პირლულიანი, სომხ. კ.პ. ცეკას და ც.ს.კ. წევრები.

შემდეგ ამხ. ამირხანიანი შეეხო ც.ს.კ.-ს მუშაობის სხვა მხარეებს. მან აღნიშნა სოფლის უჯრედების მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და სხვა მიღწევები.

კამათი

ამხ. ამირხანიანის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად ეხებოდნენ სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის, ბიუროკრატიზმთან ბრძოლის და აგრეთვე ოპოზიციის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლის საკითხებს.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ამირხანიანმა ამომწურავი პასუხი გასცა ყველა მიცემულ შეკითხვებზე და აღნიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა გაძლიერებულ იქნას კავშირი მასებთან.

ხუნაგთან და ქუნთრუშასთან ბრძოლის შესახებ

ყველა ცენტრალურ და დედა-ქალაქების კომიტეტებს

ამიერ-კავკასიის ზოგიერთ ადგილებში ხუნაგისა და ქუნთრუშას ეპიდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით, საკავშირო ა.ლ.კ. კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი,—ეპიდემიის გაჩენის თავიდან ასაცილებლად საერთოდ მოზარდთა და კერძოთ პიონერ-კოლექტივებში,—წინადადებას იძლევა:

1) საკავშირო კომკავშირის ყველა ცენტრალურ და დედა-ქალაქების კომიტეტებთან მოეწყოს დროებითი კომისიები ეპიდემიასთან ბრძოლისათვის, მაგ., შემდეგი შემადგენლობით: კომუნისტური პარტიის და კომკავშირის კომიტეტების, ნორჩ პიონერთა ბიუროების, მუშა და გლეხ ქალთა განყოფილების, ჯანმრთელობის და სახალხო განათლების კომისარიატების წარმომადგენლები.

2) გამოყოფილ იქნას წარმომადგენლები კომკავშირის კომიტეტებიდან, ნორჩ პიონერთა ბიუროდან და მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებიდან ჯანმრთელობის განყოფილებების როგორც ცენტრალურ, ისე რაიონულ სანიტარულ ორგანიზაციებში სამუშაოდ—ეპიდემიის წინააღმდეგ სათანადო ზომების მისაღებათ.

3) ვინაიდან პიონერ-კოლექტივები ცუდ სანიტარულ-გიგიენურ პირობების შემთხვევაში, შეიძლება გახდენ ეპიდემიის გავრცელების ბუდე, და ადვილი შესაძლებელია ეპიდემიის გადატანა კოლექტივიდან სკოლაში და პირიქით—ვინაიდგან პიონერების უმრავლესობა სწავლობს ამა თუ იმ სკოლაში,—საკავშირო კომკავშირის ამიერ-კავკ. კომიტეტი წინადადებას იძლევა გატარებულ იქნეს შემდეგი ზომები, როგორც პიონერ-ორგანიზაციების, ისე სასკოლო ხაზით მათ შორის შეთანხმებულ და შეფარდებულ მუშაობის დასამყარებლად ეპიდემიასთან ბრძოლის დროს.

ა) სათანადო ხელმძღვანელ ორგანოების საშუალებით ყველა პიონერ-კოლექტივებზე მიმაგრებული იქნეს საექიმო პერსონალი შესაფერი მეთვალყურეობის გასაწევათ.

ბ) შემცირებულ იქნას შეკრებათა რაოდენობა პიონერ-კოლექტივებში;

გ) ავადმყოფობის გაჩენისას დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას გადამჭრელი ზომები დანარჩენი ბავშვების იზოლიაციისათვის და ავადმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ;

დ) პიონერ-კოლექტივებში გაძლიერებულ იქნას სანიტარული კომისიების მუშაობა მიმაგრებული ექიმის ზედამხედველობით;

ე) სანიტარულ განათლების განყოფილებების და სასკოლო სანიტარული ექიმების ძალებით ჩატარებული იქნეს განმარტებითი საუბრები ავადმყოფობის გავრცელების მიზეზების და ეპიდემიის გავრცელებასთან ბრძოლის შესახებ. ეს საუბრები უნდა მოეწყოს, როგორც პიონერ-კოლექტივების უფროსების თათბირებზე და სემინარებზე, ისე პიონერ-კოლექტივებში და სკოლის ბავშვებში.

4) ადგილობრივ მოსახლეობის ჩასაბმელად ეპიდემიასთან ბრძოლაში საჭიროა:

ა) სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით ჩატარებულ იქნას განმარტებითი საუბრები მოსახლეობაში, რისთვისაც გამოყენებული იქნას [illegible], სადელეგატო და მუშური კრებები და სხვა.

ბ) დაავადმყოფებულ ბავშვების შესახებ (ოჯახებში, სკოლებში, კოლექტივებში) ცნობების შეკრების საქმეში ჩაბმული უნდა იქნას კოოპერატივები, ქალი-დელეგატები, საბინაო ამხანაგობები, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მჭიდრო მოსახლეობაა.

ცნობები ჩატარებულ მუშაობის და მიღებულ ზომების შესახებ [illegible] უნდა გადაეგზავნოს საკავშირო კომკავშირის ამიერ-კავკასიის კომიტეტს.

საკ. კომკავშ. ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი რახ[illegible]

ამიერ-კავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე: **ქარაბინოვი**.

„ავსტრო-მარქსიზმის“ გაკოტრება

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობის გამო

(წერილი ავსტრიიდან)

ახლახან დამთავრებული პარტიული ყრილობა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისა მნიშვნელოვან გარდატეხას წარმოადგენს როგორც ავსტრო-მარქსიზმის, აგრეთვე ავსტრიის პროლეტარიატის ისტორიაშიც.

ამ ყრილობაზე „მთელ მსოფლიოში უმარცხენესმა სოციალ-დემოკრატიამ“ მნიშვნელოვანი გადახრა მოახდინა მარჯვნივ, რაიცა აუცილებელი გახდა კლასობრივ წინააღმდეგობათა ულმობელად გამწვავების გამო. თავის თავად ცხადია, რომ ამ ყრილობაზე უდიდესი გავლენა მოახდინა 15 ივლისის დიდმა ამბებმა; არა მარტო იმიტომ, რომ ამ აჯანყების განვითარების წყალობით მთელი ავსტრიის პროლეტარიატი უშუალოთ და სულ სხვანაირათ, ვიდრე ამას სოციალ-დემოკრატიული პროგრამა გულისხმობდა, ხელისუფლებისათვის ბრძოლის წინაშე იქნა დაყენებული; არამედ იმიტომაც, რომ ბურჟუაზია იმდენად გაძლიერდა, რომ მას შეუძლია თავისი პოლიტიკა შეუპარავი კომპრომისების გარეშე აწარმოოს: ამას აღარ სჭირია მისი ერთგული სოციალ-დემოკრატიის „მემარცხენე“ ფრაზები, რომელთაც ბურჟუაზიულ სისტემის კრიზისის დროს მას დაუფასებელი სამსახური გაუწიეს. კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება, ავსტრიის კონტრრევოლუციის გაძლიერება საშუალებას უსპობს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიას შუაგულში წვექ-უკუჯექობის ვითომდა რადიკალური პოლიტიკა აწარმოოს.

ავსტრო-მარქსიზმის გაკოტრება იმდენად ცხადია, რომ თვით მისი ოსტატები იძულებულნი არიან ეს აღიარონ. სოციალ-დემოკრატია ულმობელად არჩევანის წინაშე სდგას და რასაკვირველია ბურჟუაზიასთან აშკარა კავშირს დაეჭიდა არჩევს. ამაშია მისი უკანასკნელი პარტიული ყრილობის ნამდვილი აზრი.

უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა რენნერის მემარჯვენე ჯგუფის ყრილობაზე შემოტევამ, რომელიც მისი გამარჯვებით დამთავრდა. გულწრფელი ოპორტუნისტი კარლ რენნერი, რომელიც თითქმის პოლიტიკურად გათავებული ადამიანი იყო, უცებ ერთი ხელის დაკვრით ხელახლა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ფიგურათ იქცა, თუმცა სხვადასხვა მოსაზრებით ოტტო ბაუერისთვის ჯერ-ჯერობით არ ჩამოურთმევიათ პარტიის „ხაგარიო“ წარმომადგენლობა. რენნერმა გაიმარჯვა ოტტო ბაუერზე, მიტომ, რომ პოლიტიკური მდგომარეობა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიისაგან მოითხოვდა, რომ მას „მემარცხენე“ ფრაზა დაეთმო და აშკარა მემარჯვენე კურსს დადგომოდა.

უშუალოდ 15 ივლისის აჯანყების მეორე დღესვე გამომჟღავნდა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ღრმა კრიზისი. პარტიის ცეკას ორი მხრიდან შეუტიეს: **მარცხნივ** გაჩნდა ფართო მუშური ოპოზიცია, რომელსაც ამ არაჩვეულებრივ მჭიდროთ დარაზმულ პარტიაში მხოლოდ ნელის ნაბიჯით შეუძლია განვითარდეს და ჯერ-ჯერობით მხოლოდ ქვედა პარტიულ უჯრედებში და პროფკავშირულ ორგანიზაციებში იჩენს თავს; **მარჯვნივ** წამოიჭრა მედგარი ოპოზიცია, რომელსაც გამოცდილი ბელადები ხელმძღვანელობენ და რომელიც სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკის „გაწმენდას“ მოითხოვს, რათა შესაძლებელი გახდეს აშკარა კოალიცია ბურჟუაზიასთან. ეს ოპოზიცია რენნერის ხელმძღვანელობით თავის ოფიციალურ დოკუმენტებში აღიარებს, რომ სავსებით ეთანხმება პარტიული გამგეობის ფაქტიურათ წარმოებულ პოლიტიკას, მხოლოდ საშიშათ და გაურკვევლად სთვლის მის ფრაზეოლოგიას, რომელიც უარყოფილ უნდა იქნეს.

ჯერ კიდევ ყრილობის დაწყებამდე ბურჟუაზიულ გაზეთებში დაიბეჭდა რენნერის განცხადება: 15 ივლისის გაკვეთილი იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო უნდა მოეღოს გაორების პოლიტიკას და „გადაჭრით აღიარებულ იქმნას დემოკრატია, სახელმწიფოებრიობა და მთავრობაში მონაწილეობის მიღების სურვილიო“. ხოლო ყრილობის გახსნის წინა დღით ბურჟუაზიულ გამომცემლობაში გამოვიდა დოქტორ ოსკარ ტრებიჩის ბროშურა, რომელიც რენნერის ჯგუფის აზრების ჭეშმარიტ დეკლარაციათ ითვლება. ამ ბროშურაში სხვათა შორის სწერია: „ჩვენ წინანდელზე უფრო ხმა მაღლა და უფრო გულმოდგინეთ დღეს, 15 ივლისის ამბების შემდეგ, ვაღიარებთ დემოკრატიულ გზის და დემოკრატიული პოლიტიკის უპირატესობას და კეთილგონიერებისა და ზომიერებისაკენ მოვუწოდებთ.., დემოკრატია არის არა ხელისუფლების დაპყრობის **ერთი** მეთოდთაგანი და არა საუკეთესო მეთოდი, არამედ **იგი ერთად ერთი შესაძლებელი მეთოდია**.. შორს სამოქალაქო ომიდან! აი ჩვენი ლოზუნგი ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში... მე საჭიროდ მიმაჩნია შეიარაღებული აჯანყების პრობლემის გადასინჯვა. დროა გულდამშვიდებით გავაძევოთ ჩვენი რიგებიდან განუკურნებელი რადიკალები, თუნდაც ამით ავსტრიის კომუნისტურ ჯგუფს გაუადვილდეს გაზრდა და ძლიერ პარტიად გადაქცევა. სამწუხაროდ მთელი ევროპის მუშათა მოძრაობამ გაიარა ეს ავადმყოფობა, ჩვენ დღემდე ერთად ერთ გამონაკლისს წარმოვადგენთ... მაგრამ რადგან ეს მოვლენა საყოველთაოა, ჩვენ შევგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს აუცილებელიცაა ისტორიულად. რაც ევროპაში მოხდა, დაე ავსტრიაშიც მოხდეს“..

აქ მთელი პროგრამაა მოცემული! თვითონ რენნერმა იგი შეავსო ერთ მნიშვნელოვან პუნქტში, როცა გამოაცხადა „მუშათა კლასის უფლება სახელმწიფოებრივ მართვა-მაგეობაში მონაწილეობაზე“ და კოალიცია, რომელსაც დღემდე ავსტრო-მარქსისტები ითმენდნენ როგორც დროებით და აუცილებელ ბოროტებას, ცენტრალური პოლიტიკურ მოთხოვნილებათ გადააქცია.

თავდაპირველად მემარჯვენე ჯგუფის იერიში პარტ. გამგეობამ განმარტებულ წრეების კერძო მოქმედებათ დასახა. სოციალ-დემოკრატიული „აბენდ“ სწერდა 8 ოქტომბრის თარიღით: „სოციალ დემოკრატიაში არც ერთი ადამიანი არ ოცნებობს კოალიციაზე გარდა დოქტორი რენნერისა“-ო.

შემდეგ ოტტო ბაუერი შეეცადა მემარჯვენეთა იერიში თავისი პოლიტიკის გასაგრძობათ გამოეყენებინა; პარტიული ყრილობის დღის წესრიგში განგებ შეტანილ იქნა მემარჯვენე ოპოზიციის თანამოხსენება, რათა „რენნერის იერიშების მოგერიების“ დროს გზადაგზა მემარცხენე ელემენტები ხელახლა მოეგროვებინა... ავსტრო-მარქსიზმის „კეთილი მწყემსის“ გარშემო. მაგრამ მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა და **უმრავლესობა რენნერს მიემხრო პარტიულ ყრილობაზე**.

ეს ამბავი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა ბაუერის მომხრე პარტიული ცეკასთვის ოტტო ბაუერმა თავისი მოხსენება წაიკითხა, თავისი ცნობილი წვექ-უკუჯექობის და ჯამბაზობის შედევრი. მან სხვათა შორის განაცხადა: „მე აზრათაც არ მომდის კოალიციის უარყოფა სამუდამოთ, მეტისმეტად ადვილი შესაძლებელია, რომ ბურჟუაზიის ბატონობიდან პროლეტარიატის ბატონობისაკენ მიმავალ გზაზე იძულებული გავხდებით ასეთი გარდამავალი საფეხური გავიაროთ... მაგრამ ათასჯერ უკეთესია ეს გზა ერთათ გავიაროთ, მიტომ, რომ ამ შემთხვევაში ადვილი იქნება შეცდომების გასწორება, ვიდრე სწორი გზის ძიებაში გავითიშოთ“-ო.

ასეთი იყო ბაუერის სიტყვის ლეიტმოტივი. სრული თანხმობა რენნერის „სწორ გზასთან“, მაგრამ ამასთანავე მუდარა—ყოველივე დაფარულად მოხდეს, რათა პარტიის გათიშვა თავიდან ავიცილოთ. ამასთანავე აღსანიშნავია ამ „დიდი მარქსისტის“ შეხედულება, თითქო გაუთიშველად შესაძლებელი იყოს არაპროლეტარული გზით სიარული.

შემდეგ **რენნერმა** ილაპარაკა. მან განავითარა არა მარტო შემოთავაზებული პრაქტიკულ-პოლიტიკური პროგრამა, არამედ მარქსიზმის სრული რევიზიაც მოახდინა და უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში დიდათ დასაფასებელი გულახდილობა გამოიჩინა. მან ულმობელად გამკიცხა ივლისის მებრძოლები, რომლებიც მისი სიტყვით „დისციპლინის დამრღვევლები არიან და თავს ვერ გამოიდებენ ავსტრიის პროლეტარიატის წინაშე“. მისი მოხსენებიდან შემდეგი ადგილია აღსანიშნავი: „ჩვენ დავინახეთ, რომ **მუშათა კლასმა** შეცდომა ჩაიდინა (სიტყვა სიტყვით.), ეს შეცდომა მისი უდისციპლინობიდან გამომდინარეობს. მთელი ჩვენი ორგანიზაციული აპარატი გასინჯული უნდა იქმნას. დისციპლინა უნდა დამყარდეს ზემოთ და ქვემოთ!.. გარკვევით უნდა ითქვას. რომ ავსტრიაში მომავალში, სანამ ჩვენი თვალი მისწვდება, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ რევოლუცია მოხდება და ამიტომ ყოველი რიტორიული პათოსი უნდა უარვყოთ. ძველი მილიტარული და პოლიციური სახელმწიფო გაბატონებული კლასების აღმასრულებელი კომიტეტი იყო; ეს პირობები არსებითათ შეიცვალა. ბევრი რამ ვისწავლეთ ახალი სახელმწიფოს შესახებ. აქ აღარ გამოგვადგება ზოგადი, მარქსისა და ენგელსის ნაწერებიდან აქა იქ ამოგლეჯილი ციტატები; საკუთარი ჭკუით უნდა დავინახოთ ის ახალი და თავისებური მოვლენები, რომლებიც ჩვენს გარშემო ხდება. ოტტო ბაუერს კი მოაქვს სოციალიზმის დაპყრობის ცნება, რომელიც გამოცოცხლდა კომუნიზმის შემწეობით...

ჩვენ მუშათა კლასი უნდა აღვზარდოთ დადებითი რევოლუციური მოღვაწეობისათვის, ე. ი. სახელმწიფოსა, პროვინციისა, თემის მართვა-გამგეობისათვის. ბავშვობაა იმის თქმა, რომ ან მთელი სახელმწიფო ხელისუფლება უნდა ჩავიგდოთ ხელში, ან ყველაფერზე უარი უნდა ვსთქვათ: რომ თუ ამრჩევლების 48 ან 49 პროცენტი გვყავს უძლურნი ვართ, ხოლო თუ 51 პროცენტი—ყოვლის შემძლებელნი... კოალიცია კი არ სცვლის კლასობრივ ბრძოლის მეთოდებს, მას ისინი მხოლოდ ქუჩიდან და პარლამენტიდან სამინისტროს საბჭოს დარბაზში გადააქვს (!!) შეუძლებელია ჩვენს კლასს უარი ვუთხრათ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობაზე: ეს ჩვენ უნდა მოგვეცეს, როგორც უფლება და არა როგორც [illegible]

ეს შერწყმანი [illegible]

სიტყვა იყო „მემარცხენე“ ავსტრომარქსიზმის ყრილობაზე! ამასთანავე სრულიად მოულოდნელათ რენნერმა უმრავლესობა მიიმხრო; 24 ორატორიდან, რომლებიც კამათში მონაწილეობა მიიღეს აშკარათ რენნერს მიემხრო, მათ შორის ოტტო ბაუერის უახლოესი მეგობრები ფრიდრიხ **ადლერი**, ფრიდრიხ **აუსტერლიცი**, იულიუს **დოიჩი** და სხ. აგრეთვე ორგანიზაციათა წარმომადგენლების დიდმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა რენნერს.

ამ რევიზიონისტული კამათიდან აღსანიშნავია აგრეთვე კარლ **ლეიტნერის** ცინიკური შენიშვნები „დაძველებულ ბროშურების დაძველებულ დებულებებზე“ (ნაგულისხმევია მარქსისა და ენგელსის მოძღვრება). ბოლოს საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყრილობამ მკაცრათ დაჰგმო მაქს ადლერის გაუბედავი ცდა ავსტრო მარქსიზმის ძველი ფრაზების განმეორებისა.

თავისთავათ ცხადია, რომ პარტიული ყრილობის დასასრულს გამოძებნილ და აღმოჩენილ იქმნა „გამაერთიანებელი“ ფორმულა. ეს მით უფრო ადვილი იყო, რომ **ბაუერის** ჯგუფი არსებითად ეთანხმებოდა რენნერის ჯგუფს და მხოლოდ ნიღაბჩამოფარებულ ფორმულას მოითხოვდა, რასაც რენნერი თავის მხრით სიამოვნებით ეთანხმებოდა, მიტომ რომ არც მას უნდოდა გათიშვა. თვით კამათში იულიუს **დოიჩმა** გამონახა გამაერთიანებელი ფორმულა, როცა აღნიშნა, რომ კოალიციაზე კამათი ზედმეტია, სანამ არსად არის პარტნიორი, რომელსაც კოალიციაში შესვლა სურს. ამ სიძნელის დასაბამმა, რომელიც წინ ეღობება კოალიციის დამყარებას ავსტრიაში, სახელდობრ ზეიპელის „ძლიერმა ხელმა“, პარტიული ყრილობას გაუადვილა რენნერის თვალსაზრისის მიღება ისე, რომ არც [illegible] და არც [illegible]. ამრიგად **ერთხმათ** მიღებულ **რეზოლუცია** ამბობს: „**სანამ** ბურჟუაზიულ პარტიებს სწამთ, რომ სოციალ-დემოკრატიას უნდა წაერთვას სახელმწიფო ძალაუფლებაში მონაწილეობის შესაძლებლობა, კოალიცია ვერ შესდგება... ყრილობა მოუწოდებს ყველას, ვისაც სამოქალაქო ომის თავიდან აცილება სურს, მუშათა კლასთან ხელიხელჩაკიდებული შეებრძოლოს ბურჟუაზიული ბლოკის მთავრობის სისტემას“.

ამრიგად ერთხელ კიდევ აღმოჩენილ იქნა: სანამ ბურჟუაზიას კოალიცია არ სურს, იგი შეუძლებელი ყოფილა! მაგრამ სოციალ-დემოკრატია როდი კმაყოფილდება ამ აღმოჩენით; იგი მიმართავს „ბურჟუაზიის პატიოსან ნაწილს, რომელიც წინააღმდეგია სამოქალაქო ომისა“, შეებრძოლოს ბურჟუაზიულ ბლოკს, ე. ი. თავი გამოიდოს თანამედროვე მთავრობის შესაცვლელათ კოალიციის შემწეობით.

რეზოლუციის მეორე მწვერვალს წარმოადგენს პროლეტარიატის პასიობის გამოცხადება რეაქციის ეკონომიური და პოლიტიკური შემოტევის წინააღმდეგ: „არავითარი დემონსტრაცია არ უნდა მოხდეს საერთო გადაწყვეტილების გარეშე! არავითარი გაფიცვა არ უნდა დაიწყოს რომელიმე მნიშვნელოვან დარგში, თუ პროფკავშირის გაერთიანების თანხმობა არ იქნება“. „[illegible] თავდაცვის რაზმებმა“ ყოველი ძალღონე უნდა იხმარონ, რომ თავიდან აიცილონ შეტაკებანი, რომლებიც ფაშიზმს პროპაგანდის საშუალებათ და შეიარაღების საბაბათ იყენებს. მხოლოდ ერთის შემთხვევაში უნდა მიმართოს სოციალ-დემოკრატიამ ძალას, სახელდობრ, თუ რეაქცია შეეცდება დემოკრატიულ რესპუბლიკა დაამხოს... სოციალ-დემოკრატიამ 1928 წელს და შემდეგაც არა ერთხელ განაცხადოს, რომ ყოველ წუთში მზათ არის სამოქალაქო მოლაპარაკება დაიწყოს განიარაღებაზე“.

ამ [illegible] რეზოლუციაში ყრი[illegible] ამ სახით მიიღო, რომ ოტტო ბაუერს შეძლება ეძლევა მას ხელი მოაწეროს, და როგორ გულმოდგინეთ [illegible] იგი მისი დაცვის საქმეში იქიდან სჩანს, რომ სოციალ-დემოკრატიული პრესა უკვე აცხადებს: „ანაზე ძველი დროშა ფრიალებსო“. რამდენათ ბავშურია ეს ლაყბობა, რამდენი ცინიზმი და კონტრრევოლუციური [illegible] აჩენს მასში! საკმაოა ყრილობის მიმდინარეობისა და შედეგებისთვის თვალყურის დევნება, საკმაო იმ წარწერების წაკითხვა, რომელიც ვენის რეაქციონურ პრესაში იბეჭდება, რომ კაცმა დაინახოს რაც მოხდა: „რადიკალიზმის სრული დამარცხება სოციალისტების ბანაკში“, „გონიერების გამარჯვება“ („ნოეს ვინერ ჟურნალი“), რადიკალიზმის ციხე-სიმაგრის შენგრევა“ („ნოიეფრაიე პრესე“), „მუშათა კლასის მშვიდობიანობის დემონსტრაცია“ (დერ ტაგ)—აი ეს წარწერები.

რენნერმა გაიმარჯვა. ამ გამარჯვების აუცილებელი დამატება იყო ყრილობის გადაწყვეტილება, რომლის ძალით **საბჭოთა კავშირში გამგზავრებული დელეგატები და ერთობის კომიტეტის წევრები** გამოუძიებლივ გამორიცხულნი არიან პარტიიდან. ერთობის კომიტეტის სოციალ-დემოკრატი მდივნის **პილის** გაბედული სიტყვა ერთად ერთი ხმა იყო, რომელიც ამ ყრილობაზე გაისმა გულწრფელი მემარცხენე მუშათა წრიდან.

თუ პარტიულმა ყრილობამ რენნერს გამარჯვება მიანიჭა, თუ ის აშკარად მარჯვნივ გადაიხარა, ეს 15 ივლისის შედეგია, მაგრამ არა იმ ძალთა განწყობილების გამოხატულება, რომლებიც ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არსებობს. დაახლოებით 400 დელეგატიდან 90 პროცენტი ჯამაგირიანი პარტიული მოხელე იყო, კამათში **არც ერთს** დაზგას მუშას არ მიუღია მონაწილეობა. ყრილობა პარტიული აპარატის გამოხატულება იყო. პარტიულ მასებში ცოტა არ იყოს სხვა ნაირი მდგომარეობაა და დიდათ დამახასიათებელია, რომ სიტყვა **კოალიციის** გვერდით, ისევე ხშირად იხმარებოდა სიტყვა: **გათიშვა**.

რასაკვირველია, ეს ტრადიციებით დატვირთული პარტია ჯერ კიდევ მტკიცედ არის შეკავშირებული; ხელმძღვანელები მომავალშიც ღონისძიებებს მემარცხენე ფრაზებს გააკეთებენ; ბურჟუაზიაც ხელს უწყობს მას რამდენადაც ამხანათ უარს ამბობს კოალიციაზე და ამრიგად ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ნიღბის ახდის პროცესს აგვიანებს.

მაგრამ ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის გათიშვის მომენტი მაინც შეუჩერებლივ ახლოვდება. მიტომ, რომ ამ პარტიაში დღესაც ათიათასობით მოიპოვებიან პროლეტარული ელემენტები, რომლებიც გამოცდილების მიხედვით **გულწრფელად** მას რევოლუციონურ პარტიათ სთვლიან. 15 ივლისს ეს რწმენა საფუძვლიანად შეირყა. და უკანასკნელ ყრილობიდან იწყება ახალი პერიოდი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის განვითარებაში, რომლის დროს აუცილებელი ხდება მძაფრი შეტაკებანი მემარცხენე მუშათა მასებსა და რეფორმისტ ბელადებს შორის.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობამ დაადასტურა ავსტრო-მარქსიზმის გაკოტრება და მეტი სინათლე შეიტანა პოლიტიკურ ურთიერთობაში,—ამაშია მისი ისტორიული მნიშვნელოვანი შედეგი.

ამას უნდა მოჰყვეს ავსტრიის კომუნისტური პარტიის მასსიურ პარტიათ გადაქცევა, რასაც რენნერის მიმდევრები ძალაუნებურათ უკვე წინასწარ ურიგდებიან; ამას წინასწარ პირობებს უქმნის სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა, ამას ხელს შეუწყობს თვით ავსტრიელი კომუნისტების აქტივობა.

მილლი შლაი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

მომავალი ომი

უკანასკნელ ხანებში ბევრი იწერება მომავალი ომის ხასიათის შესახებ. ზოგიერთ წერილების ავტორები დიდ ყურადღებას აქცევენ ომის ტეხნიკურ მხარეს და ივიწყებენ, რომ მთავარ მომქმედ პირად ომში რჩება ისევ და ისევ ცოცხალი ძალა. ზოგიერთნი კი ამცირებენ ავიაციის და ქიმიის მნიშვნელობას და მოჰყავთ მაგალითები, რომლებიც არ შეეფერებიან სინამდვილეს.

მე მსურს ამ წერილში, იმ მასალების მიხედვით, რომლებიც გამოქვეყნებულ არიან კაპიტალისტურ ქვეყნების პრესაში, გავარკვიო, თუ როგორი ხასიათი ექნება მომავალ ომს.

ყოველ მეომარ მხარეს ეყოლება შედარებით ძალიან მცირე სამხედრო საჰაერო ფლოტი, რომლის რეზერვათ გამოიყენება სახელმწიფოს კომერციული ფლოტი, შეგროვილი მობილიზაციის საშუალებით. მეომარ სახელმწიფოების პირველი ცდა მიმართული იქნება საჰაერო ძალების დასაჯგუფებლად სამხედრო მოქმედებათა ასპარეზთან, რომ სწრაფი იერიშით გაანადგურონ ჰაერიდან მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი პუნქტები; დარტყმის ძალა მიმართული იქნება არსენალების, საწყობების, გზების, ქარხნების და სხვა მნიშვნელოვან პუნქტების წინააღმდეგ.

ზოგიერთნი ფიქრობენ რომ ასეთი სწრაფი საჰაერო იერიშის შედეგი იქნება ომის მალე დამთავრება. მაგრამ, ეს ასე არ არის. ეჭვს გარეშეა, რომ მომავალ ომში საჰაერო ფლოტის საშუალებით შესაძლებელი იქნება განადგურება, როგორც ცოცხალი ძალის, ისე მატერიალური რესურსების დიდი რაოდენობისა. მაგრამ, ამავე დროს უმჯობესდება თავდაცვის საშუალებები. არტილერიის ცეცხლი, ხელოვნური ღრუბლები, გამანადგურებელი ავიაცია—ყველა ეს გააძნელებს საჰაერო თავდასხმას და მაიყენებს ზარალს თავდამსხმელს. ჰაერში სავსებით გაბატონება, როგორც ეს იყო ზღვაზე—შეუძლებელია.

რაც შეეხება ომის დროს მორალურ ზეგავლენის მოხდენას მოწინააღმდეგეზე, უნდა ითქვას, რომ ადამიანს შიშსა ჰგვრის ჯერედ უცნობი, უნახავი რამ. მაგრამ, ამავე დროს, როგორც ეს დაგვანახვა იმპერიალისტურმა ომმა ადამიანი მალე ეგუება ომის ყოველ საშიშროებას. რადგან საჰაერო ომმა გააფართოვა ომის ასპარეზი, მოსპო განსხვავება მებრძოლთა და მშვიდობიან მოსახლეობის შორის, საჭიროა, რომ მოსახლეობა ეხლავე შეეჩვიოს იმას, რომ ომის დროს მას მოუხდება ბევრი გაჭირვების ატანა.

საწარმოო ცენტრებზე საჰაერო თავდასხმა უეჭველია გამოიწვევს ცოცხალი ძალის, ადამიანთა დიდ მსხვერპლს, რასაც მოჰყვება არასასურველი შედეგები. ქვეყნის მორალურ მდგომარეობაზე შეიძლება იმოქმედოს პირველ საჭიროების და საარსებო საგნების შემცირებამ. თუ საჰაერო ფლოტი მიაღწევს ამას ქალაქების და ქარხნების განადგურებით—მისი ამოცანა შესრულებული იქნება. მაგრამ, ამის მისაღწევად ძალიან დიდი დროა საჭირო, მეტადრე მიწადმოქმედების ქვეყანაში, სადაც საარსებო საშუალებები არ არიან თავმოყრილნი ერთად. თუ ქვეყნის შიგნით დეზორგანიზაცია მოხდენილია საფუძვლიანად, უეჭველია ეს იქონიებს გავლენას არმიის და ფლოტის მდგომარეობაზე, მაგრამ, თქმა იმის, რომ ამით მოწინააღმდეგე იქნება იძულებული დაჰყაროს იარაღი, არ არის სწორი.

გამარჯვება შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ გადამწყვეტი ბრძოლით, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ქვეყნის ყველა ძალები და რომელიც დაასრულებს ომს. ასე იყო წინათ და ეს რჩება ძალაში ეხლაც. მომქმედი არმიის სრული განადგურება არის აუტანელი პირობა მოწინააღმდეგის დასაძლევად. ამისათვის საჭიროა, რომ სახელმწიფომ გააძლიეროს თავისი ჯარი. ჯარის მობილიზაციას და მის გაყვანა-გამოყვანას ხელს შეუშლის ავიაცია, მაგრამ ეს შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს საწინააღმდეგო საშუალებებით. რეზერვები მოთავსებულ იქნებიან არა ყაზარმებში, არამედ სპეციალურ ბანაკებში, რომლებიც უზრუნველყოფილ იქნებიან საჰაერო თავდასხმისაგან. მექანიკური ტრანსპორტი ჯარისათვის საჭირო საგნები მოთავსებულ იქნებიან თავშესაფრებში და გამოიყენებიან სწრაფად. მომქმედი ჯარი მომარაგებულ იქნება ყველა საჭირო საშუალებებით. მას ეყოლება თავისი საკუთარი საჰაერო ფლოტი ძიებისა და თავდაცვისათვის; ექნება მექანიკური ტრანსპორტი სწრაფი მოძრაობისათვის. ამისათვის, იერიში შეიძლება მალე მიუახლოვდეს ქვეყნის შუაგულს, მაგრამ, ამავე დროს მეორე მხარეც სათანადოთ დახვდება მოწინააღმდეგეს, გამოიყენებს რა სწრაფადვე ყველა თავის საბრძოლო საშუალებებს.

ა. გედევანიშვილი.

ქიმიური იარაღი

იარაღი ჰქვიან ისეთ საგანს, რომლითაც უშუალოდ ან ადამიანის ხელით, ან სხვა რაიმე მექანიკური მოწყობილობით, შეიძლება ადამიანისათვის ჭრილობის მიყენება, ან მისი მოკვლა. ყოველივე იარაღს (დანა, თოფი, ტყვიამფრქვევი, ზარბაზანი, ხიშტი) ახასიათებს გარეგნული ფორმა. ის კი, რაც გამოყენებულ იქნა გერმანელების მიერ დასავლეთ ფრონტზე 1915 წლის 22 აპრილს, არა ჰგავს არც ერთს იარაღს. ქლორით მოწამლულ ჯარისკაცებს არ ჰქონდათ ჭრილობა, არც იყვნენ დასახიჩრებულნი. ასევე არა ჰქონდათ არავითარი ფორმა ბალონებიდან გაშვებულ ქლორს. მაგრამ, ქლორის საშუალებით შესაძლებელი შეიქნა მოწინააღმდეგის დამარცხება. ასე, რომ იგი გადაიქცა იარაღად, რომლის გამოყენება შეიძლება ისევე, როგორც აქნობამდის სხვა ცნობილ იარაღისა.

რომ გავერკვიოთ ქიმიურ ომის წარმოებაში, საჭიროა გავეცნოთ ქიმიური იარაღი, თუ რა თვისებები აქვს ამ იარაღს და როგორი სახით იქნება იგი გამოყენებული მომავალ ომში.

1914-18 წლის ომის დროს ცნობილ იყო მოწამლულ გაზების 80-მდე სახე. ფიზიოლოგიური თვისებებით მოწამლული გაზები იყოფება შემდეგ ჯგუფებად: მხუთავნი—(ქლორი, გოგირდიანი გაზი და სხვა) იწვევენ ძლიერ ხველებას, ფილტვების ანთებას და სიკვდილს; შხამიანი გაზები (ციან-წყალბადის სიმჟავე, ნახშირბადის ჟანგი) მოქმედებენ სასუნთქავ ორგანოებზე და იწვევენ სიკვდილს; ცრემლის გამომწვევნი (შრომის შენზილი, ქლორპიკრინი, აკროლეინი) აღიზიანებენ თვალის ლორწოიან გარსს და იწვევენ ცრემლის დენას და თვალის ტკივილს; კანზე მომქმედნი გაზები „დამახიჩრებელნი“ (იპრიტი, დიკი, ლუიზიტი)—ეს შეეხებიან რა ადამიანის კანს, იწვევენ მის დაჩირქებას ან შედიან რა შიგნით, კანის ქვეშ, ანადგურებენ სხვადასხვა ორგანოებს, რასაც მოსდევს სიკვდილი. უნდა ითქვას, რომ ამ ჯგუფის გაზები წარმოადგენენ ყველაზე საშიშ გაზებს. ისინი ანადგურებენ თვალებს, ყელს, ყურებს. ამიტომაც იპრიტს უწოდებენ „გაზების მეფეს“, ლიუიზიტს კი „სიკვდილის ნამს“; ცხვირის დამცემინებლები „(ადიმსიტი და სხ.). იწვევენ ცხვირის და ყელის ლორწოიან გარსის ნერვების გაღიზიანებას. ადამიანს ხვდება სურდო, ეწყება გულისრევა და ძლიერი თავის ტკივილი.

აქ ჩამოთვლილ გაზების გარდა შეიძლება ქიმიამ წარმოშვას სხვა სახის გაზებიც, რომლების მოქმედებაც ადამიანის ორგანიზმზე იქნება სრულიად მოულოდნელი.

როგორია ჩამოთვლილი გაზების ფიზიკური თვისება. მოწამლული გაზები არიან მსუბუქნი, მფრინავნი, რომლებიც სწრაფად ვრცელდებიან ამა თუ იმ რაიონში; არიან აგრეთვე მედგარი გაზები, რომლებიც დიდ ხანს არ იფანტებიან. ის რაიონი, რომელიც მოწყობილია მედგარი გაზით, არ შეიძლება დაკავებულ იქნეს მოწინააღმდეგის მიერ იმ დრომდე, სანამ გაზი არ გაიფანტება სავსებით. პირველ ჯგუფს (მფრინავებს) ეკუთვნიან შხამიანი გაზები, მეორე ჯგუფს (მედგარს)—კანზე მომქმედი გაზები.

უნდა ითქვას, რომ ბრძოლის დროს იხმარება არა მარტო გაზები, რომლებსაც აქვთ აორთქლების თვისება, არამედ მაგარი და სითხის მაგვარი (იპრიტი) გაზებიც. სახელწოდება—გაზი არ ამოსწურავს სავსებით იმ ნივთიერების ცნებას. რომელიც გამოყენებულ იქნება მომავალ ომში. ამიტომ სამხედრო ხელოვნებაში „გაზის“ ნაცვლად იხმარება სახელწოდება „მოწამლული ნივთიერება“.

ი. გ.—ლი.

ტერიტორიალური სისტემა

ცვალებადი წითელი არმიელები

ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში ირიცხებიან ოთხი ჰასაკის მოქალაქენი, რომლებიც წლოვანებით მიჰყვებიან ჯარში გაწვეულთა ჰასაკს. მაგ. წელს ჯარში გაწვეულ იქნენ 1905 წელში დაბადებული ახალგაზრდები, ტერიტორიალურ ნაწილებში იქნებიან 1904, 1903, 1902 და 1901 წელში დაბადებულნი მოქალაქენი. შარშან გაწვეულ იქნენ 1904 წელში დაბადებულნი, ტერნაწილში მსახურობდნენ 1903, 1902, 1901, 1900 წელში დაბადებულნი. ეხლა 1900 წელში დაბადებულნი გაეშვებიან უვადო შვებულებაში და მათ მაგივრად კი ჩაირიცხებიან 1904 წელში დაბადებულნი, ისე, რომ ყოველ წლიურად მიდის შვებულებაში ცვალებადელთა ერთი მეოთხედი. ყოველ ცვალებად წითელ არმიელს აქვს „წითელი არმიელის წიგნაკი“, სადაც აღნიშნულია მისი ვინაობა და ნაწილი, ათეული, ასეული, რომელშიაც იგი ითვლება. წითელი არმიელის წიგნაკის მიღებისთანავე ყოველ ცვალებადელი ითვლება სამხედრო მსახურად და ვალდებულია დაძახებისთანავე გამოცხადდეს თავის ნაწილში.

როდესაც ცვალებადელი დაბრუნდება ნაწილიდან სახლში, იგი ისეთივე მოქალაქეა, როგორც დანარჩენი მცხოვრებნი. მაგრამ, ამასთანავე ცვალებადელს აქვს განსაკუთრებული ვალდებულებანი. მაგ, როდესაც ცვალებადელს სურს წავიდეს თავის სოფლიდან 1½ დღეზე მეტი ვადით, მან უნდა მიიღოს ამის ნებართვა ასეულის უფროსისაგან. თუ მას სურს წავიდეს სოფლიდან ერთი ან ორი თვის ვადით, მაშინ უნდა ითხოვოს ნებართვა ათასეულის უფროსისაგან. ორ თვეს მეტ ვადას კი იძლევა მხოლოდ ლეგიონის უფროსი.

რისთვის არის საჭირო ასეთი ნებართვის აღება? ნაწილმა ყოველთვის უნდა იცოდეს, თუ სად, ან რისთვის წავიდა მისი ცვალებადელი, თუ ცვალებადელი **სტოვებს სავსებით თავის რაიონს, მაშინ იგი უნდა ჩაირიცხოს იმ რაიონის ნაწილში, სადაც იგი გადადის საცხოვრებლად იმ შემთხვევაში თუ ახალ საცხოვრებელ ადგილას, არ არის ტერნაწილი, მაშინ ცვალებადელი ირიცხება სამსახურის გასავლელად საკადრო ნაწილში.**

ცვალებადელებს რომ მიეცეს უფლება თავისუფალი გადასვლა-გადმოსვლისა, მაშინ ნაწილს არ ეცოდინება, თუ სად იმყოფებიან არმიელნი და შეუძლებელი გახდება მათი შეგროვება საჭირო დროს.

სახაზინო ქონებას და ტანსაცმელს ცვალებადელი არ იღებს ხელზე. მას ტანსაცმელი ეძლევა მხოლოდ შეკრების დროს. მაგრამ, ყოველ ცვალებადელს შეუძლიან შეიძინოს და ატაროს სამხედრო ტანსაცმელი, რადგან მას ამის უფლება მინიჭებული აქვს კანონის მიერ.

წვევამდე მზადება

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატმა გამოაქვეყნა ბრძანება და განცხადება 1906 წელში დაბადებულთა წვევამდე სამხედრო მომზადების შესახებ.

წრეულს წვევამდე მზადებას ახალგაზრდები გაივლიან ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიან ის ახალგაზრდები, რომლებმაც გასულ წელს გაიარეს მზადების პროგრამის პირველი ნახევარი. ეს ჯგუფი გაწვეული იქნება მზადებაზე 5 დეკემბრიდან—5 იანვრამდე. მეორე ჯგუფში შედიან ის ახალგაზრდები, რომლებიც ჯერ არ ყოფილან გაწვეულნი მზადებაზე. მათი მზადება იწარმოებს 1928 წლის 9 იანვრიდან 21 თებერვლამდე.

წვევამდელთა საექიმო შემოწმება, მათი ჯანმრთელობის გამოსარკვევად, დაიწყება 24 ნოემბრიდან. ამ მიზნით შემდგარია 5 კომისია. აქედან ორი კომისია იმუშავებს ადგილობრივ თბილისში, ორი—თბილისის მაზრაში, ერთი კი ბორჩალოს მაზრაში.

სამხედრო წვევამდე მზადებიდან თავისუფლდებიან: ამ.-კავკ. კომუნისტურ უნივერსიტეტის სტუდენტები, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის 1, 2 და 3 კურსის სტუდენტები, სახ. უნივერსიტეტის 1 და 2 კურსის სტუდენტები, რკინის გზელები და სახ. გაერთ. პოლიტ-სამართველოს თანამშრომლები.

მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც გაწვეულ იქნებიან მზადებაზე, ენახებათ სრული ჯამაგირი და ადგილი. დაწესებულებების და წარმოებების ადმინისტრაცია ვალდებულია დროზე განთავისუფლოს წვევამდელი მზადებაზე გამოსაცხადებლად და მზადების დამთავრების შემდეგ დაუშვას თავის ადგილზე. წვევამდელებს, მზადების დამთავრების შემდეგ, არ მიეცემათ არავითარი ცნობები მზადების გავლაზე. ასეთი ცნობები აღინიშნება მხოლოდ წვევამდელის სამსახურის წიგნაკში.

ის ახალგაზრდები, რომლებსაც ეხებათ მზადება და ასეთი უსწრებს მათ სხვა ადგილას, ვალდებულნი არიან გამოცხადდენ მზადების გასავლელად ადგილობრივ სამხ. კომისარიატში.

მზადება იწარმოებს სპეციალურად მოწყობილ პუნქტებზე. წვევამდელთა ნაწილი ჩაირიცხება სახელმწიფო კმაყოფაზე.

მზადების წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა, რომ ყველა წარმოებებმა და დაწესებულებებმა, სადაც მუშაობენ წვევამდელნი, დროზე განთავისუფლონ ასეთები სამუშაოდან, რომ დაგვიანებით არ შეფერხდეს სწავლება პუნქტებზე. დეზერტირების წინააღმდეგ მიღებული იქნება სასტიკი ზომები.

წითელ ყაზარმაში

ჩვენი მიღწევები

(№ ლეგ. საარტილ. დივიზიონი)

საარტილერიო დივიზიონში გასულ წელშიაც არსებობდა ლენინის კუთხე, მაგრამ იგი არ იყო შესაფერისად მოწყობილი და ვერ აკმაყოფილებდა წითელარმიელთა მოთხოვნილებას. ეხლა კი სულ სხვა სურათია. დივიზიონს აქვს სანიმუშოდ მოწყობილი ლენკუთხე, რომელიც მორთულია ლოზუნგებით, სურათებით, პლაკატებით და სხვა. კუთხეში არის „რემედას“-ის, ავიაქიმის და სამხედრო განყოფილებები; შეძენილ იქნა ჭადრაკი და სხვა გასართობები; გამოდის კედლის გაზეთიც.

კუთხესთან არსებობენ მრავალი წრეები და ჯგუფები, რომელთა მუშაობას მოაქვს დიდი სარგებლობა წითელ-არმიელებისათვის. ეწყობა სხვადასხვა პოლიტიკური ხასიათის თამაში, როგორც არის პოლიტაუქციონი, პოლიტფანტი და სხვა.

წითელარმიელები დიდი ხალისით დაიარებიან ლენკუთხეში, აქ ატარებენ თავისუფალ საათებს და გონივრულად იყენებენ დასვენების დროს.

სამხკორი ვ. გვილია.

შედეგები კარგია

(№ ქართ. მსრ. ლეგიონი)

ლეგიონში ამ რამოდენიმე დღის წინად შესდგა კომისია გამოსარკვევად იმისა, თუ რამდენათ აქვთ შეთვისებული სამხედრო ცოდნა ლეგიონის პოლიტშემადგენლობის პირთ. ამ მიზნით კომისიამ ჩაატარა გამოცდები ტაქტიკაში, ტოპოგრაფიაში, სროლაში და სხვ.

გამოცდებმა მოგვცა კარგი შედეგები გამოირკვა, რომ პოლიტშემადგენლობას საუკეთესოდ შეუთვისებია სპეციალური სამხედრო საგნები. აგრეთვე გამოირკვა, რომ ყველა პოლიტშემადგენლობის პირი დაინტერესებულია სამხედრო ცოდნის შეძენით და სამისოდ აწარმოებს მუშაობას.

შემდეგში, უეჭველია, უფროსი ამხანაგების დახმარებით და თავისუფალი საათების მიცემით, პოლიტშემადგენლობის გასამხედროება წავა წინ სწრაფი ნაბიჯით, რასაც ექნება უდიდესი მნიშვნელობა ლეგიონის საბრძოლო მომზადებისათვის.

კალამკარივ.

ახალწვეულთა შესახვედრად

(№ ქართ. მსრ. დივიზია)

დივიზიის ნაწილებში უკვე დაიწყეს გამოცხადება 1905 წ. დაბადებ. ახალწვეულმა წითელ არმიელებმა. ნაწილებს ნათლად აქვთ გათვალისწინებული, თუ რა დიდი მუშაობაა ჩასატარებელი, რომ ახალწვეულთაგან ორი წლის განმავლობაში გამომუშავდეს კარგათ გაწვრთნილი და ბრძოლისათვის ვარგისი მეომარი. ამ მძიმე მუშაობისათვის მზადებას უკვე დიდი ხანია შეუდგნენ ყველა ნაწილები.

ახალწვეულებს დახვდებათ უპირველეს ყოვლისა კარგათ მოწყობილი ყაზარმები და საცხოვრებელი ბინები. ყაზარმის შენობები შეკეთებულია საფუძვლიანად, შეკეთებულია აგრეთვე კლუბი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, სამეცადინო ოთახები და სხვა.

ყველა ნაწილებში ჩატარებულ იქნა სემინარები პოლიტხელთა, კლუბის უფროსთა და ჯგუფის ხელმძღვანელთა გადასამზადებლათ. სემინარებში ექცეოდა ყურადღება საშუალება მოეძებნათ, რომ ხელმძღვანელებს ჰქონოდათ საშუალება მეცადინეობის პირველ დღეიდანვე დაეპყრათ ახალწვეულთა ყურადღება.

დიდი მზადება ჩატარდა სამხედრო დარგშიც. დამზადებულ და მომარაგებულ იქნა საჭირო მასალა სამხედრო საქმის შესასწავლად. გადაიხალისდნენ ყველგან სამხედრო პროპაგანდის კაბინეტები.

დივიზიის ნაწილები სავსებით მომზადებულნი ხვდებიან ახალწვეულებს და, უეჭველია, შედეგიც სასურველი იქნება.

ზ.

სამხედრო ქრონიკა

წვევამდე მზადება

1906 წელში დაბადებულ მოქალაქეთა სამხედრო წვევამდე მზადება მიმდინარე წელს დაიწყება 5 დეკემბრიდან.

წითელი არმიის სახლი

ქ. მოსკოვში გაიხსნა ამხ. მ. ფრუნზეს სახელობის ცენტრალური წითელი არმიის და ფლოტის სახლი.

მუშათა დივიზია

ქ. ხარკოვში ოქტომბრის ზეიმისათვის შესდგა „10 ოქტომბრის სახელობის მუშათა დივიზია“.

ახალწვეულთა შესახვედრად

№ ქართ. მსრ. დივიზიის ნაწილებში, ახალწვეულ წითელ არმიელთა შორის სამეცადინოთ, ჩატარებულ იქნა კლუბის უფროსების და პოლიტხელების გადასამზადებელი სემინარები. სემინარების დამთავრების შემდეგ მოხდა საერთო გამოცდა, რამაც გამოარკვია საგნების საუკეთესო შეთვისება.

პარტსკოლები

ამჟამად № ქართ. მსრ. დივიზიის ნაწილებში მიმდინარეობს მუშაობა პარტსკოლების ჩამოსაყალიბებლად.

ახალწვეულნი

ახალწვეულ წითელ არმიელთა გამოცხადება ნაწილებში დაიწყო 15 ნოემბრიდან.

მუშათა ცხოვრება

მეტი ყურადღება მუშკორთა წერილებს

მუშკორთა მოძრაობა მარტო იმით კი არ არის საყურადღებო, რომ იგი საზოგადოებრივი მოძრაობის ახალი ფორმაა, რომელიც წარმოიშვა და ჩამოყალიბდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, არამედ იმითაც, რომ მუშკორთა მოძრაობა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების ერთი მთავარ ძარღვთაგანია, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი მეურნეობის აყვავება-გამაგრებას და სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებას.

წარმოება-დაწესებულებებში მუშკორის ორგანიზაციის წესიერი მუშაობა, თავდებია წარმოებაში სხვადასხვა სამეურნეო და საზოგადო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისა. ამიტომ არის, რომ ჩვენი ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშკორთა მოძრაობას და ხელს უწყობს მის განვითარებას.

არ არის ისეთი წარმოება, სადაც არ არსებობდეს კედლის გაზეთი და მუშკორთა წრე.

მაგრამ ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები, თავიანთი საქციელით ხელს უშლის კედლის გაზეთის გამოცემის საქმეს და აფერხებენ მუშკორთა მოძრაობის ზრდას. ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მუშკორების მიერ გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს და არ ღებულობენ ზომებს მუშკორის მიერ აღმოჩენილ ნაკლის გამოსასწორებლად.

ავჭალის წყალსადენის შესახებ არა ერთი წერილი ყოფილა მოთავსებული გაზ. „კომუნისტ“-ში, მაგრამ წყალსადენის ადმინისტრაციას არც ერთი წერილისათვის არ გაუცია პასუხი. ასეთივე მდგომარეობაა ტყიბულის სხვადასხვა დაწესებულებებში, უკვე ორი თვეზე მეტია, რაც გაზ. „კომუნისტი“-ს ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო წერილი ტყიბულში ამხ. მამალაძის მიერ გამართულ ფასიან საღამოს შესახებ, რომლის შემოსავალიც ჯერაც არავინ იცის რას მოხმარდა.

როგორც ეტყობა წერილისათვის არამც თუ მიუქცევია ვინმეს რაიმე ყურადღება. არამედ დღემდე არც კი წაუკითხიათ იგი. ეს სჩანს იქიდან, რომ ტყიბულის არც ერთი დაწესებულება, რომელსაც კი ეხება ეს საქმე, არ გამოხმაურებია წერილს.

ეს გარემოება გულს უცრუებს მუშკორს. როგორც წარმოებაზე, ისე გაზეთზეც და უკარგავს წერის ხალისს, რაც აფერხებს მუშკორთა მოძრაობის განვითარებას.

წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელებმა რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშკორთა წერილებს და მიიღონ ზომები მუშკორის ყოველივე შენიშვნაზე პასუხის გასაცემად.

ეს ხელს შეუწყობს მათივე მუშაობის გაუმჯობესებას.

ვ.

—:—

რა გვიპასუხებს

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 226-ში მოთავსებული იყო გ. ასამბაძის წერილი სათაურით „მუშაობა მოისუსტებს“, რომელშიდაც ავტორი აღნიშნავდა ს. ორჯონიკიძის სახ. მუშათა კლუბში ქართულ დრამწრის მუშაობის ნაკლს და ამის მიზეზად ასახელებდა იმას, რომ ვითომდა დრამწრის რეჟისორი ვ. ნინიძე და კლუბის გამგე ალავიძე ვერ ეპყრობოდენ წრის წევრებს წესიერად.

რკ. გზის პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტის კულტგანყოფილება გაცნობებთ, რომ როგორც ჩვენ მიერ მოხდენილ კვლევა-ძიებიდან გამოირკვა, მიმდინარე წლის ზაფხულის განმავლობაში აღნიშნული წრე საუკეთესოდ მუშაობდა. მან ზაფხულის განმავლობაში ჩაატარა 12 დადგმა. წრე არამც თუ დაიშალა, არამედ მას ახალი გამოცდილი და სასარგებლო ძალები შეემატა. დღეს წრეში ითვლება 25 კაცი და როგორც ახალ შემოტანილ განცხადებებიდან სჩანს წრის წევრთა რიცხვი კიდევ გაიზრდება.

არავითარ ინტრიგას და შეუფერებელ მოპყრობას წრის მიმართ რეჟისორ ვ. ნინიძისა და გამგე ალავიძის მხრივ ადგილი არა ქონია.

კულტგანყოფილების გამგე ქანდელაკი.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ

(მოძრაობის დარგში)

დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ბევრი რამ გაკეთდა სად. თბილისის მოძრაობის დარგში მუშა-მოსამსახურეთა და საერთოდ რკ. გზის საკეთილდღეოდ. მუშების მდგომარეობა შედარებით წინანდელთან საგრძნობლად გაუმჯობესებულია.

მენშევიკების დროს, მოძრაობის დარგის მუშები: მეისრები, კონდუქტორები და სხვები იმდენად მცირე ჯამაგირს ღებულობდენ, რომ იმ ფულით ერთი ფუთ სიმინდის ფქვილს ძლივს იყიდდა კაცი. დღეს მათი ხელფასი უდრის 50—100 მან. ისე, რომ მოძრაობის დარგის მუშების ხელფასი მენშევიკების ბატონობის დროსთან შედარებით თითქმის 150—პროც. გაიზარდა.

მთავარი მიღწევად ჩვენს დარგში უნდა ჩაითვალოს მატარებელთა მოძრაობის გაუმჯობესება. თუ 1917 წელს, სად. თბილისიდან საშუალოდ თვეში 100—140 მატარებელი იგზავნებოდა, ამჟამად 300—499 მატარებელი იგზავნება. ასეთივე მიღწევა გვაქვს ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეშიც.

მოძრაობის დარგიდან ბევრი მუშები არიან დაწინაურებული. წინად მუშას არ ქონდა საშუალება განევითარებია თავისი თავი და ჩაბმულიყო საზოგადო მუშაობაში, დღეს მუშა ასრულებს ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობას და მხურვალე მონაწილეობას ღებულობს პროფესიონალურ და კულტურულ მუშაობაში. ამიტომ არის, რომ პროფესიონალური მუშაობა მოძრაობის დარგში სათანადოთ მიმდინარეობს, რაც ამავე დროს ხელს უწყობს მუშების გათვითცნობიერებასაც.

გამოდის ადგილობრივი კედლის გაზეთი, რომელშიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ მუშები და აშუქებენ თავიანთ ყოფა-ცხოვრებას.

ასეთია მოძრაობის დარგის მეორე განყოფილების მუშების მიღწევები ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე.

ე. ძ.

—:—

ავადმყოფი შეამცირეს

საფეიქრო ტრესტის ბამბის ფაბრიკაში, შტატის შემცირებაში მოაყოლეს საჩეჩი მანქანების ოსტატი ამხ. იაკობ აზარიაშვილი, რომელიც მრავალი ხნის განმავლობაში ერთგულად და პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. მაგრამ ეს არაფერი. საქმე იმშია, რომ ამხ. აზარიაშვილი შემცირებაში მოაყოლეს მისი ავადმყოფობის დროს, რაც ყოვლად დაუშვებელია.

ამ ორი თვის წინად მუშაობის დროს მანქანამ ჩაითრია ამხ. აზარიაშვილის ხალათის კალთა და შესაძლებელი იყო გამოსალმებოდა იგი წუთისოფელს, რომ არ შეეშალა ხელი და არ გამოეგლიჯა ხალათი მანქანისათვის. მაგრამ ხელის შეშველების დროს მანქანამ მაინც მოგლიჯა ამხ. აზარიაშვილს მარჯვენა ხელის ცერი—თითი.

ამის გამო აზარიაშვილი ჯერ კიდევ ექიმების განკარგულებაში იყო, როდესაც ფაბრიკის ადმინისტრაციამ არავითარი ანგარიში არ გაუწია მუშაობის დროს დაზიანებულ მუშას და მოხსნა იგი სამუშაოდან.

ამხ. აზარიაშვილი ძველი მუშაა. იგი ძლიერ ეყვარებათ მუშებს და დიდი ნდობითაც სარგებლობს მათში. უკანასკნელ ხანებში ადგილკომის მდივნათაც იყო წამოყენებული, მაგრამ ადმინისტრაციამ მაინც მოაყოლა შემცირებაში.

პროფკავშირმა ანგარიში უნდა გაუწიოს ყველა ამას და ამხ. აზარიაშვილი, როგორც უკანონოდ მოხსნილი სამსახურიდან აღადგინოს თავის თანამდებობაზე.

შაქრო ნავთლუღელი.

—:—

შეაკეთეთ

მე-7 უბან. ხახანაშვილის ქ. ძალზე დაზიანებულია, წვიმა ავდრების დროს აქ გავლა შეუძლებელია.

აღმასკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს და შეაკეთოს ეს ქუჩა.

მუშკორი სიმართლის მაძიებელი.

227 მილიონი მანეთის საქონელი

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობით, მიმდინარე საანგარიშო წელში საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებიდან ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იქნება 226,765 ათასი მანეთის საქონელი. ამ თანხებში შედის შემოსატან პურის რაოდენობაც. საგეგმო კომისიის განმარტებით წელს შედარებით საქონლის შემოტანის საქმე გაფართოებულია, რადგანაც გასულ წელს ა.-კ. ბაზრებზე შემჩნეული იყო ზოგიერთ სამრეწველო საქონლის ნაკლებობა. თუ რამდენათაა გაზრდილი საქონლის შემოტანა წელს, ჩანს შემდეგი ციფრებიდან: 192[illegible]—27 წელს შემოტანილი ფართლიდან თითო სულზე მოდიოდა 16 მეტრი. წელს ფართლის შემოტანა გადიდებულია ერთი მეოთხედით, ე. ი. წელს ფართალი შემოტანილი იქნება თითო სულზე 20 მეტრის ანგარიშით, რაც შეეხება შაქარს, 1926—27 წლის გეგმით, ამიერ-კავკასიაში შაქარი შემოტანილი იყო ქალაქისათვის თვეში სულზე 3 გირ. შაქრის რაოდენობით, რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, საქართველოსა და სომხეთში თითო სულზე წლიურად მოდიოდა 4 გირ., აზერბეიჯანში 8 გირ.; ამ რაოდენობით შემოტანილმა შაქარმა ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნილება, ვინაიდან თითქმის ა.-კ. ყველა რესპუბლიკაში შაქრის მოხმარება დ[illegible] გაიზარდა ომამდე არსებულ დონემდე. ამიტომ წელს შაქარი შემოტანილი იქნება იმ ანგარიშით, რომ ქალაქის მცხოვრებს თვეში შეხვდეს 4 გირ., ხოლო სოფლის მცხოვრებს კი აზერბეიჯანში—18 გირ. წლიურად, საქართველოში—4 გირ., სომხეთში—5 გირ.

ლითონის ნაწარმოები გასულ წელს ნაკლებათ იგზავნებოდა ვინაიდან შემოტანის გეგმა არ იქნა მთლიანად შესრულებული, ამიტომ წელს ლითონის ნაწარმოები შემოტანილი იქნება გაფართოებული გეგმით, ისე, რომ თითო მცხოვრებზე მოდის 14 ნახ. გირვანქა ლითონის ნაწარმოები, რაც შეადგენს ომამდე არსებულ ნორმას. [illegible] წელს შემოტანილი იქნება 35 გირვანქა სულზე, შარშან შემოტანილი იყო 23 გირვანქა.

სულ წელს საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრიდან ა.-კავკასიაში შემოტანილი იქნება 226,765,000 მანეთის საქონელი. აქედან საქართველოში—95,134,000 მანეთის, სომხეთში—31,961.000 მან., აზერბეიჯანში 104,679,000 მანეთი.

საერთოდ ქალაქის საჭიროებისათვის შემოტანილი იქნება 150 მილიონი მანეთის საქონელი, სოფლისათვის—70 მილიონი მანეთის საქონელი.

უპატრონო ბავშვთა სამდღიური

შემოწირულებათა ფურცლები

სამდღიურის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ სხვადასხვა დაწესებულებებში შემოწირულებათა შესაკრებათ დაგზავნა 46 შემოწირულების ფურცელი. ფურცლებზე მუშა-მოსამსახურეები საკუთარი ხელისმოწერით აღნიშნავენ შემოწირულების რაოდენობას.

ანარიცხები ლოტოდან

ცეკასთან არსებულმა სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ დაადგინა გადასდოს სამდღიურის ფონდისათვის თბილისის ლოტოებთან შემოსავლის ნაწილი.

ყულაბების გახსნა

სამდღიურის პირველ დღის ქუჩებში შეგროვილი შემოწირულებებით გაივსო 24 ყულაბა. ზოგიერთ ყულაბაში აღმოჩნდა 50—60 მანეთზე მეტი.

შაქრის განაწილება

შაქრის ნოემბრის ნორმის გასანაწილებლად საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი. განაწილებულ იქნა 52 ვაგონი შაქარი შემდეგნაირად: „ცეკავშირს“—8 ვაგონი ფხვნილი და 6 ვაგონი რაფინადი, „მუშკოოპს“—11 ვაგონი ფხვნ. და 4 ვაგ. რაფ., „ზაკვოენტორგს“—3 ვაგონი ფხვნილი და ორი ვაგონი რაფინადი, „საქართველოს სახ. ვაჭრობას“—სამი ვაგონი ფხვნილი და ორი ვაგონი რაფინადი, „ხლებოპროდუქტს“—3 ვაგონი ფხვნილი და ორი ვაგონი რაფინადი, „სარეწაო კოოპერაციას“—3 ვაგონი ფხვნილი და ორი ვაგონი რაფინადი, „კოოპრომს“—1 ვაგონი ფხვნილი, კერძო ვაჭრობას—2 ვაგონი ფხვნილი. დაუკმაყოფილებელ ორგანიზაციათათვის გადადებულ იქნა 4 ვაგონი შაქარი, ხოლო საერთო მარაგათ—15 ვაგონი.

შაქრის ბაზრის მოწესრიგების მიზნით კომისარიატის მიერ დაწესებულია სახელოსნოებზე შაქრის გაცემის ნორმები.

საკონფეტო და საკონდიტერო სახელოსნოები შაქარს მიიღებენ მუშა ხელის რაოდენობის მიხედვით.

საკონფეტო სახელოსნო, რომელშიაც მუშაობს 1—3 კაცამდე კვირაში მიიღებს—1 ტომარ შაქარს, 5 კაცამდე—5 ტომარს, 9 კაცამდე—3 ტომარს და 10 კაცზე მეტი—4 ტომარს.

საკონდიტერო სახელოსნოები, რომლებშიაც მუშაობს 3 კაცამდე, 10 დღეში მიიღებენ 1 ტომარ შაქარს, 5 კაცამდე—კვირაში 1 ტომარს, 9 კაცამდე კვირაში 2 ტომარს და 10 კაცზე ზევით—3 ტომარს.

ვინაიდან ამჟამად თბილისში მოიპოვება შაქრის საკმაო რაოდენობა და შაქრის ნაკლულობა არ არის მოსალოდნელი, საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაადგინა გაუქმებულ იქნეს თითო ხელზე ერთი კილო შაქრის გაცემის შესახებ არსებული განკარგულება.

ტრამვაი ქობულეთში

აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს განზრახული აქვს ქობულეთის რკინის გზის სადგურიდან საგარეკო ადგილებში გაიყვანოს რკინის გზა ცხენიანი ტრამვაისათვის. აჭარისტანის საგეგმო კომისიის მიერ უკვე დამუშავებულია ტრამვაის გასაყვანი ხარჯთაღრიცხვა და ნავარაუდევი აქვს წლიური შემოსავალ-გასავალი. რელსები ლიანდავის გასაყვანად და აგრეთვე ვაგონები ეთმობა უფასოდ. სხვა ხარჯები (ლიანდავის გაყვანა, შპალები, რკინის მასალა, ცხენები, სავაგონო პარკის მოწყობა და სხვა) შეადგენ—105 ათასს მან.

ყოველწლიური საექსპლოატაციო ხარჯები ნავარაუდევია 100.000 მანეთის რაოდენობით. ამში შედის მუშა მოსამსახურეთა (55 კაცის) ჯილდოები, სოციალური დაზღვევა, სპეციალური ტანსაცმელი, ცხენების (30 ცხენი) შენახვა ვაგონების შეკეთება და სხვ.

ტრამვაის ყოველწლიური შემოსავალი ნავარაუდევია 140—145 ათასი მანეთის რაოდენობით.

ეს თანხა მიღებულია შემდეგი გაანგარიშებით:

ნოემბრიდან დაწყებული მაისამდე ტრამვაი შემოიტანს დაახლოებით 210 მანეთს დღეში ანუ 37.800 მანეთს ნახევარ წელიწადში, თუ ამ თვეებში ყოველდღიურად ვიანგარიშებთ 700 მგზავრს, რომლიდან თვითეული გადაიხდის 30 კაპიკს ერთ მგზავრობაზე.

წლის მეორე ნახევრისათვის (მაისიდან ნოემბრამდე), როცა საზაფხულო სეზონის გამო მისვლა-მოსვლა ძლიერდება, მგზავრთა კონტინგენტი საშუალოდ დღეში ნავარაუდევია 2000 კაცი, რაც დღიურად იძლევა 600 მანეთის შემოსავალს, ხოლო ნახევარ წელიწადში 108 ათასს. ამგვარად მთელი წლის განმავლობაში ტრამვაი შემოიტანს 145.800 მან.

ამ გაანგარიშებაში არ შედის შემოსავალი იმ ბარგის და ტვირთის გადაზიდვიდან, რომლისთვისაც დანიშნული იქნება სპეციალური ვაგონები. ამგვარად 145 ათასი მანეთი აუცილებლად რეალურ ციფრს წარმოადგენს. ამ თანხიდან ტრამვაი დაახლოებით წლიურად სულ ძვირო რომ ვიანგარიშოთ, 40 ათასს მან. წმინდა მოგებას, რომელიც შეიძლება მოხმარდეს როგორც დახარჯული თანხის დაფარვას, ისე სპეციალური ფონდის შექმნას ელექტრო ტრამვაის მოსაწყობად.

ქობულეთი, რომელიც საკავშირო საკუროტო ყრილობის (1925 სექტემბერში) და მხარეთმცოდნეობის ყრილობის მიერ (1925 წელი, ოქტომბერი ბათომში) ცნობილია ევროპიული მნიშვნელობის კურორტად, რაც დრო გავა, თანდათან უფრო მეტ ხალხს მოიზიდავს. ქობულეთის ასეთი ზრდა შესამჩნევი გახდა 1924—25 წლიდან და ამის შემდეგ შეუჩერებლივ მიმდინარეობს.

თუ ასეთ ზრდას ადგილი აქვს ფრიად უხერხულ, უხეირო და ძვირ საგზაო მისვლა-მოსვლის პირობებში, ცხადია, ქობულეთის გამოცოცხლება გაცილებით უფრო სწრაფი ნაბიჯებით წავა წინ, რაკი გაყვანილი იქნება რკინის გზა ცხენიანი ტრამვაისათვის.

საქ. საზოგადოება „ბათომის კურორტი"

აჭარისტანის საგეგმო კომისიამ შეიმუშავა აჭარისტანის კურორტების მოწყობის გეგმა სააქციო საზოგადოების საფუძველზე. გეგმას საფუძვლად დაედვა შემდეგი მოსაზრებები:

სრ. საკ. საკურორტო ყრილობის (1925 წელი სექტემბერი) და მხარეთმცოდნეობის ყრილობის მიერ (1925 წ. ოქტომბერი, ბათომი) ბათომის სანაპიროები ცნობილია პირველ ხარისხოვან საკურორტო ადგილებად მთელ საბჭოთა კავშირში.

ქობულეთი, ციხისძირი, ბუკნარი მწვანე კონცხი და მახინჯაური წარმოადგენს მთლიანად აყვავებულ კურორტებს თბილი შავით და ზღვის მშვენიერი საბანაოებით, რომელთაც შეუძლია მთელი ეს მიდამოები გახადოს ჯანმრთელობისა და დასვენების კერათ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებისათვის.

ამჟამად აჭ. ჯანსახკომის უწყებაში ქობულეთში იმყოფება 30-ზე მეტი ზღვის პირად მდებარე აგარაკი 200 ოთახით; ერთი ნაწილი აგარაკებისა გადაცემული აქვს სანატორიუმს, ხოლო მეორე ნაწილი ქირავდება კერძო მოაგარაკეებზე. გარდა ამისა, აჭ. ჯანსახკომს ეკუთვნის ზღვის პირად მდებარე 100 ათასი კვ. საჟ. გაუშენებელი მიწის სივრცე, რომელზედაც შესაძლებელია დიდი საკურორტო მშენებლობის გაშლება.

ბათომის სანაპიროებზე—ციხის-ძირში, ბუკნარში, მწვანე კონცხზე და მახინჯაურში აჭ. ჯანსახკომს აქვს 100-ზე მეტი აგარაკი—350 ოთახით, რომელიც იჯარით აქვთ აღებული კერძო მოქალაქეებს 12 ათას მანეთად წელიწადში; ეს მაშინ, როცა მოიჯარადეებს მარტო მანდარინის ბაღებიდან 1000 მანეთზე მეტი შემოსავალი აქვთ, მხედველობაში, რომ არ მივიღოთ გაქირავებული სახლებიდან შემოსული ფული. ამ აგარაკებს აკრავს დაახლოებით 250 დესეტინა მიწა.

არავითარი მუშაობა ამ რაიონებში სააგარაკო საქმის მოსაწესრიგებლად არ წარმოებულა და არც სწარმოებს. ჩამოსული მოაგარაკენი ყოვლად უმწეო მდგომარეობაში ვარდებიან და სრულიად დამოკიდებული ხდებიან კერძო მოიჯარადეებზე.

ყველა ზემო ჩამოთვლილ რაიონების საერთო ნაკლულოვანებას წარმოადგენს შემდეგი: ა) საკვები პროდუქტების მიწოდების მოუწყობლობა, რაც აუცილებლად ხდის მოაგარაკეთა მისვლა-მოსვლას ბათომში; ბ) ადგილობრივი გზების ცუდი მდგომარეობა; გ) საექიმო დახმარების მოუგვარებლობა; დ) აგარაკების მეპატრონეთა თვითნებობა ოთახების ქირის განსაზღვრაში; ე) რიგიან ბინების ნაკლებობა.

მიუხედავად კურორტების ასეთი მოუწყობლობისა, და ცხოვრების მძიმე პირობებისა, აქეთკენ მომავალ ავადმყოფების და მოაგარაკების რიცხვი თანდათან იზრდება და წელს მაგალითად 10.000-ს მიაღწია, ეს კურორტები, რომ არ ვიანგარიშოთ.

ადგილობრივ ორგანოები საკურორტო საქმის მოწესრიგებას ვერ შესძლებენ, რადგან საამისოდ მათ არ გააჩნიათ ნივთიერი საშუალება, არც ჰყავთ შესაფერი მუშაკები და არა აქვთ ხელმძღვანელობის სათანადო ორგანიზაციული ფორმა. ცენტრიდან საბიუჯეტო თანხების, ან სხვა რაიმე საშუალების მიღების ცდამ ჯერ-ჯერობით სერიოზული შედეგი ვერ მოიტანა. 28—29 წლისათვის საქ. სახკომსაბჭოსაგან აჭარისტანის საკურორტო მშენებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებულია 200.000 მანეთი, მაგრამ საბოლოოდ რამდენი თანხა იქნება მიღებული მოსკოვში, გამოურკვეველია.

ეს თანხაც რომ იყოს უზრუნველყოფილი, საკითხი მაინც გადაუწყვეტელი იქნება.

პირველ ყოვლისა არ იცვლება გამოუცდელი ხელმძღვანელების და მოუწყობლობით შექმნილი მდგომარეობა; მეორე—ეს თანხა არ იკმარებს ფართო საკურორტო მშენებლობის გასაძლიერებლად, (სანატორიუმების დასასვენებელ სახლების აგებად, საბანაოების მოსაწყობად და სხვა); მესამე—ჯანმრთელობის და სოციალური დაზღვევის ცენტრალური ორგანოები იმდენად არ იქნებიან დაინტერესებულნი იმაში, რომ გააძლიერონ ამ კურორტების მნიშვნელობა, მიაწოდონ მათ გამოცდილი ექიმ-სპეციალისტები და სხვა. მეოთხე—ქობულეთის გამოკლებით, დანარჩენი კურორტების კეთილმოწყობისა და ორგანიზაციულ გამოყენების საქმე უსახსრობის გამო, დიდი ხნით გადაიდება. ეს მაშინ, როცა ყირიმის მიწისძვრის შემდეგ, რომელმაც გაანადგურა საცხოვრებელი სახლების 40 პროცენტი, აუცილებელი ხდება სხვა შესაფერი ადგილის გამოძებნა ავადმყოფებისა და დასვენების მსურველ მუშა-მოსამსახურეთათვის. აფხაზეთი ყველას ვერ დაიტევს, ამიტომ ერთად-ერთ გამოსავალს წარმოადგენს ბათომის სანაპიროების მაქსიმალური გამოყენება, თუმცა ამიტომ, რომ კლიმატიური თვალსაზრისით ეს რაიონები ყირიმზე მაღლა სდგას.

იმ მიზნით, რომ ერთხელ და საბოლოოდ გადაწყდეს საკურორტო საქმე აჭარისტანში და მიზანშეწონილად მოგვარდეს იგი, აჭ. საგეგმო კომისია აუცილებლად სცნობს ამ საქმის სააქციო საფუძველზე მოწყობას. საგ. კომისიის დასკვნით სააქციო პრინციპის გატარება საკურორტო საქმეში ისეთივე ბრწყინვალე ნაყოფს გამოიღებს, როგორც გამოიღო მან ჩაის საქმეში.

ამ საქმის ორგანიზაციული მხარე საგეგმო კომისიას ასე აქვს გათვალისწინებული: წინადადება ეძლევათ—საქართველოს, საბჭოთა რუსეთის, უკრაინის, ჯან. სახ. კომისარიატებს და აგრეთვე რესპუბლიკების და რკინისგზის სოციალური დაზღვევის სამმართველოებს მოაწყონ სააქციო საზოგადოება—„ბათომის კურორტი" და თავიანთ შორის გაინაწილონ პაიები არანაკლებ ერთი მილიონ მანეთისა. საზოგადოებაში შევა აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭო (ან ჯანსახკომი) თავის აგარაკებით და მიწის ნაჭრებით, რომლის ღირებულება, მიწის გარდა, შეადგენს არა ნაკლებ 700 ათასი მანეთისა. საზოგადოების გამგეობაში შევა სამი პირი: თავმჯდომარე (საქართველოდან), თავმჯდომარის მოადგილე (საბჭოთა რუსეთის და უკრაინის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებიდან და გამგეობის წევრი (აჭარისტანიდან).

გამგეობის სამყოფი ადგილი იქნება ბათომი. საზოგადოების მოწყობისთანავე დაისმება საკითხი ახალი საკურორტო მშენებლობის დაწყების შესახებ. საზოგადოების სამკურნალო-სანიტარულ მეთვალყურეობა უნდა დაეკისროს საქ. ჯან. სახ. კომისარიატს, სამეურნეო უფლებრივი ზედამხედველობა—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიურ საბჭოს.

პირველი ხუთი წლის განმავლობაში საზ-ბა განთავისუფლებული უნდა იქნეს ყოველგვარ ადგილობრივ და სახელმწიფო გადასახადისაგან.

უცხოეთის რემედასების დელეგაცია თბილისში

გუშინ საფრანგეთის და გერმანიის რემედასების დელეგაცია საქართველოს რემედასის ცეკას წარმომადგენლების თანხლებით ესტუმრა საქ. შრომის სახალხო კომისარს ამხ. ს. თოდრიას, რომელთანაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა შრომის საკითხებზე.

ამხ. თოდრიამ აუხსნა დელეგატებს, თუ როგორ ტარდება ჩვენში მუშა-მოსამსახურეთა დაზღვევა, შრომის დაცვა, შრომის პირობების გაუმჯობესება და სხვა.

შემდეგ დელეგატები ესტუმრნენ ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარეს ამხ. მიხა ცხაკაიას, რომელთანაც საუბარი ჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკაზე. ამხ. მიხა ცხაკაიასთან საუბარი გაგრძელდა დაახლოვებით ორი საათი.

დღის 1 საათზე დელეგატებმა ინახულეს რესპუბლიკის პროკურორი და იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. Ი. ვარძიელი, რომელთანაც საუბარი ჰქონდათ საქართველოს კონსტიტუციაზე და ამნისტიასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საუბრის დასასრულ დელეგატებმა სთხოვეს ამხ. ვარძიელს გადაეცა მათთვის გასაცნობად სისხლის სამართლის და სამოქალაქო-საპროცესო კოდექსები, დელეგატების თხოვნა დაკმაყოფილებული იქნა.

ბრძოლა ეპიდემიასთან

საგანგებო სამეულის სხდომა

გუშინ თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებაში შესდგა ქუნთრუშისა და დიფტერიტთან მებრძოლი საგანგებო სამეულის მორიგი სხდომა.

სხდომაზე განხილულ იქნა ეპიდემიასთან მებრძოლი რაზმების მოწყობის საკითხი და აცრის მეთოდი. სხდომამ დაადგინა დაჩქარებით შეუდგეს რაზმების მოწყობას და შეიმუშაოს რაზმების მოსაწყობად საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

სამეულმა გადასწყვიტა შეუდგეს აცრას ე. წ. „შიკისა" და „დიკის" მეთოდით. ასაცრელი მასალების შესაძენად სამეულმა დაადგინა გამოითხოვოს 15.200 მანეთი. ამცრელი რაზმების შესავსებათ გადაწყვეტილია მოწვეულ იქნას 6 ექიმი, 12 სანიორების და, 12 სანიტარი და ექიმი-სტატისტიკოსები.

მასიური აცრის ჩატარებისა და საამისოდ საჭირო მასალების დამზადების შესახებ სხდომას ახსნა-განმარტება მისცა პროფ. ამირეჯიბმა. მოხსენების თანახმად კომისიამ შეადგინა სია ყველა საჭირო მასალებისა და ხელსაწყოების შესაძენათ.

ეპიდემიის დღიური

15, 16 და 17 ნოემბერს თბილისში ადგილი ჰქონდა ქუნთრუშით დაავადმყოფების 18 შემთხვევას, ხოლო ამავე სამი დღის განმავლობაში დიფტერიტით (ხუნაგი) ავათ გახდა 5 მოზარდი.

ყველა ავადმყოფები მოთავსებული არიან ქალ. საავადმყოფოში.

მებრძოლი რაზმები

ეპიდემიასთან მებრძოლი საგანგებო სამეულის დადგენილებით პირველ ხანებში ქალაქის სხვადასხვა უბნებში იმუშავებს ეპიდემიასთან მებრძოლი ორი რაზმი. ერთი რაზმი მოთავსებული იქნება სოც. ჰიგიენის კათედრის დარბაზში (ევანგ. ქუჩა № 12) და მეორე რკინის გზის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის შენობაში.

სასკოლო-ექიმთა თათბირი

ორშაბათს, 21 ნოემბერს თბ. აღმასკ. ჯანმრთ. განყოფილებასთან მოწვეულია თბილისის სასკოლო-სანიტარო ექიმთა თათბირი.

თათბირზე განხილული იქნება ეპიდემიასთან ბრძოლის საკითხები.

ქრონიკა

ა. კარენიანის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა სომხეთის დამხმარე ცენტრალური კომიტეტის (საზღვარგარეთ არსებობს) წარმომადგენელი ა. კარენიანი.

კოოპერატიული დელეგაციის დაბრუნება

გუშინ მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს კოოპერატიული დელეგაცია ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. მ. ტორომელიძის მეთაურობით. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო იქ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის ზეიმში.

უცხოეთის დელეგაციები

თბილისში მიღებულ ცნობებით, ინგლისის, ამერიკის და ირლანდიის მუშათა დელეგაციები, რომლებიც მიემგზავრებიან საქართველოში, მოსკოვიდან გამოვიდენ 16 ნოემბერს.

დელეგაციები გამოივლიან დონის მაღაროებში, სადაც დაწვრილებით გაეცნობიან ქვანახშირის ამოღების სამუშაოებს და სამთამადნო მუშების მდგომარეობას.

20 ოქტომბერს დელეგაციები ნიკიტინოვკიდან გამოემგზავრებიან ბაქოში, საიდანაც ჩამოვლენ თბილისში.

სახ. უნივერსიტეტის ათი წლის თავი

1928 წლის 18 იანვარს სრულდება ათი წელი სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობამ გადასწყვიტა გადაიხადოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ათი წლის იუბილე. იუბილეს მოსაწყობად შესდგა საიუბილეო კომიტეტი, რომელშიაც შედიან უნივერსიტეტის რექტორი თ. ღლონტი, პრ. კ. კეკელიძე, პრ. შ. ნუცუბიძე, კ. სულაქველიძე და თითო წარმომადგენელი უნივერსიტეტიდან და სტუდენტებიდან. კომიტეტი უკვე შეუდგა იუბილეს მოწყობის გეგმის შედგენას.

გორის შაქარი

სმუ საბჭოში მიღებულია ცნობა, რომ ხარკოვის ტეხნოლიგიურმა ინსტიტუტმა დაამთავრა გორის მაზრიდან წაღებულ ჭარხლიდან შაქრისა და სხვა პროდუქციების დამზადების ცდები. სულ დამზადებულია 20 ფუთზე მეტი შაქარი და სხვა პროდუქტები.

საბინაო კოოპერაცია

თბილისში ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის თანამშრომლებმა დაარსეს საბინაო ამხანაგობა. კოოპერატიულ საფუძვლებზე აგებული იქნება 10 ახალი სახლი, თვითეული 4—4 ოთახით. თვითეული სახლი იქნება ერთსართულიანი და ხარჯთაღრიცხვით დაჯდება არა უმეტეს 8.000 მანეთისა. თვითეული ბინის სივრცე იქნება 200 კვადრ. არშინი. აღნიშნული სახლები აგებული იქნება ვაკეში კრამიტის ქარხნის მახლობლად.

შრომის პირობების გამოკვლევა

შრომის დაცვის განყოფილების სანიტარული სექციის ქიმიური ლაბორატორია ამ დღეებში შეუდგება ჭიათურის შავი - ქვის მაღაროებში შრომის პირობების გამოკვლევას.

გამოკვლევას მიზნად აქვს გამოარკვიოს, თუ როგორ გავლენას ახდენს შავი - ქვის მაღაროების ჰაერი მუშის ორგანიზმზე.

თათბირი „ზაკსოიუზში"

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატს დაავალა სამომხმარებლო კოოპერაციისათვის ზედნადებ ხარჯების ნორმების გამომუშავება.

ამ საქმის განსახილველად გუშინ ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივების კავშირმა—„ზაკსოიუზმა" მოიწვია თათბირი, რომელსაც დაესწრნენ: ვაჭრობის კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ცეკავშირის, ა.-კ. სამხედრო-სამომხმარებლო კოოპერაციის და ა. კ. სატრანსპორტო-სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენლები.

თათბირმა დაადგინა, მუშაობის დროს მხედველობაში იქნეს მიღებული ყველა ის გარემოებანი, რომლებიც ახდენენ გავლენას საქონლის გაძვირებაზე ზედნადებ ხარჯების დადების მხრივ.

შესწავლილი იქნება საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვის და სხვა პირობები და თუ გამოირკვა, რომ ისინი იწვევენ საქონლის გაძვირებას მიღებული იქნება სათანადო ზომები მათ წინააღმდეგ.

ა. კ. სასოფ.-სამ. საკრ. სისტემის ინსპექტორების თათბირი

დღეს 12 საათზე ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის შენობაში იხსნება ამიერ-კავკასიის სასოფლო სამეურნეო საკრედიტო სისტემის ინსპექტორების თათბირი.

იურიდიული დახმარება

საქართველოს პროფსაბჭოს იურიდიული ბიურო აცნობებს კავშირების ყველა წევრს, რომ 21 ნოემბრიდან იურიდიულ ბიუროს მუშაობა, გარდა ჩვეულებრივი საათებისა, იწარმოებს საღამოობითაც 5—6 საათ.

მეფუტკრეობა

მეფუტკრე გლეხებისათვის მისაწოდებლად მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი შეუდგა საჭირო ხელსაწყო-იარაღების დამზადებას, რომლებიც გლეხობას დაურიგდებათ საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით: მიწსახკომის გარდა მეფუტკრე გლეხს საჭირო მასალებს მიაწოდებს რესპუბლიკის ცენტრალური საბრეშუმო სადგური და თბილისის აღმასკომის სადგილმამულო განყოფილება. თბილისის აღმასკომმა თბილისში უკვე მოაწყო სპეციალური სახელოსნო, სადაც მზადდება ახალი ტიპის ჩარჩოიანი სკები.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

მუშათა მთლიან კოოპერატივის მუშა-მოსამსახურეთა შორის დამთავრდა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელის მოწერა—სესხზე ხელი მოაწერა მუშკოოპის ყველა მუშა-მოსამსახურემ. სესხზე ხელის მოწერის კამპანიის დაწყების დღიდან დღემდე მუშკოოპის მუშა-მოსამსახურეთა შორის სულ გავრცელებული იქნა 27 255 მან. ობლიგაცია.

მეცხენეობა

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებულ სახელმწიფო ცხენსაშენის წარმომადგენლებმა გამოიკვლიეს ცხენების მოშენების საქმე ახალქალაქის მაზრაში, უმთავრესად მთა - გორიან, დუხაბორების დასახლებულ რაიონში, რომელიც ცნობილია თავისი ცხენებით. განსაკუთრებით კი მუშა-ცხენებით. ამავე დროს ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ჩატარებულ იქნა კამპანია ცხენებს მომშენებელ ამხანაგობების დასაარსებლად. აღმოჩნდა კვიცების საკმაო რაოდენობა, რომელიც ამხანაგობებისათვის საჭირო კარგ მასალას წარმოადგენს.

საექსპორტო კვერცხების დამზადება

საქართველოში კვერცხების ძირითად დამამზადებლად მიჩნეულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რის გამო ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს საექსპორტო კონტინგენტების დამზადება გადაეცა მას.

ამ დღეებში დადებულ ხელშეკრულების ძალით, „სოფლის კავშირი" ვალდებულია ჩააბაროს ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სამტრედიის რაიონში დამზადებულ კვერცხების მთელი რაოდენობა. კვერცხები, რომლებიც გატანილი არ იქნება საზღვარგარეთ, გადაეცემა კოოპერაციის ადგილობრივ ბაზრებისათვის მისაწოდებლად.

თბილისის აღმასკომში

◆ სანიმუშო მეურნეობა. თბილისის აღმასკომმა დაადგინა, იმ გლეხებს, რომლებიც თავიანთ მეურნეობას მოაწყობენ სანიმუშოთ, აგრო-პუნქტებიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღები ათხოვოს უფასოდ.

◆ ნაგვის გადატანა. სანიტარულმა სექციამ ნაგვის გადასატანად შეიძინა ორი სპეციალური ავტომობილი.

◆ პატარა აფთიაქები ჯანმრთელობის განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრაში არსებულ საექიმო პუნქტებთან მოაწყოს პატარა აფთიაქები.

◆ ორთაჭალაში მოწყობილ მეფრინველეობის სადგურისათვის აღმასკომმა გერმანიიდან გამოიწერა საუკეთესო ჯიშის შინაური ფრინველები.

◆ ტყის გაშენება. სატყეო სექციამ გადასწყვიტა კოჯრის გზის ფერდობზე გააშენოს ტყე.

◆ ლურსმნების ქარხანა. ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას განზრახვა აქვს თბილისში აგოს ლურსმნების დამამზადებელი ქარხანა.

მიწსახკომში

◆ აგრონომიული თათბირი. 27 ნოემბერს მიწსახკომის თაოსნობით ზუგდიდში გაიხსნება აგრონომიული სამაზრო თათბირი.

◆ აგროდახმარების საქმეზე წელს მიწსახკომი დახარჯავს 732,000 მანეთს. 232,000 მ. მეტს შარშანდელთან შედარებით.

სახ. უნივერსიტეტში

◆ უნივერსიტეტის ქიმიური ლაბორატორია მდებარე კამოს ქუჩაზე, ახლო ხანში გადატანილი იქნება პასტერის ინსტიტუტის შენობაში.

◆ სტუდენტთა გასამხედროებისათვის სახ. უნ. გამგეობამ სოც.-ეკ. პედაგოგიურ და პოლიტეხნიკურ ფაკულტეტებს დაავალა საჩქაროდ შეადგინონ ლექციების კითხვის გეგმა.

◆ პროფ. გოგიტიძის ობლებს სრულწლოვანებამდე სახ. უნ. გამგეობამ დაუნიშნა მუდმივი დახმარების სახით 150 მან. თვეში.

◆ მივლინება. სახ. უნ. გამგეობამ გადასწყვიტა სამეცნიერო მიზნით საზღვარგარეთ მიავლინოს აგრ. ფაკულტეტის ასისტენტი ნ. ჯაფარიძე.

◆ ხარჯების შემცირება. სახ. უნ. გამგეობამ გადასწყვიტა ადმინისტრატიული ტეხნიკური ხარჯები შეამციროს 20 პროც.

სხვადასხვა

◆ იუსტიციის სახ. კომისარიატში დღეს შესდგება დამცველ კოლეგიის ახალი შემადგენლობის კრება ახალ პრეზიდიუმის ასარჩევად.

◆ მუშათა ახალ კლუბში 22 ნოემბერს გაიმართება ლექცია-საუბრები საბჭოთა მუშაკების მოვალეობისა და მუშაობის შესახებ.

— სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის შენობაში 20 ნოემბერს დილის 11 საათზე აგრონომიულ ფაკულტეტის დეკანი ვ. კანდელაკი გააკეთებს მოხსენებას: „სოფლის მეურნეობა ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე და მისი განვითარების პერსპექტივები".

— ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშფაკთან არსებულ „მარქსიზმის წრეში" 20 ნოემბერს დღის 12 საათზე ამხ. შ. ღუდუშაური წაიკითხავს მოხსენებას მარქსიზმის საფუძვლების შესახებ.

ჩაუბარებელი დეპეშები

ქუთაისიდან—ბოჭორიშვილს, ფოთიდან —ოლშენსკის, გელათიდან—გუნს, ლენინაკანიდან—ხაპსიანს, მინსკიდან—პირველ ტიპოგრაფიას, მოსკოვიდან—შარივხანოვს, ერევნიდან —პოგოსიანს.

შემთხვევები

დამპალი ყველის აღმოჩენა

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების რაიონულმა სანიტარულმა ექ. იორდანიშვილმა თავის რაიონის დათვალიერების დროს სომხეთის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის —(„აიკოპი"-ს) მაღაზიაში (პუშკინის ქუჩაზე) აღმოაჩინა სრულიად დამპალი შვეიცარული ყველი. ამ ყველით ვაჭრობდა და ჰყიდდა მეტად იაფ ფასებში (43 კაპ. კილოს).

ასეთი ყველი აღმოჩენილი იქნა დაახლოებით ოთხი ფუთის რაოდენობით.

ყველი იმდენად დამპალი იყო, რომ გასინჯვის დროს მასში აღმოაჩინეს ცოცხალი პარაზიტები.

ასეთივე შვეიცარული ყველი სანიტარულ ზედამხედველობის მიერ აღმოჩენილ იქნა სამ კერძო სავაჭროში.

როგორც გამოირკვა, მათ ეს ყველი მიუღიათ „არმენტორგი"-ს საწყობიდან მეტად დაბალ ფასებში.

როგორც „აიკოპს", ისე კერძო ვაჭრებს უვარგისი ყველი ჩამოერთვათ და გადაიყარა.

როგორც ირკვევა ყველის გაფუჭებას იწვევს მისი ცუდათ შენახვა.

ვერ მოასწრეს

18 ნოემბერს ნაშიერის ჩიხი № 8 ნატალია სტანისლავის ასული სადოიანცი, ღამის ათ საათზე როცა ბრუნდებოდა სახლში, თავის ბინაში შენიშნა რამდენიმე ბოროტმოქმედი, რომლებმაც სადოიანცის დანახვაზე მიატოვეს ტომრებში ჩაწყობილი ნივთები და მიიმალნენ.

ქურდის შეპყრობა

18 ნოემბერს სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ვლადიმერ ტრაუგოტი, რომელმაც ჩერქეზიშვილის ქუჩა № 109 მდებარე მუშკოოპის მაღაზიის უკანა კარები შეამტვრია გასაქურდავად. მაგრამ მოდარაჯე მილიციის მიერ იქვე იქნა შეპყრობილი.

◆ ტრამვაის ვაგონში თავისუფლების მოედანზე მარიამ ჩანთლაძეს ამოაცალეს საფულე. ჯიბგირი სამსონ სარქისიანცი შეიპყრეს.

— მკვლელობა. 15 ნოემბერს სოფ. ვეჯინში (სიღნაღის მაზრა) გაბრო მიხეილისძე ხოსიაშვილის სახლის საკუჭნაოში აღმოჩენილი იქნა იმავე ხოსიაშვილის მოკლული ცოლის გვამი გვამს აქვს 6 ჭრილობა ხანჯლით.

— ქურდობა. 19 ნოემბერს ლენინის უბანში ხუდადოვის ქუჩა № 50 გაქურდეს ინვალიდი გრიგოლ კალანდაძის დუქანი. წაღებულ ნივთების ღირებულება გამოურკვეველია.

◆ ქურდების შეპყრობა. 18 ნოემბერს შეიპყრეს ქურდები აირაპეტ არუთინოვი, ანდრონიკ ტონაპეტიანი და არუთინ პეტროსიანი ნაქურდალი ნივთებით.

◆ მორგებული გასაღების საშუალებით 18 ნოემბერს ბერლინის ქუჩა № 20 აბესალომ დიდბაბაძევის ბინიდან მოიპარეს 300 მ ნივთები.

◆ ოპერის თეატრში. 18 ნოემბერს მიხეილ სულხანიშვილს და ნიკოლოზ ალპეგოვს მოპარეს პალტოები.

◆ კარების შემტვრევის საშუალებით 18 ნოემბერს ძნელაძის ქუჩა № 27 ივანე მაყაშვილს მოპარეს 250 მ. საოჯახო ნივთები.

◆ სახელოსნოს გაქურდვა. 18 ნოემბერს სომხის ბაზარზე, № 33 გაქურდეს გიორგი კვეზირელის ქუდების სახელოსნო. წაღებულია 300 მ. ნივთები.

◆ სავაჭროს გაქურდვა. 18 ნოემბერს ლაზარევის ქუჩა № 85 ანტონ სარქისოვის სავაჭროდან მოიპარეს 400 მან.

თავდასხმა ექ. ვოროზიოვზე

გუშინ, საღამოს 9 საათზე რევოლვერებით შეიარაღებული ბოროტმოქმედნი თავს დაესხნენ ექიმ ვოროზიოვს (ყოფ. ალექსანდროვის ქ. № 20) ბინაზე.

ექიმი ვოროზიოვი ამ დროს ღებულობდა კლიენტებს. ბოროტმოქმედნი ექიმთან შევიდნენ რიგს გარეშე. მათ ხელში ეჭირათ პორტფელები.

თავდამსხმელებმა ექიმს მოსთხოვეს 2.000 მანეთი. ვოროზიოვმა მათ განუცხადა, რომ მას აქვს მხოლოდ დღიური ნამუშევარი—80 მანეთის რაოდენობით. ბოროტმოქმედნი დაკმაყოფილდნენ ამ თანხით და წავიდნენ.

სახლიდან მათი გასვლის შემდეგ ექ. ვოროზიოვმა მომხდარი ამბის შესახებ აცნობა მილიციას და საგუშაგოზე მდგომ მეეზოვეს. შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოადგილე შ. მელაძე, მე-9-ე სამილიციო რაიონის თანამშრომლები და სისხლის სამართლის მილიციის აგენტები.

მილიციის მისვლამდე მეეზოვე სტვენით და ყვირილით დაედევნა თავდამსხმელებს. მაგრამ ორთავე ბოროტმოქმედმა გაისროლეს რევოლვერიდან „სამშვიდობოზე" გასვლის მიზნით". შეიქნა პანიკა. შემთხვევის ადგილზე თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა.

სისხლის სამართლის მილიციის აგენტები და მე-9-ე კომისარიატის თანამშრომლები დაედევნენ თავდამსხმელებს.

ბოროტმოქმედნი ყოფილ ალექსანდროვის ქუჩიდან გადავიდნენ კალინინის ქუჩაზე და დაიმალნენ ამავე ქუჩაზე (№ 45) მოქ. მირზოშვილის სარდაფში, სადაც ორთავე დააპატიმრეს.

ისინი აღმოჩნდნენ: სერგო გოცირიძე და სლავერ ჯაფარიძე.

სარდაფში იპოვნეს გატაცებული ფული.

ჩხრეკის დროს გოცირიძეს აღმოაჩნდა ნაგანის სისტემის რევოლვერი, ჯაფარიძეს კი—ბრაუნინგი.

კვლევა-ძიება გრძელდება.

ხელოვნება

„თემინიატი"

გასაგებ ენაზე ნიშნავს: „თეატრი მინიატიურის და ატრაქციონის". მისი დამაარსებელია უმუშევრად დარჩენილ აქტიორების კოლექტივი.

მინიატიურის და ატრაქციონის საჭიროებაზე ზედმეტია ლაპარაკი, განსაკუთრებით თბილისისათვის სადაც არც ერთი ესტრადის მსახიობი არ შექმნილა. ასეთი მსახიობის როლი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტორიისათვის, ვიდრე „ღვთაებრივ" და „წმინდა ხელოვნების ცეცხლით" დაჯილდოვებულ აქტიორებისა. „თემინიატში" იმუშავებს ქართული სექტორიც. 1-ლი ნაბიჯი იქნება ქართულ სატირო-თეატრის დასაწყებად. მისი შექმნა საჭიროა და აუცილებელი.

შარშანდელი „მიუზიკ-ჰოლის" მემკვიდრეა „თემინიატი" მემკვიდრეობა მიიღო როგორც ქონებით, ისე შინაარსით.

„მიუზიკ-ჰოლი" უშინაარსობამ დაღუპა. იგივე ბედი მოელის „თემინიატსაც", თუ ვერ გამოიყენა ჩვენი ყოფით შექმნილ იუმორი, სტილი და სატირიული მასალა.

პირველი პროგრამა კარგი ილიუსტრაცია იყო უხეირობის და უსუსურობის. მეორე პროგრამა (ეხლა მიდის) ოდნავ რიგიანი აღმოჩნდა. აღსანიშნავია „ძეგლის გახსნა"—თარგმნილია ფრანგულიდან და მისი შინაარსი კარგი სატირაა საფრანგეთის „დემოკრატიულ რესპუბლიკის" სამხილებლად. „ტილიფონისტკა" რამოდენიმედ ამართლებს თეატრის დანიშნულებას. მისი მომავალიც ამ მიმართულებით უნდა განვითარდეს და არა ავერჩენკოს „ბოსფორის ნაპირებში" მოცემულ მყვდარი ტიპების დამუშავებით. მ. ვეტროვს იუმორისტული ამბების სცენიურად გამოკეთება თუ სურს, ვურჩევთ მიმართოს ნიჭიერ ზოშჩენკოს მოთხრობებს, იქ მეტ თანამედროვე მასალას იპოვის.

ჯერ-ჯერობით ამ თეატრის მნიშვნელობა. ლენინგრადის ესტრადის კარგი მსახიობის, არკადიევის გამოსვლით გამართლდება.

ბ. გ.

მომღერალთა გუნდები

ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის თავის დღესასწაულთან დაკავშირებით, მოსკოვში გაიხსნა ეთნოგრაფიული გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა მოკავშირე რესპუბლიკები თავიანთი ქვეყნის დამახასიათებელი საეთნოგრაფიო ნიმუშებით.

საქ. განათლების სახ. კომისარიატთან არსებული სამეცნიერო და სახელოვნო მთავარ მმართველობამ გადასწყვიტა ქართველ მომღერალთა გუნდების გაგზავნა აღნიშნულ საეთნოგრაფიო გამოფენაზე.

ხუთშაბათს, საღამოს 8 საათზე, მთავრობის წევრების, განათლების სახ. კომისარიატის და სამეცნიერო-სახელოვნო მთავარ მმართველობის წარმომადგენლების თანდასწრებით, სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა მომღერალთა გუნდების საჩვენებელი კონცერტი.

კონცერტში მონაწილეობას ღებულობდა სამი გუნდი. მათ შორის კახური - ხალხური სიმღერები შეასრულეს — დებმა თარხნიშვილებმა, გურული ხალხური სიმღერები—ჩავლეიშვილის გუნდმა და მეგრული ხალხური სიმღერები—ბაჩკორიას გუნდმა.

სიმღერის შემდეგ შესრულებულ იქნა ხორუმი.

სამივე გუნდი შესდგება 20 კაცისაგან. გუნდი მოსკოვში გაემგზავრება დღეს.

ლეო. შიუკაშვილის კონცერტი

ლეო შიუკაშვილმა მუსიკალური განათლების კურსი წარსულ წელს დაამთავრა სახელმწიფო კონსერვატორიაში. კონსერვატორიაში სწავლის დროს იგი დიდ უნარსა და ნიჭს იჩენდა. პირდაპირ გასაოცარია ის წარმატება, რომელსაც ამ ახალგაზრდამ მიაღწია უკანასკნელი წლის განმავლობაში. ჩვენს წინაშე ეხლა ესტრადაზე არის არა გაუბედავი მოწაფე, არამედ ძნელი და სერიოზული სავიოლონჩელო ლიტერატურის შემსრულებელი.

ის დიდი პროგრესი, რომელსაც ახალგაზრდა მსახიობმა მიაღწია თავის შესრულებაში, მოწმობს იმას, რომ ლეო შიუკაშვილი თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს გამოჩენილ მსახიობთა შორის. შიუკაშვილს უკვე აქვს გავლილი სათანადო სკოლა, მის წარმატებას მუსიკალურ ასპარეზზე ხელს უწყობს ნიჭი, საჭიროა მხოლოდ სათანადო მუშაობა და ხელის შეწყობა ამ ნიჭის განვითარებისათვის.

მის შესრულებაში, რასაკვირველია, ადგილი აქვს ნაკლულევანებებს, კერძოდ აკადემიურობის მხრივ (ბეთჰოვენის კონცერტი); საკმაოდ სტილიურად არ იყო შესრულებული ბახის „ჩაკონნა", დამთავრებული სახით არ იყო გადმოცემული მუსიკალური ფრაზები,—მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ უარყოფს იმას, რომ ახალგაზრდა მსახიობს აქვს ნიჭი, და რომ მისი მუსიკალური ცოდნისა და გამოცდილების გაფართოების შემდეგ ამ ნაკლულოვანებებს აღარ ექნება ადგილი.

კონცერტის პროგრამა ვრცელი და სერიოზული იყო. ბეთჰოვენის კონცერტი—სავიოლონჩელო ლიტერატურის ერთ-ერთი ძნელი ნაწარმოებთაგანი. რომელიც განსაკუთრებულ აკადემიურ შესრულებას მოითხოვს (კარგად იქნა შესრულებული ძნელი კადენცა, რომელიც დაწერილია ცნობილი იოახიმის მიერ), ბახის „ჩაკონნა"—ამ უკანასკნელს შესრულების დროს აკლდა სტილიურობა (ტემპის ხშირად გამოცვლა). მშვენივრად იქნა შესრულებული მოცარტის ნაწარმოები. ვიეტანის კონცერტი კარგად იყო შესრულებული, მხოლოდ სადაც სჭარბობს მელოდია, იქ სასურველია უფრო ღრმა ტონი. საუცხოვოდ შესრულა გლიერის პოეტური რომანსი და პაგანინის იტალიური სიუიტა, განსაკუთრებით მისი პირველი და მესამე ნაწილი.

მუსიკოსი.

ხელოვნების ქრონიკა

საზეიმო საღამო

დღეს, 20 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე ხელოვნების სასახლეში გაიმართება ოქტომბრის ათი წლის რევოლიუციის თავის აღსანიშნავი საზეიმო საღამო; სიტყვებს წარმოსთქვამენ: ს. თოდრია; ვ. კოტეტიშვილი; ბ. ბუაჩიძე,

თავიანთ ნაწერებს წაიკითხავენ: გრ. რობაქიძე, აბაშელი, გრიშაშვილი, ვ. რუხაძე, აარ. ქუთათელაძე. გ. ქუჩიშვილი; პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, რ. გვეტაძე; შ. ლეონიძე, გ. ტაბიძე; ს. შანშიაშვილი, მ. ჯავახიშვილი; კ. კალაძე; ალ. მაშაშვილი; ნავთლუღელი; კ. ფლორენსიშვილი, ს. ეული; ო. ვაკელი, ა. [illegible] შონიძე, ს. ჩიქოვანი, ჩიჩავა; დ. შენგელაია. აბულაძე, კ. ლორთქიფანიძე;

მომღერლები: ს. ინაშვილი; ს. დოლიძე; ტერდანელიანი; ზ. ფალიაშვილი, შეასრულებს ოქტომბრის კანტატას: ლ. შიუკაშვილი—ვიოლონჩელი; სიმებიანი კვარტეტი.

შესვლა უფასოა; დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თეატრების რეპერტუარი მიმდინარე კვირაში

ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ყრილობის გახსნის გამო, 22, 23, 24 და 25 ნოემბერს სახელმწიფო ოპერაში წარმოდგენები არ იქნება. 26 ნოემბერს მიდის „ურიის ქალი" სლივინსკაიას მონაწილეობით და 27 ნოემბერს „დემონი" სანდრო ინაშვილის მონაწილეობით.

აკადემიურ დრამაში 24 ნოემბერს—„ლამარა", 26 ნოემბერს—„კარმენსიტა" და 27 ნოემბერს „ამერიკელი ძია". 29 ნოემბერს მიდის მორიგი პრემიერა „ამერიკელი ძია" მეორე ნაწილი.

ოპერაში მორიგ პრემიერად 30 ნოემბერს მიდის ვიქტორ დოლიძის „ლეილა".

კომკავშირელ მწერალთა წრეში

ორშაბათს, 21 ნოემბერს, საღ. 6 საათზე კომკავშირელ მწერალთა წრეში (ხელოვნების სასახლე მაჩაბლის ქ. № 13). ამხ. დ. რონდელი გააკეთებს მოხსენებას, თემაზე: „ოქტომბრის 10 წელი მხატვრულ ლიტერატურაში. შემდეგ განხილულ იქნება მასალები. აგრეთვე წრეში მომუშავე ამხანაგებს დაურიგდებათ შესავსებათ საჭირო ანკეტები. წრეში მომუშავეთა გამოცხადება სავალდებულოა.

◆ „კარმენსიტა". რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „კარმენსიტა".

◆ მუშათ ახალ კლუბში ადგილობრივი დრამატიული წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „1917 წელი".

◆ ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „სადკო".

◆ „იღრიალე ჩინეთო" პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში დღეს მეორეთ წარმოდგენილი იქნება „იღრიალე ჩინეთო" ქართულ ენაზე.

◆ სახ. კონსერვატორიის დარბაზში 22 ნოემ. გაიმართება თ. ერთაშევას მეორე კონცერტი.

◆ მარო ელიავას კონცერტი. 3 დეკემბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება მომღერალ ქალის მარო ელიავას კონცერტი.

— „ლეილა" ამჟამად სახ. ოპერის თეატრი ამზადებს კომპ. ვ. დოლიძის ოპერას „ლეილას" რომელიც წარმოდგენილი იქნება ორ დეკემბერს.

◆ მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „რევიზორი".

კინო

ახალი სურათები

საქ. სახკინმრეწვის სურათების გამქირავებელ კანტორამ „სოვკინო"-საგან მიიღო შემდეგი ახალი კინო სურათები: „პოეტი და მეფე" (დადგმა რეჟ. გარდინის. სურათის სიუჟეტი აღებულია პუშკინის ცხოვრებიდან). „დიადი გზა", „პეტერბურგის დასასრული" (ორივე სურათი გამოშვებულია ოქტომბრის რევოლიუციის 10 წლის დღესასწაულის აღსანიშნავად. სურათებში მოცემულია თებერვლისა და ოქტომბრის რევოლიუციების დამახასიათებელი ეპიზოდები). „შხამი" (ლუნაჩარსკის პიესის მიხედვით). „ასეთი ქალი" („მეჟრაბპომ-რუსის" გამოშვება). ყველა ეს სურათები დიდი წარმატებით მიდიოდნენ მოსკოვის და ლენინგრადის კინო-თეატრებში.

გარდა ამ სურათებისა საქ. სახკინმრეწვის სურათების გამქირავებელ კანტორამ „სოვკინო"-საგან მიიღო საზღვარგარეთული შემდეგი კინოსურათები: „ზნედიანი" (ამერიკული ფილმა), „ალანის სიზმარი" (დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით), „ზღვის შევარდენი". სამივე ეს სურათი გამოშვებულია ჰოლივუდის ცნობილ კინო-ფაბრიკების მიერ. ახლო ხანში თბილისის კინო-თეატრებში ნაჩვენები იქნება გერმანული ფილმა „კაცი და ლივრეა". ეს სურათი აღსანიშნავია მით, რომ არც ერთი წარწერა არ აქვს და პირველი ცდაა უწარწერო კინემატოგრაფის დარგში.

სასამართლო

ს. ოლაგოვის სიყვარული

— მარტო სიყვარული რაღაა, ძვირფასო სიმონ გიორგი! ცხოვრება უნდა მოაწყო. ჯერ უნდა უზრუნველყო შენი თავი, უნდა მოეწყო კარგ სამსახურში, იშოვო კარგი ბინა და მერე ვილაპარაკოთ ჩემს ქალიშვილზე. ჯერ-ჯერობით კი ტყუილად იმედი არ იქონიო, რომ ჩემს ქალიშვილს მოგათხოვებ—ასეთი პასუხი მისცა ალექსანდრა სავინსკაიამ მოქალაქე სიმონ ოლაგოვს, რომელსაც თავდავიწყებამდე უყვარდა მისი ქალიშვილი თამარა სავინსკაია.

სიმონს ელდა ეცა. არ მოელოდა ასეთ პასუხს. მობრუნდა სახლში და იოდი გადაკრა თავის მოსაწამლავად. გადაარჩინეს.

გავიდა დრო ოლაგოვს სიყვარულის ალმური სულ უფრო და უფრო მოეკიდა. სამაგიეროდ თამარა, რომელმაც მას ცოლად გაყოლა შეჰპირდა. სულ უფრო და უფრო „ცივდებოდა" მისდამი. სიყვარული მოექცა ტრაგიკულ ჩიხში.

მშობლებმა გადასწყვიტეს დაეშორებიათ ერთმანეთს შეყვარებულები და ამ მიზნით თამარა გაგზავნეს თბილისიდან სხვა ადგილას.

დარეტიანებული სიმონი „ტარიელივით" დაეძებდა თავის სატრფოს. ბოლოს დაჰკარგა მისი ნახვის იმედი და დააპირა თავის მოკვლა.

ბევრჯერ სცადა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. ერთხელ დანის დარტყმა უნდოდა გულში, გადაარჩინეს. ბოთლი დაარტყა თავში, მაგრამ არ მოკვდა.

უკანასკნელად წარუდგა სიმონი სატრფოს მშობლებს და უთხრა: „თუ არ მომათხოვებთ თქვენს ქალიშვილს, თავს მოვიკლავ".

სიმონი ეხლაც ცივი უარით გამოისტუმრეს.

თამარამაც შეიცვალა გრძნობა სიმონისადმი და უარი შეუთვალა ცოლად გაყოლაზე.

თავზარდაცემული ოლაგოვი უკანასკნელად მივიდა სავინსკების ოჯახში, სადაც თამარაც იმყოფებოდა. ოლაგოვმა ერთხელ კიდევ მიმართა თამარას თხოვნით გაჰყოლოდა მას, რაზედაც კვლავ უარი მიიღო.

— უკანასკნელად მომეცი ხელი რომ გამოვეთხოვო სამუდამოდ,—ათრთოლებით უთხრა სიმონმა სატრფოს.

თამარამ პირი მიაბრუნა და უკმეხად უპასუხა: „მომშორდი".

შეურაცყოფილმა სიმონმა ამოიღო დანა, დაჰკრა სატრფოს მხარს ზევით და მსუბუქად დაჭრა.

საქმე ირჩევა სამაზრო სასამართლოში ამხ. ტენეიშვილის თავმჯდომარეობით. მოწმეების დაკითხვა დამთავრდა. დაიწყო მხარეების კამათი.

როდესაც დამცველი მჭევრმეტყველად ლაპარაკობდა და როდესაც უკანასკნელი შეეხო ბრალდებულის გრძნობებს, სიმონ ოლაგოვს მოუვიდა ისტერიკა. მოწყდა სკამიდან, ღრიალით დაეცა იატაკზე და მორთო ტირილი.

საქმის გარჩევა შეწყდა. ბრალდებული გაიყვანეს დარბაზიდან. დამცველმა სიტყვა დაამთავრა ბრალდებულის დაუსწრებლად.

ხვალ უკანასკნელი სიტყვა მიეცემა ბრალდებულს და გამოტანილი იქნება განაჩენი.

ვერ.

როგორ გადნა 29.000 ფ. ყინული

მოქალაქე გ. არაქელოვი „ზაქტპოს" საკვებ განყოფილების გამგე გახლდათ და აწარმოებდა მომარაგების ოპერაციებს.

„ზაქტპომ" გასულ წელს განიზრახა საკუთარი საყინულის მოწყობა თავის საჭიროებისათვის.

არაქელოვმა თავი გამოაცხადა ამ საქმის „სპეციალისტად" და „ზაქტპოს" გამგეობამაც მას დაავალა ეს.

არაქელოვმა მონახა საყინულესათვის სარდაფი (ელისაბედის ქ. № 155) და შეინახა შიგ 29,000 ფუთი თოვლი. ინჟინერები და საქმის მცოდნე ხალხი უწუნებდენ არაქელოვს ამ სარდაფს. როგორც უვარგისს თოვლის შესანახად.

— კაცო მე მკითხე, მე ვარ პასუხისმგებელი, ასეთ სარდაფს საყინულესათვის ჩემს მეტი ვერ იშოვიდა მთელს თბილისში. დამანებეთ თავი, თუ ღმერთი გწამთ. ჩემი საქმე მე ვიცი—უპასუხებდა მათ არაქელოვი.

მხოლოდ ერთი „წვრილმანი" არ იცოდა თურმე არაქელოვმა. მან არ იცოდა როდის დნებოდა თოვლი.

შუა ივლისში გახსნეს სარდაფი ყინულის ამოსაღებად. სადაა ყინული. სადღაც ერთ კუნჭულში დარჩენილია ცოტაოდენი. 19,000 ფუთი თოვლი წასულა ხელიდან.

— იმას მაინც უშველოთ, რაც დარჩა, ბრძანა „სპეცმა" დაუძახა ურმებს და შუა ივლისის პაპანაქებაში ყინული გამოამზეურა, მოინდომა სხვა ადგილას გადატანა, მაგრამ გარეთ გამოტანისთანავე ნიაღვარად იქცა ყინული. დადნა ისიც, რაც გადარჩენილიყო.

არაქელოვმა თავისი „სპეცობით" 20000 მანეთის ზარალი მიაყენა „ზაქტპო"-ს.

არაქელოვი დაპატიმრებულია.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა.

განაჩენი მოქ. ხახვიაშვილის საქმეზე

გუშინ სამაზრო სასამართლომ ამხ. კალანდაძის თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი მეზურნე პლატონ ხახვიაშვილის საქმეზე.

ხახვიაშვილს დაუმტკიცდა თავისი ცოლის ელენეს მოკვლა წინასწარ განზრახვით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით სასტიკი იზოლიაციით. მსჯავრდადებულს, როგორც შრომითმშრომელს, შეეფარდა უკანასკნელი ამნისტია და სასჯელის ვადა გაუნახევრდა.

მეცნიერება და ტეხნიკა

კავკასიურ ენათა ბგერების კლასიფიკაციის პრინციპები

ასეთი სათაურით წაიკითხა მოხსენება ჩრდილოეთ კავკასიიდან თბილისს საგანგებოდ ჩამოსულმა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფ. ნ. იაკოვლევმა ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო სხდომაზე. მოხსენება შედგებოდა ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი წარმოადგენდა კავკასიურ ენათა თანამედროვე შესწავლის მოკლე ისტორიას და მეორე კი მოხსენების ძირითად თემას—ბგერათა კლასიფიკაციის პრინციპებს.

შესავალში მომხსენებელმა განაცხადა, რომ არის ჩრდ. და სამხრეთ-კავკასიური ენათა ჯგუფები, რომელთა საერთო გრამატიკული მოვლენები საკმაოდ განსხვავებენ მათ ლინგვისტიკაში კარგად ცნობილსა და შესწავლილ ენებისაგან. თუ რა საერთო სახელი დაერქმევათ ამ ჯგუფებს—კავკასიური, იაფეტური თუ სხვა რამ, ეს მომავლისა და შეთანხმების საკითხია. ამ ენათა შემსწავლელად საბჭოთა კავშირში სულ სამი ცენტრი შეიძლება იქნას დასახელებული: ლენინგრადისა, მოსკოვისა და თბილისის, მაგრამ, რადგან ლენინგრადის ცენტრი სულ სხვა გზით წარემართა ამ ენათა შესწავლაში, ხოლო მოსკოვისა და თბილისის ერთნაირ მუშაობას ეწევიან: ახდენენ ცოცხალ ენობრივ ფაქტების რეგისტრაციას ყოველივე ისტორიული პერსპექტივების გარეშე და სხვ. ამიტომ ამ ორ უკანასკნელთ ენიჭებათ მთავარი ცენტრობა. თბილისი დიდი ტრადიციის მქონეა: მას უამრავი მასალა და გაცილებით მეტი შესაძლებლობა მოეპოვება მოსკოვთან შედარებით, ამიტომ ბუნებრივია მოსკოველ ენათმეცნიერთა ლტოლვა თბილისისაკენ აქაურ მიღწევათა და გამოცდილებათა გასაცნობად. ბოლო ხანებში ევროპაშიც განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებიან კავკასიურ ენათა შესწავლას. რასაც სხვათა შორის, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 1928 წელს კავკასიაში ჩამოვა ნორვეგიელთა (ქ. ოსლოდან) ექსპედიცია ორი წლის ვადით. ექსპედიციაში შედიან: პროფ. ზომერფელდი, კელტურ ენათა შემსწავლელი მარსტრანდერი და ცნობილი ირანისტი პროფ. მორგენსტიერნე. იქ ამ საქმეს გამომცემლობაც ყურადღებით ეკიდება, რაც დირისა და სხვათა რედაქციით გამოსულ წიგნთა რაოდენობით მტკიცდება, ეს არც არის გასაკვირი, რადგან კავკასიურ ენათა მასალებით ზოგადი ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის გაღრმავება და ზოგს შემთხვევაში დასმული კითხვის გადაწყვეტა შეიძლება. ასე უყურებს ამას სახელგანთქმული მეიე (Meillet). თუ ამ დარგში შეერთებული ძალებით გაგრძელდა მუშაობა, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო მნიშვნელობის შედეგებს მივიღებთ.

როგორ გახდა მოსკოვი კავკასიური ენათმეცნიერების ერთ-ერთ ცენტრად? რევოლიუციამდე მოსკოვში ამ მხრით თითქმის არაფერი კეთდებოდა, მხოლოდ ტრუბეცკოის პირადი ინიციატივით სწავლობდა ჩერქეზულს, 1919 წელს როცა თვით მომხსენებელს კავკასიაში მცხოვრებ რუსთა დიალექტებისა და ეთნოგრაფიული მასალების შეკრება განუზრახავს, აკად. შახმატოვს ურჩევია მისთვის კავკასიური ენათა შესწავლა. რჩევით დაინტერესებულა. მაგრამ, იცოდა რა, რომ ინდივიდუალური მუშაობით დიდ შედეგებს ვერ მიაღწევდა, შეუდგომია ენათმეცნიერებაში მომუშავე პირთაგან წრის შედგენას.

1920 წ. პატარა წრის ექსპედიცია მოუწყვიათ ყაბარდო-ინგუშეთში; 1921 წ. კი ზემო ინგუშეთში და მცირე ყაბარდოში.

1922—23 წლებში აღმ. ენათა ინსტიტუტთან (ყ. ლაზარევის ინსტ.) დაარსებულა ე. წ. Подразряд исследования северокавказских языков при институте Востоковедения в Москве, სადაც პირველ ხანებში მუშაობდენ მომხსენებელი და პროფ. ჟირკოვი. ამ ქვეგანყოფილებამ გამოსცა 1923 წ. მომხსენებლის «Таблицы фонетики Кабардинского языка, вып. 1 და „Словарь" примеров к таблицам Кабардинского языка вып. II. დ. ლ. ჟირკოვის «Грамматика Аварского языка» 1921 წლის ექსპედიციის შედეგი გახლავთ აგრეთვე მომხსენებლის პოპულარული ნაშრომი «Ингуши» (Госиздат. 1925).

1923 წ. ეს წრე გამრავალრიცხოვანებულა, მასში შესულან: არქიტექტ. და ხელოვნების პროფ. ბაკლანოვი და არქეოლოგიის პროფ. ბაშკიროვი; მოუწყვიათ ექსპედიცია დასავლეთ დაღესტანში სადაც ექსპედიციის მიერ 1) ჩაწერილ იქნა ანდო-დიდოური ჯგუფის ზოგიერთ ენათა მასალები (რაც დირს არა აქვს) და 2) დადგენილ იქნა რომ ზეგან ნაწილში, სადაც ამჟამად ინგუშები და ჩეჩნები (ქისტები) მკვიდრობენ, საქართველოს გავლენით ყოფილა ქრისტიანული კულტურის ცენტრი ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნემდე, ეს ცენტრი არსებულა მაჰმადიანობის გაბატონებამდე, ე. ი. მეთოთხმეტე საუკ. (ამ ექსპედიციის შესახებ იხ. მომხსენებლისა და პროფ. ბაკლანოვის წერილები. Новый Восток (მეხუთე წიგნში).

1924 წ. მომხდარა რეორგანიზაცია ზემოხსენებული დაწესებულებისა და შექმნილა Комитет по изучению языков и этнических культур Северного Кавказа პროფ. ნ. იაკოვლევის თავმჯდომარეობით. კომიტეტს მისი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. ამ. დაღესტანსა და კუბაჩში მოუწყვია ექსპედიცია, სადაც მონაწილეობა მიუღიათ პროფესორთ ჟირკოვს, ბაკლანოვსა და ბაშკიროვს. ექსპედიციის მუშაობის შედეგს პრ. ბაკლანოვის „Злато кузнецы Дагестана" წარმოადგენს.

1925 წ. ისევ რეორგანიზაცია განუცდია ხსენებულ კომიტეტს და იგი გადაკეთებია Комитет по изучению языков и этнических культур народов Востока'-დ.—კომიტეტის მიერ ყარაჩა-ჩერქეზეთში მოწყობილი ექსპედიციის შედეგები უფრო მდიდრადაა წარმოდგენილი: ჩაიწერა კუბაჩურ ენაზე ტექსტები და გამოვიდა პროფ. ჟირკოვის «Грамм. Даргинского языка». და პროფ. ნ. იაკოვლევის «Материалы для Кабардинского языка» в. I

1926 წ. კომიტეტი გადაკეთდა უფრო მუდმივ მეცნიერულ დაწესებულებად: Научно-исследовательский институт этнических и национальных культур народов Востока СССР, რომლის დირექტორად აკად. ნ. მარი და მის მოადგილედ პროფ. ნ. იაკოვლევი ითვლებიან. უკანასკნელს ამავე წელს საზღვარგარედ მივლინება მიუღია, სადაც იგი ბასკური, ევროპაში ამ ენდემიური, ენის შესწავლას შესდგომია. ქ. ოსლოში მოლაპარაკება გაუმართავს კავკასიაში ორი წლის ვადით სამუშაოდ განზრახული ნორვეგიის ექსპედიციის წევრებთან.

დასახელებულ სამეცნ.-კვლევით ინსტიტუტს ჰყავს საკმაო რიცხვი ასპირანტებისა, რომელნიც, გარდა მოსკოვში სამეცნ. დისციპლინათა შესწავლისა, მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ექსპედიციებში. ასე მაგ.: 1926-7 წ. კავკასიის შესასწავლად წარმოგზავნილ ექსპედიციებში ერივნენ ჩერქეზი, ქისტი და სხ. ასპირანტები.

1927 წ. მასწავლებელთა საზაფხულო კურსებზე მომხსენებელს ოთხი ენის: ინგუშურის, ჩეჩნურის (ქისტურის), ჩერქეზულისა და აბხაზურის მოკლე გრამატიკა წაუკითხავს, და რაც საინტერესოა, მის მიერ აღნიშნულ ენათა ბგერების მიღწეულ გამოთქმას თითქმის არ დასჭირვებია შესწორება.

2.

მოხსენების მეორე და ცენტრალურ ნაწილს ამ წერილის სათაური წარმოადგენდა, რომლის შეცვლა შესაძლებელია ასედაც: „პრინციპები ბგერათა კლასიფიკაციისა საერთოდ". ასეთ დაშვების შესაძლებლობას ბადებს კავკასიურ ენათა არაჩვეულებრივი სიმდიდრე ბგერითი შემადგენლობის მხრივ, რომელიც თითქმის მთლიანად შეიცავს ჩვენთვის კარგად ცნობილ ინდო-ევროპულ, სემიტურ და თურქულ ენათა ბგერებს და დამატებით სპეციფიკურ კავკასიურ ბგერებსაც წარმოგვიდგენს. ასეთ პირობებში კავკ. ენათა ბგერებისთვის მოცემული კლასიფიკაცია ასე თუ ისე მიუდგება სხვა ენებსაც. ბგერითი კავკ. ენები მოგვაგონებენ ამერიკისა და აფრიკისას, მაგრამ უკანასკნელნი უშუალოდ დასაკვირვებლად ჩვენთვის მიუწდომელნი არიან და ამიტომ განსაკუთრებული გულისყურით კავკასიურთ უნდა მივუდგეთ.

დღევანდელი მოხსენება ნაწილია ე. წ. სტატიკური ლინგვისტიკის, რომლის საგანი არის ენის შესწავლა მისი ისტორიის გარეშე, ე. ი. გამორკვევა ენის მთლიანი გრამატიკული სისტემისა გარკვეულ ხანაში. შესწავლას იწყებს ფონეტიკით: უწინარეს ყოვლისა ცდილობს, რომ საკუთარი გამოთქმა იყოს უნაკლოთ და შემდეგ უდგება თეორიული მხარის გათვალისწინებას ამის მისაღწევად იგი წარმოთქმასა და სმენას მიმართავს. ამ ორი საშუალების მაგივრობა არავითარ საექსპერიმენტო იარაღს არ შეუძლია გასწიოს. უკანასკნელი დამხმარეა მხოლოდ პირველი ორისა. ამგვარად ბგერის დასადგენად გვაქვს შემდეგი საშუალება: ა) ექსპერიმენტული და ბ) უშუალო-აკუსტიკური.

ბგერა მჭიდროდაა გადახლართული მნიშვნელობას და პირიქით: მნიშვნელობა—ბგერას. ლინგვისტიკაში საინტერესოა სწორედ იმ ბგერის შესწავლა, რომელიც მნიშვნელობის მატარებელია და რომლის შენაცვლებით ან გამოკლებით მნიშვნელობა ან იცვლება ან იკარგება.

ფონეტიკა ორგვარია: 1) ლინგვისტიკური და 2) ბუნებრივ-ისტორიული. ლინგვისტიკურმა ფონეტიკამ უნდა დაგვიდგინოს ენაში ა) რაოდენობა ფონემისა და ბ) გვასწავლოს ფონემათა ვარიანტების შესახებ, ხოლო ბუნებრივ-ისტორიულმა ფონეტიკამ უნდა გამოარკვიოს ფონემის ფიზიკური და ფიზიოლოგიური ნიშნეულობანი. (ფონემა ამ შემთხვევაში უფრო სხვა გაგებითაა ნახმარი, ვიდრე იგი მის შემომღებს დე სოსიურსა და პროფ. ბოდუენ-დე-კურტენეს ჰქონდათ განმარტებული)

კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედვას ძირითადი არტიკულაცია, რომელიც თანხმოვანთათვის სიმებს ზემოთაა, ხოლო ხმოვანთათვის ხმოსან სიმებში. ამის მიხედვით თანხმოვნები იყოფიან ხუთ ჯგუფად:

ა) სონორთა ძირითადი არტიკულაციაა ხორხში
ბ) ვიბრანტებისა „ ძაგძაგი
გ) სპირანტებისა „ „ ღრიჭოვნობა.
დ) მეხშულთა „ „ სკდომა.
ე) აფრიკატთა „ „ სკდომა და ღრიჭოვნობა.

ხოლო ხმოვნები სამად:

ა) მაგარი სასისმიერნი, ბ) მაგარრბილსასისმიერნი და გ) რბილსასისმიერნი.

მნიშვნელობა აქვს ტიპის შესწავლას და არა წარმოების ადგილს, რადგან ერთი და იგივე ბგერა შეიძლება სხვადასხვა ადგილს ვაწარმოოთ და პირიქით; სხვადასხვა ბგერა ერთის ადგილს, მაგ. შეიძლება იყოს ბაგისმიერი ს, შ. და სხვ.

უკვე ცნობილია, რომ კავკასიურ ენებში არის სამეულოვანი ბგერები კ. გ. ქ. პ. ბ ფ. ტ. დ. თ და სხვ., სადაც კ, ტ, პ სპეციფიკურად კავკასიურია და მათი თავისებურობა შედარებით ამავე ნიშვით გადმოცემულ ევროპულ K, T, П-სთან იმაში გაირკვევა, რომ მათი წარმოების ექსპირაცია მკერდის ღრუდან არ ხდება[1]; მაგრამ ამ სამეულთ კუბაჩურისა, ჩერქეზულისა, დარგინულისა, კიურინულისა და ლეკურის მიხედვით მეოთხე ტიპი თანხმოვნისა ემატება, რომლის წარმოების დროს მკერდის ღრუდან გამოსავალი იკეტება და ხორხი ზევით იწევა. მეოთხე ტიპს, მაგ. პ. არაა არც მაღერი ბ არც მჟღერი ფ. და არც ე. წ. მკვეთრი ხშული („კავკასური") პ, არამედ იგი გაძლიერებული, უკეთ: გრძელი მსკდომი თანხმოვანია[2])

კავკასიურ ენებში გვხდება აგრეთვე ხორხ ზემოური სპირანტები: ყ, შ, ხ. და სხ.

აღსანიშნავია შემდეგი მიმართება: იქ, სადაც ძირი ღია ერთმარცვლიანია, მაგ. te სახისა, (რაც თანხმოვანს ნიშნავს), ფონემა მეტია, ამას ცხადყოფს ჩერქეზული, სადაც, მაგ. ერთმარცვლიანი te-ს სახის ძირი 340-მდეა და ამიტომ ფონემაც მასში მეტია. სამაგიეროდ tet სახის (თანხმ.-ხმოვ.-თანხმ.) ძირების მქონე ენაში (როგორიცაა რუსული), ფონემათა რიცხვი მცირეა. ფორმულა:

te-სმაგვარძირიან ენებში ფონემა მეტია,
-ისმაგვარძირიან ენებში ფონემა ნაკლებია.

კავკასიურ ენათა დაკვირვება აგრეთვე ასეთ მოსაზრებასაც აყენებს: თუ კი ეხა თანხმოვნებით მდიდარია, იქ ხმოვნები ღარიბადაა წარმოდგენილი და პირიქით: თუ ხმოვნები გვხდება მეტი, თანხმოვნები შედარებით ნაკლებადაა; პროპორცია:

თანხმოვანი მეტი: ხმოვანი ნაკლები და ხმოვანი მეტი: თანხმოვანი ნაკლები.

ვ. თ—ია.

---

[1] დაწვრილებით იხ. პროფ. გ. ახვლედიანის წერილი „მკვეთრი ხშულნი ქართულში" (თბ. უნივ. მოამბე, მე-2 გვ., 113—128.

ვ. თ.

[2] მეტად საინტერესო ფაქტებით დადასტურდა ამ მოსაზრებისა, რომელიც წამოაყენა პროფ. გ. ახვლედიანმა ამ მეოთხე ტიპის ტ-ს არსებობის შესახებ ოსურში (იხ. „წელიწდეული" ქართ. სახინთ. საზ. ორგანო 1923—4 წ.); ამას მოჰყვა ახალგაზრდა ოსოლოგის გ. აბაევის გამოკვლევა, სადაც მან პრ. გ. ახვლედიანის მოსაზრება განავრცო პ, კ და სხ. თანხმოვანთა მიმართ...

ვ. თ.

„ელექტრონის ადამიანი"

ევრ. და ამერ. გაზეთების ფურცლებს შემოიარა ცნობამ, რომ ამერიკული ელექტრო-ტეხნიკური ფირმის „ჯენერალ ელექტრიკ"-ის ინჟინერებმა მოახერხეს დაემზადებიათ ავტომატი, რომელიც „ემორჩილება" ადამიანის ხმას და ასრულებს ხმამაღლა წარმოთქ. ბრძანებებს. ცდების დროს ნაჩვენები „ელექტრონის ადამიანი" ბრძანების თანახმად ანთებდა და აქრობდა ელექტრონის განათებას, ამუშავებდა ვენტილიატორს, ასრულებდა ზოგიერთ სხვა „საოჯახო" დავალებებს. ყველაფერ ამას აკეთებდა ადამიანის დაუხმარებლად.

ცნობამ „ელექტრონის ადამიანის" გამოგონების შესახებ აღტაცებაში მოიყვანა ბურჟუაზიული პრესა. „განა,—კითხულობდენ ეს გაზეთები,—ამ გამოგონებაში არ იმალება სოციალური საკითხის უმტკივნეულოდ გადაჭრის შესაძლებლობა? განა „ელექტრონის ადამიანი" მომავალში ვერ განდევნის სამრეწველო პროლეტარიატის არმიებს? განა იგი წარმოებაში ვერ შეასრულებს როლს თანამედროვე მუშისას, რომელთანაც მას ის განსხვავება ექნება, რომ ვერ წამოაყენებს „შეუსრულებელ მოთხოვნილებებს, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებაში წარმოადგენენ მრავალ უსიამოვნებათა და მუდმივი შიშის წყაროს?"—ესა და სხვა ამგვარი კითხვებით იყო სავსე ბურჟუაზიული პრესა იმ დღეს, როცა ტელეგრაფმა მოიტანა ცნობა ამერიკაში „ელექტრონის ადამიანის" გამოგონების შესახებ.

ვნახოთ, თუ მართლა—„ეპოქალურ აღმოჩენას" წარმოადგენს „ელექტრონის ადამიანის" გამოგონება? ტეხნიკის ანალებში ადამიანის მსგავსი ავტომატები დაახლოებით ისევე ხშირად გვხდება, როგორც ცნობილ „პერპეტუუმ მობილე". და თუ ეხლა ეს ავტომატები გახსნებენ მტვრიან კუნსტკამერებში, ეს არა იმიტომ, რომ მათ გამომგონებლებს აკლდა გონიერება და ჭკუამახვილობა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ერთმა გამოჩენილმა ესპანელმა მათემატიკოსმა აუწყა საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიას, რომ მადრიდელმა მექანიკოსმა ვინმე ტორრეს ქვადომ გამოიგონა ავტომატი—მოჭადრაკე. მართალია, ავტომატს შეუძლია თამაში მხოლოდ ფიგურების ნახევარი რიცხვით, მართალია იგი ვერასოდეს ვერ უგებს ყველაზე გაუწვრთნელ მოჭადრაკესაც კი, მაგრამ იგი აკეთებს სავსებით გონიერ სვლებს, უპასუხებს მოწინააღმდეგის სვლაზე, როგორც ამას მოითხოვს ჭადრაკის თეორია. ერთგვარი „თავმოყვარეობა" და „პირდაპირობაც" ახასიათებს ამ ავტომატიურ-მოჭადრაკეს: იგი სწყვეტს თამაშს, როგორც კი მოწინააღმდეგე არასწორი სვლით შეეცდება მის მოტყუებას.

ელექტროტეხნიკისა და რადიო-ტეხნიკის გასაოცრებელმა განვითარებამ პირდაპირ ზღაპრული პერსპექტივები შექმნეს. მაგალითად, ტეხნიკურ გამოფენაზე, რომელიც მიმდინარე შემოდგომაზე გაიმართა ინგლისში, საყოველთაო ყურადღებას იპყრობს მოდელი ელექტრონის მატარებლის, რომლის მოძრაობას აწესრიგებენ ადამიანის ხმის საშუალებით: მატარებელი ადგილიდან იძროდა, როგორც კი იტყოდენ სიტყვას „წინ", ჩერდებოდა, როგორც კი გასცემდენ ბრძანებას—„სტოპ" და უკან ბრუნდებოდა, როგორც მას უბრძანებდენ: „უკან".

გამოჩენილმა ამერიკელმა ფიზიკოსმა ელიუ ტომპსონმა გააკეთა სათამაშო—მექანიკური ძაღლი, რომელიც გამოხტებოდა თავის ოთახიდან, როგორც კი სახელს დაუძახებდენ.

მეორე მეცნიერ—ინგლისელ ფიზიკოს ლოჯს კი განცვიფრებაში მოჰყავდა თავისი სტუმრები იმით, რომ უჩვენებდა გარაჟს, რომლის კარები თავისით იღებოდა, როგორც კი ლოჯი იტყოდა: „სეზამ, გაიღე!".

ამგვარ მოწყობილობათა. (მათ რიცხვში ამერიკული „ელექტრონის ადამიანისაც") პრინციპი არ არის რთული, თუმცა მისი ტეხნიკური განხორციელება მოითხოვს მეტად დიდ სიზუსტეს და რთულ მუშაობას. ამ პრინციპის განმარტება ადვილად შეიძლება შემდეგი მარტივი სქემის საშუალებით: წარმოვიდგინოთ კამერტონი (კამერტონი წარმოადგენს მუსიკალურ ხელსაწყოს, მუდმივი და განსაზღვრული სიმაღლის უბრალო ტონის მისაღებად. წაგავს ფოლადის ჩანგალს), რომლის ბოლო წარმოადგენს ელექტრო-მაგნიტის ლუზას, ყოველთვის როგორც კი სადმე ახლო მეორე კამერტონი ან სხვა მუსიკალური ხელსაწყო წარმოშობს პირველი კამერტონის ნოტას, დაიწყება რეზონანსის (ხმის გაძლიერების) მოვლენა. პირველი კამერტონი ამ ხმებზე უპასუხებს რყევით, რომელიც კოჭაში გამოიწვევს ელექტრო დენს. ამ სუსტი დენის წარმოშობა—ეს ის, რაც არსებითად საჭიროა ავტომატის ამოქმედებისათვის. თანამედროვე ელექტრო-ტეხნიკამ იცის ათეული ხერხები სუსტი დენების გაძლიერებლად ენერგიის გარეშე წყაროების საშუალებით. გაძლიერებული პირვანდელი ელექტრო-დენი ჰკეტავს კონტაქტს ელექტრონის მოტორისას, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მატარებელი. ძაღლი, ვენტილიატორი და სხვ. აშკარაა, რომ ამგვარი მოწყობილობა უპასუხებს მხოლოდ განსაზღვრულ ნოტაზე, იმაზე, რომელზეც მომართულია კამერტონი და სხვა „ბრძანებებს" „აინუნშიც არ ჩააგდებს".

უფრო რთულია, მაგრამ პრინციპიალურად ამგვარსავე მდგომარეობაშია საქმე, როცა აპარატმა უნდა უპასუხოს არა განსაზღვრულ ნოტაზე, არამედ ადამიანის მიერ წარმოთქმულ, განსაკუთრებული თანამიმდევრობით დალაგებულ ფრაზაზე, როგორც ეს არის „ელექტრონის ადამიანის" შემთხვევაში. ადამიანის ენა შესდგება 30 უბრალო ტონიდან. „ელექტრონის ადამიანის" სმენის აპარატისა დაახლოვებით ამდენივე „ხმის დამჭერ" ელემენტებიდან შესდგება. აპარატის „აღმასრულებელ ნაწილს" წარმოადგენს კლავიატურა კონტაქტებისა, რომლებიც მავთულებითაა შეერთებული ვენტილიატორის მოტორთან, გასანათებელ ქსელთან და სხვ. ამ შემთხვევაში, ელექტრონის კონტაქტები მოძრაობაში მოჰყავს რამდენიმე „ხმის დამჭერ" ელემენტის (კამერტონის) ჟღერას და არა ერთს, როგორც ეს იყო ზემოთ მოყვანილ სქემაში. განსაზღვრული თანამიმდევრობით დალაგებული სიტყვები მოქმედობენ განსაზღვრულ კონტაქტზე, მაგრამ არავითარ გავლენას არ ახდენენ მეორეზე. ამრიგად, წარმოთქმული პირობითი ფრაზა წააგავს კლიტეს, რომელიც აღებს ერთ ბოქლომს (აერთებს ერთ კონტაქტს), მაგრამ არ გამოდგება მეორე ბოქლომისათვის (არ ჰკეტავს მეორე კონტაქტს). ისე, როგორც კლიტე აღარ აღებს ბოქლომს, თუ მას წაემტვრა კბილი, ასევე პირობითი ფრაზასაც აღარ ემორჩილება „ელექტრონის ადამიანი", თუ მასში (ფრაზაში) შეიცვლება სიტყვების რიგი, ხმის ინტონაცია და სხვ.

მექანიზმის ამ აღწერიდან შეიძლება ზოგიერთი დასკვნების გაკეთება.

პირველ ყოვლისა: „ელექტრონის ადამიანი" თავისთავად არ წარმოადგენს ენერგიის წყაროს მას შეუძლია განსაზღვრული ფუნქციების შესრულება მხოლოდ არსებულ დადგმულობათა (ვენტილიატორის მოტორის, ელექტრო-ქსელის ენერგიის და სხვ.) ამოძრავებით.

მეორე: „ელექტრონის ადამიანი" არ არის უნივერსალური, ე. ი. მას შეუძლია მხოლოდ იმის შესრულება, რაც წინასწარ განსაზღვრა მისმა დამზადებელმა და ისიც მხოლოდ განსაზღვრულ პირობებში (ბრძანების სიტყვების თანამიმდევრობის დაცვა, ბრძანების წარმოთქმა განსაზღვრული კილოთი და სხვ.).

მესამე: „ელექტრონის ადამიანი" არსებითად არის აპარატი, რომელიც ადამიანის ხმებს აქცევს მექანიკურ იმპულსებათ.

მას მოძრაობაში მოჰყავს დადგმულობანი, რომელთა ამუშავება ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა ელექტრონის ფოლაქზე ხელის დაჭერით

„ელექტრონის ადამიანის" მთელი „ჯადოქრობა" იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოძრაობითი იმპულსებათ აქცევს ადამიანის ხმებს, რომლებსაც ჩვენ უყურებთ როგორც რაღაც არამატერიალურ რამეს. (რაც, უსათუოდ. შემცდარი აზრია) სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. ხმები, რომლებიც ჰაერის რყევას წარმოადგენენ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ადვილად შეიძლება გადავაქციოთ მაგარი მატერიის რყევად, რომელიც მიუხედავად თავისი სისუსტისა, საკმაოა ელექტრო-დადგმულობათა ასამოძრავებლად.

ამ მოკლე აღწერიდან ადვილად დავინახავთ, რომ ლაპარაკი იმაზე, თითქო ელექტრონის ადამიანი" ცოცხალ ადამიანს განდევნის წარმოებიდან, გაუგებრობაზეა აგებული. ჩვენ არ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ „ელექტრო ადამიანი" თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭიროებს ენერგიის მუდმივ წყაროს. ამ ენერგიის შექმნა „ელექტრონის ადამიანს" არ შეუძლია, ამისათვის საჭიროა ცოცხალი ადამიანის მუშაობა. ჩვენ არ ვლაპარაკობთ აგრეთვე იმაზე, რომ თანამედროვე ინდუსტრიის განვითარების ტენდენცია არ უწყობს ხელს ავტომატს. პირიქით. იგი პირველ რიგში აყენებს ცოცხალ ადამიანს. სამანქანო შრომის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნილებები, რომლებსაც წარმოება უდგენს მუშას, თანდათანობით იზრდება და მასთან ერთად იზრდება მუშის მნიშვნელოვან წარმოებაში.

შეიძლება ითქვას, რომ „ელექტრონის ადამიანი" ავტომატი კი არ არის, არამედ უფრო გადამცემი მანქანებისათ. ის ვერ შეასრულებს გადაცემი მანქანებისათვის, ის ვერ შეასრულებს ვერავითარ განმკარგულებელ და ორგანიზატორულ ფუნქციებს იმ ფარგლებშიც კი, რომელიც მისაწვდომია ავტომატიკისათვის და ამიტომ ცოცხალი ადამიანის განდევნაზე წარმოებიდან მას ისეთივე პრეტენზიები შეუძლია იქონიოს, როგორც ახალ სისტემის რომელიმე მანქანას.

აქვს თუ არა რაიმე უპირატესობა ამ ახალ გადამცემ მექანიზმს უკვე არსებულ მექანიზმების წინაშე? პრინციპიალურად არ არის არავითარი განსხვავება ელექტრონის ფოლაქზე ხელის დაჭერისა და „ელექტრონის ადამიანისათვის" სიტყვიერათ მიმართვას შორის. ამართლებს თუ არა თავის თავს საეჭვო უპირატესობა ელექტრონის ვენტილიატორის ამუშავებისა ხმის საშუალებით ელექტრონის ფოლაქზე უბრალო ხელის დაჭერის მაგიერ?—ვფიქრობთ, რომ არა განსაკუთრებით, თუ ჩვენ გავიხსენებთ ახალი მოწყობილობის სირთულეს და სიძვირეს.

ო. ტ.

მეტროპოლიტენი და ტრამვაი

ინჟ. ლ. ვიგოდსკის მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობები მეტროპოლიტენისა და ტრამვაის სისწრაფისა და გატარებითი უნარიანობის შესახებ უცხოეთში. ტრამვაის სისწრაფე ვერ გადააჭარბებს 16 კილომეტრს საათში, მეტროპოლიტენის სისწრაფე კი შეიძლება მიყვანილ იქნეს 60 კილომეტრამდე საათში, თუმცა იგი ჩვეულებრივ არ აღემატება 35 კილომეტრს ხშირი გაჩერებების და სხ. მიზეზების გამო. ამ დროს, როცა იდეალურად მოწყობილ ტრამვაის ხაზს, ვაგონების მაქსიმალური რიცხვით არ შეუძლია საათში ორივე მიმართულებით გაატაროს 24.000-ზე მეტი მგზავრი, ორხაზიანი მეტროპოლიტენები ლონდონსა და ბერლინში ატარებენ 6-ჯერ მეტს ხალხს. ლონდონში, ჩირინგ-კროსის სადგურში, ყოველ საათში გადის 200 მატარებელი. ნიუ-იორკის ზოგიერთ ხაზზე, ზოგჯერ იმდენი ხალხი იყრის თავს, რომ მატარებლები გადიან ყოველ $^3/_4$ წუთში.

ჭლექი და პროფესია

საფრანგეთის საექიმო ლიტერატურაში მეტად საინტერესო ცნობებია შეკრებილი ჭლექით დაავადმყოფების კავშირის შესახებ პროფესიასთან. ქვის მთლელები ჭლექიანების ყველაზე მეტ პროცენტს იძლევიან. იშვიათათ თუ ვინმე მიაღწევს მათგან 36 წლის ჰასაკამდე. ფაიფურის მრეწველობის მუშები ჭლექიანების 50—60 პროც. იძლევიან. მეფურნეებშიც ძლიერ გავრცელებულია ჭლექი. 400.000 მეფურნიდან საფრანგეთში 28.000 ჭლექით ყოფილა ავად. ეს დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, რადგან ჭლექის ჩხირები შეიძლება მოხვდეს ცომში და ფურნის მაღალ ტემპერატურასაც გადაურჩეს.

ამავე ცნობების თანახმად, მემაღაროები, წინააღმდეგ გავრცელებული შეხედულებისა, იძლევიან ჭლექიანების ყველაზე უმცირეს პროცენტს. მუშები კი, რომლებიც გიპსის წარმოებაში მუშაობენ და მთელი დღის განმავლობაში ისუნთქავენ გიპსის მტვერს, სრულიად არ ავადმყოფდებიან ჭლექით.

დირიჟაბლის იუბილე

მიმდინარე წლის შემოდგომაზე შესრულდა 75 წელიწადი მას შემდეგ, რაც ფრანგი მუშა ჟიფფარი პირველად გაფრინდა მის მიერ გამოგონებულ დირიჟაბლით. ეს იყო სინათლის გაზით ავსებული აეროსტატი, 2.500 კუბ. მეტრის მოცულობის მქონე, რომელსაც შეეძლო 1.750 კილოგრამი ტვირთის აწევა. დირიჟაბლი მოძრაობაში მოჰყავდა ორთქლის მოტორს. გამომგონებელმა პირველი გაფრენის დროს (1852 წ. 12 სექტემბერს) მიაღწია სამ მეტრის სისწრაფეს წამში და ავიდა 1.800 მეტრის სიმაღლეზე. ძლიერმა ქარმა აიძულა ჟიფფარი ჩქარა დაშვებულიყო დაბლა. ჟიფფარის გამოგონებას თავის დროზე არ მიუქცევია დიდი ყურადღება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თანამედროვე უდიდესი დირიჟაბლი RZ-3, რომელიც 1925 წ. გადაფრინდა ატლანტის ოკეანეზე დაიტევდა ჟიფფარის 28 დირიჟაბლს. მისი მამოძრავებლების სიმძლავრე 700 ჯერ აღემატება ჟიფფარის დირიჟაბლის მოტორის სიმძლავრეს, სისწრაფე კი—15-ჯერ.

ცეცხლის ქრობის ახალი საშუალებები

პრესაში უკვე იყო გამოქვეყნებული ცნობები, რომ ამერიკაში ხანძრების ჩასაქრობად წარმატებით სარგებლობენ ნახშირმჟავათი: ცეცხლს აქრობდენ 10 წუთში. ახლა გერმანიის ქიმიური ჟურნალები იუწყებიან ცეცხლის ქრობის ახალი სარეკორდო საშუალების შესახებ: ყველაზე დიდ ხანძარს აქრობენ 20—30 წამის განმავლობაში „ნახშირმჟავა თოვლის" საშუალებით. ბალონებში თხელი ნახშირმჟავა იქცევა თოვლათ, რომელიც, ბალონისათვის თავისმოხსნის შემდეგ, ეფინება ცეცხლწაკიდებულ სივრცეზე. თოვლის გადნობის პროცესში ტემპერატურა ხანძრის ადგილზე იმდენად იწევს, რომ ცეცხლი ერთბაშად ქრება.

აეროპლანების მართვა რადიოს საშუალებით

რადიოს საშუალებით აეროპლანების მართვის დარგში უკანასკნელ ხანებში დიდი შედეგებია მიღწეული. ამჟამად ამერიკის ერთ-ერთ აეროდრომზე დადგმულია რადიო-მოწყობილობა, რომელიც მფრინავს უადვილებს დაშვებას ღამით და ნისლიან დარში. აეროდრომზე, მიწაში, განსაზღვრულ სიღრმეზე, ჩაფლულია მავთული, რომელშიც ატარებენ მაღალი ძაბვის ცვალებად დენს, ელექტრო-მაგნიტური ტალღები, რომლებიც ამ მავთულებიდან გამოიყოფიან, ანთებენ აეროპლანებზე დადგმულ განსაკუთრებულ სასიგნალო ლამპებს. აეროდრომთან მიახლოების დროს, მფრინავს უკვე რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე შეუძლია მიმართულების გამორკვევა რადიო-ნიშნების მიხედვით. როგორც კი აეროპლანი გადაუხვევს სწორი გზიდან, მაშინვე ინთება სასიგნალო ლამპა იმ მხრიდან, საიდანაც უნდა მოუხვიოს აეროპლანმა, რომ სწორად დაეშვას აეროდრომზე. გარდა ამისა, სასიგნალო ლამპა უჩვენებს აგრეთვე სიმაღლეს, რომელზეც იმყოფება აეროპლანი. დაშვების დროს თანდათანობით ინთება სხვადასხვა სიმაღლის ლამპები ისე, რომ მფრინავს არ მოელის საფრთხე იმისა, რომ მოულოდნელად „დაეჯახება რამეს.

მუშკოოპში

მიმდინარე საოპერაციო წელში თბილისის მუშკოოპი აერთიანებს 336 სავაჭრო პუნქტს და 32.498 წევრთ, რომელთა საპაიო კაპიტალი აღწევს 127.006 მან.

გასულ წელს მუშკოოპი აერთიანებდა 15[illegible] სავაჭრო პუნქტს, რომლებშიც ირიცხებოდა 26.224 წევრი—58.207 მანეთის საერთო საპაიო კაპიტალით.

სავაჭრო პუნქტების უმრავლესობა (222) მოდის პურით სავაჭროებზე, რომლებიც მუშკოოპს გახსნილი აქვს თბილისის ყველა უბნებში. შემდეგ მიდის სურსათ-სანოვაგის სავაჭროები. მათი რიცხვი ამჟამად აღემატება 50-ს.

გასული წლის პირველი ოქტომბრიდან მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე მუშკოოპის ყველა სავაჭროების მიერ გაყიდულ საქონლის რაოდენობა აღემატება 15 მილიონ მანეთს.

მიმდინარე საოპერაციო წელში თბილისის მუშკოოპის სამმართველოს პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს 22.200.000 მანეთის საქონლის შემოზიდვას თბილისში.

მათ შორის, სასოფლო სამეურნეო ხასიათის საქონელი იქნება 7.400.000 მანეთის, საბაყალეო—4.600.000 მანეთის, მანუფაქტურა—5.500.000 მანეთის, შეკერილი ტანისამოსები—800.000 მანეთის, ფეხსაცმელები—1.300.000 მანეთის, პურქლეულობა—700.000 მანეთის და სხვა.

გარდა ამისა, მუშკოოპის სამმართველომ ყურადღება მიაქცია აგრეთვე მოსახლეობისათვის რძის მიწოდების საქმეს. მიმდინარე საოპერაციო წელში ყარაიაზის რაიონში შესყიდული იქნება 800.000 მანეთის რძე.

რკინისგზებზე

ელსადგურის გაფართოება

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა თბილისის რკინის გზის ელსადგურის გასაფართოებლად. სადგურში იდგმება მაღალი ძაბვის გენერატორი, რომელიც მიაწვდის ელექტრონის ენერგიას თბილისის მთავარ სახელოსნოებს.

სახელოსნოების ზაჰესის ენერგიაზე გადაყვანის შემდეგ აღნიშნული სადგური იქნება მარაგში და ამუშავდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნა შეფერხებას ენერგიის მოწოდებაში.

ახალი ცისტერნები

გზათა კომისარიატის დაკვეთით, ანდრე მარტის სახელობის ნიკოლაევის ქარხანა ამიერკავკასიის რკინის გზებისათვის აშენებს 350 ოთხღერძიან დიდ ცისტერნებს.

ახლო ხანში ეს ცისტერნები გადმოიგზავნება ამ.-კავ. რკ. გზებზე.

ტყიბულის მაღაროებისათვის

საქართველოს სახელმწიფო სათბობის სამმართველომ ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობის წინაშე აღძრა შუამდგომლობა ტყიბულის სადგურიდან—მაღაროებამდე მოძრაობის გაუმჯობესებისათვის ერთი საკლასო ვაგონის დანიშვნის შესახებ.

ბაქანი ახალ ადგილზე

ზაჰესის ექსპლოატაციის სამმართველომ ა. კ. რკ. გზ. გამგეობას მიმართა თხოვნით,—ზაჰესის ბაქანი გადაიტანოს დიღომის ხიდთან—თბილისისაკენ.

მეორე ხაზი

მუშაობა მეორე ხაზის გასაყვანად დამთავრებულია ძეგამ-დოლიარის და განჯა-ზაზალის უბნებზე.

ექსპორტი

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საექსპორტო-საიმპორტო სამმართველოსთან შესდგა ღვინის დამამზადებელთა და ექსპორტიორთა თათბირი, რომელზედაც განხილული იყო ღვინის ექსპორტთან დაკავშირებული საკითხები. თათბირმა აუცილებლად სცნო შეუდგეს ამიერ-კავკასიის ღვინოების ბაზრების შესწავლას და ღვინის ექსპორტს.

ა.-კ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, ოქტომბრის განმავლობაში ამიერ-კავკასიიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გატანილი იქნა 571.000 მანეთის საქონელი; გატანილია ბამბის ქატო — 170.000 მანეთის, თხილი — 12.000 მან., ხალიჩები — 83.800 მან., აბრეშუმის პარკი და აბრეშუმის ნარჩენები—217.800 მან. და სხვა საქონელი — 86.400 მანეთის.

ბიბლიოგრაფია

ა. ბერიძე და მ. კორძახია

„მათემატიკის სამუშაო წიგნი"

შრომის სკოლების მეექვსე და მეშვიდე ჯგუფე-ბის სახელმძღვანელო —გვ. 306. ფასი 1 მ. 50 კ. სახელგამი.

სკოლის ყოველ სახელმძღვანელოში ცნობები და დებულებანი თანდათანობით უნდა ვითარდებოდეს, ბუნებრივად გამომდინარეობდეს ერთი მეორედან, ეს მით უმეტესად შეეხება მათემატიკის წიგნს. ხსენებული პრინციპი სარეცენზიო წიგნში მეტ წილად დარღვეულია.

მაგ. მე-12 გვ. სრულიად უადგილოა ტრაპეციის ფართობის ფორმულის გამომუშავება. ის უნდა იყოს მოყვანილი ასოითი გამოსახულებებთან გაცნობის შემდეგ, ვინაიდან მის გასაგებათ განრიგადობის თვისებას მაინც უნდა იცნობდენ მოწაფეები ზოგადი სახით.

66 გვ. მოყვანილია დამტკიცება, თუ როგორ შეეფარდებიან ერთმანეთს მსგავს სამკუთხედების მოედნები; წინასწარ არ არის დამუშავებული ასეთი სამკუთხედის სიმაღლეების შეფარდება.

161 გვ. 48 ამოცანა თხოულობს ტრაპეციის საშუალო ხაზის თვისების ცოდნას, ეს თვისება კი განმარტებულია 217 გვერდზე.

129 გვ. იმის გასაგებათ, თუ რით იზომება ჩახაზული კუთხე, მოწაფეებმა უნდა იცოდენ, რომ პარალელურ ქორდებს შორის მოთავსებული რკალები თანასწორია: ეს უკანასკნელი კი ახსნილია 173 გვერდზე.

მრავალი ადგილი წიგნში ავტორების მიერ თითქმის დაუმუშავებელია. მაგ. სრულიად გამოტოვებულია შეფარდებითი ნულის განმარტება და მისი შერჩევა. არაფერია ნათქვამი გეომეტრიულ შეფარდებაზე და მის უმთავრეს თვისებაზე: გამოტოვებულია შეფარდების შეკვეცა და მისი განთავისუფლება მნიშვნელობისაგან.

არ არის ცნება ნულოვან და უარყოფით ხარისხზე, რომელთა გაცნობა მეტად ბუნებრივია ერთწევრების გაყოფის დროს; მათი საშუალებით მოწაფეები მიიღებენ ნათელ წარმოდგენას თვით ამ გაყოფაზე.

სწერენ ნულზე გაყოფა შეუძლებელიაო, და თუ რატომ, განმარტებული არ არის. არ არის განმარტება დამატებითი მამრავლისა; არაფერია ნათქვამი განტოლებათა ნორმალურ სახეზე.

ბევრი თეორემა არ არის დამტკიცებული; მაგ. მესამე შემთხვევა სამკუთხედების მსგავსებისა; ამავე დროს ზოგი რამ, რაც ისედაც ნათელია და ადვილი გასაგები მეტად გაჭიანურებულია მაგ. მთელი 27 გვერდი უკავია ჯამის გარდანაცვლების თვისების დამტკიცებას (რომ 10+3=3+10).

273 გვ. ინტერპოლობის ახსნის დროს უმნიშვნელოდ მიღებულია ტრიგონომეტრიულ ფუნქციების და არგუმენტების პროპორციულობა.

ყოველ მასწავლებელმა კარგად იცის თუ რა დიდი ზიანი მოაქვს სწავლების დროს ტერმინების არევ-დარევას. ამ წიგნის ავტორებს კი ეს არა სცოდნიათ, უკვე 2 წელიწადია მიღებული და დამტკიცებულია ყველგან სავალდებულო სახმარებლათ მათემატიკის ტერმინები; ავტორები ხშირათ ამ ტერმინებს არ ხმარობენ და ხმარობენ ერთდაიმავე ცნებისთვის სხვადასხვა ტერმინებს. მაგალითად,—მთელ წიგნში იხმარება ერთდაიმავე დროს ტერმინები: ნაკვეთი და მონაკვეთი: მოცულობა და შემცველობა და სხვა.

საერთოდ ტერმინების მხრით წიგნი დაუმუშავებელია, რაიც უეჭველია დიდ ზიანს მიაყენებს საგნის სწავლებას. მაგალითად ყოვლად უმსგავსოა ტერმინი ტოლსწორფერდიანი (120 გვ.) (ტოლფერდიანის ან თანასწორფერდიანის მაგიერ).

წიგნში საკმაოდ ბლომათ მოიპოვება სრულიად ყალბი და შემცდარი ცნობებიც. მოვიყვანოთ მაგალითები.

მე-17 გვ. მე-9 ამოცანაში მოყვანილია, რომ დედამიწის ღერძი უდრის 12.000 კილომეტრს (ნამდვილად კი გახლავთ ეკვატორზე 12.754 კმ. პოლიუსზე 12.712 კმ.; მიახლოვებით მისაღებია 12.700 კმ.) იმავე გვერდზე მე-15 ამოცანაში სწერია (შენარჩუნებულია მათი მართლწერა) ქ. თბილისი მდებარეობს ჩრდილოეთის განიდის 44°ზე. ნამდვილად კი თბილისი მდებარეობს 41° და 42° შორის.

მოცემულია ხვედრითი წონები:
რკინისა 8,94—უნდა იყოს—7,8.
ვერცხლისა 13—უნდა იყოს—10,5.
თუჯისა 7,8—უნდა იყოს—7,45.

შეუძლებელია ბავშს ასე დამახინჯებულად ასწავლოთ სხვადასხვა სხეულთა ხვედრი წონები. მაგრამ მეტად აღმაშფოთებელია განმარტება ფუთვერსისა 50 გვერდზე მე-4 ამოცანაში; სწერია „ფუთი-ვერსი მუშაობას შეასრულებს როცა, როცა ის ერთ ფუთ ტვირთს გადაიტანს ერთ ვერსზე". ეტყობათ ავტორებს თვითონაც არა აქვთ ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის მუშაობის ერთეული ფუთვერსი.

უფრო საყურადღებოა 67 გვერდზე მე-2 ამოცანა; მისი ამოხსნა იძლევა, რომ სოფლის მოედანი ყოფილა 0,62 ჰექტარი (დაახლოვებით ერთი დღიური). საინტერესოა, თუ კი მართლა წარმოსადგენია სოფელი 0,62 ჰექტარი მოედნით. ასეთი სამასხარო ამოცანის მიცემა ყოვლად შეუძლებელია. ეს სრული დაუდევრობაა. 245 გვერდზე მოთავსებული ამოცანა—შეუძლებელია. გასაოცარია 128 გვ. კითხვა: „რამდენ სწორკუთხედს შეიცავს პარალელოგრამი, ექვსკუთხედი, რვაკუთხედი და ა. შ." „რამდენ გრადუსს შეიცავს წესიერი ექვსკუთხედი" (აქ ლაპარაკი უნდა იყოს მრავალკუთხედის შიდა კუთხეების ჯამზე და არა სწორკუთხედებზე) 177 გვერდზე მე-2 ამოცანა გვეუბნება, რომ წრეში თურმე არსებობს ურთიერთ პარალელური დიამეტრები. 178 გვერდზე კი ამგვარი მეორე სიბრძნეა:

„წრის გარედ მდებარე წერტილიდან გატარებული ორი მკვეთი ჰყოფს წრეხაზს ოთხ ნაწილად, რომელთა შორის შეფარდებაა—9:6:6:15.

ასეთი აბდაუბდა და მათემატიკის სწავლება შრომის სკოლაში?—პირდაპირ საკვირველია. სანამ მოითმენს ჩვენი სკოლები ასეთ „სიურპრიზებს"?

ასე გრძელდება წიგნის ბოლომდე. მაგ. 217 გვ. ამოცანა 12 გვეუბნება:

„სოფლის საზღვარია A, B და C წერტილი. ჩვენ კი ვასწავლით მოწაფეებს, რომ ზედაპირის საზღვარი არის ხაზი და არა წერტილი.

წიგნში ხშირად პარალელური ხაზები არაპარალელურად არის გაყვანილი ნახაზებზე 85, 115, 134, 127 ნახაზზე კვადრატის მაგიერ სწორკუთხედია. მე-100 ნახაზზე პერპენდიკულიარების მაგიერ ურთიერთ დახრილი ხაზებია 185 ნახაზზე წრეში უნდა იყოს ჩახაზული წესიერი ხუთკუთხედი, ჩახაზულია წესიერი ექვსკუთხედი.

229 გვერდზე მაგალითი $8x^2+12xy : 3x$ თურმე წარმოადგენს მრავალწევრის გაყოფას ერთწევრზე. ასეთი სამი მაგალითია წიგნში. პითაგორის თეორემა კი ასე არის დამახინჯებული (გვ. 204). „სწორკუთხიანი სამკუთხედის ჰიპოტენუზაზე აგებული კვადრატი ამავე სამკუთხედის კატეტებზე აგებული კვადრატების ჯამს ეთანასწორება". ასეთ სახელმძღვანელოზე აღზრდილი მოწაფე ალბად დიდ მათემატიკოსად მოევლინება ჩვენს უნივერსიტეტს.

სახელმძღვანელოში არ არის დაცული ქართული მართლწერა (მაგ. კოეფიციენტის განმარტება), სასვენი ნიშნები, დამახინჯებულია კანონები. მაგ. ბოილმარიოტის კანონი (გვ. 78) „ჰაერის მოცულობა, რომელიც განიცდის განსაზღვრულ წნევას, ამ წნევის უკუპროპორციულია"

ზემოთ მოხსენებულით სრულიადაც არ ამოიწურება ამ წიგნის დეფექტები; წიგნს დართული არ აქვს შემჩნეულ შეცდომების გასწორება; ან კი რა საჭიროა: ეს წიგნი ცირკულიარის ძალით სავალდებულოთაა მიღებული სკოლებში სასწავლად. საღი გონება მოითხოვს ამ წიგნის დაუყოვნებლივ აკრძალვას; საჭიროა მისი საფუძვლიანად გადამუშავება და ახლად გამოცემა.

მასწავლებელი.

ნარკვევი

პროფ. ვილიამ გუდის თავგადასავალი

ინგლისის იმპერიალისტების მთავრობა—დაუძინებელი მტერია საბჭოთა კავშირის. იგი არა მარტო შეთქმულებებს აწყობს ჩვენს წინააღმდეგ, არამედ ყოველმხრივ ცდილობს დაუმალოს ინგლისის მშრომელ მასებს და საზოგადოების პროგრესიულ ნაწილს სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, საბჭოთა ქვეყნის პროლეტარიატის მიღწევებისა და გამარჯვების შესახებ. იგი ცდილობს დამალოს აგრეთვე თავისი სამარცხვინო როლი იმ აჯანყებებში და თავდასხმებში, რომლებსაც ჩვენს წინააღმდეგ აწყობდენ შავრაზმელი რუსი გენერლები.

ინგლისის მთავრობის ასეთი „მოღვაწეობის" ნიმუში გვინდა გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს.

ოქტომბრის ათი წლის თავის ზეიმში მონაწილეობის მისაღებათ უცხოეთიდან მრავლად ჩამოსულ სტუმრებს შორის არის პროფ. **ვილიამ გუდი**, ძველი ინგლისელი ლიბერალი, ლონდონის საგრაფოს პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, რომელიც მრავალჯერ ყოფილა რუსეთში და კარგად იცნობს რუსეთის ცხოვრებას და პირობებს.

ცნობილმა ინგლისელმა ჟურნალისტმა, გაზ. „მანჩესტერ გარდიენ"-ის რედაქტორმა **სკოტ**მა ვილიამ გუდი 1919 წ. გაგზავნა საბჭოთა რუსეთში. ეს იყო იმ დროს, როცა მძვინვარებდა სამოქალაქო ომი და მშრომელთა პირველი რესპუბლიკა ბლოკადის რკალში იყო მოქცეული.

აი რა უამბო პროფ. **ვილიამ გუდმა** მოსკოვის და ლენინგრადის პრესის წარმომადგენლებს ამ თავის მოგზაურობის შესახებ, რომელმაც კინაღამ მსხვერპლად შეიწირა მისი სიცოცხლე.

სტოკჰოლმით, გელსინგფორსით და რეველით, თეთრგვარდიელების ფრონტზე გავლით, პროფ. გუდმა დიდის ვაივაგლახით მიაღწია ველიკიე ლუკამდე. მუშათა პარტიის ლიდერების სარეკომენდაციო წერილების წყალობით, მან მოახერხა გზის გაგრძელება და ჩასვლა მოსკოვში. აქ პროფ. გუდმა ინახულა საბჭოთა მთავრობის წევრები, გაეცნო საბჭოთა წყობილებას და ორი თვის შემდეგ გაემგზავრა უკან, რომ დაბრუნებულიყო ინგლისში. რეველში გუდთან მივიდენ „ტაიმს"-ის კორესპონდენტი **ჰოლლაკ** და კომანდორი **სმიტერსი**—წარმომადგენელი ადმირალ **კაუენისა**, რომელიც სარდლობდა ინგლისის ჯარებს ბალტიის ზღვაში. ამ დროისათვის ინგლისის მთავრობას უკვე გაგებული ჰქონდა, რომ პროფ. გუდს ვრცელი მასალა მოაქვს მოსკოვიდან, რომელიც ფარდას ხდის ინგლისის ინტრიგებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და აგრეთვე იმას, თუ ვინ უწყობს ხელს თეთრგვარდიელ გენერლებს—ვინ აწვდის მათ იარაღს, სამხედრო ჩაცმულობას, ფულებს და სხ.

მოკლე „საუბრის" შემდეგ, რომელიც პოლლაკსა და სმიტერს ჰქონდათ პროფ. გუდთან, უკანასკნელმა ესტონეთის ციხეში ამოჰყო თავი. მისი საუბრები და წერილები გაიტაცეს. მაგრამ გუდმა მოახერხა წერილების გაგზავნა ციხიდან თავის გავლენიან ესტონელ, ინგლისელ და ამერიკელ მეგობრებისათვის. ხმებმა გუდის დაპატიმრების შესახებ მიაღწია უცხოეთის პრესის წარმომადგენლებამდე. ადმირალი კაუენი იძულებული შეიქნა გაეთავისუფლებია გუდი, რომელმაც სამი დღის შემდეგ მიიღო ბრძანება ნაღმოსნით გამგზავრებულიყო ჰელსინგფორსში, იქედან კი—ინგლისში. ნამდვილად კი, ნაღმოსანმა გუდი მიიყვანა ბიორკში, სადაც იგი გადასვეს კრეისერ „დანაი"-ზე და დაამწყვდიეს ბნელ საკანში. ერთი თვის განმავლობაში იმ ყოფნებოდა პროფ. გუდი ასეთ მდგომარეობაში. ამ დროს ინგლისის გაზეთებში დაიბეჭდა შენიშვნები პროფ. გუდის ბედის შესახებ. ინგლისის მთავრობამ დაინახა, რომ თამაშის გაგრძელება შეუძლებელია განუსაზღვრელი დროით და მთელ ამ ისტორიას ბოლო უნდა მოეღოს იქე კი, რომ პროფ. გუდმა ველარ თქვას სიმართლე საბჭოთა რუსეთის შესახებ.

ინგლისის აგენტმა ჰელსინგფორსში მიიღო შემდეგი დაშიფრული დეპეშა: „არ მისცეთ გუდს ინგლისში დაბრუნების საშუალება, ვიზის მიცემაზე უარის თქმით ან სხვა რაიმე გზით".

აი რაში მდგომარეობდა „სხვა რაიმე გზა". ინგლისის კონსერვატიულ გაზეთებში დაიბეჭდა შენიშვნები, რომ „პროფ. გუდი დახვრიტეს ბოლშევიკებმა". ამავე დროს კი, ესტონეთის მთავრობას წინადადება მიეცა 36 ესტონელ მუშებთან ერთად პროფ. გუდიც „გადაესახლებია" საბჭოთა რუსეთში. გავლენიან ესტონელ მეგობრის ჩარევამ იხსნა გუდი ამ „გადასახლებიდან": 36 ესტონელი მუშა დახვრიტეს გზაში.

როგორც ვხედავთ, ინგლისის მთავრობას სურდა ჩაედინა მორიგი სისაძაგლე: ესტონელ ჯალათების ხელით მოეკლა პროფ. გუდი. მისი მოკვლა გადაებრალებია ბოლშევიკებისათვის და კაპიტალი შეეძინა ანტისაბჭოთა კამპანიისათვის.

მაგრამ ინგლისელ იმპერიალისტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ბოლოს და ბოლოს ინგლისის მთავრობა იძულებული შეიქნა დაეშვა პროფ. გუდი ინგლისში, სადაც მან მრავალი ასი ლექცია წაიკითხა საბჭოთა წყობილების შესახებ.

ფიზკულტურა

შეჯიბრები მძლეოსნობაში

ამიერ-კავკასიის შეჯიბრები მძლეოსნობაში, რომლებიც ჩატარებულ იქნება თბილისში 25, 26, და 27 ნოემბერს, საქართველოდან მონაწილეობას მიიღებენ საყვარელიძე, შვარციბაია, ოჩიგავა, ნებიერიძე, მიქაბერიძე, სემიონოვი, ცხვედაძე და სხვები.

შეჯიბრების პროგრამაში შედის: რბენა 100, 400 და 5.000 მეტრზე, ხტომა სიმაღლეზე ადგილიდან და გამორბენით, ხტომა სიგრძეზე ადგილიდან და გამორბენით, ბადროს და ყუმბარის ტყორცნა, ბირთვი, კლასიკური ათჭიდი და ამანათრბენა.

ქალებიდან შეჯიბრში მონაწილეობას მიიღებენ: **ზალდასტანიშვილი, სუპძლენი, მიქელაძე, კოროლიოვა, ავაკიანი** და სხვები.

პროგრამა ქალებისათვის: რბენა 100 და 800 მეტრზე, ხტომა სიგრძეზე და სიმაღლეზე ადგილიდან და გამორბენით, ბადროს ტყორცნა, ბარგის კვრა და ამანათრბენი.

დღეს, დილის 10 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე დანიშნულია შეჯიბრში მონაწილეთა საერთო კრება.

ჭადრაკი

რკინისგზელთა შორის

კვირას, 19 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგება მოჭადრაკეთა საერთო კრება. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

ბიუროს წევრების გამოყოფა, სამაცადინო დღეების დანიშვნა, საჭადრაკო შეჯიბრი და მიმდინარე საკითხები.

რადიო-გადაცემა

კვირა, 20 ნოემბერს

დღეს, 20 ნოემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

კომკავშირის გაზეთი—რუსულ ენაზე (6—6—25).

მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხზე—ქართულ ენაზე (6—25 6—50).

საუბარი რადიო-ტეხნიკაზე—ქართულ ენაზე (6—50—7—20).

სამრეწველო საქონელი და სურსათ-სანოვაგე თბილისში—რუსულ და სომხურ ენებზე (7—20—7—45).

ოპერის შინაარსის განმარტება.

ოპერა „სადკო"-ს ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე.

პარტიული კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი, რომელიც 20 ნოემბერს დილის ათ საათისათვის უნდა შემდგარიყო თბილისის აღმასკომის შენობაში,—არ შესდგება.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. ბირიუკოვს გამოცხადდეს ზემო აღნიშნულ განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან (ოთახი 54) ოთხშაბათს 21 ნოემბერს, დილის 10 საათზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო აცხადებს, რომ 21 ნოემბერს, (ოთხშაბათს) ნაშუადღევის სამ საათზე უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია სამკურნალო ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა და საღამოს 6 საათზე სამკურნალო და აგრონომიული ფაკულტეტთა კომუჯრედების კრებები.

დღის წესრიგში დასმულია ბიუროების გადარჩევა.

პარტიის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბილ. სახელმწ. უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტთან არსებულ კომუჯრედის ბიურო იტყობინება, რომ 21 ნოემბერს საღამოს 5 საათზე მოწვეულია კომუჯრედის ბიუროს სხდომა.

უჯრედის წევრთა და კანდიდატთა კრება კი საღამოს 8 საათზე.

დასწრება სავალდებულოა.

---

26 კომუნარების სახელობის მექანიკური ქარხნის კომუჯრედი მწუხარებით იუწყება ძველი პარტიულის ამხანაგის

ფირან იოსების ძე მამულაშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას ამა წლის 17 ნოემბერს. განსვენებულის ბინიდან (კალინინის ქუჩა, ყოფ. ნიკოლაევსკის) ცხედრის გამოსვენება მოხდება კვირას 20 ნოემბერს დღის 2 საათზე დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 545

---

26 კომუნარების სახელობის მექანიკურ ქარხნის მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძველი მუშის, მელითონეთა კავშირის წევრის

ფირან იოსების ძე მამულაშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას ამ/წ. 17 ნოემბერს. განსვენებულის ბინიდან (კალინინის ქუჩა, ყოფ. ნიკოლაევის) ცხედარის გამოსვენება მოხდება კვირას, 20 ნოემბერს დღის 2 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 6. 544

განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა და მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიურო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ისტორიკოს

სვიმონ სპირიდონის ძე ესაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება ნოემბრის 20-ს მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის საავად.) დილის 11 საათზე დიდუბის სასაფლაოზე. 6. 249

ს. ს. ს. რ. ცენტრალური საარქივო სამმართველო და თანამშრომელნი აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაცვალებულის ცენტრარქივის მეცნიერ-თანამშრომლის

სვიმონ სპირიდონის ძის ესაძის

გამოსვენება მოხდება ნოემბრის 20-ს, დილის 11 საათზე მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის სახელ. საავადმყ.) კამოს ქ.—დიდუბის სასაფლაოზე. 520 2—2

გულმოკლულნი მამა ივანე, და ნინა, ძმა ვალოდია იოსელიანები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს 21 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე გადახდილი იქნება სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკურ ფაკულტეტის სტუდენტ

შალვა (ოტია) ივანეს ძე იოსელიანის

სამოქალაქო პანაშვიდი გარდაცვალებიდგან ორმოცი დღის აღსანიშნავად ვერის ახალ სასაფლაოზე. 543

დღეს, 20 ნოემბერს, 12 საათზე დიდუბის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი

ნინო დიმიტრის ასული

და ადამ ზურაბის ძე

ბერელაშვილების

რასაც აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს შვილები—ბაბო ტერიშვილი ქმარ-შვილით, თამარ ნარგიზაშვილი ქმარ-შვილით, ზურაბ, გაიოზ და დათა ბერელაშვილები ცოლ-შვილებით. (ე)

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ანა ივანეს ასული, დები ძარიამ ნიკოლოზის ასული ასათიანისა და ოლღა ნიკოლოზის ასული გოგუაძისა, ძმები ვლადიმერ და პლატონი ნიკოლოზის-ძენი ოჯახობით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 20 ნოემბერს, ძვირფასი და საყვარელი

ივანე ნიკოლოზის-ძე ზედგინიძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი მიცვალებულის საფლავზე ვერის ახალ სასაფლაოზე, ნაშუადღევს 1 ს. 533

დეიდა გოგუცა ქავთარაძე, მეგობრები მარგო წერეთელი, ნინა ბოდებაძე, თამარა შოთაძე, მარიკა ჯაფარიძე, თამარა მამალაძე, თამარა მიქაძე აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ დაუვიწყარი ძვირფასი ამხანაგის

ქეთო სიხარულიძის

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის შესრულების გამო, ახალ ვერის სასაფლაოზე კვირას, 12 საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი 535

გარდაცვალებულის

ანგელინა კალისტრატეს ასულის

ცინცაძის

ნათესავები გულითად მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც გაიზიარა მათი მწუხარება. 532

აპოლლო არფასტო სოლეი დარბაზი

დღეს და ყოველდღე საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული ფილმი

„იბრაგიმ და გოდერძი"

8 ნაწილად. დადგმა რეჟისორ შაქრო ბერიშვილის, ოპერატორი ა. პოლიკევიჩი, მთავარ როლებში: ლ. ყიფიანი, ი. ნაზარაშვილი, კახიძე, ძნელაძე, გვარაძე, კავსაძე, სვანი, ღვამიჩავა, კარუხნიშვილი.

პირველი სეანსის დასაწყისი 7 საათზე.

უკანასკნელად თბილისში სეზონის საუკეთესო სურათი

„გამცემი"

დადგმა ა. როომის.

0—12 6. 1388

ანონსი: მალე გრანდიოზული სურათი „პოეტი და მეფე"

სამრეწ.-ეკონომიური (კომერციული) განათლების დამხმარე კომიტეტის გამოცემანი

პ. ს. ლანდია—„ფინანსიური გამოანგარიშების სახელმძღვანელო", მეორე ნაწილი. ნებადართულია როგორც სკოლებში სახმარო სახელმძღვანელო ფ. 1 მან. 25 კ.

ა. ნ. ინწკირველი—„ანგარიშმცოდნეობის საფუძვლები" ფ. 2 მან.

ვ. თევზაია—„ვაჭრობის ძირითადი საფუძვლები" ფ. 95 კ.

პროფ. მოტილიოვი—„პოლიტიკური ეკონომიის მოკლე კურსი" თარგმანი ა. ახმეტელის რედაქციით ფ. 80 კ.

პროფ. ა. მ. გალაგანი—„სავაჭრო ანგარიშწარმოება" თარგმანი ა. ნ. ინწკირველის რედაქციით

იყიდება: სახელგამის მაღაზიაში, რუსთაველის გამზირი № 22 და „მწერალთა კავშირის მაღაზიაში", რუსთაველის გამზ. № 2.

6. 207 2—2

21 ნოემბერს შუადღის 12 საათზე

რიონჰესის (ქუთაისი)

მთავარ კანტორაში დანიშნულია წერილობითი

საჯარო ვაჭრობა

დროებითი ძალოვანი სადგურის შენობის აგებაზე 770 მეტრის სივრცით

ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, აღნიშნულ ვადისთვის უნდა შემოიტანოს განცხადება დაბეჭდილ კონვერტში წარწერით: „დროებით ძალოვან სადგურის შენობის აგებაზე დანიშნულ საჯარო ვაჭრობისათვის" ერთეულ ფასების აღნიშვნით რიონჰესის მთავარ კანტორიდან მიღებულ სპეციალურ ბლანკებზე.

განცხადებას დართული უნდა ექნეს ქვითარი რიონჰესის სალაროში საჯარო ვაჭრობის უზრუნველსაყოფათ ბეს შეტანის შესახებ 500 მანეთის რაოდენობით.

ორგანიზაციები, რომელნიც განთავისუფლებული არიან ბეს წინასწარ შეტანისაგან, განცხადებასთან ერთად არდგენენ სათანადო მოწმობებს.

ცნობების მიღება და კონდიციების გაცნობა მსურველთ შეუძლიათ რიონჰესის სამუშაოთა მთავარ მწარმოებლის კანტორის ტეხნიკურ განყოფილებაში, რომელიც მოთავსებულია ქუთაისში, კომუნარების მოედნის და აკ. წერეთლის ქ. კუთხეში, კოკოჩევის სახლში, ნაშუადღევის 12-დან 2 საათამდე.

2—1 6. 238 სამუშაოთა მთავარი მწარმოებელი მიქელაძე

სახელმწიფო ოპერა

დღეს, კვირას, 20 ნოემბერს, **სადკო**

მონაწ: კრასნიცკაია, რებეზოვა, აგრანოვსკი, კრუზო, ვენაძე, ლუზენცოვი, შარაშიძე.

დირიჟორობს სახ. მსახ. ი. პ. ფალიაშვილი.

18-სათვის აღებული ბილეთები გამოდგება 20-ს.

დასაწყისი 8 საათზე. ბილეთები იყიდება.

6. 246

თბილისის ქალაქის ბანკი

ამით აუწყებს თავის აქციონერთ, რომ დეკემბრის 4-ს, დღის 12 საათზე დანიშნულია ბანკის შენობაში—პუშკინის ქუჩა № 3. ბანკის აქციონერთა წლიური

საზოგადო კრება

შემდეგი საკითხების განსახილველად

1. გამგეობის მოხსენება ბანკის მოღვაწეობის შესახებ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება
3. წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება
4. წმინდა მოგების განაწილება
5. ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება
6. არჩევნები: საბჭოს წევრთა
7. „ გამგეობის „
8. „ სარევიზიო კომისიის.

6. 247

განათლების კომისარიატი

მიხა ჩოდრიშვილის სახელობის

საბუღალტრო კურსები

ქართულ და რუსულ ენებზე

ახალი ჯგუფისათვის სწარმოებს მიღება ან მდივანთან ხელოსანთა კლუბში, პლეხანოვის პრ. № 66, ან კურსების გამგე **იოვანე ზაქარიას-ძე ტერ-სტეფანოვთან**, ბოჭორიშვილის (1-ლი თუმანოვის) ქ. № 13. 530

ქ. თბილისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი

გ. გ. ბარუტჩევი

აცხადებს, რომ 24 ნოემბერს 1927 წ. 1 საათზე, მელიქიშვილის ქუჩ. (ყ. წყნეთის), № 34, **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება დავით ხითაროვის სამ სართულიანი სახლის ერთი მეშვიდეთი ნაწილი, რომელიც მდებარეობს მელიქიშვილის ქუჩ. № 34. მთელ სახლში იმყოფება 20 ოთახი და 2 სამზარეულო სახლის ერთიმეშვიდედი ნაწილი შეფასებულია 600 მანეთად, რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია ხორცპროდუქტის და სხვების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად საერთო ჯამით 1534 მან. 10 კაპ.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს გათვალისწინებული სამ. საპრ. კოდ. მე-311 მუხ. ცნობები; გარდა ამისა უნდა ვაჭრობის დაწყებამდე წარუდგინოს საწინდარი შეფასებულ ჯამის 10 პროც.. ე. ი. 60 მანეთი. 540

მიხეილ ბედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

ხაწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი **მეგრაბიანცი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ფილტვების, ღვიძლის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

ექიმი

ს. ი. ვოლოხი

ქალთა სნეულება და მეანობა. მიღება საღამოს 5—7 ს.-დე ყოველდღე (გარდა ხუთშაბათისა), ბელგიის ქ № 5 მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლათ. 25—

ექიმი **ჯალალოვი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის .მიღება

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი სნეულებანი.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

შინა-მრეწ. ხელოსანთა კავშირის გამგეობა

ამით აცნობებს ყველა ამავე კავშირის წევრებს საყურადღებოთ, რომ უკვე დაიწყო კავშირის

ცეხების ბიუროების გადარჩევა

და დელეგატების არჩევა მომავალ ხელოსანთა მე-4-ე კონფერენციისათვის, რისთვისაც ყველა ცეხის წევრები აუცილებლივ უნდა გამოცხადნენ შემდეგ დღეებში:

ნემსის ცეხი 22 ნოემბერს საღამოს 7 საათზე.
მეტყავეთა ცეხი 23 ნოემბერს საღამოს 7 საათზე.
ქიმიკოსთა ცეხი 24 ნოემბერს საღამოს 7 საათზე.
მელითონეთა და ხეზე-მომუშავეთა 25 ნოემბერს საღამოს 7 საათზე.
ოთხთა ცეხი 26 ნოემბერს საღამოს 7 საათზე.
მეპურეთა ცეხი 27 ნოემბერს დილის 10 საათზე.

აღნიშნულ დღეებისა და საათების მიხედვით ყველა ცეხების წევრები ვალდებული არიან გამოცხადდნენ დაუგვიანებლად.

518. გამგეობა.

მგზავრების საყურადღებოთ

გურჯაანის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ

დაარსა სადგურ გურჯაანში კახურ ღვინის სარეალიზაციო პუნქტი. იყიდება ღვინოები სხვადასხვა ასორტიმენტისა ბითუმათ და ნაწილათ საუკეთესო ხარისხისა და გემოვნებისა.

ფასათ 4 მანეთიდან 5 მანეთამდე.

6. 248 5—1. გამგეობა.

ფიზიკურ მეთოდებით მკურნალობის ინსტიტუტში

ორჯონიკიძის ქუჩა (ყოფ. ანდრეევის) № 30. ტელეფონი 10—90

მიიღება ფასიანი ავადმყოფები

წყლით, ელექტრონით, სინათლით, რადიუმით, რენტგენით, ფინზენით და სხ. სამკურნალო კაბინეტებში. ავადმყოფების გასინჯვა სპეციალისტების მიერ, განსაკუთრებულ საათებში დღის 1-დან 3-მდე.

ყველა ცნობები მიიღება ინსტიტუტის რეგისტრატურაში

ინსტიტუტის დირექტორი მ. ზანდუკელი

25—1 ქვ. 288

გარეუბნის სასამართ. აღმასრულებელი კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 25 ნოემბერს 1927 წ. საათის 12 ხუციშვილის (სეიდაბადის) ქ. № 4, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მარიამ დევდარიანის უძრავ ქონებას სამ სართულიან აგურის სახლს 9 ოთახით და 2 სამზარეულოთი, შეფასებულს 1000 მანეთად, დასაკმაყოფილებლად ვიქტორ კახეთელიძისა, თანახმად გირავნობის ფურცლისა 840 მან. % და საურავით და საქმის საწარმოებით. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ. თუ გაყიდვა არ მოხდება მაშინ ქონება გაიყიდება 3 დეკემბერს დღის 12 საათ. შემცირებულ ფასიდან. 541

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი

გ. ქ. ჯინჭველაშვილი

ამით აცხადებს, რომ ის 23 ნოემბერს 1927 წ. დღის 2 ს. სახლში, ვლადიმერის ქუჩის ბოლოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ვასო ჯავახიშვილის მოძრავ ქონებას: 25,000 ცალ აგურს და ქურახანის მთელ მოწყობილობას შეფასებულს 220 მანეთად, აღმშენებელთა კავშირის მეორე უბნის კომიტეტის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 15 ნოემბრის 1927 წ. თარიღით, № 3828 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 6. 245

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8. საათ. პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1) 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8. 25—13

ექიმი **კ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს**, და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობის (სიძსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები

ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნ.ხ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღ. 7—8 საათამდე

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—20

ექიმი

ვლ. ა. თოხაძე

გადავიდა ალექსანდროვის ქუჩიდან **ბესიკის** (ყოფ. დავიდოვის) ქ. № 20.

ღებულობს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათამდე

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ

(კბილის სნეულებათა)

კლინიკაში

ავადმყოფების მიღება 1 ნოემბრიდან იწარმოებს

დილით 8—12 საათამდე
საღამ. 4— 6 საათამდე

სალამობით რჩევა-დარიგება უფასოა, მკურნალობა დაკლებულ ფასებში

კლინიკასთან არსებობს რენტგენის კაბინეტი. მისამართი: პლეხანოვის გამზირი 126, ტელეფ. 25—34.

დაკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 659, აპოლონ კიზივაძეს სახელზე, ჩ. გ. 536

დაკარგე სიღარიბის მოწმობა № 253, ალექსანდრე გიორგის-ძე შიხაშვილის სახელზე, ჩ. გ. 537

დაკარგე მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 334, მ. მეზურნოვის სახელზე, ჩ. გ. 539

დაკარგე ლომბარდის ქვითარი № 74573, ჩ. გ. 538

დაკარგე პარტიული ბილეთი № 0854798, გაცემული გურიის კომიტეტის მიერ რემანოზ მათეს-ძე გოლიაძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგე კავშირის წიგნაკი № 9398 გურგენ თედერულის სახელზე, ჩ. გ. 534

დაკარგე მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 16283 ვარდენ ნიკოლოზის ძე ქავზინაძეს სახელზე, ჩ. გ. 531

დაკარგე პარტიული ბილეთი № 0876607 დიმიტრი გოჩელეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 542

დაკარგე მუშკოოპის წიგნაკი № 5331 შუშანა არაბაშვილის სახელზე, ჩ. გ. 546

პოლიგრაფტრესტის მე-ხ-ე სტამბა, კამოს ქ. № 68